

114
967/3

2010



מגילת אסתר

36

1967



ენათობი

ქართული
ენათობის
საქართველოს
საზოგადოებრივი-კომუნისტური
შუქრნალი

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-საბატვრული
და საზოგადოებრივი-კომუნისტური შუქრნალი

წელიწადი 44-ე

№ 9

სექტემბერი, 1967 წ.

საქართველოს საზოგადოებრივი-კომუნისტური შუქრნალი

შინაარსი

გრიგოლ აბაშიძე — ყორნალი, რომანი ორ ნაწილად, ნაწილი პირველი	3
ოთარ ჭილაძე — ლექსები	54
იონა ვაყელი — ციკლიდან: ქართული მელოდიები	57
თამაზ ჭილაძე — პარასკევა, მოთხრობა	58
ბონდო კეშელავა — შეძახილი, ლექსი	79
ზურაბ კუხიანიძე — ლექსები	80
ბორის შატბერაშვილი — სიუჟეტი, მოთხრობა	81
ელგუჯა მაღრაძე — ცხოვრება გრიგოლ ორბელიანისა, მხატვრულ-ისტორიული ნარკვე- ვი, დასასრული	85
ღიაღი 50 წელი	
გრიგოლ ერემოვი — ვ. ი. ლენინის „სახელმწიფო და რევოლუციის“ 50 წელი	120
იროდიონ მაჩაიძე — ოქტომბრის იღვების გამარჯვება	128
კრიტიკა	
ვიორგი მარგველაშვილი — ქართული პოეზიის სიახლენი	134
წახნი მხატვრობა	
დ. უზნაძის დაბადებიდან 80 წლის შესრულების გამო	166
ფაქტები, მოგონებანი	
ვასო ჩაჩანიძე — მოგონებანი ნიკო ფიროსმანზე	169

10-476



ლევან ხანიყიძე — ახალი წიგნი ძველ კოლხეთზე	184
გ. მეგრელიშვილი — გ. შიაშვილის პუბლიცისტიკა	187
სიმონ არველაძე — ცხოვრება და აღმოჩენები	190



მთავარი რედაქტორი გრიგოლ აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი, ბ. ფლენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჭაფარიძე, გ. ჭიბლაძე.

ტექნორედაქტორი რ. ჩავეტაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პარკის რაიონი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 8-55-11, პ/მგ. მდივნის — 8-55-12, განყოფილებების — 8-55-15, 8-55-17, 8-55-20.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/IX-67 წ. ქა-

ღალღის ზომა 70X108. ანაწილების ზომა 7¹/₄X12¹/₂. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16.

უა 02226. ტირაჟი 7,900. შეჯ. № 3149.

საქ. კბ ცკ-ის გამოცემლობის პ/კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ქ რ ა ნ ე ლ ი

არმანი ორ ნაწილად

ნაწილი პირველი

თ ა ვ ი 1

კორაპტორი კითხულობს მოთხრობას და გზადაგზა იკითხვს თავის სიზმარწილს

ლევან გაფრინდაშვილი უგუნებოდ იყო. საათს წამდაუწუმ დაჰყურებდა და სამუშაოს გულს ვერ უღებდა.

გაზეთის ოთხივე გვერდის ანაბეჭდი წინ ედო კორექტორს. პირველი სამი გვერდი უკვე გადაკითხული და დასაბეჭდად ხელმოწერილი ჰქონდა.

მეოთხე გვერდზე მოთხრობა იბეჭდებოდა. ეს მოთხრობა თბილისის ერთ-ერთ ქურნალში გამოქვეყნდა, კლდეეთის რაიონის გაზეთის რედაქტორს მოეწონა და გადმოსაბეჭდად ააწყობინა.

გაზეთის ის გვერდი ბოლოსთვის განზრახ მოიტოვა ლევანმა — იმოდენა მშრალი მასალის შემდეგ მოთხრობის წაკითხვით ცოტა დასვენებასა და გახალისებას ფიქრობდა.

მოთხრობა წინ დაიდო და სანამ კითხვას დაიწყებდა, საათს დახედა.

პირველ საათზე ბავშვისთვის უნდა მიეკითხა სკოლაში. ჭერ მხოლოდ ათი იყო.

დრო კიდევ ჰქონდა.

სკამის ზურგს მიეყრდნო, პაპიროსს მოუკიდა და გააბოლა.

უცებ რაღაც გაახსენდა.

ტელეფონის მილს დასწვდა და ნომერი აკრიფა.

— აფთიაქია?

ჩასძახა ყურმილს.

— ალექსანდრე თუ ჩამოვიდა?..

დღეს ჩამოდის? გმადლობთ... — ლევანმა ყურმილი დაჰკიდა, ხელუბი სკამის სახელურებზე დააწყო და ჭერს მიაშტერდა.

ერთხანს ასე იჯდა, უძრავად. პაპიროსს ღეჭავდა და მადლა ასულ ზოლს უაზროდ აყოლებდა თვალს. მერე, პაპიროსი რომ დაილია, ნაშწივი საფერფლეზე მოსრისა, ერთხელ კიდევ დახედა საათს და კითხვას შეუდგა:

თვითმკვლევლობას ბევრი გმირობად თვლის, ბევრი — ლაჩრობად და ბევრიც — უაზრობად.

სამივე შეფასებიდან თითოეულს თავისი კერძო საფუძველი აქვს და მხოლოდ ცალკე შემთხვევის დასახასიათებლად თუ გამოდგება.

როცა შტრის ხელთ ჩაეარდნის ვაჟკაცი მისთვის დალატის ფასად შემოთავაზებულ ყოველგვარ პატივსა და ჭილღოს ზურგს აქცევს და თავს აცლავს მხოლოდ იმისთვის, რომ სამშობლოს საზიანოდ საიდუმლო არ გასცეს, ასეთი თვითმკვლევობა უთუოდ კეთილშობი-

ლებაა და ქვეშაირტ გმირობად უნდა მივიჩნიოთ.

მაგრამ, როცა კაცი ჩადენილი დანაშაულისათვის ხალხისა და ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის შიშით იკლავს თავს, ეს ნამდვილად ლაჩრობა და სულმდაბლობაა.

თვითმკვლელობის ამ ორ სახეობას უამრავი კერძო გამოხატულება აქვს და მათი ახსნა საზოგადოებისათვის თითქოს არც წარმოადგენს სიძნელეს.

მაგრამ არის თვითმკვლელობის ისეთი შემთხვევა, რომელიც ხალხისათვის გაუგებარი და აუხსნელი რჩება თავისი გარეგნული ულოგიკობის გამო.

რაკი ამგვარი თვითმკვლელობის მიზეზებში გარკვევა გარეშე ადამიანებისათვის შეუძლებელი ხდება, მათ ჰეტი აღარაფერი დარჩენილი, ასეთ თვითმკვლელობას უაზრობად აცხადებენ და ამაო კვლევადიებას ხელჩაქნეულნი ეხსენებიან.

მართლაც და, რა უნდა ეწოდოს, თუ არა უაზრობა, ისეთი კაცის თვითმკვლელობას, რომელსაც ამ ქვეყნად არაფერი აკლია, არც ახალგაზრდობა, არც ჯანღონე, არც კარგი გული და არც სიცოცხლის სიხარული.

ასეთი კაცი თითქოს თავისი ცხოვრების ყველაზე მაღალ მიზნებთან ახლო არის, არათუ თავისი საზრუნავი აწუხებს, არამედ სხვების დარდსა და საზრუნავსაც ხალისიანი მახვილსიტყვაობითა და უდარდელი ხუმრობით ამსუბუქებს და ანელებს.

და უცებ, ამგვარი კაცი გულზე რევოლვერს იღებს, სასხლეტს ხელს აჭერს და სიცოცხლეს ისპობს.

რას არ ამბობენ ხოლმე ასეთ უაზრო, საზოგადოებისათვის გაუგებარ თვითმკვლელობაზე!

მაგრამ იმას კი იშვიათად უფიქრდებიან, თუ რა ეული, სულიერად უთვისტომო და მართახელა ყოფილა ეს „გულითადი მეგობრებითა და ძმაკაცებით“ გარშემორტყმული კაცი, როგორ ღრმად და ღიღნანს უტარებია გულში რაღაც

საშინელი საიდუმლო, რომელიც ვერც სიცოცხლეში გაუნდვია ვისმესთვის და ვერც სიკვდილის წინ უხვევდა მისთვის იმის ღირსად, რომ მისთვის აღსარება დაეტოვებინა..

პოსპიტლიდან გამოწერილი, გამოქანსადებული ვალერი ჩვენს პოლკში: ომის მეოთხე წელს მოვიდა.

ნამსახურობის მიხედვით მზვერავად ჩარიცხეს და ჩემს ათეულში მოხვდა.

მკვირცხლი, კისკასი ბიჭი იყო.

ომის კვამლს შეჩვეული, გამოცდილი მზვერავი ათეულის სული და გული გახდა.

სიკვდილის შიში რა იყო, არ იცოდა.

დავალუბას მუდამ თამამად, საოცარი გაბედულებით ასრულებდა, ნემსის ყუნწში ძვრებოდა და ზოგჯერ შეუძლებლის გაკეთებას ახერხებდა.

ყველაზე ძნელი დავალების შესრულებას ხალისით კისრულობდა და თუ შემთხვევით, ან რაიმე მოსაზრებით, სახიფათო საქმეს მის მაგივრად სხვას ანდობდნენ, გულწრფელად სწყინდა.

ბედი წყალობდა და სიკვდილთან თამაშში სულ მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა.

ხალისიანი, მხიარული ბიჭი იყო და ვერ იტყოდა, სიცოცხლე მობეზრებული აქვს, სიკვდილს ეტანებო.

ალალი გული ჰქონდა და ბავშვებით მიაშიტი იყო.

საითაც ის წავიდოდა, მხიარულება მაშინვე იქით ვადანაცვლებდა. ყველაზე მძიმე წუთებშიც კი, დანა რომ პირს არ გვიხსნიდა, ზოგჯერ ისეთ რამეს იტყოდა, სიცილი წაგვსკდებოდა და განსაცდელი გვაფიწყებოდა.

ერთი სიტყვით, ეს ბიჭი ჩვენი სიცოცხლე იყო და ვერავის წარმოედგინა, თუ ოდესმე მოწყენა ან დანაღვლიანება შეეძლო.

მაგრამ მეტისმეტი ენაკვიმატობა და გაუთავებელი სიცილიც თურმე ნიღაბი ყოფილა. მხოლოდ.

ეს ეჭვი აღრეც გამკრავდა ხოლმე.

ხანდახან სრულიად უმნიშვნელო ამბავზე ხარხარს ატეხდა, სიცილით გადაბეირდებოდა და უცებ წამოხტებოდა, ამხანაგებს მოულოდნელად მოცილდებოდა და სადღაც გაჰქრებოდა.

ერთხელ ცნობისმოყვარეობამ წამძლია, შორიახლო შეუძინველად მიყვები: მოფარებულში მარტო იჯდა, თავი ხელეში ჩაერგო და ბეჭები უძივძივებდა.

ტიროდა თუ იცინოდა, ვერ მივხვდი, ვერც გამოლაპარაკება გავუბედე, შემრცხვა, რას იტყოდა — ჯამუშევით დამედევნა, საკუთარ თავთან განმარტობის საშუალება არ მომცაო.

ზოგჯერ ქამის დროს სახე გაუფითრდებოდა და რალაცას გამოლენჩებული მიაშტერდებოდა.

იმ წუთს ქვეყანა რომ დაქცეულიყო, ამ გარინდებიდან ვერ გამოიყვანდა.

გაოგნება სწრაფადვე გაუვლიდა, თვალში მომდგარ ცრემლს შეუძინველად მოიწმენდა და ისევ გულიანი სიცილ-ხარხარით გვაფიწყებდა და თვითონაც იფიწყებდა იმ წამიერ სხვადაყოფნას.

წიგნი და გაზეთი უყვარდა.

გერმანელს რომ მოჰკლავდა, წიგნებს და ეურნალ-გაზეთებს აართმევდა და, სანამ დანიშნულებისამებრ ჩააბარებდა, ჯერ თვითონ გასინჯავდა.

გერმანული კარგად არ იცოდა, მაგრამ აზრს ხედებოდა და კითხვას ეძალეობოდა. როგორც კი მოსკოვის გაზეთებს ხელთ მოიგდებდა, განმარტოვდებოდა, ჩაუჭდებოდა და, თუ სიმშვიდე იყო, მეთაური წერილის პირველი სტრიქონიდან მეოთხე გვერდის ქრონიკამდე ჩააბულბულდებდა.

მაგრამ ზოგჯერ, გაზეთის კითხვის დროსაც უცნაურად გამოირთვებოდა, თავს აიღებდა, გაშტერებულ მზერას სადღაც მიაპყრობდა და გაზეთი ხელიდან გაუვარდებოდა.

ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ვალერი არც ვისმე წერდა წერილს და არც არავისგან ლებულობდა.

ჭარისკაცი წერილიდან წერილამდე ცოცხლობს.

არქანგელში

ომის ჯოჯოხეთში შინხდნა: არქანგელში ნომ-მეგობრებისაგან მოსული ბარათები არის ის ნათელი სხივი, რომელსაც სისხლისა და ცეცხლისაგან გაბოროტებული მეომრის სულში ადამიანური სითბო შემოაქვს და ღროღადრო მაინც ახსენებს, რომ იგი მარტო კაცისკვლისთვის კი არა, ალერსისა და დამილისათვის, სიყვარულისა და გულკეთილობისათვისაც არის გაჩენილი.

ვალერისათვის კი არც არსებობდა ეს გრძნობა წერილის მღელვარე მოლოდინისა, მოთხოვნილება სახლისა და შინაურების ამბის შეტყობისა.

ფოსტა რომ მოვიდოდა, ვალერი რამე საქმეს მოიგონებდა, ამხანაგებს გაცელებოდა და ხელიდან გაგვიქრებოდა.

ერთხელ ხუმრობით რომელღაცა ჯარისკაცმა უთხრა:

— რა ხარ, ბიჭო, ამისთანა ამოწყვეტილი, მოყვარე და შენიათი თუ აღარავინ გაგაჩნია, მტერი მაინც არავინ გყავს, რომ წყევლა და ვინება მოგწეროს?!

ეტყობა, ნათქვამი შიგ გულში მოხვდა ვალერის, სახეზე წამით ჩრდილმა გადაურბინა, მაგრამ წყენა არ შეიმჩნია და ამოოხვრით თქვა:

— აღარც მტერი მყავს და აღარც მოყვარე, მას შემდეგ, რაც გერმანულებმა ჩემი მშობლიური ქალაქი მიწასთან გაასწორეს, ქვეყნად აღარავინ დამრჩა.

ყველას შეგვებრალა უთვისტომოდ დაარჩენილი ამხანაგი იმ მეტიჩარა ჯარისკაცს ერთი ისე შევეუბღვირე, ენა მუცელში ჩავაგდებინე.

მერე სიტყვა ბანზე ავაგდეთ, იქეთური და აქეთური ვთქვით, და ვალერისაც ეს უნდოდა, ხუმრობას აპყეა და სიცილით დაგვხოცა.

მაგრამ მოხდა ერთი უცნაური და არაჩვეულებრივი ამბავი: ვალერიმ წერილი მიიღო.

ჯერ თვითონაც არ დაიჯერა. შემერთალმა უკან დაიხია. შეუყოყმანდა, მაგ-

რამ აკანკალებული ხელი კონვერტისაკენ მაინც წაიღო და თან დამფრთხალმა მიიხედ-მოიხედა — ხომ არავენ მიყურებდსო.

შეთქმულებივით ყველამ პირი იბრუნა და სახე აარიდა. გაფითრებულმა ვალერიმ წერილი აიღო და გაქრა.

იმ დღიდან ისე გამოიცივალა, კაცს ვეღარ ვცნობდით.

არავის არაფერს ეუბნებოდა, არც არავენ იქით აწუხებდა.

ყველა ამჩნევდა: როგორც კი თავს დაიპარტოხებოდა, განაპირდებოდა და იმ ერთადერთ ბარათს ამოიღებდა, თავიდან ბოლომდე ჩაჰყვებოდა და, ვინ იცის, მერამდენეჭერ კითხულობდა იმას, რაც, ალბათ, უკვე ზეპირად იცოდა.

სხვები რომ ახალ-ახალ წერილებს მიიღებდნენ და კითხვას შეუდგებოდნენ, ვალერი ისევე იმ ერთადერთ ბარათს იღებდა ჯიბიდან. გაცრეცილი ქაღალდის ფერგადასულ სტრიქონებს ახალი ამბავივით კითხულობდა და ზოგჯერ თან შეკაეებულ გმინსა და ოხვრას აყოლებდა.

ერთ დღეს მოსკოვის გაზეთს ვკითხულობდი. მეოთხე გვერდზე შეეჩარჩო შემოვლებული სურათი და ნეკროლოგი იყო დაბეჭდილი. ქაღალაშერთული, სიმბათიური გამომეტყველების კაცის სახე მეცნაურა.

ნეკროლოგი წავიკითხე.

გარდაცვლილი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე აღმოჩნდა. მოგონებამ წამილო და უცებ გამახსენდა: ეს კაცი იმითაც იყო ცნობილი, რომ ცოლად სახელგანთქმული მსახიობი ქალი ჰყავდა.

— ნახე, მინისტრი მომკვდარა.

გავუწოდე გაზეთი ვალერის.

ვალერიმ გაზეთი ჩამომართვა, სურათს დახედა და ფერი დაეკარგა.

ნეკროლოგს ისე კითხულობდა, ხელები უკანკალებდა და გაზეთი სიომობერილი ფოთოლივით ირხეოდა.

— უეცრად მომკვდარა, ალბათ გულის გაუსკდა

— შენ რა იცი, რომ გული გაუსკდა? შემომიყვირა გაბრაზებულმა ვალერიმ.

გამიკვირდა ასე უმიზეზოდ მისი გაბრაზება.

— მე რა ვიცი... საექიმო დასკვნაში წერია.

ვუთხარი აუღელვებლად და ნეკროლოგის ბოლოში დაბეჭდილ ცნობაზე ხელით ვანიშნე.

ვალერი იმ ცნობას დააცქერდა და თვალი აღარ მოაშორა.

რამდენიმე წუთის წინ მხიარული ჯარისკაცი უცებ მოიბუზა, დაპატარავდა და ლამის იმ გაზეთში ჩაძვრა.

არ ვიცოდი, რა ემართებოდა.

იმ უცნაური გაოგნებიდან რომ გამომეყვანა, ვითომ ჩემთვის, სხვათაშორის ვთქვი:

— აი, მავან უნდა თქვას, ცოლი მყავდაო!

ვალერი მომიბრუნდა და სახე შეშლილმა მკითხა:

— შენ რა. ამის ცოლს იცნობდი?

— ვიცნობდი.

ამ სიტყვას გრძელი პაუზა მოვაცილე და თან ქვეშქვეშ ვალერის გაეხედე.

ბიჭი დაიბნა და გაწითლდა.

— ვიცნობდი, როგორც მსახიობს, ისე, როგორც ალბათ ათასები და ათათასები იცნობდნენ.

ვალერის თითქოს საშინელი დარტყმა ასცდაო, გულზე მოეშვა, ღრმად ამოისუნთქა და თვალში ჩაცივებით მომაჩერდა.

— პირადადაც უნდა გამეცნო ერთხელ, მაგრამ ქმარმა, მაგ კაცმა შემიშალა ხელი.

უდარდელი კილოთი ვთქვი. ჩემი ნათქვამი უფრო ხუმრობას ჰგავდა, მაგრამ ვალერი სმენადქცეული მომჩერებოდა და მოუთმენლად ელოდა ამბის მოყოლას.

— ომის წინა წელი იყო. თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში ესწავლობდი, — დაგიწყე დინჯად, — სტუ-

დენტთა ოლიმპიადაზე გაგვაგზავნეს და მოსკოვს თვითმფრინავით ჩავედით.

პირველ დღესვე სამხატვრო თეატრისკენ გავქანდი. როგორც იყო, ბილეთი ვიშოვე და დიდი ხნის ოცნება ავისრულე — ანა კარენინაზე“ მოვხვდი.

ბედმა გამიღიმა: იმ დღეს ანას როლს სახელგანთქმული მსახიობი — ვოინოვა ასრულებდა.

მართლაც რომ მომხიბლავი მსახიობი იყო სცენაზე გამოჩენისთანავე დაგვიპყრო და მოგვაქადოვა. გაფართოებული თვლებით ვუცქერდი და სუნთქვაშეკრული ვუსმენდი მის ყოველ მოძრაობასა და ჩქამს, და წარმოიდგინე, დუმილსაც, უსიტყვო პაუზასაც გულში ღრმად ვიბეჭდავდი.

სპექტაკლი დამთავრდა. ფარდა რამდენჯერმე დაეშვა და ისევ ვაიხსნა.

აღტაცების შექაბილები, როგორც იქნა, მიწყდა და ტაშიც დაცხრა.

პარტერში რომ დაცარიელდა, მხოლოდ მაშინ მოვედი გონს. გაბრუებული წამოვდექი და გასასვლელისაკენ წავედი.

მივაბიჯებდი, მაგრამ იმაზე კი არ ვფიქრობდი, საით, ან რატომ მივდიოდი. შესანიშნავი ქალის ტრაგედიით გაოგნებული, ჯერ კიდევ მისი ცხოვრებით ვცხოვრობდი, ვული ბაგა-ბუგით მიცემდა და ყურში იმ ორთქლმავლის ბორბლების ღრქიალი მესმოდა, რომელმაც, ის იყო, ანასთან ერთად ჩემს სხეულზეც გადაიარა.

არ მახსოვს, შინ როგორ დავბრუნდი. კარი რომ შევადე და ვარდებმა შემომანათეს, მაშინ გამოვფხიზლდი.

იმ დილას დაკრეფილი, თბილისიდან თვითმფრინავით ჩამოტანილი ვარდების თაიგული ჯერ კიდევ ცოცხლად და მიმზიდველად გამოიყურებოდა წყლით სავსე ვაზიდან.

— აი, ეს კი ეღირებოდა! ვთქვი გულში და ვარდებს ხელი შევავლე.

— ხვალისთვისაც უარგი იქნება!

უხმოდ მიკარნახა ჩემმაცე გულმა და, თითქოს ამ ნათქვამმა გამახსენებდა, მხატვრო თეატრის პრეფექტმა დაგვხვდეს.

მეორე დღეს კვირა იყო და დილით ჩიხოვის „სამი და“ გადიოდა.

ერთ-ერთ დას ვოინოვა თამაშობდა. ამ ამბავმა გამაძნევა და დამიძმედა. თაიგულს წყალი გამოვუცვალე და ხვალინდელი დღის მღვღინარე მოლოდინით ჩავიძინე.

კვირა დილას ჩემი თაიგული თეატრში წასვლის წინ ერთხელ კიდევ შევემოწყე. კოკრებს გაშლა დაეწყით და ჯერ კიდევ ახლადდაკრეფილებივით გამოიყურებოდნენ.

თაიგული თხელ ქაღალდში ფრთხილად შევახვიე და თეატრისკენ წავედი.

ბილეთი შედარებით ადვილად ვიშოვე და, კარი რომ გაიღო, თეატრში პირველი შევედი.

პატარა ფურცელზე რამდენიმე სიტყვა დავწერე:

იმეათ ქალსა და ხელოვანს — ვოინოვას
გუშინდელი წარმოდგენით მიხიბული ქართველი
სტუდენტისაგან

ფურცელი კონვერტში ჩავდე და თაიგულთან ერთად კულისებში შევგზავნე კონტროლიორი ქალის ხელით.

ანტრაქტზე ფოიეში დავსივარდობდი და კედლებზე გაკრულ მსახიობთა პორტრეტებს ვათვალიერებდი.

უცებ ის ქალი მომვარდა, რომელსაც თაიგული გავატანე.

— მომილოცავს წარმატება, ანაღვაზრდა! აქტრისამ ვთხოვათ, სპექტაკლის შემდეგ მსახიობების შესასვლელთან დაელოდოთ.

გაეწითლდი. მადლობის თქმა ძლივს მოვახერხე. ქალმა მრავალმნიშვნელოვნად გამიღიმა და გამშორდა.

წარმოდგენა დამთავრდა.

დარბაზში ღრიანცელი იდგა. ტაშსა და შექაბილს ჰკერი დაბლა ჩამოჰქონდა.

ვოინოვა „დებს“ შუაში ჩაუყენებინათ და თვითონაც მას უკრავდნენ ტაშს.

ის კი იდგა ოდნავ დაღლილი და ჯერ კიდევ მღელვარებადაუმცხრალი, თვალთა ალერსიან შეჭსა და მომზობველ ღიმილს გულუბნავად ფანტავდა და თავს ოდნავ ხრიდა.

ტაშისაგან ლამის ხელზე კანი გადამძვრა.

„ბრავოს“ ყველაზე ხმაშაღლა მე ვიძახოდი და ალბათ იმ დარბაზში ყველაზე ბედნიერიც მე ვიყავი, რადგან მისი ღიმილიცა და ალერსიანი გამოხედვაც მხოლოდ და მხოლოდ ჩემთვის განკუთვნილად მეჩვენებოდა.

კიდევ დიდხანს გავაგრძელებდი ტაშის კვრასა და „ჩემი“ მსახიობი ქალის გვარის ძახილს, მაგრამ უცებ გამახსენდა, რომ ვოინოვას ქუჩაში, მსახიობთა გასასვლელთან უნდა დავლოდებოდი.

შემეშინდა, არ გამასწროს-მეთქი, თავი დავლუნე და დარბაზიდან გავეპარდი. მსახიობთა შესასვლელთან ახლო დადგომა ვერ გავბედე, მოშორებით გავჩერდი და მზურა იმ კარს მივაპყარი, საიდანაც „ის“ უნდა გამოსულიყო.

როგორ უნდა წარედგომოდი, ან რა უნდა მეთქვა, არ ვიცოდი და ამაზე არც ვფიქრობდი. იმ წუთს ერთადერთი საზრუნავით ვიყავი შეპყრობილი: იმ კარიდან ან სხვა გასასვლელიდან მისი გამოსვლა არ გამოიპარეოდა.

არ ვიცი, რამდენხანს გავრძელებდი მღელვარე ლოდინის ეს ბედნიერება. მოახლოებული მანქანის სიგნალმა გამოიპარკვია.

მანქანას გზა დავეუთმე და ტროტუარზე შევდექი.

შავმა, დიდმა მანქანამ რბილად, სრიალით ჩაიპარა.

იმ გასასვლელის წინ, კიბესთან გაჩერდა და, თითქოს შეთანხმებული აყენენო, ორივე კარი — მანქანისა და მსახიობთა შესასვლელისა — ერთდროულად გაიღო.

მანქანიდან ეგ კაცი გამოვიდა, თეატრიდან — „ის“.

კაცმა კიბეზე ხელი შეაშველა, ხელ-

ზე აკოცა, მანქანაში ჩასვა და თავდასკვერდით მიუჭდა.

შავმა, გრძელმა მანქანამ, დაეცემოდნენ, ცხვირწინ ჩაიპარა ნელი, რბილი სრიალით.

ცოლ-ქმარი მანქანაში რაღაცას მხიარულად ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ. მომეჩვენა, რომ მე დამცინოდნენ, გაწბილებულსა და პირში ჩალაგამოვლებულ სტუდენტს, რომელსაც გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ ცაში მიუწვდომელს მისწვდებოდა.

ცრემლმომდგარი თვალი გაბრაზებულმა გავაყოლე სიშორეში გამქრალ შავ მანქანას და გულში წყევლა ვთქვი ცხოვრების მაგ ნებიერის, კმაყოფილად მლიმარი დიდკაცისა და ბედნიერებით ყელთამდე სავსე ქმრის მისამართით.

ჩემი უიღბლობის მიზეზად რატომღაც მხოლოდ ის ჩავთვალე და გულით ვნატრობდი, სადმე, ოდესმე პირისპირ შემხვედროდა და ვაქცაყურად გავსწორებოდი.

დრომ რომ განვლო, ჩემი მაშინდელი გაბრაზება და ქმრის მისამართით მრისხანების ფრქვევა სასაცილოდ მეჩვენა.

მაგრამ, მოგეხსენება, ამ ქვეყნად ყველაფერი ბეღია და ერთ წამს ზოგჯერ კაცის ცხოვრების მიმართულების სრულიად შეცვლა შეუძლია!

ეგ კაცი რომ არ გამოჩენილიყო, ვინ იცის, ჩემო ვალერი, როგორ დატრიალდებოდა ჩემი ცხოვრების ჩარბი, იქნებ ის დიდი ხელოვანიც ცოცხალ უოფილიყო და მეც ქვეყნად უბედნიერესი კაცი გავმხდარიყავი.

ვალერიმ ვერც უქანასკნელი სიტყვების ოხუნჯურ კილოს მიაქცია ყურადღება. ფიქრში წასულმა გრძელად ამოიოხრა და, თითქოს მარტო თავისთავს გამოეღაპარაკაო, ოდნავ გასაგონად წარმოთქვა:

—ჰო, ეგ კაცი რომ არ უოფილიყო, ალბათ...

უცებ თითქოს რაღაც ზედმეტა წამოსცდაო, შეშინებულმა იქაურობას

თვალი მოავლო, სიტყვა შუაზე გაწყვიტა და დამფრთხალი ნადირივით მომაჩერდა.

მე ვითომ არც მისი ბოლო ნათქვამი გამეგონოს, არც მისი შეკრთომა და დაბნეულობა შემემჩნინოს, ფეხზე მხიარულად წამოვდექი.

— ასე, ჩემო ვალერი, იყო და არა იყო რა...

ვალერი ამ სიტყვებმა კიდევ უფრო დაძაბა.

მე პაპიროსს არხეინად მოვეუკიდე, მზარა მოვიხურე და მიწურიდან გავედო.

იმ ნეკროლოგისა და საექიმო დასკვნის წაიკითხვამ ვალერი ერთიანად მოშალა. თავჩაღუნული მარტო დადოდა, თვალს არ გვისწორებდა და წარბს არ ხსნიდა.

ვატყობდი, საშინლად აფორიაქებულ იყო და დღეს თუ ზვალ მის უჩვეულო შინაგან შფოტისა და უკიდურეს მღელვარებას გამოსავალი უნდა ენახა.

ჩემთვის უკვე საეჭვო აღარ იყო, რომ ეს შამაკი და „მხიარული“ მხვერავე მძიმე ჯვარს, კაციშვილისთვის გაუმხელელ მტანჯველ საიღუმლოს ატარებდა.

იგი უკვე მეტისმეტად დაღლილი იყო, ზვამიადის დამალვა აღარ შეეძლო, თმენის ძაფი გაწყვეტაზე ჰქონდა და, დღეს თუ ზვალ, უნდოდა თუ არ უნდოდა, გაუმხელელი უნდა გაემხილა.

ასე დიდხანს დაგუბებულ, უსაზღვროდ დაძაბულ მშფოთვარებას ორი დასასრული აქვს: ერთი ცრემლით, აღსარებითა და მონანიებით თავდება, მეორე — საკუთარ თავთან ანგარიშის უღმობლად გასწორებით, კატასტროფით.

მეორე შესაძლებლობა იმხანად ფიქრადაც არ მომსვლია.

ჩემზე მისანდო და ახლობელი ვალერის მთელ პოლკში არაეინ ჰყავდა და აუღელვებლად ველოდი იმ დღესა თუ საათს, როცა მხვერავე გულის გადასაშლელად, საიღუმლოს გასამხელად და

აღსარების სათქმელად ჩემთან მოვრდოდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ იმ დღეს ხდა, რასაც არ ველოდი: ვალერიმ ის მეორე გამოსავალი აირჩია და საკუთარ თავს ანგარიში სასტიკად გაუსწორა.

ომში ყოველდღიურად ათასობით და ათიათასობით კვდება კაცი, მაგრამ ჯარისკაცი ამ გარემოებას იმთავითვე ეჩვევა; ომი ადამიანთა საყელტად არის მოგონილი და მტრის ტყვიით კაცის სიკვდილი ფრონტზე ისეთივე ბუნებრივ მოვლენად არის მიჩნეული, როგორც სმა და ჭამა, სანგარში ჯდომა ან მიწურში ძილი.

ფრონტზე ჯარისკაცი თავისი ხელით თავს არასოდეს იკლავს და, თუ ათასში ერთხელ მაინც ამისთანა გამონაკლისი გამოერევა, ეს იშვიათი უცნაურობა დაუჭვრებელ ანომალიასა ჰგავს.

მართლაც და, თუ კაცს სიკვდილი ენატრება, საღ-საღ, მაგრამ ფრონტზე ამის უადვილესი რა უნდა იყოს!

საკმაოა ცეცხლის წვიმაში სანგრიდან წამით ამოპყო თავი, რომ შენი სული საიქიოსკენ ერთის მაგივრად რამდენიმე ტყვიამ გააფრინოს.

ფრონტზე ერთთავად სიკვდილი წვიმს, მტრის ტყვიების თქეში გამუდმებით მსხვერპლს ეძებს და პოულობს და მაინც ხოცვა-ტლუტის ამ ღრუბაში რომ ჯარისკაცი მარტო ვანაპირდება თავის მოსაკლავად, ეს მართლაც უკიდურესი სასოწარკვეთის ისეთი აქტია, რომლის ახსნაც ძალიან ღრმა და დაკვირვებელი ანალიზისათვისაც მიუწვდომელია.

მაგრამ მე ისევ მსჯელობას მოვეყვი და ამბის თანამიმდევრობა დავარღვიე.

თოფ-ზარბაზნის გამუდმებულმა გუგუნმა თითქოს დამაფიქსა ფრონტზე მოსვლისას გაგონილი პირველი გასროლის ხმაც, ჩემს ახლოს გამსკდარი ბომბისა და ყუმბარის გრიალიც, მაგრამ იმ თვითმკვლელის თოფის გასროლის ოდნავ მოგუდული ხმა, რომელმაც გულის

სიღრმემდე შემძრა, ალბათ, სამარის კარამდე მესსომება.

ომის ბედი გადაწყვეტილი იყო პრუსიის მიწა-წყალზე გაათრებულ მივიწვედით წინ. გერმანელები სასტიკ წინააღმდეგობას გვიწვედნენ და მიწის ყოველ მტკაველს მხოლოდ დიდი მსხვერპლისა და სისხლის ფასად თმობდნენ.

ჯერ კიდევ ღამის ბინდ-ბუნდი იყო. მტრის დასაზვერად ორნი მივდიოდით — მე და ვალერი.

კორომალ მდგარ მუხნარში ფრთხილად მივაბიჯებდით, ეჩქარობდით, სოფელში გათენებამდე, ბინდის საფარველქვეშ გვინდოდა შესვლა.

შემოდგომა იღვა და ტყე სოკოებით იყო სავსე. გარიჟრაჟის მკრთალ შუქზეც კარგად ვარჩევდით რიყესავით თეთრად მოფენილ სოკოებს.

კორექტორი ფიქრმა წაიღო. წაკითხულმა რაღაც გაახსენა, თავი ასწია და მოგონებაში წასულმა სარკმელს გაჰხედდა.

აი, ეს გზა, კლდე-კლდე რომ მიიკლაკნება და მალა, მალარობის პირას იკარგება, ლევანის სოფლისკენ მიდის.

იქ, იმ პატარა სოფელში აახილა თვალი ლევანმა, იქ აიღვა ფეხი და იქ უზიარა ამ ქვეყნის პირველ სიამეთ.

სოფელი ყორნალი მალალ მთაზეა გაშენებული და ოთხივე მხარეს ხელისგულივით მოჩანს ადამიანის თვალით მისაწვდომი მთელი ქვეყანა.

პატარ-პატარა, ფერად-ფერად ხალიჩებად დაფენილ სოფლებს შორს, ცის დასალიერზე, მარადი თოვლით გაბრწყინებული მთები ერთკმთან გარს და მარტო თვალი კი არა, სულიც ისვენებს და მშვიდდება უნაპირო სიშორისა და მიუწვდომელი სიმაღლის ამ განუყოვრებელი სილამაზის ცქერით.

ყორნალი ერთ დროს მარტო პატარა სოფლის კი არა, მთელი იმ მხარის სა-

ერთო სახელი ყოფილა. შემდეგ ახალი ქალაქები და სოფლები გაჩენილან, მათ თავთავიანთი სახელები დარქმევიათ და აღრინდელი ზოგადი სახელი გაფრინდაშვილის სოფელსა შერჩენია.

ამ სახელის წარმომავლობა არავინ იცოდა. სოფელი ქვისა და ყორის სიმრავლით არ გამოირჩეოდა და ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ მისი სახელი ყორესთან ყოფილიყო დაკავშირებული.

ახალგაზრდობაში, როცა ლევანი სიტყვების ძირებს ეძიებდა და ადგილების სახელების გააზრებას ცდილობდა, უფრო დამაჯერებლად ის ეჩვენებოდა, რომ მის მშობლიურ სოფელს ეს სახელი იმ შავი, ყორნისფერი მადნის გამო დარქმევოდა, რომლითაც ყორნალის წიაღი იყო სავსე და მიწის ზედაპირიც ყორნისფერად გამოიყურებოდა.

ასე იყო თუ ისე, სოფლის სახელის მიმცემი მაინც ეს მადანი იყო, დიდრონი პლასტების ყორით, ან თავისი სიშავით — ყორნისფერობით.

ყორნალის ფერობებში, ჯერ კიდევ ლევანის ბავშვობაში, წაბლისა და მუხის ტყეებით იყო დაფარული. აგერ, სულ რაღაც ოციოდე წლის განმავლობაში ის ტყეები ან სულ გაუჩხვიათ, ან ისე გაუმეჩხვრებიათ, რომ ალაგ-ალაგ შემორჩენილ მუხნარს სინათლე გასდის.

აღრე ვრიგალსა და ქარიშხალს ქვეყანა რომ დაექცია, ყორნალში მყუდროება სუფევდა, ახლა კი ვატიტვლებულ სერებზე ქარი არხენიად ქრის და ზამთარში ისეთი ბუქი დგას, კაცი გზას ვერ გაიგნებს.

ყორნალის ტყეებში უამრავი წაბლი და სოკო იყო და ბავშვებსაც მეტი არა უნდოდათ რა. ცალ-ცალკე და ჯგუფ-ჯგუფად ტყეებს მოდებული ყმაწვილები წაბლსა და სოკოს ეძებდნენ და უდარდელი ყვილ-ხივილით ფრინველებს აფრთხობდნენ.

ჯერ კიდევ ვარსკვლავებით იყო მოქედული ცა და, სოკო კი არა, გზა არ

ჩანდა, ტყეს რომ პირველი მძებნელები შეესეოდნენ ხოლმე.

სანამ ირიტრიაებდა და ტყეში სინათლე ჩაატანდა, ლოგინიდან აღრე წამომხტარ ბავშვებს დასწავლილი ადგილები შემორბენილი ჰქონდათ და სანახევროდ სავსე კალათებით ხელახლა იწყებდნენ ტყის გულდინჯად შემოვლას.

კატებივით ისე ჰქონდათ ბნელში თვალი გაჩვეული, რომ გათენების ღონი არც უნდოდათ.

ან კი რა დიდი სინათლე უნდოდა თეთრ ბუდეებში წითელი ვაშლებივით ჩამსხდარ ნიყვის კუკურების დანახვას. უკვე გაფეთქილი დიდ-დიდი ნიყვები ვაშლილი ქოლგებივით იყვნენ ერთმანეთზე მიჯრილნი და კვერცხისგელის ფრად ანათებდნენ.

მრგვლად ჩახვეული „ხაზვილოები“ უშველებელი ხახვის თაფლებივით ეყარა და „მტრედოების“ მწკრივი მართლაც მტრედისფრად, რიერაჟისას შემღვრეულ ცისფრად გასდევდა ხის ძირებს.

„ღვინოები“ დამდგარი ღვინისფრად ღვიოდნენ და „მიქლიოები“ ბუჩქში ჩავარდნილი სულთმობრძავი ციციანთელებივით ნაზად ფანტავდნენ მიმქრალ ქარვისფერ შუქს.

ყველა სოკოს თავისი ფერის ან თვისების შესაფერისი სახელი ჰქონდა და თითქმის ყველას თავისი „მატყუარა“ — ფერითა და გარეგნობით მსგავსი — შხამიანი ორეული ჰყავდა.

ამათგან ზოგს „გველის სოკოს“ ეძახდნენ, ზოგს „კატამჩხავანას“ და ზოგს კიდევ — „ნიყვის მატყუარას“.

სოკოს გამოცდილი მძებნელები ადვილად, ერთი შეხედვითვე ცნობდნენ შხამიანს, მაგრამ ზოგიერთი იმდენად ჰკავდა „ნამდვილ“ სოკოს, რომ მარტო ფერითა და გარეგნობით ძნელად გამოსაცნობი იყო.

წითელ-წითელ „წიფლოებში“ „კატამჩხავანას“ გამორჩევა გამოცდილ მცნობელებსაც უჭირდათ ხოლმე, და-

ეკვებულები ცოტას მოციციენდნენ და ენაზე დაიდებდნენ.

შხამიანი „კატამჩხავანას“ ისე მწარე იყო, გემოს გამსინჯველს პირში ცეცხლს უკიდებდა და მართლა კატასავით ხმამალა აჩხავლებდა.

ლევანი პატარობიდანვე მიეჩნია სოკოზე სიარულს. სანამ ტყეში მარტო წასვლა არ შეეძლო, მამიდა სოფიოს დაჰყავდა, სოკოს ცნობასა და გარჩევას ასწავლიდა და იმ ადგილებს ამასოვრებივებდა, სადაც ნიყვი იცოდა.

სოკოზე ყორნალელები სხვადასხვა მიზეზით დადიოდნენ. ღარიბებისათვის იგი ზოგჯერ ერთადერთი საჭმელი იყო და, როცა შინ სხვა არა გააჩნდათ რა, სოკოთი იოლად ვადიოდნენ.

უფრო შეძლებულები და უზრუნველები სოკოს პირისგემოსთვის ეტანებოდნენ.

ლევანის აღმზრდელ სოფიო მამიდასა და ბიძია აბესალომს სოკო ყველა შეჭამადს ერჩიათ. მათთვის მიწის ამ ნაყოფს საარსებო მნიშვნელობა არასოდეს ჰქონია, მაგრამ იმდენად უყვარდათ, რომ, როცა ნიყვს ყორნალში ვერ იშოვნდნენ, კლდეების ბაზარზე ყიდულობდნენ ხოლმე.

ცხრა წლის ლევანი უკვე მარტო დადიოდა ტყეში, მის მიერ მოტანილ სოკოს მამიდა სოფიო მაშინვე ჩაუჭედებოდა, დაარჩევდა და გაასუფთავებდა. ნორჩ კუკურებს ცალკე გადადებდა, დანარჩენს საკაზმით შეანელებდა და ერთმომი მოხრაყავდა.

სულ თითებს დაილოკავდა კაცო, ისე გემრიელი გამოდიოდა სოფიოს შემზადებული სოკოს შეჭამადი.

მაგრამ ბიძია აბესალომი რომ ცალკე გადაარჩეულ ნიყვის კუკურებს ნაკვერცხლებზე შესწავდა, ეს სულ სხვა იყო, მის გემოს მართლაც ვერაფერი შეედრებოდა!

ნაკვერცხლებზე დაყრილი ნიყვები წვეს ჩაიყენებდნენ, ბიძია აბესალომი ზემოდან მარილს მოაფრქვევდა, პირდაპირ ცეცხლიდან ადებულ კუკურებს

სულს უბერავდა და ასე, ჯერ კიდევ გაუცხვებელს შეექცეოდა.

ბიძია აბესალომი დეკანოზი იყო.

სახლიც სავსე ჰქონდა სანოვაგითა და საკურთხიცი ბლომად მოსდიოდა, მაგრამ პირისგემოიანი მოხუცი სოკობაზე სწვას არაფერს ვაეკარებოდა, ცხელ-ცხელ ნიყვებს მიირთმევდა, მათ შომყვან ცის ნამს ლოცავდა და ლევანს გემრიელი სოკოს მოტანისათვის აქებდა.

ის იყო გათენდა კიდევ და ლევანი უკვე ტყის შემოვლას ათავებდა.

იმ დილას კარგ ფეხზე ევრო: ბიძია აბესალომის დიდი კალათი თითქმის პირამდე აეყვო სოკოთი და ახლა შინ არხეინად შეეძლო დაბრუნება.

დანდობილად მოდიოდა.

ტყის პირს რომ მიაუხლოვდა, უცებ გვერდით რაღაცამ გაიშლივინა.

ლევანს შიშისაგან ვული შეუქანდა.

შემკრთალმა მიიხედ-მოიხედა: არავინ ჩანდა.

ორიოდე ნაბიჯი რომ წადგა, წინ რაღაცამ ჩაუჭროლა. თვალი გააყოლა, პატარა, თითქმის მისი ტოლი გოგონა მივრბოდა. ეტყობოდა, იმ გოგონას ლევანზე მეტად ეშინოდა, ზოგჯერ უკან დაფეთებული თვალებით იხედებოდა და სულმოუთქმელად გარბოდა.

გოგონა ტყიდან გავიდა. ის იყო, ბექობზე ბილიკით უნდა დაშვებულყო, რომ რაღაცას ფეხი წამოჰკრა და დაეცა.

აკეცილ კაბის კალთას ხელი უნებურად გაუშვა, სოკო დაეხნა და თავდაღმართზე გორვით წავიდა.

გოგონა ძლივს წამოდგა. გადატყავულ მუხლზე ხელი მოისვია და დაბლა დაგორებულ ნიყვებს რომ შეხედა, სახე გაუფითრდა. სოკოები დაღმართზე სწრაფად მიგორავდნენ. რამდენიმე დაცემისას გაესროსა და შინ წასაღები აღარაფერი დარჩენოდა.

დაღონებული, სასოწარკვეთილი დაპ-

ყურებდა დაკარგულ სოკოებს და ფვალიდან ცრემლი წყდებოდა.

ლევანი ზრთხილად, მთრთვნილად მიუახლოვდა. უცხო ბიჭის დანახვაზე გოგონამ ისევ გაქცევა დააპირა, მაგრამ კაბაზე მაყვლის ბარდები გამოედო და შეაჩერა.

ხაფანგში გაბმული ნადირივით, რაც უფრო ჩქარობდა თავის გაშვებას, შემოხვეული ბარდებისაგან თავის დახსნას მით უფრო მეტად ეხვეოდა ეკლებში.

ლევანმა კალათი დადო.

— მოიცა, გიშველი.

წყნარად უთხრა და მიუახლოვდა.

გოგონამ ერთი კიდევ გაიწია.

ცალი მხარე გაითავისუფლა, მაგრამ მაყვლის ბარდს კაბის ნაფლეთი შერჩა-

— მოიცა, რისი გეშინია?

ღიმილით მიმართა ლევანმა, წვევზე მოდებული ბარდი მოაშორა და კაბის კალთის გათავისუფლებას შეუდგა.

— როგორ გაბმულხარ და დაპოტნილხარ! სოკოზე იყავი?

გოგონამ თავი დაუქნია და ცრემლი დაა-ლუბით წამოუვიდა.

— მერე სოკო რა უყავი?

გოგონამ ტირილს უმატა-

— წავიქეცი და დამებნა.

— მერე მაგას სტირი?

— შინ ხელცარიელი ვერ დაებრუნდები, დედინაცვალი მცემს.

აზლუქუნდა გოგონა.

— სად ცხოვრობ?

ჰკითხა ლევანმა.

— ვალმაგორაზე... დღეს სადილი არ გვექონდა და ავადმყოფმა დედინაცვალმა ამისშორებზე გამომაგდო-

— ნუ სტირი. ჩემს სოკოს მოგცემ.

თქვა ლევანმა და აღერსიანად შესცინა.

გოგონამ უნდობლად შეხედა.

— წაილე, მე არ მინდა.

ლევანმა კალათა გაუწოდა.

გოგონა გაკვირვებული უყურებდა სოკოთი სავსე კალათასა და კეთილად გაღიმებულ ბიჭს.



ლევანმა კალათი ძალით შეაჩეჩა ხელში.

- სულ მაძლევ?
- სულ წაიღე... ჩვენ კიდევ გვაქვს.
- კალათი?
- კალათი ხვალ მომიტანე, ამ აღვიღას.

გოგონა გამოცოცხლდა, თვალები გაუნათდა.

- მართლა მაძლევ?
- ჰო, მართლა გაძლევ.
- გოგონამ კალათს ორივე ხელი მოხვია და ნაბიჯი გაუბედავად გადადგა.
- მე ლევანს მეძახიან... შენ რა გქვია?

- ეკა.
- ნახვამდის, ეკა...
- ნახვამდის...

გაუღიმა გაბედნიერებულმა გოგონამ და ბილიც სირბილით დაჰყვა.

ორივე ხელით ჩაბღუჯული კალათი გულზე ახუტებული მიჰქონდა. დროდადრო უკან იხედებოდა და უსიტყვოდ უგზავნიდა ათათას სამადლობელს კეთილ ბიჭუნას.

ხელცარიელი ლევანი ჩუმად აპირებდა სახლში შეპარვას. ლობესთან დაბმულმა ნავაზმა ფეხის ხმაზევე იცნო პატრონი, ჯერ ხმადაბლა შეჰყეფა, მერე წმკმეტუნს მოჰყვა და აწრიალდა.

საქმით გართულმა სოფიომ წამით გახედა ჭიშკარს.

- სოკოზე იყავი, ლევან?
- შეეხმაურა შორიდან.
- არა, წყაროზე ჩავედი, პირის დასაბანად.

იცრუა ლევანმა და სამზადში მოფუსფუსე მამიდას მეტი აღარაფერი უკითხავს.

ლევანმა მამიდის დასაანახავად ცოტა წაიხეშა, მერე იქაურობას გაერიდა და სამხრობამდე შინ აღარ შესულა.

აბესალომ დეკანოზი გვიან, დაღამებისას დაბრუნდა შინ.

- რატომ დაგიღამდა, აბესალომ?

შეეგება სოფიო.

— გალმაგორაზე ვიყავი, ^{უბედურება} მოხდა.

- რა უბედურება?
- დედა და შვილი მოიწამლა.
- ლევანმა ყურები დაკეციტა.
- რით მოწამლულან?
- არ ვიცი, ამბობენ სოკოთიო.

ლევანი სმენად იქცა, მოხუცს პირდაღებული მიაჩერდა და მოუთმენლად ელოდა ამბის გაგებას.

- ეჭიმის დაძახება ვერ მოუსწრიათ?
- ვერ მოუსწრიათ. დამძახებელიც არავინა ჰყოლიათ. მეზობლებს რომ შეუტყვიათ, უკვე გვიან ყოფილა. ზოგი რომ ეჭიმთან გაქცეულა, ზოგი ჩემსკენ გამოქანებულა, იქნებ უზიარებლად მაინც არ დაიხოცონო.

- მერე მიუსწარი?
- არა, ველარ მივესწარი. მე რომ მივედი, ორივე მკედარი იყო.

— ღმერთო, გვიშველე!

პირჯვარი გადაიწერა სოფიომ.

— წესის აგება და გაპატროსნებაც ვერ მოვახერხე. ეზო პარტიულებით იყო სავსე, საბჭოს თავმჯდომარე ხალხში იღვა და კიდევ კაი, რომ ვერ დამინახა, თორემ ერთი ამბავი ატყდებოდა. მოხუცი მეზობელი ჭიშკრის წინ დამხვდა და გამაფრთხილა, უსიამოვნება არ შეგხვდეს, არ შეხვიდეთო. მაშინვე გამოებრუნდი.

— მერე წესის აუგებლად უნდა მიაბარონ მიწას მიცვალებულები?

— არა, ხვალ დილას გაეაღო, როცა არავინ იქნება.

— გადი, აბესალომ, შენი ჭირიმი. ნუ დაიხარებ.

აბესალომი თავადაც გუნებამოშხამული იყო. ოთახიდან ოთახში უაზროდ დაბორილობდა.

სოფიო ისევ სამზადში ტრიალებდა, სუფრის გაწყობას ჩქარობდა.

მეხდაცმულივით დაყრუბული ლევანი აივანზე მარტო იჯდა და აღარაფერი ესმოდა.

სოკოსაგან დედა-შვილის მოწამელის

ამბავმა ბავშვი ერთიანად ააფორიაქა. მაშინვე ექვმა გაჰკრა, ვაითუ ის იყო, ის პატარა გოგონა, მე რომ სოკო მიეცყო. ამ ექვმა შეაშფოთა და მოსვენება დაუკარგა.

ეკას გვარი არ იცოდა, უფრო სარწმუნოდ რომ გამოეცინათ ბიძისათვის.

— არადა, ექვი არ ეხსენებოდა.

აგონდებოდა ეკას ნათქვამი: გაღმაგორიდან გამოვედი, დედინაცვალი მყავს ავადო-

აგონდებოდა და გული ჩიტვივით უცემდა, იმის შიშით, ვაითუ, მართლა ის გოგონა დაიღუპა და დამნაშავე მე ვარო.

— სოკოზე იყო დღეს ბავშვი?

— არა, დღეს არ წასულა.

უპასუხა სოფიომ.

— აღარ გაუშვა, დასაანახავად შემსულდა სოკო.

— რათა, შე კაცო, ლევანს სოკო არ ეშლებოდა, კარგად ცნობს და მერე მეც ხომ ვარჩევ ხოლმე.

მამიდის ნათქვამმა ცოტა გაამხნევა ლევანი.

განა მის სოკოებში შესამიანი გამოერეოდა? შეუძლებელია!

სულ დარჩეული ნიყვები და ხახვილოები იყო, უმაღაც რომ ექამათ, მარცხ არ აწყენდათ!

— ბავშვი რამხელა იყო, ის უბედური?

იკითხა სოფიომ.

— ასე, რვა-ცხრა წლის, ჩვენი ბიჭუნას ტოლი არა, მაგრამ ბევრიც აღარაფერი ეკლებოდა.

აკანკალებული ხმით თქვა გულანუყებულმა აბესალომმა.

— უი... უი... საცოდაობა.

შეიცხადა სოფიომ.

— ღმერთო, შენ დაუმკვიდრე სასუფეველი!

პირვეარი გადაიწერა სოფიომ და სუფრის გაწყობას შეუდგა.

სამივე უხმოდ მიუჯდა.

აბესალომმა სუფრას ჯვარი გადმოსხა, დენო დაისხა, დაილოცა და მოსვა.

ლევანი მობუზული იჯდა თითქოს მამიდისა და ბიძის შეხედვისა ეშინოდა, თავს არ იღებდა.

აბესალომმა ცოტა მწვანილი და ყველის ნაჭერი უმაღოდ შექამა და მორთმეული შემწვარი ხორცი განზე გასწია.

— შექამე, ადამიანო, სხვა არაფერი გვაქვს.

მიუწია უკანვე ხორცი სოფიომ.

— რა გქნა, არ მშობი და გულაც არ მიმდის.

თქვა აბესალომმა და წამოდგა.

— მშვიერი დგები?

გაოცებული მიაჩერდა სოფიომ.

ლევანი სკამიდან გადმოჩოჩნდა და ჩემად წასვლა დააბირა.

— აყვია ესეც! დილიდან შინ არ შემოსულა და ლუქმა არაფერი უქამია!

— არ მინდა, მამიდა, არ მშობი.

— რა ჭამე, რომ არ გშობი?

შეუწყრა სოფიომ, მაგრამ ბავშვს რომ შეხებდა, შეერთა. ლევანს ლოყებზე აღმური ასდიოდა, თვალებიც აღზნებულნი, უჩვეულოდ გაფართოებული ჰქონდა.

— სიცხე ხომ არა გაქვს?

შეწუხდა სოფიომ.

— არა, მაგრამ არც კარგად ვარ.

გაიზმორა ლევანი.

— მოგიკვდეს მამიდა! — მივარდა სოფიომ და შუბლზე ხელი დაადო. — ახლავე დაწევი, შვილო, ლოგინში ჩათბი და საქმელს მერე მოგიტან.

ლევანი უხალისოდ ადგა, საწოლთახში გავიდა, ტანთ გაიხადა და ლოგინში შეგორდა.

თვალი მაშინვე დახუჭა, მაგრამ ძილთ დიდხანს ვერ დაიძინა. თვალწინ სულ ეკა ედგა. გოგონა სულ უღიმოდა. ბიჭუნას მიცვალებული ჯერ არასოდეს ენახა. როგორ არ ეცადა, მაგრამ სიხარულით თვალგაბრწყინებული გოგო ვერაფრით კუბოში მწოლარე ვერ წარმოიდგინა.

შეღამე გადავიდა-
ბავშვი დილაღა. ძილმორეულ გონე-
ბაში უკანასკნელად კიდევ გაისმა:

— მე ლევანს შეძახიან. შენ რა გქვია?

— ეკა...

— ნახვამდის, ეკა...

— ნახვამდის...

ლევანს მძიმე ძილით დაეძინა.

დილას უთენია წამოდგა.

კარი ჩუმად გააღო და ფეხაკრეფით
ისე გავიდა სახლიდან, მისი წასვლა არა-
ვის შეუტყვია.

ჭერ კიდევ ბნელოდა. სოფელში პირ-
ველი მამლებიც არ ჰყიოდნენ.

მიდიოდა, მაგრამ გული ძველებუ-
რად როდიდა მიუწევდა ტყისაკენ.

თავის ბავშვობაში ტყე პირველად
ეჩვენებოდა იღუმალებით მოცულ, სა-
შიშ ადგილად და ფეხი უკან რჩებოდა.

ქინკისა და ეშმაკის, ქაჯისა და ტყის-
კაცის თავისდღეში არ შინებია, ახლა
კი ყოველი ბუნჩი თუ კუნძი, ხის ფეს-
ვი თუ ტოტი ათასგვარი სახით ეჩვენე-
ბოდა, მავნე სულეზაღ ელანდებოდა და
უმცირეს ჩქამშეც გული უკრთოდა.

თავის გასამხნეველად უშველებელი
ჯობი დიბჯინა, აქეთ-იქით იქნევდა და
გზას ჩქარი ნაბიჯით მიიკვლევდა.

ყოველ ნაბიჯზე სოკოს ხედავდა.

სხვა დროს უკვე კალათი სავსე ეჭნე-
ბოდა, მაგრამ ახლა ძირსაც არ იხრე-
ბოდა; ხან ჯობით, ხან ფეხით გზიდან
იშორებდა და შეუჩერებლად წინ მიი-
წევდა.

წითელი, ბუზუნხალა ნიყვები, რო-
მელთაც ჭერ კიდევ გუშინ ზედ აცხრე-
ბოდა, ახლა დასანახავად ეხარებოდა,
მათი შეხედვის ეშინოდა და თვალს არი-
დებდა.

ტყის შუაგულს რომ გასცდა, ირიფ-
რაქა.

გეზი ტყის იმ ნაპირისაკენ აიღო, სა-
დაც გუშინ შეხვდა ეკას.

პირობისამებრ, ეკა აქ უნდა მოსული-
ყო და კალათი მოეტანა.

ჭერ აღრე იყო, მაგრამ ლევანი მთნც
ჩქარობდა; არ უნდოდა დათქმულ ად-
გილას გოგონას მიესწრო.

რაც უფრო უახლოვდებოდა პაეწნის
ადგილს, გულში იმის ექვი და შიში უფ-
ლიერდებოდა, ვაითუ, ეკა მართლა
მოიწამლა და აქ როგორღა მოვო.

ერთი მუქარა უკან დაბრუნება დაა-
პირა: ეგებ სჯობდეს დათქმულ ადგილ-
ზე არ მივიდე, მაშინ არც ის მეცოლინე-
ბა, ეკა მოვიდა თუ არა და, ასე გაურ-
კვევლად დარჩენა სჯობს იმედის გადა-
წყვეტასო.

მაგრამ ფიქრი ფიქრად დაჩა და
ლევანი ისევ წინ მიიწევდა.

აი, ტყის პირიც.

უკვე კარგად ინათა.

შორიდან პატარა დროშასავით მოჩანს.
მაყვლის ბარდზე მოქანავე ეკას კაბის
ნაფლეთი.

იქვე გუშინდელი გასრესილი ნიყვები-
ჰყრია.

ლევანმა თვალი დინჯად მოავლო იქა-
ურობას. ეკა არსად იყო.

ალბათ ჭერ არ მოსულა, თორემ თუ
არ დაუტოლიდა, კალათს მაინც დატო-
ვებდა.

ჭერ კიდევ აღრეა, დაელოდება და
ალბათ მოვა.

ლევანი ჩამოჯდა. თავდაღმართს თვა-
ლი ჩააყოლა: იქ, დაბლა, კლდის ნაბრა-
ლებში დამტვრეული სოკოები ეყარა.

ეს სოკოები გუშინ დაებნა ეკას, ქვას
რომ ფეხი წამოჰყრა და დაეცა.

ალბათ ბედი იყო, თორემ რამ შეახ-
ვედრა იმ უთენია დილას ის პატარა გო-
გო. ან რაღა ლევანის დანახვაზე და-
ფრთხა და დაებნა იმდენი სოკო!

ბიძია აბესალომს რომ ჰკითხო, ამ
ქვეყნად ყველაფერი უფლის ნებით
ხდება და ადამიანის ყოველი ნაბიჯი
ღვთის მიერ ნაკარნახევია.

ღმერთი კეთილი და მოწყალეაო, სულ
იმას ჩასძახიან ბიძაცა და მამიდაც და-
შეუძლებელია, რომ ორი უცოდველო
ბავშვის შეხვედრაში, მათ ბედსა და
მომავალში ბოროტს რაიმე წილი ედოს.

ბიძია აბესალომსა და მამიდა სოფიოს არაერთხელ უთქვამთ, ბავშვები ანგელოსები არიან, ღმერთი ანგელოსებს როგორ ერჩის, როგორ ჩაადგმევინებს უნეს ცოდვაში უმანკო ყრმებსო.

ამ ფიქრმა ცოტა გული გაუმაგრა და დაამშვიდა ეკას მოსვლა უქველად დაიჭრა და დათქმული ადგილი რომ უფრო ადვილად მიეგნო, ხმაოდლა დაიწყო სიმღერა.

დიდხანს მღეროდა. რაც სიმღერა იცოდა და მოაგონდა, ყველა თქვა.

ბოლოს ხმა მიუსუსტდა და დაღლილობა იგრძნო.

მზე უკვე კარგა შემალღებელიყო. ეკა კი არ ჩანდა და არა!

ბიჭუნა თანდათან კარგავდა იმედსა და მოთმინებას. ისევ შიში ერეოდა და სასოწარკვეთას ეძლეოდა.

თვითონაც ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა, კიდევ ელოდნა უიმედოდ, თუ შინ წასულიყო.

ეტირებოდა და თავს ძალას ატანდა, ყელში სულმობგენილი ცრემლს ძლივს იკავებდა და სიმღერას განაგრძობდა.

უცებ გზაზე ბიძია აბესალომი გამოჩნდა და ლევანმა შვება იგრძნო.

დეკანოზი ჯორზე იჯდა და ყანისპირა ბილიკს დაფიქრებული მოჰყევებოდა.

ლევანი წამოხტა, გზაზე გადავიდა და მოახლოებულ ბიძის წინ გადაუდგა.

— სად ხარ, ბიჭო, დაკარგული? სოკოს ეძებდი?

— ჰო, სოკოს ვეძებდი, ბიძია აბესალომ.

აბესალომმა თავით-ფეხებამდე აათვალ-ჩაათვალიერა ხელცარიელი ძმისწული.

— ვერ გივლია კაი ფეხზე.. არ იყო სოკო, არა?

— არ იყო!

იცრუა ლევანმა და თავი ჩაღუნა, რომ ბიძისთვის თვალში არ შეეხედნა.

— სად მიდიხარ, ბიძია აბესალომ?

შეეკითხა უცებ ლევანი და მუხლზე ხელი მოჰხვია.

— გაღმაგორაზე მივდივარ. წესი უნდა ავეუგო იმ უბედურებს.
— მეც წამოვალ, ბიძია აბესალომ... წამიყვანე.

შეეხვეწა ლევანი.
— წამოდი, მაგრამ, — შეყოყმანდა აბესალომი, — მამიდაშენმა რომ არ იცის? შეეშინდება.

— არა უშავს.. დიდხანს ხომ არ დაეჩრებიოთ.

ლევანი ბიძის საბოლოო თანხმობას აღარ დაელოდა, უნაგირის ტახტას ხელი ჩაავლო და უმაღვე ჯორის გავას შემოახტა.

დეკანოზმა ჯორი დაძრა და გზას გაუდგინა.

ერთხანს სდუმდნენ.

ლევანს სიჩუმის ეშინოდა, რამდენჯერმე დააპირა ხმის ამოღება, მაგრამ რატომღაც შეყოყმანდა და ბოლოს, როგორც იყო გაბედა:

— ბიძია აბესალომ, ერთი კითხვა შეიძლება?

— რატომ არა, ბრძანე.

— ანგელოსად რამდენ წლამდე ითვლება ადამიანი?

— როგორ?

— აი, მამიდა სოფიო ზშირად ამბობს, ბავშვები ანგელოსები არიანო... ჩემი ხნის ბავშვი კიდევ ანგელოსად ითვლება?

— ჰოო, — გააგრძელა აბესალომმა, — კი, შენი ხნის ბავშვი ანგელოსია, თუმცა ბავშვს გააჩნია შეიძლება შენზე პატარაც იყოს ბავშვი, მაგრამ ბევრი ცოდვა და სიგლაზე ჰქონდეს ჩადენილი, თუ ეშმაკის ფეხადაა დაბადებული. ასევე, შეიძლება ასი წლისაც იყოს კაცი, მაგრამ თუ წმინდანად იცხოვრა, ცოდვა არ ჩაიდინა და ქვეყნის ბიწი არ მოეცბო, ისიც ანგელოსი იქნება.

ლევანი გაჩუმდა. ბიძის პასუხმა, ცოტა არ იყოს, შეარყია მისი რწმენა, რომ უცოდველ ბავშვს არ შეიძლება ღმერთმა ცოდვა ჩაადენინოს.

— ადამიანის მოკვლა დიდი ცოდვაა, ბიძია აბესალომ?

იკითხა ცოტა ხნის შემდეგ ლევანმა.

— დიდი... ყველა ცოდვათაგან უდიდესი.

— თუ კაცის მოკვლა წინასწარ გადაწყვიტე, რა თქმა უნდა, ცოდვაა, მაგრამ თუ შენს უნებურად მოკალი?

— ვერ გავიგე, რას მეკითხები?

— აი, მავალითად, შენ რომ კლდეთში შაქარს ყიდულობ ხოლმე, ის შაქარი რომ მოწამლული გამოდგეს და მე და მამიდა ორივე დავიხოცოთ?

— ფუი, ეშმაკს!

გადააფურთხა აბესალომმა და პირჯვარი გადაიწერა.

— რა სისულელეებს ამბობ ამ დილას, ავად ხომ არა ხარ?

— იმ შენმა ნაყიდმა შაქარმა რომ მოგეწამლოს და დაგვხოცოს, შენ დამნაშავე იქნები, თუ არა?

— შაქრით ვინ მოწამლულა, ბიჭო, რას ამბობ?

— შაქარი იქნება, თუ ნამცხვარი, სულ ერთია. ნამცხვრით ხომ იწამლებიან ზოგჯერ, ჩვენ რომ შენი ნაყიდი ნამცხვრით მოვიწამლოთ, ეს შენ ჩაგეტყლება ცოდვად?

— მე რად გამოწირავს უფალი, რაღა მე ამირჩიეს მის მავედრებულსა და მლოცველს ბოროტების ბრმა იარაღად?!

— ღმერთი ირჩევს, ბიძია აბესალომ, ადამიანს ბოროტების ჩასაღწეად?

— ღვთის უნებურად, უგანგებოდ, ამ ქვეყნად არაფერი არ ხდება, შვილო, არც კეთილი საქმე და არც ბოროტი.

— განა უფალი უცოდველსა და კეთილ ადამიანს ბოროტ საქმეში გაჩევს?

— ეს ღვთის ნებაა, შვილო; უფალმა თავად იცის, როდის როგორ უნდა მოიქცეს.

დეკანოზის პასუხი ისევ ორაზროვანი იყო და ლევანს არათუ სულიერი სიმშვიდე მოუტანა, კიდევ უფრო გაუღრმავა გუკვი და შიში.

ისევ გაჩუმდნენ.

ლევანს რატომღაც თავბრუ ესხმოდა.

2. „მნათობი“, № 9.

არ გადმოვევარდეთ, გაიფიქრა, ბიძის უფრო მჭიდროდ მიეყრა და ორივე ხელი წელზე მოხვია.

ბავშვის ცეცხლმოკიდებულმა, ცხელმა სახემ აბესალომს ზურგი გაუხურა:

— სიცხე გაქვს, ნამდვილად!

თქვა შემოფოთებულმა აბესალომმა ძმისწულს ხელზე ხელი მოკიდა და შუბლიც გაუსინჯა.

— ხომ ვთქვი! ნამდვილად სიცხე გაქვს. არეულადაც იმიტომ ლაპარაკობ... რა ვუთხრა ახლა მამიდაშენს, რად წამოვიყვანე ამ სიშორეს სიცხიანი ბავშვიო, აა?

შეწუხდა აბესალომი და ჯორს ნაბიჯი აუჩქარა.

პატარა ეზოს მიუახლოვდნენ და კიშკართან დაიქვეითეს.

ეზოში ორი დედაბერი დაფამფალობდა.

უცხოების დანახვანზე ორივემ სახლს მიაშურა და ცოტახნის შემდეგ მოთქმა გააბეს.

— ივდითი, გენაცვალე, ივდითი... ჯერ არც შენ იყავი სასიკვდილე, მაგრამ ეს ბავშვი რაღად წაგვართვი, ეკა რაღად წაიყვანე...

დაატრია მიცვალებულს დედაბერმა და ლევანს გულში ტყვიასავით მოხვდა მოტირალის ნათქვამი.

უცებ თვალთ დაუხნელდა და დაბარბაცდა.

აიენის სვეტის ხელის წაღება მოასწრო, მოეხვია და მთელი ტანით მიეყრდნო.

ურთხანს ასე იდგა რეტდასხმული.

თვალი რომ გაახილა, აბესალომი უკვე ოთახში იყო შესული. ღია კარიდან ჩანდა, მარჯვნივ და მარცხნივ საცეცხლურს იქნევდა და მიცვალებულებს წესს უგებდა.

მიცვალებულები ოთახის სიღრმეში ესვენენ და ლევანი მათ ვერ ხედავდა.

როგორ უნდოდა შინ შესვლა და მკვდარი გოგონას დახედვა. მაშინ ღარწმუნდებოდა საბოლოოდ, მისმა ნაჩუქარმა სოკომ დახოცა თუ არა დედა-

შვილი-მხოლოდ მიცვალბულის სახის დანახვა დააჩერებდა თავისი ექვის სი-მართლესი ან უსაფუძვლობაში. მაგრამ რატომღაც ოთახში შესვლისა კი არა, იქით გაბედვისად ეშინოდა და აივნის სვეტს ისე იყო მიკრული, ძალითაც ვერავინ აგლეჯდა.

აბესალომმა წესის აგება მოათავა, ი-ვანზე გამოვიდა და კუთხეში დადგა.

მისწული აბესალომისაყენ ზურგშექ-ცეული იდგა. ლევანს ეუბნებულა და ბიძისკენ მიტრიალდა.

ბიჭის მიბრუნება და გაფითრება ერ-თი იყო. აივნის კუთხეში, ფეხებმორყე-ულ მაგიდაზე ბიძია აბესალომის კალა-თი იდო, ის კალათი, გუშინ რომ სოკო-თი გავსებული მისცა ლევანმა ეკას.

ლევანი კალათს თვალს ვერ ამოარებ-და. ქვედა ყბა ოდნავ მოქცეოდა და უკანკალბდა.

აბესალომი გაკვირებული მიჩერე-ბოდა, ხან თავის კალათს, ხან ლევანს. გუმანით რალაც საშინელს გრძნობდა და შეძრწუნებული ცდილობდა ამაზე არ ეფიქრა.

სახეშეშლილ ლევანს მკვდრის ფერი ედო და ფეხზე ძლივს იდგა. დევანოზი შეშფოთდა, მისწულთან მივიდა და ხე-ლი მოჰკიდა.

— ისევ ცუდად ხარ?

ლევანს პასუხის მაგივრად ამდენი ხნის შეკავებული ცრემლი წასკდა.

გულამომჯდარმა ბიჭუნამ თავი ბიძის მკერდში ჩარგო და აღრიალდა.

— სუ... დაწყნარდი... დაწყნარდი... ბიჭი ხარ... ვაყვაცი ხარ. სირცხვილია...

ამშვიდებდა აბესალომი, მაგრამ ლე-ვანს კიდევ უფრო უჩუყდებოდა გული, ზღუქუნს უმატებდა და ცრემლი ღაპა-ღუპით მოდიოდა.

— წავიდეთ... არ უნდა წამომეყვანე ავადყოფი... წამო, შვილო... წამო... გე-ყოფა..

ეფერებოდა აბესალომი, თავზე ხელს უსვამდა და გულში ჩაკრული მიჰყავდა ჭიშკრისკენ.

ჯორი მარგილიდან ახსნა. მოსართავე-

ბი მოუჭირა. პირველი ლევანი შესვა, მერე თვითონაც შეჯდა. ჭირას ფეხებს ჯვარი გადასახა და ჯორი ჩირჩით გას-ქანა.

მამიდა სოფიო ჭიშკართან მოეგებათ.

— სიცხე აქვს ბავშვს.

უთხრა შეწუნებულმა აბესალომმა და ლევანი ძირს ჩამოსვა.

— ვიცოდი, რომ ავად იყო და მაინც გამეპარა ამ დილას... სად იყო, სად იპო-ვე...

— ტყის პირას შემხვდა და თან წამ-ყვა. დიდი სიცხე უნდა ჰქონდეს, ზურგ-ზე ცეცხლი მომიყიდა, არეულადაც ლა-პარაკობს. ვინანე, რომ წავიყვანე...

— არ უნდა წავიყვანა. ამხელა ბავშვს სატირალში რა უნდა დაეცოვებინა შინ და ისე წასულიყავი.

— შეეცდი, მართალი ხარ...

ამოიოხრა აბესალომმა.

სოფიომ ლევანს შუბლზე ხელი დაა-ლო და იყვირა:

— უი, მოგიკვდეს მამიდა! დამწვარა ბავშვი და ეს არი!

აბესალომმა ლევანი აიყვანა და სახ-ლისაკენ გაარბენინა.

ტირლით დაღლილი, სიცხისაგან გა-ოგნებული ბავშვი აღარაფერს გრძნობ-და.

მთელი დღე ბოდავდა. ეკას ეძაბდა. რატომ არ მოხვედო, უსაყვედურებდა-მერე დედის სულს იფიცავდა, ჩემი ბრალი არ არის, ყველა სოკო კარგი იყო, შხამიანს როგორ მოგეცემდო.

ზოგჯერ დაწყნარდებოდა, ცოტას წაი-ძინებდა, მაგრამ ისევ მალე აწრიალდე-ბოდა და შფოთავდა. თვალის გახელა და ატირება ერთი იყო. გულამომჯდარი ჭკითინებდა და ცრემლებს ღაპაღუპით ღვრიდა.

— გათვალეს ნამდვილად ბავშვი, და-ვილუპე! რამ წაგაყვანინა, ერთბაშად ორი მიცვალბულის ნახვა გადარევდა-პატარა ბავშვს, აბა რა იქნებოდა!

ოხრავდა სოფიო და აყვედრიდა აბე-სალომს. შეშინებული ქალი ყოველ ღონეს ხმარობდა. წამლები დააღვინა

და, რომ არაფერმა უშველა, გამოძლო-
ცავი დედებერი მოიყვანა.

დედებერმა დიდხანს იბუტბუტა, თავ-
ზე რაღაც შემოავლო, რაღაც დაალევი-
ნა, მერე მთქნარებას მოჰყვა და ავად-
მყოფსაც გადასდო.

მისუსტებულ ბიჭუნას ზმორება დაა-
წყებინა, ნელ-ნელა თვლელა მოერა და
მკვდარივით ჩაეძინა.

აბესალომი თავით უჭდა ძმისწულს
და წამით არ მოშორებია.

ლევანის მიერ წამობოდებული ნაწ-
ყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები და იძილან-
დელი არეული შეკითხვები მის გონება-
ში ერთიმეორეს ავსებდა. ეკასას ნახუ-
ლი კალათი მოხუცის გულში აღძრულ
ეჭვს აღრმავებდა. დედა-შვილის სიკვდი-
ლი, ლევანის ელდა და ის კალათი ერ-
თიმეორეს უკავშირდებოდა.

აბესალომი გრძნობდა, რომ სწორედ
მიცვალეზულების ნახვამ იმოქმედა მის
ძმისწულზე ესოდენ თავზარდამცემად,
იმასაც ხედებოდა, რომ დედა-შვილის
სიკვდილთან როგორღაც იდუმალად
იყო გადაზმული ბავშვის სულიერი
შფოთვა და აფორიაქება.

მაგრამ მოხუცი საიდან და როგორ
წარმოიდგენდა, რომ ლევანი ორი უღა-
ნაშაულო ადამიანის სიკვდილში იქნე-
ბოდა გარეული.

იმ დამეს დაბანგულივით ეძინა ლე-
ვანს.

მეორე დღეს სიცხე დაუვარდა, მაგ-
რამ მოითენთა, დაიფუკა და არაფრის
ხალისი აღარ ჰქონდა.

შეშინებულმა მამიდამ და ბიძამ მალა-
როს საექიმო პუნქტიდან ექიმი მოაყვა-
ნინეს.

ექიმმა დიდხანს სინჯა ავადმყოფი,
მაგრამ ვერც ფილტვებში, ვერც ყელში,
საექვო და ყურადღების მისაქცევი ვე-
რაფერი შენიშნა.

ავადმყოფობის ისტორია რომ მოისმი-
ნა და ბავშვის მივიარდნილ განწყობილე-
ბას დააკვირდა, ყველაფერი ბიჭუნას
ზედმეტი მგრძნობიარობით და შთაბეჭ-
დლობით ახსნა.

ყოველი შემთხვევისათვის, ნერვების
დამაწყნარებელი წამლები და მშვიდი წოლა,
და მშვიდი წოლა, ძილის და მოსვენება
ურჩია.

მესამე დღეს მომჯობინებულმა ბავშვ-
მა წიგნები მოითხოვა.

— მე წაგიკითხავ, შვილო, შენ დაილ-
ლები.

უთხრა აბესალომმა და თაროდან ზღა-
პრების წიგნი ჩამოიღო.

— ეგ არ მინდა...

თავი გაიქნია ლევანმა.

აბესალომმა ახლა სხვა საბავშვო წიგ-
ნები გადმოაწყო.

ავადმყოფი წიგნის სახელწოდებას
შეხედავდა, მაშინვე თავს გაიქნედა და
უარს ამბობდა.

— აბა, რომელია გინდა, აღარ ვიცი.

ბელები გასაფსავა აბესალომმა.

— აი, ის მომინახე, ქვეყნის გაჩე-
ნის ამბავი რომ სწერია.

— ეგრე ვეთქვა, შე კაცო, რას დამ-
დალე ტყუილი ძებნით.

გაიციანა აბესალომმა და მოკლე, ხალ-
ხის საკითხავად მოთხრობილი ძველი
აღთქმის იაფფასიანი გამოცემა გადმოი-
ღო.

დეკანოზი თავით დაუჭდა ავადმყოფს
და წიგნი გაშალა.

— ქვეყნის შექმნის ამბით დავიწყით?
ლევანმა ხელით ანიშნა, არაო.

— აბა, ადამისა და ევას თავგადასავა-
ლი წავიკითხოთ.

— არა, არც ეგ მინდა. აი, ის მონახე,
კაცმა რომ კაცი მოჰკლა პირველად.

— კენისა და აბელის ამბავი?

— ჰო.

— კარგი, პირველი ცოდვის ამბავი
წავიკითხოთ.

დაეთანხმა აბესალომი, რამდენიმე
ფურცელი გადაშალა და კითხვას შეუდ-
გა.

...სამოთხიდან გამოდევნილ ადამსა
და ევას ორი შვილი შეეძინათ: უფრო-
სი — კენი და უმცროსი — აბელი. კა-
ენი მიწის მუშა იყო, ხოლო აბელი
ცხვრის ფარას მწყემსავდა.

ერთხელ ორივე ძმამ უფლისათვის მსხვერპლის შეწირვა გადასწყვიტა.

კენის მსხვერპლი მიწის ნაყოფი იყო, ხოლო აბელმა თავისი ცხვრის ფარიდან გამორჩეული კრავები დაუკლა უფალს.

— მოიცა, ბიძია აბესალომ!

შეაჩერა უცებ ლევანმა-

აბესალომმა კითხვა შესწყვიტა და სათვალის ზემოდან შეხედა ძმისწულს.

— კრავის დაკვლა არ იყო ცოდვა? კრავიც ხომ ღვთის გაჩენილი სულიერია.

— ცოდვა მხოლოდ ის არის, რაც ღვთის დადგენილ წესს ეწინააღმდეგება. შინაური ოთხფეხი იმისთვის გააჩინა ღმერთმა, რომ ადამიანს მოეწლო და თავის საზრდოდ გამოეყენებინა.

— მგელი რომ კრავს სჭამს, არც ეგ არის ცოდვა?

— ცოდვა? — ისევე შეეყოყმანდა აბესალომი, — არა, არც ეგ არი, რადგან ღმერთმა მგლის საზრდოდ ცხვარი გააჩინა. თავის მხრივ, მგელიც სხვა ნადირების საზრდოდ არის გაჩენილი და ქვეყანაზე ასეა ყველაფერი ერთიმეორაზე გადაბმული.

— მერე სწორია ეს, ბიძია აბესალომ? განა პატარა კრავი ცოდვა არ არის?

— ცოდვაა, მაგრამ რას იზამ, იმთავითვე ეგრება დაწესებული.

აბესალომი გრძნობდა, რომ მისი პასუხი ვერ იყო მთლად დამაჯერებელი, მაგრამ უფრო ღრმად და ფართოდ რომ განემარტა, ბევში მანც ვერ გააგებდა. ამიტომ უხიავი კითხვებისაგან თავის არიდება არჩია და წიგნს დაუბრუნდა.

...უფალმა აბელის მსხვერპლი კეთილად შეიწირა, ხოლო კენის მსხვერპლს არც მოხედა-

კენი შეწუხდა და სახე ბრაზით აელეწა.

მაშინ უფალმა ჰკითხა კენს: „რატომ გაბრაზდი და სახე რად მოგედრუბლა? თუ გულში შურს არ შეუშვებ და სიკეთის გზით ივლი, შენი მსხვერპლიც

შეიწირება, ხოლო თუ სიხარბე გძლეეს, ბოროტს იქმ და ცოდვას ჩაიდენს“.

კენმა უფლის გაფრთხილებას არ უსმინა. შურით აღძრულმა ძმა მინდორში გაიტყუა და ვერაგულად მოკვლა...

— რატომ მოუვიდა ეს აზრი კენს, ბიძია აბესალომ, ღმერთმა ჩააგონა?

— არა, ასეთ საშინელებას ღმერთი როგორ ჩააგონებდა.

— შენ რომ მითხარი, ღვთის უნებურად ადამიანი ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამსო.

— ჰო, ეს მართალია, მაგრამ ღმერთი მხოლოდ სიკეთის ჩამგონებელია. ბოროტსა და სიავეს კი ეშმაკი ჩააგონებს ადამიანს. განვავარძოთ და ყური დამიგდე: „ღმერთმა ეს ბოროტება დაინახა და კენს უხმო: „კენ, სად არის ძმა შენი, აბელი?“ შეშფოთებულმა კენმა მკვახედ უპასუხა: „არ ვიცი. განა მე ჩემი ძმის დარაჯი ვარ?“ მაშინ უფალი ფრიად განრისხდა: „ეს რა ჩაიღინე! შენი ძმის სისხლის ღაღადი დედამიწიდან ჩემამდის აღწევს“..

— ბიძია აბესალომ, — შეაწყვეტინა ისევე ფიქრში წასულმა ლევანმა, — ხომ შეიძლებოდა, აბელს რომ იმ კრავის მწვალები შეეწვა და მამისა და ძმისთვის მიერთმია?

— შეიძლებოდა, მაგრამ....

— ის კრავი რომ ჰირიანი ყოფილიყო და აბელს ეს არ ცოდნოდა, მერე იმ მწვალებს რომ ეწყინა, კენი მოეწამლა და მოეკლა, ეს ცოდვა აბელს დაბრალდებოდა?

— რაებს ამბობ, ბიჭო, ისევე 'აიცხე ხომ არა გაქვს?

— არა, ბიძია აბესალომ, სიცხე არა მაქვს. ეს ამიხსენი და მეტს აღარ შეგაწუხებ: ძმის ამნაირი სიკვდილი აბელს ჩაეთვლებოდა ცოდვად და დანაშაულად?

— სად წერია ეგ ამბავი, საიდან მოიგონე?

— არ წერია, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ასე მომხდარიყო და დაეწერათ კი-



დღე. რა უნდა ექნა აბელს, თავისი უნებური დანაშაული როგორ უნდა გამოესყიდა?

— ლოცვითა და მარბევით, მონანიებითა და კეთილი საქმეებით.

— შერე აბატიებდა ღმერთი?

— აბატიებდა. უფალი დიდსულოვანია. იგი ყველა შეცოდებას შეგინდობს, თუ გულწრფელად მოინანიებ და წმინდა გულით ილოცებ.

— როგორ უნდა მოინანიოს კაცმა დანაშაული, ბიძია აბესალომ, ვის უნდა გაანდოს?

— მოძღვარს, შვილო, თავის სულიერ მამას უნდა გაანდოს წმინდა საყდარში; აღსარება უნდა თქვას და ზიარება უნდა მიიღოს.

— წამიყვანე მონასტერში, ბიძია აბესალომ... მაზიარე...

ლევანმა სათქმელი აღარ დაამთავრა, თვალი დახუჭა და აბესალომმა დაინახა, როგორ დაეკიდა წყვილი ცრემლი ბავშვის დახურულ წამწამებს.

— წაგიყვან, შვილო... გაზიარებ... ახლა დაიძინე, გეყოფა...

ჩურჩულთ თქვა აბესალომმა და წიგნი დახურა.

წირვა გათავდა.

მონასტრიდან მლოცველები ნელ-ნელა გაიკრიფნენ.

აბესალომმა ზიარების უკანასკნელი მთხოვნელებიც გაისტუმრა და საკურთხეველისაკენ რომ შებრუნდა, მხოლოდ მაშინ გაახსენდა თავისი ძმისწული.

ბიჭუნა ღვთისშობლის ხატის წინ ჩაჩოქილიყო, ლოცვას ბუტბუტებდა და წამდაუწუმ პირჯვარს იწერდა.

აბესალომი დინჯი ნაბიჯით მიუახლოვდა.

ლევანმა თავი აიღო, იჭაურობას თვალი მოაველო.

მონასტერი ცარიელი იყო. უცებ რატომღაც სიცივე იგრძნო და სიციარიელემ შეაკრთო.

— ილოცე, შვილო?

აღერსიანი ხმით მიმართა აბესალომმა და ლევანი მაშინვე გაიხილა.

— ვილოცე, მამაო, დანაშაული მოვიხანაიე.

— განა რა დანაშაული გაქვს უმანკო ყრმას ჩაღენილი? წრფელი გულით თქვი აღსარება უფლის წინაშე და ღმერთი დიდსულოვანია, წყალობის თვალთ მოგვხედავს და მოგვიტევებს.

— ის დედა და შვილი მე დავხოცე, მამაო.

— შენ?... შენ როგორ, ბალო?

გამრა აბესალომი.

— ჩემი ნაპოვნი სოკო მივეცი იმ პატარა გოგოს... — დაიწყო ლევანმა და დაწვრილებით მოჰყვა ეკასთან შეხვედრის ამბავს.

აბესალომი თავზარდაცემული უსმენდა, სუნთქვა ეკვროდა და ხმას არ იღებდა.

— ასე, ჩემს უნებურად გავხდი ორი აღამიანის მკვლელი. დამნაშავე ვარ, მამაო. — დაასრულა ლევანმა და ცრემლი ლაპ-ლუპით გადმოცვივდა.

აბესალომი გაფითრებული მიჩერებოდა ყმაწვილს. ლევანი ვერ სწედებოდა დეკანოზის ფიქრს, მაგრამ მისი სახის გამომეტყველებით ხედებოდა, რომ მოხუცი გულის სიღრმემდე შესძრა ძმისწულის აღსარებამ. აბესალომის თვალეში შიში ჩამდგარიყო და ლევანი იმ თვალეზის გამოხედვაში სიბრალულთან ერთად ძმისწულის ბედისა და მომავლის გამო შეშფოთებას კითხულობდა.

ლევანმა აღსარება მოათავა, დადუმდა და თავი ჩაღუნა. ფიქრში წასული აბესალომიც სდუმდა და ღმერთის ეს ერთი წუთი ლევანს საუკუნედ ეჩვენა. იგი სახარობელაზე ასულ დამნაშავესავით ელოდა დეკანოზის ხმის ამოდებას, თითქოს მის სიტყვას ბოროტმაქმედის იქვე გათავების, ან სიკვდილისაგან საბოლოოდ დახსნის ძალა ჰქონოდა.

როდის-როდის, აბესალომი გამოერ-
კნა.

— უთუოდ ეშმაკი გადაეფარა შენს
გონებას, როცა შხამიანი სოკო ვერ
იციანი და კარგ სოკოებთან ერთად აი-
ყვანე, — ბუტბუტებდა, თითქოს ხმა-
დაბლა ფიქრს განაგრძობდა თავისთვის
აბესალომი, — ის გოგო მაინცდამაინც
იმ დილას რომ გადაეყვარა, ესეც ეშმა-
კის საქმე იყო. ქვაზეც ეშმაკმა წამოაყვ-
რევინა ბავშვს ფეხი. ეშმაკმა იცის ამის-
თანა მახეების დაგება.

აბესალომი უცებ წელში გასწორდა,
ჯვარი მალლა აღმართა და ომახიანი
ხმით დაიწყო:

— მიუტყვე, რამეთუ არ იციან, რასა
იქმომენო, — თქვა ისომ და ვევედ-
როთ ქრისტეს, მოგვიტყვოს უმეცრებით
ჩადენილი ცოდვები. უფალი ჩვენი —
იესო ქრისტე მოწყალეა. ადამის მოდ-
გმის სიყვარულით განკაცდა იგი, მიიღო
სატანჯველი და ჯვარს ეცვა, რათა გა-
მოესყიდა ჩვენი ცოდვები. შენ ბალდი
ხარ და ჯერეთ უმანკო. დიღია ცოდვა,
რომელიც უფალმა დაგაკისრა შენ, მა-
გრამ სიწმინდობა შენი და წმინდა გუ-
ლით ლოცვა, სიკეთე და უბიწობა შენი
შეამსუბუქებს შენი ცოდვის სიძიმეს
და შეაბრალებს უფალს შენს თავს.
ილოცე და იმარხულე, მოინანიე დანა-
შაული შენი და შეგინდოს უფალმა და
განგიტევოს, ვითარცა კრავი უმანკო.
უფალო, შეგვიწყალე, უფალო შეგვი-
წყალე, უფალო შეგვიწყალე! ამინ!

აბესალომმა სამგზის გადასახა ჯვარი
და ზიარება გაუწოდა მუხლზე დახო-
ქილ ბალდს.

ნაცემივით სახედათუთქვილ, შეშინე-
ბულ ბავშვს თვალთაგან ცრემლი ისევ
ღამა-ღუპით მოდიოდა.

მან კრძალვით შეახო ტუჩება ჯერ
წმინდა ბარძიშსა და მერე დეკანოზის
ხელს, ერთხელ კიდევ გადაიწერა პირ-
ჯვარი და ეხიარა.

ძმისწული აბესალომს. თითქოს ზიარე-
ბის შემდეგ მხრებზე მძიმე ტვირთი მო-
ეხსნათ, ყმაწვილი როგორღაც გამო-
ცოცხლდა. დეკანოზის მიერ მიცემულ-
მა შენდობამ ლევანს უნებურად ჩადე-
ნილი ცოდვის სიმძიმე შეუმსუბუქა და
ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მის
შეურყვნელ სულს გარედან მოცხებუ-
ლი ქუჩკვი ერთბაშად მოაცილესო. ბიჭი
დამშვიდებული იყო. ჩადენილი დანა-
შაულის გამო მის სულში უეცრად
აშლილი შფოთი და ძრწოლა სადღაც
ღრმა შრებებში დაძირულიყო და თვი-
თონ დანაშაულიც თითქოს დავიწყების
შორეულ ფენებს მიჰფარებოდა.

— რაღა შენ აგირჩია იმ დაწყველილ-
მა ეშმაკმა ამ საშინელი ბოროტების
ბრმა იარაღად!

უცებ, ამოხვრით თქვა ფიქრში წა-
სულმა აბესალომმა და მცირეხნით მო-
სვენებულ ლევანს გული ისევ ჩიტივით
შეუქანდა.

— ეშმაკი ფრთხილია და უმანკო ადა-
მიანს ადვილად ვერ აკიდებს ცოდვას,
— განაგრძობდა აბესალომი, — კეთი-
ლი საქმის ბოროტად შეტრიალება ეშ-
მაკს მხოლოდ იქ შეუძლია, სადაც სიკე-
თეს ღვთის მადლი არ ახლავს. ზოგი
ადამიანი ისე იბადება, ის მადლი თან
არ მოჰყვება. ასეთი ადამიანის გზა ძნე-
ლია და ეკლით მოფენილი. კაცს სრე-
ვითს დათესვა უნდა და ბოროტს სთე-
სავს; კარგი უნდა გააკეთოს და ავი გა-
მოუღის; წაღმა უნდა წავიდეს და უკუ-
ღმა მიდის. ცოდვაა ასეთი ადამიანი.
ერთხანს ებრძვის მწარე ბედს, მაგრამ
ლოცვითა და მოთმინებით თუ ვერ დას-
ძლია, მაშინ თვითონაც ბოროტდება,
უკეთურების გზაზე დგება და ახალ-
ახალი დანაშაულის ჩადენით ცდილობს
მოუზღოს სამაგიერო იმ ღმერთს, რო-
მელმაც მის გაჩენას მადლი არ გამოა-
ყოლა და თავიდანვე ეშმაკს დაუთმო
ბოროტების იარაღად.

ლევანი ისევ ძრწოლას აეტანა პატა-
რა საგულეში გული ისევ დამფრთხალი
მტრედის ხუნდივით უფართქალბდა

მონასტერი მწუხრის ქამს დასტოვეს.
ჯორზე უკანშემოსმული მოჰყავდა

და აბესალომი გრძნობდა, როგორ გაჰქონდა ბავა-ბუვი მის ზურგზე მიკრულ ბიჭუნას მკერდს. ისევ შეებრალა უდანაშაულო, კეთილი ბიჭუნა მოხუცს, ისევ დაეხსნა ხმამაღლა ფიქრს და ბიჭუნას დაუყვავა:

— შენ ნურაფრისა გეშინია, ლევან. ჯერ ბავშვი ხარ და ბიწმითუწვდომელი. მაგრამ რაჲი ეშმაკმა ერთხელ გამოგყენა, აღვილად არ დაგეხსნება, კვლავაც ეცლება, ფეხი წამოგაყვრევიანოს, გაცდუნოს და ბოროტება ჩაგადენინოს. ეცადე, ღმერთი სულ შენთან იყოს, უფალს მიენდე და ბოროტებისაგან დაგიცავს, უფალს არასოდეს განუდგე, რადგან შენსავით ცოდვილს უღმერთოდ ცხოვრება უბედურებად გადაექცევა, ეშმაკი დაეპატრონება და ქვეყნად ბოროტების მთეველი შეიქმნება. ღმერთს ნურასოდეს დაივიწყებ და ეშმაკი ასლოს ვერ გაგეკარება. ვაი მათ, ვისაც ღმერთი არ ახსოვთ! ღვთის რწმენისაგან გამდგარ ადამიანს სააქაოც გამწარებული აქვს და საიქიოც; ვერც ამ ქვეყნად გაიხარებს და ველარც იმ ქვეყნის იმედი ექნება. თუ ცოდვითა შემსუბუქება, მართალი გზით სიარული და მოსვენებული ცხოვრება გინდა, უფალს მიენდე და მის რწმენას დაეყარე.

გახსოვდეს ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს ნათქვამი:

„ნეტარ არიან მორწმუნენი!“

იმ დღიდან მონასტერში არ ეძინა ლევანს, თორემ დანარჩენ დროს თითქმის სულ იქ ატარებდა.

დეკანოზი ბიძის კალთას ჩაფრენილი ბიჭუნა, ხან ქვეითად და ხან ჯორზე ამხედრებული, ყოველდღე ერთი და იმავე გზით, დილაადრიან მონასტრისკენ მიდიოდა და შინ სამხრობისას ბრუნდებოდა.

სწავლა რომ დაიწყებოდა, მხოლოდ მამინ ეხსნებოდა წირვა-ლოცვაზე სიარულს ლევანი და ისიც აღმზრდელი

ბიძისა და მამიდის დაეინებულე მოთხოვნით.

სკოლისაკენ მიმავალი ბიჭი დასაღწელობით გულდაწყვეტილი აყოლებდა თვალს მონასტრისკენ მიმავალ ბიძას და მოუთმენლად ელოდა ექვსი სამეცადინო დღის გაღევას, რომ მეშვიდე დღეს, კვირას, თავის საყვარელ ბიძასა და მოძღვართან ერთად მონასტერს სწვევოდა.

კარი გაიღო და თავი მემანქანემ შემოჰპო. ფიქრში წასული კორექტორი უცებ გამოერკვა.

— გვერდები უნდათ? ახლავე, ნატო. ცოტალა დამჩხა.

მოიბოდიშა ლევანმა და ანაბეჭდი ხელში შეათამაშა.

ნატომ წასვლა და კარის მიხურვა დააპირა, მაგრამ ლევანმა უცებ რაღაც მოიფიქრა, წამოდგა და წაყითხული სამი გვერდი აკრიფა.

— ეს სამი გვერდი მზადა მაქვს. ბარემ წაუღე. ერთილა მრჩება და ამასაც ჩქარა ამოგიტანთ.

ნატომ ანაბეჭდები ჩამოართვა, კარი გაიქცა და წავიდა.

ლევანი წინ გაშლილ მოთხრობის ანაბეჭდს დაუბრუნდა, დააკქერდა და კითხვა იმ ადგილიდან განაგრძო, საიდანაც ფიქრმა და მოგონებამ მოიტაცა.

— გათენებამ ტყეშივე გვიწია და მზემ პირველი სხივები გვტყორცნა.

დაღლილები ცოტახნით შეეჩერდით, ხის ქვეშ წამოვწყვეით და თამბაქო გავაბოლეთ.

— ეტყობა, ეს ომი მალე გათავდება. ფიქრში წასულმა თქვა ვალერიმ.

— მალე! გერმანელებს დიდი ფოხი აღარა აქვთ, ბევრი-ბევრი, კიდეც ერთ-ორ თვეს გაატანონ.

— გიხარია დასასრულის მოახლოება?

— მიხარიაო? ვის არ უხარია ომის

დამთავრება, ჩვენ კი არა, მგონი, ყველაზე გაბოროტებულ ფაშისტებსაც აღარ უნდათ ამ ხოცვა-კლეტის გავრცელება, დაილაღნენ, ნერვები დააწყდათ...

— შენ, ალბათ, შინ დაბრუნდები და ბევრი სიხარული გელის.

— რა თქმა უნდა! სახლ-კარისა და ჩემიანების ნახვა სიხარულს მეტყავ, შინ დაბრუნებას თუ მოვესწარი, მაგაზე დიდი სიხარული რა იქნება?!

— ნეტავი შენ, — ამოიოხრა ვალერიმ, — შენ ფრონტის გარდა კიდევ გაქვს სხვა ცხოვრება, რომლის გავრძელებასაც აგრე მოუთმენლად ელო, მაგრამ იმან რა ჰქნას, ვისაც ამ ომის იქით სხვა ცხოვრება აღარ გააჩნია, ვინც თავისი არსებობის აზრი აქ, ამ ცეცხლში ნახა და აქვე უკარგება. ფრონტის ორივე მხარეს, ალბათ, ერთადერთი კაცი მოიძებნება, რომელსაც ამ ომის დაუსრულებლად გავრძელება სურს, და ის კაცი მე ვარ...

სახეზე გაოცება გამომეხატა. ვალერიმ შემამჩნია და მაშინვე განმარტა:

— არ იფიქრო, მტრის განადგურება არ მეჩქარებოდეს, ან ხალხის დაუსრულებელი კლეტის სურვილი მქონდეს. ცხოვრების ამ შეჩვეული წესის დაუსრულებლად გავრძელება მე იმ უბედური ლოთივით ან აზარტში შესულ მოთამაშესავით მინდა, რომელსაც ღვინის ან ბანქოს გარდა, არსებობის სხვა აზრი აღარ გააჩნია.

როგორც იქნა! დაიწყო აღსარება!

გავიფიქრე და, რალაც მნიშვნელოვანისა და საინტერესოს მოლოდინში, სმენად ვიქეცი.

მაგრამ მოლოდინმა არც ახლა გამიმართლა.

ვალერი ერთხანს სდუმდა, ეტყობოდა ყოყმანობდა და თავის თავს ებრძოდა.

მერე უცებ კუშტად მომხედა და მონადირისაგან დამფრთხალი ნადირივით წამოხტა.

— წავიდეთ!

მესროლა უკან მოუხედავად და ჩქარი ნაბიჯით წინ გაემართა. დაბნეული წამოვდექე და დავაჩნდი ყვეი.

უჩუმრად წამოვეწიე, მხარი გავუსწორე და ნაბიჯი ავუწყე. ჩუმად მივეყვებოდი, დუმლით მინდოდა მიმხვედრებინა, რომ მისი გაუმხელელი საიდუმლოს მოსასმენად კიდევ მზად ვიყავი და უეტრად გაწყვეტილი სათქმელის გავრძელებას ველოდი.

უცებ ჩხიკვმა დაგეჩხავლა. ხმაურზე ინსტინქტურად ორივემ ავტომატები მოვიმარჯვეთ.

აფრენილი ჩხიკვის დანახვაზე ორივეს გაგვეცინა.

— აი, საოცრება! კაცი, რომელიც დღე და ღამე სიყვდილს ნატრობს, იმავე სიყვდილს გაურბის, ემალება და შემართული თოფი მზადა აქვს, რომ თავი დაიცვას და მტრის ტყვია აიცილნოს... მგონი, იწყებს!

გავიფიქრე და კვლავ სმენად ვიქეცი. მაგრამ ამოდ. ვალერიმ პირზე კვლავ კლიტე დაიდო და დადუმდა.

ჩქარი ნაბიჯით მივდიოდით და ტყე მალე გავლიეთ.

მუხნარიდან ფრთხილად გამოვედი. ტრიალ მინდორზე სოფლის ეკლესია იდგა განმარტოებით.

ღრუბლებში ატყორცნილი, მალალ გუმბათზე აღმართული ოქროსვარაყიანი ჭვარი თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა.

ლევანი ისევ ფიქრმა წაიღო.

ანაბუქდს თვალს არ აშორებდა. მაგრამ სტრიქონები ისე გარბოდნენ თავთავისთვის, ფიქრში წასულს წაკითხულის აზრი არ ესმოდა. და თუმცა მოთხრობის „კითხვას“ თავულებლად განაგრძობდა, ფიქრით ისევ სხვა ამბავს ჰყვებოდა და გონების თვალითაც სხვა სურათებს ხედავდა.

ზაფხულის დილაა.

ჯორზე ამხედრებული აბესალომი ეზოდან გამოდის.

პატარა ლევანი გვერდით მოსდევს, ქვეითად.

გზა ჯერ სოფელ-სოფელ გადის, მერე ტყით დაბურულ ხეობაში მიიკლავნება და მოსახვევში თვალწინ იშვიათი სანახაობა იშლება: ცამდე აყუდებულ უზარმაზარ კლდეებს უთვალავი სათოფურით მიჰკვრია ვიწრო საკმლები. კლდეში გამოკვეთილი მონასტრის თეთრი გუმბათი გასაფრენად ფრთავამლილი მტრედით მოჰქცევია თავზე მაღალ კლდეს.

ცაში ატყორცნილი ჯვარი თითქმის გამდნარა გამკვირვალე ლაყვარდში და თვალისმოშვრელად ბრწყინავს.

მონასტრისაკენ სხვადასხვა მხრიდან მოემართებიან საკურთხიბითა და შესაწირავით დატვირთული მლოცველები და აბესალოში გულისტყვილით ხედავს, რომ მათი უმრავლესობა ბავშვები და მოხუცებია.

— გაურჯულოვდა ხალხი, შვილო ლევან. კვირა უფლის დღეა, უქმე დღეს მუშაობა როგორ შეიძლება! ახლა აღარც უფალი ახსოვთ და აღარც მისი ტაძარი.

სინანულით ამბობს აბესალომ დეკანოზი და ჯორს ცულმოსული ურტყამს ქუსლებს.

მონასტრის ეზო მაინც საგსეა ხალხით.

ქიშკართან მოეგებნენ მონაზვნები დეკანოზს. აბესალომმა დაიქვეითა და აღვირი ლევანს გადასცა. დეკანოზმა თავშეყრილ ხალხს ჯვარი გადასახა, დალოცა და მონასტერში შევიდა.

ლევანი ერთხანს დაღლილ ჯორს ასეირნებს, რფლი უნდა შეაზრეს, სანამ უნაგირს მოხდის და ბალახზე მიუშვებს.

ამასობაში აბესალოში ანაფორას ჩაიცივამს, ოლარს გადაიკიდებს და წირვის დასაწყებად მოემზადება.

მკდერი, ძლიერი ხმა აქვს ბიძია აბესალომს.

ის რომ ამბონზე გამოვა და საგალობელს დასძახებს, პარტო მონასტერში კი არ მღერის, ზარივით იბზევად და გუმბათებს უზარმაზარი კლდეც, რომელშიაც მონასტერია გამოქვაბული.

ქორედზე მონაზვნების გუნდი გალობს და მათ შეწყობილ ზმეზში გამოირჩეულად გაისმის პატარა ლევანის მაღალი ხმა.

გატაცებით, თავდავიწყებით მღერის ლევანი და ირგვლივ აღარაფერს ხედავს. თვალაპყრობილი მიჩერებია მაღალ გუმბათს, საიდანაც უხვად იფრქვევა მარტო მზის შუქი კი არა, სულიერი სიმშვიდე და ღვთაებასთან სიახლოვის ნეტარება.

გალობა რომ წყდება, ლევანი ქორედისა და ჩამორბის, საკურთხეველში აბესალომ დეკანოზს ეხმარება და ბოლოს სამოციქულოს კითხულობს.

გარკვეულად, მკაფიოდ გაისმის ყმაწვილის ბაგეთაგან თითოეული სიტყვა. მლოცველები სასოებით ძმენენ, გულში შენატრიან ამ მშვიდსა და გონიერ ბიჭუნას.

— სადღა ნახავ ახლანდელ ყმაწვილებში ამისთანას! მაგის ტოლები ბურთის თამაშით იტეხენ კისერს და ეკლესიაში ქუდი რომ შეუვდო, მაინც არ შევლენ.

— ეტყობა, თავის მემკვიდრედ, სამღვდლოდ ამზდებს დეკანოზი ძმისწულს.

— ბიძა კი ამზადებს, მაგრამ მამას არ კითხავს?! მამამაგისი მთელ მზარაში ებრძვის სარწმუნოებას, ეკლესიებს ანგრევს და მღვდლებს შავ სიაში სწერს.

— ალბათ არ იციის შვილის ამბავი, თორემ ორივეს მოჰკლავს იასონი.

ჩურჩულებდნენ მლოცველები, მაგრამ საღვთო ექსტაზში გადასულ ყმაწვილს მათი ნათქვამის აზრი არ სწვდებოდა და ღრუბლებში მფრინავი მისი გონება მიწაზე არ ეშვებოდა.

წირვის შემდეგ ბნელ სენაკებსა და ვრცელ დარბაზებში დაეხეტებოდა ლე-

ვანი. საღებავგადასული ფრესკების წინ საათობით იდგა და ძველი და ახალი აღთქმის სურათებს აკვირდებოდა.

აბესალომი გატაცებით მოუთხრობდა იმ სურათების შინაარსს. ქვაზე ამოკვეთილ ანომთავრულს უკითხავდა და ძმისშვილთან ერთად ცდილობდა წვიმისა და ქარისაგან წაშლილი ქარაგმების ამოხსნას.

სკოლის შენობიდან ყველაზე ბოლოს ლევანი და უშანგი გამოვიდნენ. ლევანი ღია ჩანთას იქნევდა დაუდევრად და თავაწეული, გახარებული მოხტოდა.

უცებ პატარა მრგვალ ქვას მოჰკრა თვალი. ფეხი მოუქნია და გასტყორცნა. მუსზე ჩაჩოქილი ბიჭუნა მიწაზე წრებას ავლებდა ცარცით. ლევანის გატყორცნილი ქვა კოჭზე მოხვდა.

ბიჭმა კოჭზე ხელი მოისვა და ქვის გამტყორცნელისკენ გაიხედა.

— შენ, ეი! თუ თამაში გინდა, ქვებს ნუ კი ისერი, აჰ მო...

გასძახა ლევანს და გაუღიმა.

ლევანი შეცბა.

ეს ბიჭი გუშინ დასვეს პირველად მათ კლასში. თბილისის სკოლიდან გადმოსულ ახალბედას ჯერ ხეირიანად არავინ იცნობდა კლასში.

ახლა, ფეხი რომ უნებურად ატყინა, გაბრაზებამს მოელოდა. სხვა ბიჭი ანდროს ადგილას ალბათ წამოიქოჩრებოდა და ეგებ აყალ-მაყალიც აეტეხა.

ამ ახლადმოგენილმა ნატყენ ფეხზე ხელი წამით მოისვა, ქვის გამტყორცნელს გაუღიმა და სათამაშოდ მიიპატიჟა.

— ვითამაშოთ?

მოუბრუნდა უშანგის ლევანი.

— მე დრო არა მაქვს, ინგლისურის მასწავლებელთან უნდა წავიდე.

— ისევ ინგლისური! გააჭირე შენ! ინგლისურით! — მოიღუშა ლევანი.

— რა ექნა, დღეს გაკვეთილი მაქვს.

საწყლად, დამნაშავესავით თქვა უშანგი.

— მონასტერში რომ წამეყვანე?

— მაშინ გაეცადენდი.

ხმადაბლა თქვა უშანგი და გაწოლდა.

ერყინესული

— ჰოდა, ახლაც გააცდინე! შესძახა ლევანმა, ჩანთა გამოსტაცა, თავის ჩანთასთან ერთად ქვის ღობეზე დააგდო და სიცილით, ჯიკავ-ჯიკავით წინ გაიგდო.

უშანგი ფეხს ითრევდა, მაგრამ გვიანლა იყო. ანდრომ და ლევანმა არჩევანი და არადანი მოათავეს და უშანგი ლევანს ერგო.

პირველ წრეში ანდრო თავგამეტებით ჩაუხტათ, ქამარი გამოათრია და ჰერში სიხარულით ააფრიალა.

მეორე წრეში უშანგი დატინებით მიიწევედა ქამრისაკენ და ანდრო სულ იმას დარაჯობდა.

ლევანმა უცებ ჩაიჩოქა და ქამარს ხელი სტაცა. ეგონა ნადავლი უკვე მისი იყო და წამით ყურადღება მოუდუნდა. თვალის დახამხამებაში, წრეში მდგარი მეორე ბიჭი ორივე ხელით წაეტანა ქამრის ბოლოს და მაგრად დასწია.

ლევანს ნადავლი დაუსხლტა და მოპირდაპირის ხელთ აღმოჩნდა.

ანდრო გახარებული მივიარდა ქამრის გამოსართმევად და სწორედ იმ დროს გახობდა ხელივით უშანგი.

მეორე ქამარს წაეპოტინა და გამოსწია.

ქამრის წართმევმა ბიჭმა მოუხწრო, სარტყლის ბოლოს ორივე ხელი ჩააგლო და შეიქნა გაწევე-გამოწევა.

სარტყლის ერთ ბოლოს უშანგი ჩაფრენოდა, მეორეს — ანდროს მხარეზე მოთამაშე ბიჭი.

უშანგის წელსა და ფეხებში თავისიანები ჩაეჭიდნენ, მოწინააღმდეგეს კიდევ თავისიანები და ახლა ყველაფერი იმაზე იყო, რომელი მხარე დასძლევდა.

ანდრო წართმეულ ქამარს იქნევდა და დაუზოგავად სცემდა უშანგის.

უშანგის სტკიოდა, მაგრამ არ იმჩნევდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სარტყელს თავისკენ ეწეოდა და თან თავს

დაბლა ზრიდა, რომ ანდროს მოქნეული ქამარი სახეში არ მოხვედროდა.

კიდევ ერთი წამი...

უშანგიმ უცებ ცალი ხელი გაითავისუფლა და ანდროს ქამარს სწვდა.

ანდროსათვის წარმოუდგენლად მოულოდნელი აღმოჩნდა უშანგის გამოხდომა, ქამარი გაუსხლტა და დაჰკარგა.

უშანგიმ ქამარი შორს ისროლა, მეორე ხელით ისევ იმ ცალხელჩაველებულ სარტყელს ჩააფრინდა, რომელსაც აქეთ-იქით ექვსიოდნე ბიჭი ეწეოდა, ერთი მაგრაღ ვაიბრძოლა, დაჰქაჩა და მოწინააღმდეგე ქამრიანა წამოიღო.

მეორე ქამარიც უშანგის დარჩა-ახლა მას და მის მხარეს მოთამაშე ბიჭებს ორივე ქამარი ჰქონდათ. თამაშის წესით, მათ შეეძლოთ მანამ ეცემნათ იმ ქამრებით მოწინააღმდეგეები. სანამ ისინი უკანვე არ დაიბრუნებდნენ სარტყლებს, ან წრიდან არ გამოვიდოდნენ და ადგილებს არ შეცვლიდნენ.

ერთი ქამარი ლევანმა დაიხვია მარჯვენაზე და მოეშხადა.

მეორე უშანგის ჰქონდა ხელთ.

უშანგის მხარეზე მოთამაშე ბიჭები სიხარულით ბტოდნენ.

იწყებოდა სამაგიეროს გადახდა.

ანდრო ნირწამხდარი იდგა წრეში.

ყველაზე მეტი ახლა მას უნდა მოხვედროდა, რადგან წელან სწორედ ის სცემდა უშანგის უღმობლად.

მოულოდნელად უშანგიმ ქამარი ხელიდან გაავდო.

— უშანგი რას შვრები?

შესძახეს გაოცებულმა ბიჭებმა.

— ინგლისურის მასწავლებელთან მაგვიანდება.

დინჯად თქვა უშანგიმ, ჩანთა აიღო და ჰიშკრისკენ წავიდა.

ანდროს ქამრით აქრელება მოელოდა და თითქოს ყველაზე მეტად მას უნდა გახარებოდა უშანგის წასვლა. მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ყველაზე მეტად მას ეწყინა თამაშის შეწყვეტა.

უშანგის ნაბიჯი გამომწვევად, შეუ-

რაცხყოფლად მიიღო. სახე სიბრინჯისაგან აელუნა.

— შენ, ეი... შეგეშინდა, არა? გასძახა მიმავალ უშანგის.

უშანგიმ წამით მოიხედა, ვაილიმა და გზა განაგრძო.

თამაში ჩაიშალა.

ბიჭები გაიფანტნენ.

მხოლოდ ანდრო იდგა წრეში მარტომარტო, დაბნეული და ვაბრაზებულ-ლი.

ლევანი როგორღაც უხერხულად გრძნობდა თავს. ეს ბიჭი პირველი გამოლაპარაკებისთანავე მოეწონა, მისმა ალაღმა ღიმილმა მოხიბლა. და სამეგობროდ განაწყო.

წრელახტის თამაშშიც სხვებზე მკვირცხლი და თამაში იყო და ახლა, როცა მარტო დარჩა, შეეცოდა.

ლევანმა ჩანთა აიღო, ანდროსთან მივიდა, მკლავში ხელი მოკიდა და სმადაბლა უთხრა:

— წავიდეთ, ანდრო.

ანდრო უცებ გამოერყვა, ნაძალადევად გაუღიმა და გაჰყვა.

ცოტახანს უბრად მიდიოდნენ.

— ჭადრაკი იცი?

დაარღვია ღუმელი ანდრომ.

— ვიცი.

— ვითამაშოთ, თუ შენც ინგლისურზე არ გეჩქარება.

უკანასკნელი სიტყვები დამცინავად გააბრტყელა ანდრომ.

— ვითამაშოთ, არსადაც არ მეჩქარება.

სიამოვნებით დაეთანხმა ლევანი.

— ჭადრაკი გაქვს?

— მაქვს.

მეტი აღარაფერი უთქვამთ.

მთავარი გზიდან გაუხვიეს და ლევანის სახლისკენ გაემართნენ.

ჰიშკარს რომ მიუახლოვდნენ, ჯაკვით დაბმული ნაგაზი აიჯაგრა, უცხო ბიჭს ყფა აუტეხა და ღობეს შეასკდა.

— ნუ გეშინია, ვერ მოგწვედება.

უთხრა ლევანმა სტუმარს, მაგრამ ანდროს სრულიადაც არ ეტყობოდა შიში. ეზოში შევიდა და აყეფებულ ნაგავს ზედ ცხვირწინ ისე გაუარა, თითქოს მისი იქ ყოფნა არც შეემჩნიოს.

ანდრომ ეზოს თვალი მოავლო.

უზარმაზარი კაკლის ხის ქვეშ ქვის პატარა მაგიდა დაინახა და იქით წავიდა.

— შინ ხომ არ შევიდეთ?

— არა, აქა სჯობს, კაკლის ჩრდილში.

— დაჯექი, ჰადრავს ახლავე მოვიტან.

თქვა ლევანმა და სახლისკენ წავიდა. ანდრო ქვის მაგიდასთან ჩამოჯდა გრძელ სკამზე.

ეზოში მიხედვ-მოხედვაც ვერ მოასწრო, რომ ლევანი გამოჩნდა.

გულზე ახუტებული ჰადრავი ქვის მაგიდაზე დადო. ანდრომ გაოცებით დახედა.

სადაფის დაფა თვალისმომკრელად ბრწყინავდა. ლევანმა ყუთი გახსნა.

სპილოს ძვლის ფიგურებს სიძველისაგან სიყვითლე შეჰპარვოდათ.

— რა ძვირფასია!

აღმობდა ანდროს.

— ძვირფასია... ძველისძველი.

დაუმოწმა ლევანმა.

— მერე, რომ გავაფუჭოთ? სხვა არა გაქვს?

— სხვაცა გვაქვს, მაგრამ...

ლევანს უნდოდა ეთქვა, საპატიო სტუმრებისათვის ეს არის და, შენზე კარგი სტუმარი მე ვინ მომივაო, მაგრამ გაწითლდა და დაუდევრად თქვა:

— ის უზარალოა... ამით ვითამაშოთ.

ლევანი ფიგურების დაწყობას შეუდგა. თამაში დაიწყო.

ანდრო დაფას თითქმის არც დაჰყურებდა, სვლებს უხალისოდ აყეფებდა. ეტყობოდა, ლევანთან სალაპარაკოდ უფრო იყო მისული, ვიდრე სათამაშოდ.

იგი პირველი სვლებიდანვე მიხვდა, რომ ლევანი სუსტი მოჭადრაკე იყო. ანდრო მოწინააღმდეგეს არჩეინად ეთამაშებოდა, საპასუხო სვლებს დაუყოფ

ნებლიე აყეფებდა და თან სადღაც სხვაგან იცქირებოდა.

ანდროს პარტიის ბედი მოგება და წაგება სულ არ აწუხებდა.

— იმ ბიჭმა იცის ჰადრავი?

მოულოდნელად იკითხა ანდრომ.

— ვინა, უშანგი?

მიუხედა ლევანი.

— ჰო, უშანგი.

— იცის. ჩემზე კარგად თამაშობს.

— მე მომიგებს?

— არ ვიცი... მე მიგებს, მაგრამ შენ აღმათ ვერ მოგიგებს.

ანდროს პასუხი ესამოგნა.

— ძალიან ჯიუტი ვინმე უნდა იყოს ის შენი უშანგი!

ცოტახნის მერე ბრაზით თქვა ანდრომ.

— ჯიუტი? არა, რათა?

— წელან სულ ავაწითლე, სიკვდილი იღირსა და ქაშარს ხელი არ უშვა.

— ეგრე გამეტებით რატომ სცემდი?

— ეგრე უნდა!... სამაგიეროდ რატომ არ მცემა, რად გაიქცა?

ლევანმა არაფერი უპასუხა.

— სწავლაშიაც ეგრე ჩაუჩინებულა?

— კი, კარგად სწავლობს... ბევრს კითხულობს და კარგადაც ხატავს.

— ცხოვრებაში შორს წავა...

გამოცდილი კაცის კილოთი თქვა ანდრომ.

უცებ გვერდით გაიხედა და მეზობელ ეზოში აბესალომ დეკანოზს მოჰკრა თვალი.

აბესალომს საშინაოდ, უბრალოდ ეცვა. გულზე ვეებურთელა ჯვარი ეკიდა.

— ეს საფრთხობელა ვინ არის?

გამოცოცხლდა ანდრო.

— ბიძაჩემია, დეკანოზი.

დარცხვენილად თქვა ლევანმა, თითქოს მისი დანაშაული ყოფილიყოს აბესალომის დეკანოზობა. გაწითლდა და

თან გული ეტკინა, რომ მისი საყვარელი ბიძა ასე აგდებულად მოიხსენია აშხანაგმა.

— სამუხეუმო ბიძა გყოლია!

გადიხარხარა ანდრომ.

— ეს რა ჩამორჩენილობაა! წირავს კიდეც, ან დადის ვინმე მაგის ჩიფჩიფის მოსასმენად?

ლევანი კიდეც უფრო აიღეწა. ექვმა გააკრა, ალბათ უთხრეს, მონასტერში მეც რომ დაედივარო.

შერცხვა „ჩამორჩენილობის“ გამო, თავი დალუნა და არაფერი თქვა-აბესალოში შინ შევიდა.

ანდრომ ჭადრაკის ფიგურებს ხელი მოუსვა.

— გვეყოფა... დრო რომ გვექნება, იმისთან წავიდეთ...

— წავიდეთ.— უმაღლვე დაეთანხმა ლევანი და ჭადრაკის ჩაწყობას შეუდგა.

— მე ვაპატიებ უშანგის დღევანდელ გაქცევას. თვითონაც დაივიწყოს, თუ მაგრად მოხვდა...

ლევანი მადლიერი თვალით შეჰყურებდა ანდროს. მისი ნათქვამი დიდსულოვნებად ეჩვენა, პირველი შთაბეჭდილება კიდეც უფრო განუმტკიცდა და ანდრო კეთილშობილ, გულითად ამხანაგად იწამა.

— შენ კარგი ბიჭი ხარ!

უთხრა უცებ ანდრომ და წამოდგა.

ახლადშექმენილი ამხანაგის ამ შექებას სულ ფრთები შეასხა ლევანს. სიამოვნებისაგან გაჩითლებული ერთ ადგილას იდგა, გულზე ჭადრაკი აეხუტებინა და თვალეში სიხარულით უბრწყინავდა.

უშანგი დერეფნის კუთხეში იჯდა განმარტოებით. მთის წვერზე შემომდგარ ძველი ციხის ნანგრევს გაჰყურებდა და ნაცნობი პეიზაჟი საღებავით ტილოზე გადაჰქონდა.

დილიდანვე ელოდა ლევანის გამოჩენას.

აგერ, რახანია, მონასტერში წაყვანას ჰპირდებოდა ლევანი. მონასტრის ძველის ძველი ფრესკების ქება პატარაობიდან ესმოდა, იმ ფრესკების რეპროდუქციაც ჰქონდა და რტხვენოდა, რომ აქამდე არ ენახა.

მონასტერი არც ისე შორს იყო, მაგრამ მარტო წასვლა არ უნდოდა. ათასი

ვინმე დაინახავდა და ისედაც ათვალწუნებული ოჯახის შვილს ახალ შარს მოსდებდნენ, ცრუმორწმუნე და მონასტერში სალოცავად დადისო. ეს ერთი ხანი იყო, ლევანს ეხვეწებოდა, წამიყვანეო. ლევანი სწავლის დღეებში თავადაც არ დაჰყვებოდა ბიძას მონასტერში. ბოლო დროს კვირაობითაც უკლო იქ სიარულს და თუმცა ყოველ ორშაბათს აღუთქვამდა უშანგის, შემდეგ კვირას წაგიყვანო, დაპირების ასრულებას ვერ ახერხებდა.

დღეს იმ იმედით ადგა უშანგი დილაადრიან, ლევანი გამომივლის და მონასტერში წამიყვანსო.

იმ დღის ფემდიც მალე დაეწმინდა-ჯერ მზე კიდეც არ იყო ამოსული, აბესალომ-დუკანოშმა რომ მისი სახლის წინ ჩაიარა.

აბესალომი ჯორზე იჯდა, ტახტზე ცარიელი ხურჯინი ჰქონდა შემოკრული.

მოხუცებული მარტო მიდიოდა მონასტრისკენ და უშანგი მიხვდა, რომ იმ დღესაც ტყუილად წამოხტა ლოგინიდან უთენია.

ლევანი არ ჩანდა და მონასტრის ნახვის იმედმა ერთი კვირით კიდეც გადაიწია.

გულდაწყვეტილმა კარგა შორს გაადევნა თვალი ჯოროსან ბერიკაცს.

ფიქრსმიცემული, თავჩაღუნული დუკანოზი მხრებში საშინლად მოხრილი ეჩვენა და რატომღაც შეებრაღა ამ სიგრძე გზაზე მარტოდმარტო მიმავალი მოხუცი, ხმის გამცემი რომ არავინ ჰყავდა.

უშანგიმ საუზმის შემდეგ ცოტახანს იმეცადინა და, როცა სახლშიმყოფები შინიდან გაიკრიფნენ, დერეფნის კუთხეში მოღებრტი გამართა.

მუშაობას ისე გაეტაცა, მოშუადღევება ვერც გაეგო. ალბათ კიდეც დიდხანს გააგრძელებდა ხატვას, გზიდან რომ ნაცნობი ხმა არ გაეგონა.

პირველი დამახილისთანავე ფუნჯს ხელი უშვა, ფეხზე წამოხტა და მოაჯირთან მიიჭრა.

ქიშკართან ლევანი დაინახა. შორიახლო სანახევროდ ზურგშექცეული ანდროს იღვა.

— შინა ხარ?

— შინა ვარ, შემოდით...

დაუქნია ხელი გახარებულმა უშანგიმ.

ლევანმა ქიშკარი შეაღო და ანდროს მიუბრუნდა:

— შევიდეთ, რას დგახარ?..

ანდროს დინჯი ნაბიჯით მიჰყვა.

უშანგი ეზოშივე გამოეგებათ.

— რა კარგი ჰქენით, რომ მოხვედით... გამარჯობათ.

ამხანაგებს ხელი ჩამოართვა და წინ გაუძღვათ.

უცებ შეჩერდა. ლევანისკენ მობრუნდა და საყვედურით მიმართა:

— დღესაც ამაოდ გელოდი.. კვირია და, მეგონა, დღეს მაინც წამიყვანდა.

ლევანმა მკლავში ხელი მოუჭირა და თვალთ გაჩუმება ანიშნა.

უშანგი ვერ მიუხვდა და დაბნეული მიაშტერდა.

— ჭადრაკის სათამაშოდ მოვედით,

— სიტყვა ბანზე აუგდო ლევანმა, — გცალია?

— როგორ არ მცალია. ვითამაშოთ... ოპო, შენ ჭადრაკიც თან წამოგიღია, — მხოლოდ ახლა შენიშნა ილიაში ამოჩრილი ჭადრაკი უშანგიმ, — რად გინდოდა, ვანა მე არა მაქვს?

ბიჭები აივანზე ავიდნენ.

— დაჯექით, მე ცოტას მივილაგებ.

თქვა უშანგიმ, საღებავი და ფუნჯები აკრიფა და ჩალაგებას შეუდგა.

ანდროს მოლბერტს მიუახლოვდა. ერთხანს უცქირა ნახატს.

— ისტორიაში გადავრდნილხარ... ნანგრევებს ხატავ.

უკმაყოფილოდ თქვა ანდროს.

უშანგი გაწითლდა არაფერი უპასუხა.

ანდროს მოლბერტს მოცილდა. მაგიდაზე გაშლილ-გაფანტულ წიგნებს დახედა.

— ინგლისურს სწავლობ?

— ჰო...

— პროფესორობას ამბობდით...

უშანგის არც შეეითხვა ეს იამოვნა, არც ავღებულნი ტონი. მაინც არაფერი უპასუხა, წიგნებს ხელი მოუსვა და მაგიდა გაათავისუფლა.

ლევანმა ჭადრაკის ფიგურები აკოლა და წყნარად თქვა:

— დაგიწყობთ და თქვენ ითამაშეთ.

— რათა, ჯერ თქვენ გეთამაშათ.

— ჩვენ ამას წინათ ბევრი ვითამაშეთ. ახლა საინტერესო შენი და ანდროს ბრძოლაა.

თქვა ლევანმა.

ფიგურები დააწყო და მაგიდას მოშორდა.

ანდროს და უშანგი ჭადრაკს მიუხსდნენ.

პირველი ხელი ერთიმეორის მოსინჯვა უფრო იყო. უშანგი ფრხილობდა, საეჭვო გართულებას თავს არიდებდა და მშვიდი პოზიციური თამაშით ცდილობდა უპირატესობის მიღებას.

უპირატესობა კი თანდათან საგრძნობი ხდებოდა.

ანდროს ვერც გაიგო, როდის რა შეცდომა დაუშვა. მოწინააღმდეგის ქსელში ნელ-ნელა, შეუმჩნევლად გაება და საშინელ მარწყუხებში აღმოჩნდა.

ანდროს თავი ხელეში ჩაიკრა. საგონებელში ჩაქარდნილი ნერვიულობდა-სახე წამოუხუტდა. ხელი რამდენჯერმე წასცადა სკლის გასაყეთებლად, მაგრამ უკანვე წაიღო, დიდხანს იფიქრა, და ბოლოს გულმოსულმა დაფას ხელი აპკრა.

— გნებდები...

ბრაზიანად თქვა სახელეწილმა და უმაღლეს შეუდგა ფიგურების დაწყობას.

მეორე ხელიც ცუდად წაუვიდა ანდროს, შუა თამაშშიც არ იყო და მისი პარტია უკვე უიმედო ჩანდა.

მოწინააღმდეგის დინჯი, აუღელვებელი თამაში აღიზიანებდა. სვლებს უკან-

ვე იბრუნებდა, მოთმინება არ ყოფნიდა და მოპირდაპირეს ახსენებდა, რომ მისი სვლა იყო და ლოდინით დაიღალა. უშანგი ხმას არ იღებდა.

პოზიცია აშკარად მოგებულნი ჰქონდა, როცა მოპირდაპირეს მოულოდნელად ლაზიერი დაუსვა.

— დაბრუნება არ არის, ზომ?

შესძახა გახარებულმა ანდრომ და ორივე ხელი აღმართა.

— რა თქმა უნდა, არ არის!

დაუმოწმა უშანგიმ.

— ჰოდა... თუ დაბრუნება არ არის, — გააბრტყელა ანდრომ, — შენი ლაზიერი მივირთვით!..

ანდრომ ამაყად აიყვანა ლაზიერი და ლევანს ესროლა.

— გნებდები!

წყნარად თქვა უშანგიმ.

— სხვა რა გზა გაქვს!..

გაიციანა ანდრომ და ახალი პარტია გააწყო.

რამდენიმე სვლის გაკეთება ძლივს მოასწრეს.

უშანგიმ ისევ დაუდო ფიგურა და მზერა ლევანისკენ გააპარა. ლევანმა თვალით ანიშნა.

უშანგიმ გაუღიმა და მზერიოთვე უთხრა, არა უშავს, ეგრე იყოსო.

— რა ანგარიშია?

იკითხა უცებ გახალისებულმა ანდრომ.

— ერთით ერთი.

— ჰოდა, ახლა ორით ერთი იქნება!

შესძახა ანდრომ და ფიგურას ქორივით დააცხრა.

უშანგიმ ეს პარტიაც დათმო.

კიდევ ორი ხელი ითამაშეს. უშანგი მოშვებულად, უხალისოდ თამაშობდა, სვლებზე არ ფიქრობდა, პაიკებს ტყუილ-უბრალოდ კარგავდა, პოზიციას თანდათან ისუსტებდა და ბოლოს უიმედო პარტიას გულმშვიდად თმობდა.

მუოთხე პარტიაც ანდრომ მოიგო.

— სამით ერთი!

შესძახა გახარებულმა ანდრომ და ტაში შემოჰკრა.

— ჰო, სამით ერთია.. დამჯაბნე... გვეყოფა...

ერეკნული

მშვიდად თქვა უშანგიმ, განდრისნება უღიმა და დაფა გვერდზე მისწია.

ანდროს ხმა არ ამოუღია. ამაყად წაბოდგა და თვალი მედიდურად მოაკვლო ამხანაგებს.

ლევანი თავჩალუნული იჯდა, ტუჩთან ღიმილი უთამაშებდა და თითქოს რაღაცისა რტხვენოდა, თვალში არ უყურებდა.

ანდრო დაიბნა. მოეჩვენა, რომ უშანგი და ლევანი ჩუმად მას დასციროდნენ. წარბი შეიკრა და ლევანს ბრძანების კილოთი მიმართა:

— წავიდეთ!..

ორღობეში უხზოდ მიდიოდნენ.

ანდრო აჩქარებული მიაბიჯებდა, თითქმის მირბადა.

ღროდაღრო ლევანს კარგა მანძილზე ჩამოიტოვებდა, შეჩერდებოდა, ხმის გაუცემლად დაუცდიდა და, როგორც კი გაუსწორდებოდა, ისევ ჩქარი ნაბიჯით მოსწყდებოდა.

— კეთილი ბიჭია უშანგი.

ხმამალა თქვა ლევანმა.

ანდრომ ნაბიჯი შეაწეა. უცებ შეჩერდა და ლევანისკენ მოტრიალდა.

— შენ იმის თქმა გინდა, რომ...?

ანდრომ თვალი თვალში გაუყარა და საზე მოელუშა.

— ბოლო პარტიებს განზრახ აგებდა, არა?

ლევანმა არაფერი თქვა.

— შენ გგონია, ვერ მიხვდები? რომ იცოდე, ჩემთვის წაგებაზე საწყენი სწორედ ეგ იყო — მოწინააღმდეგის მოწყალება, ყალბი დიდსულოვნება.

— კეთილი ბიჭია უშანგი!

— ისევ გაიმეორა ერთხელ ნათქვამი ლევანმა.

— ჰო, შებრალება სიკეთეა... მაგრამ შენ მარტო სიკეთით ხსნი მის მოქმედებას?

— აბა, სხვა რა ახსნა შეიძლება?

— ამას წინათ ერთ წიგნში ამოვიკითხე, ყველა ადამიანს საკუთარი თავის სიყვარული და სარგებელი ამოქმედებს, როცა სიკეთეს სჩადისო.

— ეგ შეუძლებელია, — გაფითრდა ლევანი, — ეგრე რომ იყოს, მაშინ სიყვარული დაუსრულებელი აღებმიცემოდა იქნებოდა და ცხოვრება ჩალად აღარ ეღირებოდა.

— ადამიანს თურმე თავისი თავი უყვარს ყველაზე მეტად. კაცის სულის სიღრმეში გონებისათვის მიუწვდომელი ამბები ხდება თურმე და იმ ბრძენის ნათქვამს, ეტყობა, საფუძველი აქვს. ჰოდა, თუ ადამიანის ყოველი ნაბიჯი მხოლოდ საკუთარი თავის სიყვარულითაა ნაკარნახევი, უშანგის „სიკეთესაც“ თავისი მიზეზი ექნება და ამიტომ მაღიზიანებს მისი ხაზგასმული გულკეთილობა. დიდხანია იცნობ უშანგის?

— ფეხის ადგმიდან.

— მუდამ ეგრე კეთილი იყო?

— მუდამ.

— ცოტა არ იყოს, ყოყმანით თქვა ლევანმა.

ანდრომ მხრებიდა აიჩეჩა, გაუჟღადა და ისევ ფეხს აუჩქარა.

— იცი, რა? — უცებ დაარღვია დუმილი ანდრომ. — ეგ შენი უშანგი თვალთმაქცია და ფარისეველი. სხვას ალბათ სიამოვნებს, თავისი ნებით რომ ჰყრის ფარხმალს და თავს დამარცხებულად აჩვენებს, მე კი ნერვებს მიშლის და მაღიზიანებს. ჩვენ ჯერ მხოლოდ თხუთმეტი წლის ბიჭები ვართ და გულწრფელობა უფრო შეგვეშენის, ვიდრე შორსმჭვრეტელობა და ციფი ანგარიში. ეგრე, ცხოვრების უკუღმართობისაგან გატეხილი, განსაცდელკამოვლილი და მწარე ბედს შეგუებული ხნიერი ადამიანები იქცევიან. ქლესაობა მიშლს და ჩემ დღეში მაგასთან აღარ ვითამაშებ! — მოსჭრა ანდრომ.

დანარჩენი გზა უბრაოდ გაიარეს.

გადასახვევთან რომ მივიდნენ, ანდ-

როს არც მოუხედნია, თავდაღმართზე დაეშვა.

მარტო დარჩენილი ლევანი ქრთმანს სახტად იყო.

ანდროს ალბათ რაღაც გაახსენდა, შუადაღმართზე შეჩერდა, ხელი აღმართა და დაუმშვიდობებლად მიტოვებულ ამხანაგს გამოსძახა:

— ნახვამდის, ლევან!

— ნახვამდის ანდრო!

გასძახა გახარებულმა ლევანმა.

ანდრო ისევ შებრუნდა და დაღმართს ხტუნვით დაუყვია.

ლევანი მარტო მიაბიჯებდა.

ანდროს ნათქვამმა დააეჭვა და ააფორიაქა.

ნუთუ უშანგის გულკეთილობას მართლა პირადი სარგებელი უდევს სარჩულად, ნუთუ სიყვარულისა და მეგობრობის საფუძველი მხოლოდ ანგარებაა და სხვა არაფერი? განა თვითონ ლევანს ანდრო მხოლოდ საკუთარი თავის სიყვარულის გამო უყვარს? ან თუნდაც, მამიდა სოფიო და ბიძა აბესალომი? როგორ შეიძლება დედისა და შვილის, დისა და ძმის სიყვარული რაიმე სხვა გრძნობით იყოს ნაკარნახევი? განა თავად ლევანი რაიმე სამაგიეროს მოელის ანდროსაგან, უსაზღვროდ რომ უყვარს იგი? ლევანი ხომ მზად არის აღიდებულ წყალში დაუფიქრებლად გადავარდეს, თუ კი ეს ანდროსათვის იქნება საჭირო?! ხნიერ კაცებს, ცხოვრების სიმწარენაგემებ ადამიანებს, ალბათ, მართლაც ამოქმედებთ პირადი ანგარება, როცა სხვათა მიმართ სიკეთესა და სიყვარულს იჩენენ, მაგრამ უშანგი ხომ ჯერ მასავით ბავშვია, მასავით გულწრფელი და გაურყვნელი. მასაც ხომ უსაზღვროდ უყვარს თავისი ტოლსწორები. განა ამ ყმაწვილურ, ალალ სიყვარულში რაიმე სხვა გრძნობას და, მით უფრო, ანგარებას შეიძლება ჰქონდეს, თუნდაც, უმნიშვნელო ადგილი? მაგრამ უშანგი საერთოდ სხვაგვარი

ბიჭია. დაჩაგრულსა ჰგავს. სხვებთან ურთიერთობაში მორიდებულია და ზომიერი. გრძნობას ბოლომდე არ აპყვება, უქედურესი არც წყენა იცის, არც ალტაცება. მოქმედებაში სიფრთხილეს არ კარავს და თავის დროზე გრძნობისათვის ლაგამის მოწევა არასოდეს ავიწყლებს.

ლევანმა თვითონაც ვერ გაიგო, როგორ უცვალა ამ ფიქრებმა მიმართულება და უკანვე, უშანგის სახლთან როგორ მიიყვანა. უშანგი ზის ქვეშ იქ და, მოწყენილი.

— უშანგი!

ხმადაბლა გასძახა ლევანმა.

დაძახილზე უშანგიმ მოიხედა და ლევანს მოეჩვენა, რომ თვალი ცრემლიანი ჰქონდა.

ლევანის დანახვამ შეუბლი გაეხსნა და სახე გაუბრწყინდა. მაშინვე წამოდგა და ჭიშკრისაკენ წავიდა.

— შემოდი, ლევან.

— არა, ვერ შემოვალ... რაღაც მინდა გკითხო.

უშანგის სახეზე დაბნეულობა გამოეხატა.

— მართალი მითხარი, ძალად, განზრახ აგებდი ანდროსთან?

უშანგიმ თავი ჩაჰკიდა და არაფერი უბასუხა.

— მე შეგამჩნიე, ფიგურებს განზრახ უღებდი და აგებდი. მართალი ვარ თუ არა?

უშანგი ხმას არ იღებდა, მხოლოდ წარბი უტრკავდა ნერვიულობისაგან და ხელით ღობის წნელს აწვალებდა.

— ამას იმიტომ აკეთებდი, ანდროსათვის გესიამოვნებინა, არა?

— ანდრო ჯიბრიანი ბიჭია. ვაჭყობდი, წაგება სწყინდა და აბრაზებდა... კიდევ რომ მომეგო, ალბათ, მტრად გადამიკიდებოდა...

— წრელახტიც მაგიტომ მიატოვე იმ დღეს?

— მაგიტომ... ანდრო ინტერესიანი ბიჭია-თავისზე ძლიერს, თავის მკობნს ვერ იტანს. ხომ ნახე, რა მწარედ მცემ-

და ქამარს, როგორი სასტიკია და უღმრთებელი.

— მე მეგონა კეთილშობილი იყო და გულკეთილობით მოგდიოდა, შენ კი თურმე შიშითა და გონების კარნახით მოქმედებდი. ანდრო მართალი ყოფილა...

— რაო, რაში ყოფილა მართალი?

— გაბრაზებულმა შენზე ასე თქვა: უშანგი არაგულწირფელია და ჩემს დღეში მაგასთან აღარ ვითამაშებო.

უშანგიმ ამოიოხრა.

— მე კეთილ ბიჭად მიმაჩნდი. შენ კი თურმე მხოლოდ შიში და ანგარიში გამოქმედებდა.

— განა მე მინდოდა, ლევან, — სინანულით თქვა უშანგიმ და ერთხანს გაუუბრა.

მერე თვალზე ცრემლი მოეძალა და ქვედა ტუჩი აუთრთოლდა.

— შენც გახსოვს რა დღეში ვიყავი მამის დაღუპვის შემდეგ. სულ კონტრ-რევოლუციონერის შვილს მეძახდნენ და ყველას ათვალწუნებული ვყავდი...

უშანგის ხმა აუკანკალდა და ცრემლი რომ დაეძალა, სახე გვერდზე იბრუნა.

წამით თვალწინ გაუბრინა შიშში თერთად გათენებულმა ღამეებმა, ჩხრეკისა და ღვეწის საშინელმა სურათებმა, მაშინ უბედურებისაგან გაეკრებულ დედა კრუხივით გადაფოფრილი იცავდა ათასი მტრისა და მოშურნისაგან თავის ერთადერთ შვილს და გულში ჩახუტებულ ბიჭუნას ძილის წინ გამუდმებით ერთსა და იმასვე ჩააგონებდა:

— ამხანაგებს ნუ გაუსწრებ, შვილო, ნურც სწავლაში და ნურც სხვა საქმეში. ეცადე, არავინ დაჭაბნო და არავის აწყენინო, თორემ სკოლიდან გაგაგდებენ, გაგთელავენ და მოგსპობენ.

გამგონე შვილი დედის ცნებას მორჩილად ასრულებდა, ყველას თავს უხრიდა და საკუთარ ნაჭუჭში ძვრებოდა, სხვა ბავშვებივით გულს ვერც სწავლით ახარებდა, ვერც თამაშით, ყველ-

გან ჩრდილში დგომას ცდილობდა, რომ თვალში არავის შეჩხვროდა, სულ სხვის მომადლიერებაზე ზრუნავდა და საკუთარ სიამოვნებას ივიწყებდა.

ფიქრში წასული ლევანი ერთხანს სდუმდა. თვალწინ დაუდგა სკოლასა და სახლში გაუცინარი, გულჩათხრობილი ბიჭუნა, დაშინებულივით რომ ყველას გაურბოდა და საკუთარ თავში იკეტებოდა.

— მართალი უთქვამს ანდროს, ეგრე ცხოვრების უკუღმართობისაგან გატეხილი, განსაცდელგამოვლილი და შწარე ბედს შეეგუებული ადამიანები იქცევიანო. — როდის-როდის, ბრძენი კაცივით დაასკვნა ლევანმა და თავი ჩაჰკიდა.

— ცხოვრება მკაცრი ყოფილა და უღმობელი!

— ეგრეც რომ იყოს, განა ყველას ერთნაირად უნდა მოექცე? განა სხვას რომ ქედს უხარი, მეგობრებთანაც ეგრე უნდა ჰქნა? ანდრო შენი მეგობარია და მეგობართან მაინც გულწრფელი უნდა იყო. შენ გეგონა, წაგებით ამებდი ანდროს, ის კი ყველაფერს მიხვდა და უფრო გაბრაზდა. არასოდეს შენთან აღარ ითამაშებს!

— ჩემი ბრალი არ არის, ლევან. რა ვქნა თუ შიში და უნდობლობა პატარაობიდანვე ღრმად მაქვს გულში ჩაბუღებული.

უშანგის სახე წამოუწითლდა, ხმა აუკანკალდა და ცრემლები გადმოსცვივდა.

ლევანმა დამნაშავესავით შეხედა. შეებრაღა. უნდოდა რაიმე სანუგეშო, გამამხნევებელი ეთქვა, მაგრამ...

— ნახვამდის!

წაიღუდუნა და უცებ მოსწყდა ლობეს.

ჩქარი ნაბიჯიდან უცებ სირბილზე გადავიდა. უკან არ იხედებოდა, ისე მიიბოდა.

ყელში რაღაც ბურთივით აწებოდა, ბოლმა აღრჩობდა და ხმამაღლა ტირილი უნდოდა. რომ გვეითხათ, რა ატი-

რებდა, ალბათ თავდაც ვერ გეტყვოდათ მიზეზს. ოღონდ, ეს იყო, იმ წუთში სადმე მარტოდმარტო ყოფნა. ქვეყნისაგან გაცლა და გულის მოთხება უნდოდა.

მაგრამ სოფელი დიდი იყო, ხალხი მიდი-მოდიოდა და თავის ხანმოკლე სიცოცხლეში პირველად ეგრე ღრმად გულნატყენ ქაბუჯს ხმამაღლა ტირილიც არ შეეძლო.

ინეინერი ზურაბ ავალიანი ერთი წლის წინათ დანიშნეს ყორნალის მალაროს უფროსად.

მისი მამა-პაპა ოდესღაც ყორნალიდან იყო თურმე წასული და, როცა ახალგაზრდა ინეინერმა წინაპრების ნასახლარი იპოვა, იქ ხელახლა დაკვიდრების სურვილი აღეძრა. ავალიანის გადაწყვეტილება ორ ოჯახად ცხოვრებამ, თბილისსა და კლდეეთს შუა გაბჰული მოგზაურობის სიძნელეშაც დააჩქარა.

მალაროს უფროსს ქვეითკირის ორსართულიანი სახლი დაუთმეს. ეს სახლი ოდესღაც მაღნის მოპოვებელი უცხო ფირმის მიერ იყო აშენებული ფირმის წუღმივი წარმომადგენლის საცხოვრებლად.

მალაროების ნაციონალიზაციისა და კლდეეთში უცხო ფირმების წარმომადგენლობათა ლიკვიდაციის შემდეგ ყორნალის სახლი სპეციალისტების საცხოვრებლად იყო განკუთვნილი.

მალალ მთაზე გაშენებული ყორნალი სააგარაკო ადგილად ითვლებოდა და გრილი ჰავითა და ლამაზი ბუნებით კლდეეთიდან ზაფხულობით ბევრ დამსვენებელს იზიდავდა.

ავალიანმა ოჯახი ყორნალში ჩამოასახლა და ერთადერთი შვილი — ანდრო იქაურ სკოლაში გადმოიყვანა.

თბილისის შემდეგ ანდროს სოფლის სკოლაში სწავლა როგორ გაუჭირდებოდა! მალე პირველი მოწაფე გახდა და მასწავლებლებისა და ამხანაგების ყურადღება ერთბაშად მიიპყრო.

თბილისელი მოსწავლე რუსულად კარგად ლაპარაკობდა. უორნალის პირობებში ეს დიდი უპირატესობა იყო და ანდრომ არა მარტო რუსული ენის მასწავლებელი მოხიბლა, ტოლ-აშხანაგების თვალშიც განსაკუთრებული პატივისცემა დაიმსახურა.

ანდრო ავალიანი თავისი წლოვანების კვალობაზე საკმაოდ ნაკითხი იყო და მისმა მოსვლამ ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები მასწავლებლებისა და მოწაფეებისათვის ერთნაირად საინტერესო გახადა. ლიტერატურული გასამართლების მოწყობას, რეფერატების კითხვასა და მოწაფეთა კვლის გახეთის გამოცემას უორნალის სკოლაში ანდროს თაოსნობით მიჰყვეს ხელი.

ინეინერ ავალიანის ვაჟის ქება მალე გასცდა სკოლის კედლებს, ხოლო თვით სკოლაში ამხანაგებმა კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს და ამით საერთო აღიარება და ნდობა დაუდასტურეს.

ანდრო ფიცბი, მაგრამ გულშია ჰაბუკი იყო. ერთ წუთს მოსვენება არ შეეძლო, სულ რაღაცას იგონებდა, რაღაცის მიღწევას ცდილობდა, იბრძოდა და სხვებსაც ბრძოლისა და მოქმედების წყურვილს უწერავდა.

მასთან სიახლოვე ყველას უხაროდა.

ის რომ გამოჩნდებოდა, ლევანს ყველა და ყველაფერი ავიწყდებოდა. აღტაცებით შეჰყურებდა და მასთან განუყრელად ყოფნა უნდოდა.

ამხანაგთაგან მხოლოდ უშანგი არ იჩენდა ანდროს მიმართ გამორჩეულ დამოკიდებულებას, რატომღაც ერიდებოდა და მისკენ სხვებივით არ ისწრაფვოდა.

ალბათ სწორედ სხვებისგან განსხვავებული გაკრძალულობა იყო მიზეზი იმისა, რომ ანდრო თავად ეძალეობდა, გული სულ უშანგისკენ მიუწყევდა.

ლევანს უყვირდა: ანდროსა და უშანგის პირველივე შეხვედრა კინალამ ჩხუბით დამთავრდა. მათ ურთიერთობას

გულითადობა აკლდა და მინც, თუმცა ანდროს უშანგი გულზე არ ეხატა, სულ მისი აზრი და ნათქვამი ინტერესებდა, მასთან საუბარი და თამაში იზიდავდა.

ავალიანის ოჯახს შენობის მეორე სართულზე სამი ოთახი ეკავა.

მეოთხე — ბოლო ოთახი დაკეტილი და ბეჭდით დალუქული იყო. ის ოთახი გარედან ყველაზე დიდი ჩანდა. სამი ყრუ კედელი ალბათ საკმაოდ ჩააბნელებდა ოთახს, მეოთხეს რომ ეზოს მხრიდან დიდი სარკმელი არ ჰქონოდა.

მტერისა და ჭუჭყისაგან დაბურული, დიდი ხნის გაუღებელი სარკმელი ისე მალდა იყო, იქიდან ოთახში კაციშვილი ვერ შეიხედავდა.

მაღაროს მუშა-მოსამსახურეთაგან იმ ოთახის დანიშნულება არავინ იცოდა, არავის ახსოვდა, რომ ოთახი ოდესმე გაეღოს ვისმე, არც ის იცოდნენ, ასე საგულდაგულოდ რატომ იყო დაკეტილი დალუქული.

სახლში დაბინავებისთანავე ანდროს ყურადღება იმ საიდუმლოებით მოცულმა ოთახმა მიიპყრო. საიდან არ მიუღვა, რომელი ჭუჭყრტანიდან არ სცადა შიგ შეხედვა, მაგრამ ამოდ, ოთახში ბნელოდა და არაფერი ჩანდა.

ამ იღუმალებამ კიდევ უფრო გაუცხოველა ინტერესი და ერთხელ, როცა ლევანიც მასთან იყო, მაღალ სარკმელზე ასვლა გაბედა.

უფროსები შინ არ ეგულეობოდა და სწორედ შესაფერისი დრო იყო. სარდაფიდან გრძელი კიბე გამოათრავეს, სარკმელს მიუღდგეს და პირველი ზედ ანდრო ავიდა.

მაგრად ჩაქედილი სარკმლის გაღება გაუჭირდათ. მინის ვატება არ უნდოდათ და დიდხანს იწვალეს.

როგორც იყო, ანდრომ სარკმელი გააღო და ოთახში ჩაბტა. მძიმე, დაბზული ჰაერი იდგა. ჰერი და კედლები ალაბუღებს დაეფარა.

ყმაწვილი მოულოდნელობისაგან გა-

მტერდა: ოთახის ოთხივე კედელზე ჰერამდე ასული თაროები წიგნებით იყო გაქვდილი. ძვირფას ყდებში ჩასპული რუსული, ფრანგული და ინგლისური წიგნები მიჯრით იყო ერთიმეორის მხარდამხარ მიწყობილი. იატაკსა და თაროებზე მტერის სქელი ფენა იდო.

სახეგაბრწყინებული ანდრო იქაურობის ცქერით სტკებებოდა, დროდადრო რომელიმე წიგნზე მტერს ფრთხილად გადასწმენდა, ხელს კრძალვით გადაუსვამდა, თითქოს მიუალურსაო, ნაბიჯს გადადგამდა და ახლა სხვა წიგნს დააქვრდებოდა.

სარკმელზე ლევანი შემოდგა, გაოცებული მიაჩერდა წიგნების იმ ტყეში გაოგნებულად მოყიალე ანდროს და თავდაც გაოცებისაგან ვაშტერდა.

ნელა ჩახტა სარკმლიდან.

— ეს რა განძს წავაწყდით, ლევან! ალტაცებით ამოიძახა ანდრომ.

— ეს სულ რუსულია!

დაპყვა ერთ მხარეს ლევანი.

— სულ რუსულია! მერე რა წიგნებია — მთელი რუსული კლასიკა! რუსულად თარგმნილი დასავლეთის მთელი ლიტერატურა!

— აქეთ ფრანგული და ინგლისური წიგნებია!

— აფსუსს, რომ ფრანგული და ინგლისური არ ვიცი!

— უშანგიმ იცის ინგლისური.

— არ გინდა... ნუ ეტყვი... — მკლავში ჩაჰკიდა ხელი ანდრომ, — ქვეყანას ნუ შეეყრით, ჩვენ შორის დარჩეს. კაციშვილს ნუ გავანდობთ ამ ბიბლიოთეკის საიდუმლოებას. წიგნები ჩუმჩუმად გავიტანოთ, წავიკითხოთ და ისევ თავის ადგილას დადოთ. უშანგისაც წვეულთ ზოლმე, ოღონდ იმას ნუ მოვუყვებით, საიდან არის. მე ვეტყვი. მამაჩემის ბიბლიოთეკიდან არის-თქო.

— ეგრე ვქნათ.

დაუმოწმა ლევანმა.

მტერით დაფარულ მაგიდაზე რაღაც წიგნი იყო გადაშლილი. ანდრომ სახელოთი მოაქილა მტერის სქელი ფენა

და წითელი ფანქრით ხაზგასმულ სტრიქონებს უინტერესოდ დახედა.

დახედა და თვალი ვერ შოამოკრა — რა არი, რა წიგნია?

დააქვრდა ლევანიც.

ანდრომ გაშლილი წიგნი დაეცა და ლევანმა გარეკანზე ავტორის გვარი რომ ამოიკითხა, შეშინებულმა წიგნს ხელი ისე ცივად უშვა, თითქოს გველს ეკბინოს.

— ამას რაღა უნდოდა აქ?

გაოცებით ამოიჩურჩულა ლევანმა.

— ეშმაკმა იცის! ვინმემ არ შეპოგვისწროს და შარში არ გაგვხვიოს.

თქვა ელდანაცემმა ანდრომ და იქაურობას თვალი მოავლო. მერე უცებ წიგნი აიღო, კარადასა და კედელს შუა ღრმად შეისროლა და შვებით ამოისუნთქა.

— ეგ წიგნი საჩვენო არ არის და ტყუილად თავს ხიფათში ჩავივლებდით!

— მართალს ამბობ, ეგ რომ ვინმემ გვინახოს, ციმბირი უკან დაგვრჩება!

ჩურჩულით თქვა შემკრთალმა ლევანმა.

— მიდი, სარკმელიდან გადაიხედეთ არავეინ ჩანს, წიგნები ჩუმად დაბლა გადავყაროთ და სარკმელი ისევ ძველებურად დახუროთ, სანამ ვინმე მოგვისწრებდეს.

ლევანი სარკმლისაკენ წავიდა. თავი ფრთხილად გაჰყო და ეზო მოათვალიერა. ეზოში არავეინ იყო და ანდროს ხელით ანიშნა.

ანდრომ წიგნები გადმოაწყო ლევანი დასწვდა და მალეიდან პარტყაპურტყით წამოვიდა ლამაზ ყდებში ჩასმული პუშკინისა და ტოლსტოის, დოსტოევსკისა და ტურგენევის, ბალზაკისა და სტენდალის ტომები.

— ეს ორ-სამ თვეს გვეყოფა მერე კიდევ მოვიღეთ.

თქვა ანდრომ და სარკმელში გადააღაჯა.

— უშანგის? ინგლისური არაფერი წავუღოთ?

— ჰო, მართლა, კინაღამ დაგვევიწყ-
და აგერ, მანდ არის ინგლისური წიგ-
ნები.

ლევანს რჩევა არ დაუწყია. ავტორის
გვარებისა და წიგნების სახელწოდები-
სათვის არც დაუხედა. რაც მოჰყვა,
ხელი იმას დაავლო და სამ სქელ ტომს
სარკმლიდან გადაუძახა.

კიბეზე გადავიდნენ. სარკმელი ისევ
საგულდაგულოდ დაეკეტეს, ძირს ჩამო-
ვიდნენ, კიბე სარდაფშივე შეიტანეს და
წიგნები აკრიფეს.

იმ ღამეს ორივემ კითხვაში გააუენა.
მეორე დღეს სკოლაში რომ განმარ-
ტოვდნენ, ერთმანეთს არ აცლიდნენ
წაკითხულით განცდილი ალტაცების გა-
მოთქმას.

მერე ანდრომ უშანგი ცალკე გაიყვა-
ნა და ქალაღში გახვეული წიგნი გა-
უწოდა.

უშანგამ წიგნი გაშალა და თვალები
გაუბრწყინდა.

— შექსპირი!

— მამაჩემის ბიბლიოთეკიდან არის.
წაიკითხე. როცა დამიბრუნებ, სხვა
წიგნს კიდევ მოგცემ.

ერთი კვირის შემდეგ უშანგამ შექს-
პირის ტომი უკან მიუტანა.

— ასე მალე? სულ წაიკითხე?

გაუკვირდა ანდროს.

— ჰო, სულ წავეიკითხე, თუმცა...

— თუმცა რა?

— კიდევ მჭირდებოდა ცოტახანს,
ქართულ თარგმანს ვაძარებდი.

— შექსპირის ქართული თარგმანი
გაქვს?

— გაქვს, მხოლოდ ერთი ტრაგედია,
„იულიოს კეისარი“.

— „იულიოს კეისარი“? ალბათ ძალ-
ზე საინტერესოა! შენ რომ აღარ დაგ-
ჭირდება, მათხოვე, მეც წავეიკითხავ.

რამდენიმე დღის შემდეგ უშანგამ
„იულიოს კეისარი“ მოუტანა ანდროს
და ალგებრის გაცვეთილზე ჩემად გა-
დააწოდა.

ლიტერატურით გატაცებამ ანდროს
უკანასკნელ ხანს მათემატიკაზე უგულო
აუყარა. ერთხელ ორბანიც ქობილით
და მასწავლებლის რისხვა დამისახურა:

— ამ ბოლოს ვეღარ გცნობ, ავალი-
ანო! არ გარგებს მათემატიკის აგდება.
ჩვენ დროში ყველაფერი მათემატიკა-
ზეა დამყარებული, მეცნიერებაცა და
ტექნიკაც. მარტო რომანების კითხვით
შორს ვერ წახვალ. მათემატიკის ნიჭი
გაქვს და გირჩევნია, ძველებურად
გულისყურით მოეკიდო ჩემს გაცვეთი-
ლებს.

აფრთხილებდა მათემატიკის მასწავ-
ლებელი, მაგრამ ანდრო მასწავლებლის
რჩევა-დარიგებას ანგარიშს არ უწევ-
და, მის გაცვეთილებს უღრს არ უგდებდა
და ზოგჯერ არც საშინაო დავალებებს
ასრულებდა.

ოცნებაში წასული ანდრო არაერთ-
ხელ გამოუფხიზლებია ალგებრის მას-
წავლებლის მრისხანე შეძახილს, ერთი-
ორჯერ სხვა წიგნის კითხვაშიც დაუჭე-
რია, მაგრამ ანდრო ოსტატურად ახერ-
ხებდა წიგნის დამალვას და მასწავლე-
ბელს პირში ჩალაგამოვლებულს სტო-
ვებდა.

გაბრაზებული მასწავლებელი დირექ-
ტორთან დასმენით და წიგნის წართმე-
ვით ემუქრებოდა სულ ცოტახანის წინ
მისთვის საყვარელ. სანიმუშო მოწა-
ფეს, ჩასაფრებული ნადირივით უთვალ-
თვალეებდა და იმეღს არ კარგავდა, რომ
ერთხელაც იქნებოდა გარეშე წიგნის
კითხვაზე ჩააგლებდა და წიგნსაც დაუ-
ჭერდა.

როგორც კი „იულიოს კეისარი“ გა-
დააწოდეს, ანდრომ წიგნი მუხლზე
დაიღო და ოსტატურად მოეწყო. შუბ-
ლით ხელს დაყრდნობილი მუხლზე
გაშლილ წიგნს ისე კითხულობდა, კაცს
ჩაფიქრებული ეგონებოდა და ეჭვიც
არ შეეპარებოდა, რომ მერხის ქვეშ
თვალს შექსპირის ტრაგედიის სტრი-
ქონებს აყოლებდა.

მაგრამ ავალიანის უყურადღებობით
გაბრაზებული მათემატიკის მასწავლე-
ბელიც ფხიზლობდა, მიმინოსავით ცა-

ლი თვალი მეოცნებე მოწაფისკენ ჰქონდა და ადვილად როდილა აპირებდა თავის მოტყუებას.

მოჰყრა თუ არა თვალი წიგნს, ვითომ არც დაეახოს, ისე წაუყრუა, ზურგზე ხელდაწყობილი ბოლთას მოჰყვა და ანდრო რომ კითხვამ გაიტაცა, სწორედ მაშინ დააცხრა ქორივით: წიგნს ხელი დაავლო, ააფრიალა და იყვირა:

— არ დაიშაღე, ხომ, ავალიანო. ახლა რალს იტყვი, ალგებრას უგდებდი ყურს, არა? ვნახოთ, რას კითხულობდი და მერე დირექტორთან გავისწორდები.

მასწავლებელმა სათვალე მოიმარჯვა, ჯერ წიგნის სათაურს დახედა.

— შექსპირი! ჰმ... შექსპირი!

ავტორი იმდენად ცნობილი და საპატიო იყო, რომ ალგებრის მასწავლებელს ენა არ მოუბრუნდა, მის დასაგმობაზე რაიმე ეთქვა. სათვალე მოიხსნა და ავალიანს უყვირა:

— იცი, ვინ იყო შექსპირი?

ავალიანი ფეხზე აწურული იდგა.

— ვიცი, მას...

წაიდუღუნა ხმაწაწყვეტილმა ანდრომ.

— ის თუ იცი, რომ შექსპირმა ალგებრაც კარგად იცოდა და ტრიგონომეტრიაც, ასტრონომიაც და ფილოსოფიაც. ის თუ იცი, რომ ყველა დიდი ფილოსოფოსი და მწერალი მათემატიკოსიც იყო და ალგებრას შენსავით აგდებულად არ ეკიდებოდა.

აუწია ხმას მასწავლებელმა. პირმოკემულ, თავჩალუნულ მოწაფეს თვალი ერთხელ კიდევ დაუბრიალა, სათვალე გაიკეთა, წიგნი ხელზე დაირტყა, გადაშლილ გვერდს დახედა და ხმამალლა დაიწყო კითხვა:

— ხალხიდან მომწვდა ვიღაცის ხმა, კეისარო, გამოდი, ვინ ხარ, კეისარი აი, ყურს გივადებს.

— ჰო, კეისარო, გეშინოდეს მარტის იღვბის მასწავლებელმა წიგნი დახურა და ავალიანს მიაჩერდა.

— მარტის იღვბი რა არის მასწავლებლო?

წამოიძახა რომელიღაც მოწაფე.

მასწავლებელმა ისევ წიგნს დახედა:

— ჰოი, კეისარო, გეშინოდეს მარტის იღვბის...

გაიმეორა სტრიქონი, მერე ერთხანს სქოლიოს დააცქერდა, იქ განმარტება ვერ იპოვა, სათვალე მოიხსნა და ის იყო მზერა ისევე ავალიანზე გადაიტანა, რომ ზარიც დაირტყა.

დაბნეულმა, საქციელწამხდარმა მასწავლებელმა, მაინც უღუბრი არ გაიტეხა, მომეყო, ანიშნა ავალიანს და განრისხებული დირექტორის კაბინეტისაკენ წაუძღვა.

მოწაფეები ერთბაშად წამოიშალნენ, ყიფინით გარეთ გაცვივდნენ და დიდხანს ისმოდა გრძელ დერეფანსა და პატარა ეზოში მათი მზიარული შეძახილები:

— ჰოი, კეისარო, გეშინოდეს მარტის იღვბის.

შექსპირის ტრაგედიიდან წამოღებულ იმეოთხევის ეს სიტყვები მეორე დღესაც პირზე ეკერათ მოსწავლეებს, ზოგს ისე აეკვიტა და ჩაებუჭდა გონებაში, რომ აგერ, ლევანის ხნობამდის მოჰყვა და უკვე დაფაქცეულყო, წლოვანებითა და გამოცდილებით დადინჯებული ანდრო ავალიანი და ლევან გაფრინდაშვილი, ყველა შესაფერავს შემთხვევაში, ხმამალლა წარმოთქვამდნენ ხოლმე ერთიმეორის მისამართით:

— ჰოი, კეისარო, გეშინოდეს მარტის იღვბის.

ტელეფონის ზარმა გაიწკრილა-

ლევანი ზარმა შეაკრთო და ფიქრიდან გამოიყვანა.

— ჰო, მე ვარ, — ჩასძახა ყურმილში, — ცოტალა დამრჩა, მალე გავათავებ... ათ-თხუთმეტი წუთში.

რედაქციის მდივანი რეკავდა. ვაზეთის გვერდებს თხოულობდა. ლევანმა მოთხრობის წაუკითხავ ნაწილს დახედა, კიდევ ბევრი დარჩენოდა. ათი-თხუთმეტი წუთი არ ეყოფოდა. თხუთმეტი წუთი კი არა, საათიც არ იკმარებს, ასე თუ იკითხა, აბზაც-აბზაც.

მინც რა დაემართა, დაიწყებს თუ არა კითხვას, რამდენიმე წინადადების აზრის გაგებასაც ვერ ასწრებს, მაშინვე ფიქრი წაიღებს, მოგონება გაიტაცებს და თვალები მექანიკურად მისდევნ სტრიქონებს. კითხულობს, მაგრამ გამორთულ, სხვაგან მფრინავ გონებას წაკითხულის აზრი აღარ სწვდება, სტრიქონები აზრის აღუქმელად, გაუგებრად გარბიან და ორჯერ თუ სამჯერ უყურადღებოდ, ავტომატურად წაკითხულს ხელახლა კითხულობს.

ახლა კი სხვაზე აღარაფერზე იფიქრებს, თავისთავს მტკიცედ აძლევს სიტყვას ლევანი და მოთხრობაში იმ ადგილს ეძებს, საიდანაც წაკითხულის შინაარსი აღარ გაუგია:

სოფლის ეკლესია დაკეტილი ჩანდა. ერთი კედელი შელანძვოდა, ტყვიებსა და ყუმბარის ნაშხვრეულებს დაეცხრილა და დაეფხაჰნა.

ეკლესიას ფრთხილად მივუახლოვდით. კედელს ამოვეფარეთ და ცოტა სული მოვიტევეთ.

წინ ტრიალი მინდორი იყო და ახლა ის უნდა გადაგვეწყვიტა, გზა საით, რა მხარეს გაგვეგრძელებინა.

უცებ გზაზე ავტომატიანი გერმანელების ჭგუფი გამოჩნდა. მტერი ახლო არსად ეგულებოდათ, არხეინად მოაბიჯებდნენ და ხმამაღლა ყაყანებდნენ.

გაქცევა არსად შეიძლებოდა, ეკლესიას როგორც მოვშორდებოდით, ტრიალ მინდორზე აღმოვჩნდებოდით და გერმანელების ავტომატებს ვერსად დავშვებოდით.

კედელს ვიყავით გაკრულნი, მაგრამ ეს ვერაფერი იმედი იყო. თუ დროზე არაფერს ვიღონებდით, გერმანელები მალე თავს წამოგვადგებოდნენ.

ეკლესიის კარისკენ სწრაფად გავხოხდი. მხრით მივაყეპი და სასწაული მოხდა: კარი ნელა, მძიმედ გაიღო. ვალერის ხელი დაუქნიე, ისიც წამსვე მოცოცდა. საყდარში შევედით და კარი შიგნიდან მივხურეთ. ძირს დაგდებული

ურდული სახელურებში გავუტარეთ. კარი საიმედოდ ჩავრახეთ. ყოველი შემთხვევისათვის, კართან დარჩენას სიღრმეში მიმალვა ვარჩიეთ, საკურთხეველში შევედით და ხის მაღალ მოაჯირს ამოვეფარეთ.

ავტომატები წინ დავედით და მოვეშვადით.

მტერი თუ კარს შემოამტვრევდა, აქედან მიზანში ადვილად ამოვიღებდით, გერმანელების ჭგუფი არც ისე მრავალიცხოვანი ჩანდა და თუ ყველას ვერ მოვსპობდით, ჩვენს დაღუპვას მინც ძვირად დავუსვამდით.

მუხლზე ჩაჩოქილი ვალერი ეკლესიის კარს თვალს არ ამორებდა, სული გაენაბა და ცდილობდა როგორმე სმენით საყდრის სქელი კედლების მიღმა ხმაურს მისწვდომოდა.

დიდი ხნის გამოკეტილ ეკლესიაში ნესტი იდგა. კედლებზე აბლაბუდები ეკიდა და ქერში ღამურები დაფრინავდნენ.

ეკლესია ძველი უნდა ყოფილიყო. ჩამტვრეულ ვიტრაჟს ალაგ-ალაგ კიდევ შემორჩენოდა ადრინდელი მხატვრობის კვალი.

დახშულმა ჰაერმა, სიბნელემ და დამურების ფარფატმა ჩვენი ტამარ-მონასტრები გამახსენა. უცებ ჩემი თავი ატენსა თუ ყინწისში წარმოვიდგინე და რალაც მშობლიური გრძნობა დამეუფლა.

თვალი ისევ აქრულდა. მოთხრობის სტრიქონებს კვლავ მექანიკურად მიყვება, ლევანს წაკითხულის არაფერია ესმის, გონება ისევ ცოტახნის წინ გაწყვეტილ ფიქრს უბრუნდება და მოგონებაში იძირება.

აბესალომ დეკანოზს სასულიერო აკადემია რუსეთში ჰქონდა ღამთაგრებული. მისთვის ქრისტეს სამსახურის ყველა გზა ხსნილი იყო, რუსეთის რომელ გუბერნიაშიც მოინდომებდა, ეპარ-

ქიას ჩააბარებდნენ, მაგრამ აბესალომმა სამშობლოში დაბრუნება ირჩია და თბილისში დარჩენაც არ ისურვა.

ყველას გასაოცრად მშობლიურ სოფელს მიატანა და ძველისძველი მონასტრის ეკლესიაში მღვდლად გამწესდა.

მამის გარდაცვალების შემდეგ სოფელში აბესალომს მოხუცი დედა და პატარა და-ძმა — სოფიო და იასონი — ჰყავდა საპატრონო.

იასონზე ბარე ათი წლით უფროსი იყო აბესალომი. უმცროსი ძმისათვის უმამობა არ უგრძობობინებია, შვილივით გაზარდა და სემინარია რომ დაამთავრებინა, უმაღლესი განათლების მისაღებად შვეიცარიაში გაგზავნა.

ფულს ყოველთვის უგზავნიდა, მაგრამ უმცროსი ძმა თავიდანვე დაუდევრობას თუ უმადურობას იჩენდა, წერილებზე პასუხით არ ანებივრებდა და ზოგჯერ სამ თვეში ერთ პატარა ბარათს ძლივს გამოიმეტებდა.

ასე გრძელდებოდა სამი წლის განმავლობაში.

აბესალომს იასონი მესამე კურსის სტუდენტად ეგულებოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბაქოდან შეატყობინეს: შენი ძმა ციხეში ზის, ჩამოდი და რამე უშველო. ამ ამბის გაგონება მუხის დაცემა იყო აბესალომისათვის. იმდენად დაუჭკრებლად ეჩვენა ყენევის უნივერსიტეტის სტუდენტის ბაქოს ციხეში პატივრობა, რომ სხვისი წერილი არ იჩუმუნა, სანამ თვითონ იასონის ხელით დაწერილი ბარათი არ მიიღო.

საიდუმლოდ გამოგზავნილი წერილით იასონი ძმას ატყობინებდა, თუ არ ჩამოდი და რამე არ მიშველე, ციხიბრში გადამასახლებენო. მოულოდნელი ამბისაგან თავზარდაცემულმა აბესალომმა მაშინვე ბაქოს მიაშურა, მაგრამ ძმა უკვე საპყრობილეში აღარ დაუხვდა: რევოლუციონერ ამხანაგებს ციხიდან გაეპარებინათ და საუბრად გადაკარგულიყო.

იმ დღიდან აბესალომმა ძმის ასავალდასავალი აღარ იცოდა.

არეულობის წინ გამოჩნდა კლდეტოში იასონი, რომელიდაც მალაქრთმა მადნის მწონავად დაიწყო მუშაობა და ნაქირავებ სახლში დაბინავდა.

ამდენი ხნის უნახავ, მოამაგე ძმას გულცივად შეხვდა იასონი.

სოფელში ავიდა თუ არა, მის ნახვას მონატრებულ და-ძმას გამოუცხადა, დღესვე უკან უნდა გაგბრუნდეთ.

აბესალომი და სოფიო თან გადაჰყვინენ, ემუდარნენ, დარჩი, ცოტა დაისვენეო, მაგრამ იასონმა მათ ხვეწნას ყური არ ათხოვა და ერთხელ ნათქვამი არ გადათქვა.

რაკი წასვლა არ დაიშალა, გულდაწყვეტილმა და-ძმამ სუფრის გაწყობა დააჩქარა.

ორიოდე ჭიქა რომ შესვეს და ცოტაც დანაყრდნენ, აბესალომმა მორიდებულად შეაპარა საყვედური:

— რატომ მიატოვე, იასონ, სწავლა.

დაგემთავრებინა ბარემ უნივერსიტეტი.

— რა დროს უნივერსიტეტი, აბესალომ, თვალში არ იხედები?

უკმეხად უპასუხა იასონმა.

აბესალომი დაიბნა.

— უნივერსიტეტისათვის მოიცლის ახლა პატიოსანი კაცი, როცა რევოლუცია კარზეა მომდგარი?

— რევოლუცია სწავლას რას უშლის, ჯერ გესწავლა...

— შენ არაფერიც არ გესმის! — უხეშად შეაწყვეტინა იასონმა, — შენ რომ ხალხის სამსახურის რამე გაგებდოდეს, მაგ ხალხს რელიგიის ოპიუმით როდი გააბრუებდი.

აბესალომი გაშრა.

ამას კი აღარ მოელოდა შვილივით გაზრდილი ძმისაგან.

ლუკმა ყელში გაუჩერდა და ხელში ჭიქა შეაცვივდა. ორივე ძმა სდუმდა.

როგორ არ ეცადა სოფიო ძმების გულის მობრუნებას, მაგრამ არ იქნა, ზმა ვერც ერთს ველარ ამოაღებინა. იასონმა უმადოდ გაათავა კერძი. წამოდგა. ბოდიშიც არ მოუხდია, ქუდი ისე დაიხურა, და გადაკოცნა, ძმას ცალ-

ყბად ესროლა, ნახვამღისო, და წავიდა. ერთი კვირის შემდეგ აბესალომმა იასონის წერილი მიიღო. იასონი ძმას მოთხოვნილებას უყენებდა: ან ხუცესობაზე — ხალხის მოტყუებაზე აიღე ხელი, ან ჩემს მშობაზე, რადგანაც მე რევოლუციონერი მარქსისტი ვარ და ცრუმორწმუნეობის მქადაგებელთან ვერ მოვრიგდები.

ცოტახანიც უა იასონმა მამისეული სახლკარი შუაზე გაუყო აღმზრდელ ძმას.

ამის შემდეგ ძმები თითქმის უბრად იყვნენ.

იასონმა ცოლი შეირთო, მაგრამ არც ჯვარი დაიწერა, არც ცოლი დაწერა თავის გვარზე.

ორი შეილი გაუჩნდა და არც ერთი არ მოუნათვლინებია.

სოფიო სულ ეხვეწებოდა ძმასა და რძალს, მაგრამ რძალი ძმაზე უფრო ჯიუტობდა.

მერე ის იყო, ლევანის პატარა უა ვაცივდა და ანთებით გარდაიცვალა, უზიარებელი.

იასონმა ბავშვი მონასტრის სასაფლაოზე არ დაასაფლავებინა. ცხრაასხუთი წლის რევოლუციის მსხვერპლთა სამომ სასაფლაოზე, ტრიალ მინდორზე გააპრევენა საფლავი და ბაღლი წესის აუგებლად მიაბარა მიწას.

ამის შემდეგ დიუბანს აღარც იასონის ცოლს უცოცხლია. რევოლუციაში ჩაბმულმა იასონმა ობლად ღარჩენილ ლევანს სხვა ვლარაფერი მოუხერხა, სოფელში წაიყვანა და გაუთხოვრად დარჩენილ სოფიოს მიჰგვარა აღსაზრდელად.

თავად იასონი რევოლუციის ტალღას აჰყვა და ცხრა მთას იქით გადაიქარგა.

ლევანზე ზრუნვა ისევ იასონის გამზრდელმა ძმამ — აბესალომმა იღო თავს და უღედამოდ დარჩენილ ბავშვს თავის შინაბერა დასთან ერთად ზედ გადაეგო.

პატარა ლევანს მშობლები თითქმის აღარც ახსოვდა. სოფიო და აბესალომი მისთვის დედა და მამაც იყვნენ, მამიდა და ბიძაც.

აბესალომს გამორჩეული სიყვარულით უყვარდა ლევანი. წერა-კითხვა მან ასწავლა და სკოლაშიც მანვე წაიყვანა პირველად.

მოხუცებული ბიძა ფეხს არსად გადადგამდა, თან რომ ძმისწული არ წაეყვანა, ჯორზე უკან შემოსმულს დაატარებდა და გვერდით არ იშორებდა.

როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, იასონი იმ ხელისუფლებას კლდედ თუ შემოუძღვა და მშობლიურ ქალაქს წითელვარაკვლავიანი ძაბრისებური ქუდით მოველინა.

სოფელში იშვიათად ამოდიოდა და, როცა გამოჩნდებოდა, მაშინაც ცოტახანს, ძლივსძლივებით ერთ ან ორ დღეს რჩებოდა.

დეკანოზი ძმის სახლი მეზობლად იდგა, ეხოვებს შუაზე უბრალო ღობე ჰყოფდა, მაგრამ იასონი ძმის სახლკარისაკენ ერთხელაც არ გაიხედავდა.

ხანდახან სოფიოს ჰკითხავდა ავადმუცლად:

— რასა იქს აბესალომ ხუცესი, წირვა-ლოცვას არ ეშვება?

— როგორ მოეშვება, დილიდან საღამომდე მონასტერშია.

— ჩემი ბრალია. არ უნდა დამეთმო თბილისელი ამხანაგებისათვის, სიძველედ არ უნდა გამოგვეცხადებინა და, როგორც სხვა ეკლესიები დევანგრიეთ, ეგ მონასტერიც მიწასთან უნდა გაგვესწორებინა!

— მაგის დანგრევა როგორ შეიძლებოდა, თამარ დედოფლის აშენებულაი! შეიციბადებდა სოფიო.

— საქვეყნოდ თავს მკრის ჩემი ძმა სხვებს ვაღებინებ ხელს ცრუმორწმუნეობაზე და ჩემს საკუთარ ძმას ვერაფერს ვუხერხებ. ეს არის საქმე? ხალხი რას იტყვის, ძმას ინახავს, ხელს აფარებსო, რომ თქვან, ტყუილი იქნება? ან

გაიკრიბოს და პატიოსანი შრომით იცხოვროს, ან...

ბოლშაქოვოლილი იასონი სათქმელს აღარ დაამთავრებდა.

— რაღა ღროს მავის ვაკრეჭა, იასონ! მავ ხნის კაცი მღვდლობაზე ხელს როგორ აიღებს, მთელი სიცოცხლე ღვთის სამსახურში გაატარა და ახლა კომკავშირში ჩაეწეროს?

— არ მიატოვებს და ძალით მივატოვებინებთ!

მუქარით იტყოდა გაბრაზებული იასონი.

— ნუ, შენი ჰირიმე, იასონ, შენ მაინც ნუ ერჩი შენს ღვიძლ ძმას, ისიც ეყოფა, რომ ყველას აბუჩად ჰყავს ავღებულნი.

დაუწყებდა ვედრებას სოფიო.

ღის სიტყვა იასონისათვის კანონი იყო. სოფიო გულწრფელად, განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა. შეიღის აღმზრდელი ღის წინაშე თავს დავალებულად თვლიდა და მასთან შეკამათება არ შეეძლო.

გამწარებული გარეთ გავარდებოდა და შინ გვიანობამდე არ შემოვიდოდა, რომ ღის ხეწნა და შეგონება არ ესმინა.

მსგავსი სცენა სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ მაინც მეორდებოდა. უმცროსი ძმა უფროსს ემუქრებოდა, სოფიო აბესალომს ესარჩლებოდა და იასონის მუქარა მუქარად რჩებოდა.

ბოლო ღროს იასონი საქვეყნო საქმისაგან სულ ვეღარ იცლიდა და შეიღს ვერ აკითხავდა.

ერთ ღამეს მამიდა სოფიომ ლევანი ლოგინიდან წამოაგდო:

— მამა მოვიდა, ლევანი! აღექი... გამოდი.

ლევანს მამა ხეირიანად არც ახსოვდა და პირველი შეხედვისთანავე მოიხიბლა.

ახოვან ვაქცაც საფეთქლებთან ჭაღარა მოსდებოდა. ერთიმეორეზე გაღაბმული, ხშირი წარბების ქვემოდან დაღლილი, ნაღვლიანი თვალები ალერსიანად გამოიჩინებოდა.

იმ თვალების სითბომ ანდამატივით მიიზიდა ლევანი.

მამამ გულიანად ჩაკოცა მონატრებული შეიღი, ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო და მოულოდნელობისაგან დაბნეულ ბიჭს გადასცა:

— ეს შენი იყოს, ლევან, უკვე ვაქცაცი ხარ და იარაღი დაგშვენდება.

ღმილით უთხრა იასონმა, რევოლვერი მარჯვენა ხელში ჩაუღო და გამაზნეველად შეხედა.

— უიმე, რას შვრები, იასონ, — შესძახა შეშფოთებულმა სოფიომ, — რევოლვერი რად უნდა, არაფერი მოიწიოს ბავშვმა.

— არაფერსაც არ მოიწევს, — არხეინად თქვა იასონმა, — თუთმეტი წლის ვაქცაცი ბავშვი კი აღარ არის!

ლევანი მოკადოებულებით დაჩერებოდა რევოლვერს. ამოდენა ბიჭს არა თუ ხელში არ სჭერია მანამდე იარაღი, ახლოც არ უნახავს.

მამამ პირველი ნახვისთანავე ვაქცაცად აღიარა შეიღი და ნათქვამის დასტურად რევოლვერი აჩუქა.

ლევანმა რევოლვერი ხელში შეათამაშა და მამას გადაეხვია.

წინა ღღეს, რაიონში, სოფლის კომუნისტების კრებას დასწრებოდა იასონი. ვიღაცას ეთქვა, როგორ დაატარებდა აბესალომ ღეკანოზი მონასტერში თავის მძისწულს.

იასონს გულზე ცეცხლი მოსდებია. გათენებისათვის არ დაუცდია, ცხენზე შემჯდარა და სოფლისაკენ გამოქანებულა. იმ ღამეს არც ღისთვის უთქვამს რამე და არც შეიღისათვის, დიდხანს არ ეძინა და ძმაზე გულმოსული თავის თავსაც ადანაშაულებდა, რომ შეიღს არ ხედავდა, ლევანი ბიძისა და მამიდის ანაბარა, მამის ყურადღებან

და ზრუნვას მოკლებული იზრდებოდა. დილით აბესალომს თავის ეზოში მოჰკრა თვალი. ლევანს რალაც დააეცა, საღლაც გაგზავნა და შვილი რომ შორს გაიგულა, აბასალომის გასაგონად სოფიოს აუყვირდა.

— ამ ეზოში გადმოსული არ ვნახო ეგ ხუცესი, თორემ ორივეს დაგბოცავთ. მონასტერში ან დეკანოზთან თუ გაგიშვია ბავშვი, იცოდე, ცოცხალი არც ერთი არ გადაამირჩებით!

აბესალომი გაცეცხლებულ ძმასთან გამოლაპარაკებას მოერიდა, შინ ჩაიკეტა და იასონის წასვლამდე გარეთ აღარ გამოჩენილა.

შეორე დღეს სკოლაში იასონიც წამყვა ლევანს. მოსწავლეებს გამოლუპარაკა, დირექტორს ესაუბრა და კომკავშირის მდივანი გაკვეთილიდან გამოაყვანინა.

დიდხანს სხვების დაუსწრებლად ებასა ანდროს. წასვლისას სთხოვა, მათ საუბარზე ლევანისათვის არაფერი ეთქვა.

ნაშუადღევს იასონი ისევ ქალაქის გზას გაუღვა.

კლდეეთისაკენ მიმავალ მამას რომ მიაცილებდა, ლევანმა ჯორზე ამხედრებულ ბიძას მოჰკრა თვალი, მაგრამ მის დანახვაზე გული ძველებურად სიხარულით აღარ შეტოკებია.

— ისევ გლახაკივით დაჩაქჩაქობს ჯორით ეგ ხალხის მატყუარა?

გესლიანად თქვა იასონმა და ჯოროსან ძმას მრისხანე მზერა გააყოლა.

— ჯორზე რომ კაცი შეჯდება, ის რა კაცია?!

დამცინავად თქვა იასონმა და ლევანს მოუბრუნდა.

— შენც ხომ არ ჯდები, ბიჭო, ჯორზე, თავს ხომ არ მჭრი საჭვეყნოდ?

— არა, მამა...

წაიფუღუნა ლევანმა. შერცხვა, რომ იცრუბ, გაწითლდა და თავი ჩაღუნა.

— ვაჟკაცი კაცი ვირზე და ჯორზე არ შეჯდება, არც ბნელი, უცოდინარი ხალხის მოტყუებით სკამს პურს. დაიხსოვ, სხვისი შრომით ამ ქვეყნად პა-

რაზიტები, კაპიტალისტები და ხუცეები ცხოვრობენ. პატიოსან ეკლესიულ ცხოვრებას იხვევ უნდა სძულდეს. მემამულე და კაპიტალისტი. მემამულეები ძალით ართმევდნენ გლეხებს ლეკვას, ხუცეები — მოტყუებით ცინცლავდნენ. საკურთხითა და შემოწორულებით ცხოვრებაც სხვისი შრომის მითვისებაა და მემამულეთა ყაჩაღობისაგან თუ განსხვავდება, მხოლოდ იმით, რომ ყალბი სათნოების სამოსელშია გახვეული და ადამიანის ჩაგვრას მათრახითა და თოფით კი არ ახანგრძლივებს, არამედ ცრურწმენის ჩანერგვითა და რელიგიის ბანგით. რევოლუციამ ხალხი გამოაფხიზლა, სამუზეუმოდ შემორჩენილ. თითო-ოროლა ხუცესს ახლა ჩამორჩენილი გლეხებიც აღარ უჯდებენ ყურს. ახალი თაობა ჩვენი ავანგარდია და არა მგონია, ახლა ჩვენს ქვეყანაში ისეთი ახალგაზრდა გამოჩნდეს, რომელსაც ღმერთი სწამდეს და ეკლესიაში დადიოდეს.

იასონს უნდოდა ლევანისათვის ეთქვა: შენ ხომ არ უჯრებ აბესალომ ხუცესს, მორწმუნე ხომ არ ხარო, მაგრამ თავჩაღუნულ, სირცხვილისაგან ერთიანად გაწითლებულ ლევანს რომ შეხვდა, შეებრაღა და დაზოგა.

ის დღე იყო ღა, ლევანს აბესალომის ეზოში ფეხი აღარ შეუღვამს, ბიძას ესმოდა ძმისწულის განდგომის მიზეზი: იასონის ესოდენმა უმადურობამ ხელმეორედ ატყინა გული ძმისწულზე გადაგებულ აბესალომს და თავის მხრივ ისიც გაერიდა ლევანს.

შაბათს, დიდ დასვენებაზე დაიხელთა უშანგიმ ლევანი. დერეფნის ბოლოში გაინაპირა და ჩურჩულით უთხრა:

— ხვალ მაინც წამოიყვანე მონასტერში.

— ვერ წაგიყვან.

ცივად მოუჭრა ლევანმა.

— რათა? რა მოხდა?

— მონასტერში აღარ დავდივარ.

— ამ ერთხელ წამოდი, ჩემი გული-სათვის.

შეხეხევეწა უშანგი.

— ვერ წამოვალ. უჩემოდ წადი.

ანდრომ შორიდან შენიშნა კუთხეში მოჩურჩულე ამხანაგები.

მაშინვე მათკენ წამოვიდა.

ანდროს დანახვაზე ჩურჩული შესწყვიტეს. დანაშაულზე წასწრებულ-ვით დაბნულმა ლევანმა გამზიარულე-ბა და საუბრის თემის გამოცვლა სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა.

უშანგიმ რალაც მოიმიზეხა და მალე გამორდა.

— რას გეჩურჩულებოდა?

იკითხა ანდრომ და უშანგის თვალი გააყოლა.

— მონასტერში წაყვანას მთხოვდა.

ვერ დამალა ლევანმა.

— ზიარების მიღება უნდა, არა?

— არა, ანდრო, მონასტრის მხატვრობის ნახვა აინტერესებს.

— უშენოდაც კარგად წავა. მამაშენის შეილს მაგნაირ თხოვნას ვერავინ უნდა გიბედავდეს.

მკაცრად თქვა ანდრომ და ცოტახნის შემდეგ დასძინა:

— ეგ იმის ბრალია, რომ აქამდე კომკავშირელი არა ხარ.

ორივე დუმდა.

— რატომ არ შემოდიხარ კომკავშირში?

დაარღვია სიჩუმი ანდრომ.

— რა ვიცი...

მხრები აიჩიჩა ლევანმა.

— ახლავე წამოდი და განცხადება დასწერე.

ანდროს ნათქვამი უფრო ბრძანებას გავდა, ვიდრე თხოვნასა და რჩევას.

ლევანი უძლეური იყო ანდროს რაიმეში წინაღუდგომოდა; ახლაც მორჩილად მიჰყვა და განცხადება მისი კარნახით დაწერა.

ბიურომაც და საერთო კრებამაც ერთხმად მიიღო.

ლევანს სულ იმის შიში ჰქონდა, ვინმე მონასტერში სიარულს და ბიძასთან კავშირს გამოხსენებოს, მაგრამ თითქოს

პირი ჰქონოდათ შეკრული, მონასტერი კაციშვილს არ უხსენებია.

სამაგიეროდ, კომკავშირში შესვლის დღიდან, თითქოს ყველა მის თვალის ახელას ცდილობსო, სულ ღმერთის არარსებობაზე, ზუცების მატყუარობაზე და ცრუმორწმუნეობის მადნე გველენაზე ელაპარაკებოდა.

სოფლის ახალგაზრდობა მთლიანად სარწმუნეობის წინააღმდეგ იბრძოდა. ლევანიც აჰყვა და იმ ბრძოლის შეუგულში მოექცა.

როგორც ყველა რწმენაგამოცვილი, მასაც ეშინოდა მორწმუნეობა არ დაბრალებოდა და ძველი ცოდვები არ გაეხსენებინათ, ამიტომ ყველაზე მეტი თავგამოდებით ესხმოდა თავს მორწმუნეებს და ზუცების ასალაგმავად ყველაზე გადაამკრელი ზომების მიღებას მოითხოვდა.

კომკავშირის კრებამ მონასტრიდან წმინდა გიორგის სასწაულმოქმედი ხატის გამოტანა და გუმბათიდან, ჯვრის მოხსნა გადაწყვიტა.

გადაწყვეტილება კვირა დღეს უნდა აღესრულებინათ, რათა მონასტერში თავშეყრილი მორწმუნეებისათვის დაენახებინათ, რომ ხატსა და ჯვარს არავითარი ძალა არ ჰქონდა და არც რაიმე სასწაულის მოზღენა შეეძლო.

კვირა დილას ახალგაზრდობა დროშებით დაიძრა. სიმღერითა და ყიყინით მიმავალ კომკავშირლებს ამ შემთხვევისათვის რაიონიდან სავანეებოდ ამოსული იასონი მიუძღოდათ წინ.

ის იყო წირვა მთავრდებოდა. მლოცველებმა ტაძრიდან გამოსვლა იწყეს.

მონასტერს დარაზმული ახალგაზრდები მიუახლოვდნენ.

მონასტრის დიდი ეზო ხმაურით აივსო.

ეკლესიიდან გამოსულმა აბესალომმა თვალს არ დაუჭერა: ასწლოვან მუხებქვეშ წითელი დროშები ფრიალებდა და აღზნებული ახალგაზრდობა ღვთის მსახურთა შეუაცხმყოფელ სიტყვებს გაჰყვიროდა.

ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი

ხალხი იმ დროშების ირგვლივ გროვდებოდა.

იასონი საფლავის ქვაზე შედგა და იქ მყოფთ თვალი მოავლო.

ხალხი სმენად იქცა.

— ამხანაგებო და მეზობლებო! დასქეჟა იასონმა და რაღაც მნიშვნელოვანის მოლოდინში ხალხი კიდევ უფრო გაინაბა.

— თქვენ დაამხეთ თვითმპყრობელობა და დაამსხვრიეთ კაპიტალის უღელი. თქვენ გმირულად დაღუწეთ ჩაგვრისა და მონობის ბორკილები, მაგრამ დღემდე ვერ გათავისუფლდით სარწმუნოების ბორკილებისაგან, დღემდე ვერ შეიგნეთ, რომ სარწმუნოება ოპიუმია...

— რაო? რა არისო?

ვერ გაიგო ბევრმა და ჩურჩულით იკითხა.

— რელიგია, ესე იგი სარწმუნოება, ხალხის გასაბრუნებლად, გონების დასაბნელებლად არის მოგონილი. ცრუმორწმუნეობა მემამულეებისა და კაპიტალისტების მიერაა გამოგონილი, იმისთვის, რომ ხალხი ყურმოჭრილ მონად იყოლიონ, კიდევ უფრო მეტი ტყავა გააძრონ და მშრომელებს მეტი ექსპლოატაცია გაუწიონ. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ არ არსებობს არავითარი ღმერთი, არ ყოფილა არავითარი იესო ქრისტე.

— უი, რას ამბობს!

— ღმერთო, ნუ გვიწყენ!

— ღმერთო, ნუ უწყენ!

ანურჩულდა მორწმუნეების ნაწილი და მოქადაგეს ზურგი აქცია.

დარჩენილები კიდევ უფრო მჭიდროდ შემოერთყნენ ქადაგების ეშხში შესულ იასონს და პირდაღებულნი უსმენდნენ.

მეფის დროის არალეგალურ კრებებზე სახალხოდ გამოსვლას ნაჩვევი იასონი თავის სტიქიაში იყო.

— აღამიანი იბადება და კვდება, — მკვერამეტყველურად განაგრძობდა იასონი, — ამით იწყება და თავდება ყველაფერი, არ არსებობს საიქიო ცხოვრება, სამოთხე და ჯოჯოხეთი. მემამულეე-

ბი, კაპიტალისტები და მათი მძახური ხუცები მშრომელ ხალხს ჯოჯოხეთის ცეცხლითა და სატანჯველით ამიწებენ, უსიტყვო მორჩილებასა და ყოველგვარი განსაცდელის ატანას უქადაგებენ და ამქვეყნიური ჩაგვრის ჭილღოდ საიქიოს ცხოვნებასა და ბედნიერებას აღუთქვამენ.

თავად მდიდრებმა ძალიან კარგად იციან, რომ საიქიო არ არსებობს. ისინი ამქვეყნიური სიკეთით ტყებიან და მოტყუებულ ხალხს იმქვეყნიურ სასუფეველზე ლაყბობით ამშვიდებენ.

მორწმუნეთაგან ბევრი აღშფოთებული შეპყურებდა იასონს.

— ნუ უსმენთ ღვთის გამობას!

ქუხილივით გაისმა უცებ აბესალომის ხმა.

— შევიდეთ ტაძრად და ვილოცოთ ცოდვათა ჩვენთა მოსატევებლად, რამეთუ უგუნდრებმა არ იციან, რასა იქმომენ!

— ხმა ჩაიწყვიტე, ხუცესო!

— გეყო ხალხის მოტყუება!

აყვირდნენ ახალგაზრდები.

ბევრმა მორწმუნემ პირი იბრუნა ქადაგისაგან და აბესალომს მიჰყვა პირჯვრის წერით.

ის იყო აბესალომს ტაძარში უნდა შეებიჯებინა, რომ იასონის ძახილმა შეაჩერა.

— სად მიდიხარ, ხუცესო! გეშინია ვანა გამოფხიზლებული ხალხის რისხვისა? აბესალომი მიიმედ შემოტრიალდა.

ბრახისაგან აკანკალებულ მოხუცს სახეზე მიწის ფერი დადებოდა.

— ახლავე, საქვეყნოდ დაგიმტკიცებთ, რა ძალაცა აქვს თქვენს წირვალოცვას. მთელ ხალხს დავანახებებთ, რომ თქვენს ხატსა და ჯვარს არავითარი სასწაულის მოხდენა არ შეუძლიათ... აბა, ბიჭებო!..

იასონმა კომკავშირელებს გადასძახა და თვალი ლევანს დაადგა.

მამა უსიტყვოდ თხოვდა, ეძახდი და აქეზებდა შვილს. ანდრომ ლევანს თვალთ ანიშნა, მომყეო, და ისედაც აღგზნებულ კაბუცს მეტიც აღარ უნდოდა.

მაშინვე ადგილს მოსწყდა და ყველაზე წინ გაქანდა.

აბესალომი დაბნეული იდგა. ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო, რას აპირებდნენ.

ლევანმა კარგად იცოდა მონასტრის ასავალ-დასავალი. სახურავზე ასავალელი ხელად მონახა და ტაძარს სწრაფად მოექცა სახურავზე.

ხალხი გუგუნით შეჩოჩქოლდა. ტაძრიდან შორს გადგნენ, რომ უკეთ დაენახათ სახურავზე ასული ბიჭი.

ლევანი ფრთხილად ადგამდა ფეხს დაძველებულ კრამიტს და მარჯვედ მიიწევდა გუმბათზე აღმართული ჯვრისაკენ.

— შეჩერდი! არ გაბედო!

შეპყვირა დაბლიდან აბესალომმა.

გაფოფრილი კლდეზე ავარდა და აქიდან ხელების ქნევით გასძახა:

— შეჩერდი! ჯვარს არ შეეხო!

ლევანმა მისკენ შემფოთებით მზირალ ხალხს თავმოყრილად მოავლო თვალი და თამამად წაადგა ფეხი გუმბათისაკენ.

ის იყო ჯვრისკენ ხელი გაიწოდა და... თითქოს დასაკლავად განწირულმა ხარმა შეჰბღავლაო, უფრო აბესალომის ზმუილი ჩაესმა.

ლევანს გული შეუტოკდა, წამით წონასწორობა დაჰკარგა, ფეხი აუცურდა და თავდაყირა წამოვიდა.

ხალხი წამით კიდევ უფრო გაინახა, მერე უცებ იზრიალა და წრედ შემოერთყა იმ ადგილს, სადაც სახურავიდან გადმოვარდნილი ლევანი დაეცა.

გაფითრებული იასონი პირველი მიიჭრა შეილთან.

გასიხლიანებულნი ლევანი უგრძნობლად ეგდო.

წმინდა გიორგის ნიშის წინ დამხობილი აბესალომი მიწაზე შებლს ურტყამდა და გულში მჯიღს იცემდა.

გულშხურვალედ მლოცველი პოხუცი, თითქოს ამ ქვეყანას გასკლოდა და ღალადადქცეული ღვთაებას თავისი მრევლის დაცვას შესთხოვდა.

— ღმერთმა დასაჯა ურწმუნო, ბინძუ-

რი ხელით წმინდა ჯვრის შებღვნიდა არ დაანება.

— ურწმუნოთა სამაგალითად დამამხო წმინდა გიორგიმ!

ლაპარაკობდნენ მორწმუნენი, მაგრამ აბესალომის გონებას მათი ნათქვამის აზრი აღარ სწვდებოდა.

იგი მოთქმით, გოდებით ევედრებოდა უფალს, მიეტევიბინა ცოდვილისათვის, რამეთუ არ იცოდა უგუნურებით. რას იქმოდა.

აბესალომს არც ის გაუგია, როგორ ასწიეს და წაიყვანეს თავგატეხილი, ხელ-ფეხდამტკრეული ლევანი, როგორ ნელ-ნელა გაიკრიფა ხალხი მონასტრის ეზოდან და როგორ თანდათან მისწყდა ხმაური.

როდის-როდის, აბესალომმა ლოცვა დაასრულა. დაცარიელებულ ეზოს გაუბედავად მოავლო თვალი. გუმბათისაკენ ახედვისა ეშინოდა და თავი ნელ-ნელა, მძიმედ ასწია.

გუმბათზე ძველებურად, თვალისმოჰქრელად ბრწყინავდა ოქროსფერი ჯვარი.

სასწაულის მხილველმა მოხუცმა ხელი ცისკენ აღაპყრო, რაღაც გაურკვეველი ამოიგმინა, თვალზე სახარულის ცრემლმომდგარმა ისევ ჩაიჩოქა, დაეცა და დედამიწას ჩურჩულთ ჩასძახა ცისა და უფლის სასწაულის სამადლობელი.

დამტკრეული ლევანი მაშინვე კლდეკეთის საავადმყოფოსკენ გააქანეს.

ტაძრის გუმბათიდან ლევანის გადმოვარდნამ ბევრ დაეჭვებულ მორწმუნეს ისევ განუმტკიცა ღვთის რწმენა, ხოლო ურწმუნოთაგან ბევრი შეაშინა და დააფიქრა.

გამარჯვებული აბესალომი გახარებულნი უნდა ყოფილიყო სასწაულით. მაგრამ როგორც ლევანმა შემდეგ შეიტყო, თურმე იმ დამეს თვალი არ მოუხეტყავს და სასწაულმოქმედი ხატის წინ ჩაჩოქილი; ხელაპყრობილი ევედრებოდა უფალს, რათა უგუნურებით შეეცოდებ მისი ძმისწული გადაერჩინა და ფეხზე დაეყენებინა.

შემდეგ, დრო რომ გავიდა, სოფიონ ლევანთან საუბარში აბესალომის იმლაშინდელი ნათქვამი გაიხსენა:

„ხომ მიუტევებელი დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ მაინც მეცოდება ეგ ბიჭი. გულით კეთილსა და სულით უმანკოს პატარობიდანვე ეშმაკი ჰყავს შეჩენილი. ახლა, რაც მამამისსა და სხვა ურწმუნოებს აჰყვია, ეშმაკი საბოლოოდ დაეპატრონა, გონება დაუბნელა და ბოროტების გზაზე დააყენა.“

ჩემი სისხლი და ხორცია და მებრალება ეგ საწყალი.

რაკი ღმერთს ზურგი აქცია, ამიერიდან მავ უბედურ დღეზე გაჩენილის საშველი აღარ იქნება. ცხოვრება გაუჭირდება და ბევრ ბოროტებას გადაეყრება — ღვთის უარყოფელი ადამიანებისთვის მხოლოდ უბედურების მომტანი იქნება და ამას მაშინ შეიგნებს, როცა ქვეყნისა და ხალხის შემადარწუნებელ ცოდვას ჩაიდენს.

ვაი, რომ მაშინ უკვე გვიან იქნება გამოფხიზლება, უფალი აღარ მოხედავს და სიკეთის გზა მოჭრილი ექნება!..“

მოტეხილი ხელ-ფეხი კარგახანს ჰქონდა თაბაშირში ლევანს.

იასონი დღენიადგა საავადმყოფოში იყო, შეიღს სასთუმალთან უჭდა და. თუ გადაუღებელი საქმე არ აწუხებდა, მარტო არ ტოვებდა.

ავადმყოფს ნელ-ნელა მომჯობინება დაეტყო და ამხანაგებსაც დართეს ნახვის ნება.

ერთ საღამოს ანდრომ და უშანგიმ შეადგეს პალატის კარი. თეთრხალათგადაცმული ტოლები ანგელოსებოვით დაადგნენ თავს ლევანს, გადაებევივნენ და საწოლთან სკამებზე ჩამოსხდნენ.

გაკრძალულები, ჩურჩულით უყვებოდნენ ყორნალისა და სკოლის ამბებს. ავადმყოფი გამხიარულდა და გამოცოცხლდა. გულიანად გაცინებულ, გახალისებულ ბიჭს დროდადრო ტკივილი ახსუნებდა თავს და ღიმილით განათებულა სახე წამით ეღმიჭებოდა.

პალატაში იასონი შემოვიდა. თეთრი ხალათი ფართო მხარეებზე დაუდევრად მოეგდო აბოვან, წარმადე ვაჟკაცს.

უკანგადაყრილი, ერთიანად გათეთრებული თმა შუქს ჰფენდა და სითბოსა და სილბოს აძლევდა მისი მკაცრი სახის კერპ გამოხედვას.

— ვაჟკაცებს გაუმარჯოს! მიესალმა ფეხზე წამომხტარ ბიჭებს. ანდროს ხელი ძველი მეგობარივით ჩამოართვა, მერე მარჯვენა უშანგისკენ გაიწოდა და ლევანს შეხედა:

— ამ ყმაწვილს ვერ ვცნობ.
— ჩემი ამხანაგია, უშანგი გამყრელიძე.

— რომლის ხარ, ბიძია? დაყვებოთ იკითხა იასონმა.
— პავლე გამყრელიძის. მოკრძალებით თქვა უშანგიმ. იასონმა წარბი შეიკრა.

— რომელი პავლესი? — იკითხა იასონმა და, თითქოს რაღაცას იგონებო, უშანგის დააშტერდა.

უშანგი სდუმდა და თავს არ იღებდა.
— იმის ხომ არა, ოცდაოთხში რომ გვებრძოდა და დაგზვრიტეთ?

უშანგი წამოწითლდა.
— გა-სა-გე-ბი-ა! — გრძლად თქვა იასონმა და უშანგი ერთხელ კიდევ აათვალი-ჩაათვალიერა თავითფხამდე.

— დედაშენი ისევ ვაჭრობს, არა? იკითხა უცებ იასონმა.
უშანგი ხმას არ იღებდა.

— ამოდენა ბიჭი ხარ და შავსიელ მშობელთან კავშირი მაინც გაქვს, ხომ? საშინელი უხერხულობა ჩამოვარდა.

ლევანს ჭირის ოფლი დაასხა. პამას მუდარით მიაპყრო თვალი, უნდოდა როგორმე საუბარი. სხვა თემაზე გადაეტანა, მაგრამ იასონი მისკენ არ იხედებოდა.

უშანგის-ნატყენზე აჭერდა ფეხს იასონი, გამომძიებელივით მკაცრად, შეუბრალებლად აწეებოდა იმ მტკივნეულ ადგილს და თავჩაღუნული ბიჭი კუთხეში მიმწყვდეულ პატარა ნაღირს ჰგავდა, რომელსაც გასაქცივი აღარასად

ჰქონდა.

აფორიაქებული, სახელეწილი უშანგი ხმას ვერ იღებდა, ყელში ცრემლი აწვებოდა და სადაც იყო, ტირილი უნდა წასკდომოდა.

იასონი ერთხანს ჩაიციებით აკვირდებოდა უშანგის, მერე უცებ მოსწყვიტა თვალი და ცივად ესროლა:

— კარგი, ამ საქმეზე მე და შენ სხვა დროს ვილაპარაკოთ.

იასონი ლევანისკენ შებრუნდა და ოდნავ მომბაღმა მიმართა:

— რასა იქმ, ხატთმებრძოლო ამხანაგო?

— რა მიშავს.. ვარ და ვითვლი დღეებს, როდის გავალ აქედან.

— აქედან გავსლა ნუ გეჩქარება. მთავარია, კარგად მომაგრდე. ერთსა და ორ თვეს მნიშვნელობა არა აქვს.

— მნიშვნელობა როგორ არა აქვს, სწავლაში ჩამოვრჩები. წელს შვიდწლედს ვამთავრებთ და გამოცდები გველის.

— არა უშავს. მალე წიგნების კითხვის ნებას მოგცემენ, აგერ, ანდრო არ დაგზარდება, მოგაკითხავს ხოლმე და გაგაგებინებს, რას გადიან სკოლაში.

იასონმა განზრახ თუ შემთხვევით უშანგიზე არაფერი თქვა, ბიჭს ისევე გული ეტყინა და უხერხულად შეიშმუშნა.

— ეგ არაფერია, სწავლასაც ეშველევა, — განაგრძობდა იასონი, — აბესალომის ღმერთს მადლი შესწირე, რომ ასე გადარჩი. შენი ბედი, იმ სიმაღლიდან გადმოვარდნილი კლდეზე რომ არ დაეცი, თორემ შენს ძვლებს კაცა ვერ მოკრება.

— მართლა ბედი მქონია, რომ მიწაზე დავეცი.

დაუმოწმა ლევანმა.

— ბედი ის იქნებოდა, სულაც არ გადმოვარდნილიყავი...

ჩაუერთო ანდრომ.

— თვითონაც ვერ გამოვიდა, როგორ მოხდა. მგონი კრამიტზე დამისხლტა ფეხი.

— არა, ლევან, ფეხის ბრალი კი არა,

ამის ბრალი იყო, — თქვა იასონმა და ხელი ჯერ შუბლზე მიიღო, მერე გულზე.

— ეგ რა შუაშია, მამა?

— სწორედ ეგ არის დამანაშავე — რწმენისა და გულის სიმტყიცე არ გეყო მიზნის მისაღწევად.

ლევანს არ ესმოდა მამის ნათქვამის აზრი და გაფართოებული თვალებით მიჩერებოდა იასონს.

— როცა კაცს მტყიცედ, დაუეჭვებლად სწამს რაიმე, მისთვის შეუძლებელი არაფერია. თავის ძალასა და სიმაართლეში დარწმუნებული ადამიანი ყოველგვარ სიძნელეს დასძლევს. ტამარის სახურავზე კი არა, ბეწვის ხილზე გაივლის და არ გადმოვარდება. ჯამბაზები ხომ გინახავს ცირკში, მავთულზე დადიან და ზედ ათასგვარ ილეთს ასრულებენ.

— ეგ ბევრი წვრთნისა და ვარჯიშის შედეგია.

— მართალია. ჯამბაზები ხანგრძლივი წვრთნისა და ვარჯიშის შედეგად აღწევენ მავთულზე თავისუფალ სიარულსა და სწრაფ მოძრაობას, მაგრამ მთავარი მაინც თვითდაჯერებაა. საემარისია, ჯამბაზს ერთი წამით ეჭვი შეეპაროს თუნდაც ერთხელ გაუეღვოს ფეხრმა: ვაითუ ფეხი დამიცდეს, ან წონასწორობა დაეკარგოს, იგი მაშინვე მოსწყდება მავთულს და ძირს გააღენს ზღართანს. ასეთი უხედური შემთხვევა ცირკში ბევრჯერ ყოფილა და უმრავლესობა ეჭვის, ყოყმანისა და თავისთავისადმი რწმენის დაკარგვის შედეგად მომხდარა. ჯამბაზების მაგალითი რად გინდა, მე თვითონ ჩემ თავზე გამომიცდია. პატარაობისას ცხენზე ხშირად ვჯდებოდი. გაქნებულ ლურჯაზე მსუბუქად გადმოვეშვებოდი და ზედვე ჭინკასავით მოვახტებოდი; უნაგირზე ფეხით ვდგებოდი და ცხენს მუცელქვეშ მოვამქცეოდი ხოლმე.

ერთი სიტყვით, მარჯვე ცხენოსანი ვიყავი და ცხენზე ამხედრებულს არაფრისა შემშინებია. ერთ საღამოს უბელო ცხენზე ვიჯექი და შინ ვბრუნდებოდი. ორღობეში გოგონები იდგნენ. თავი

მოვიწონე და ცხენი გავაჟენე. გავაჟენე და მაშინვე გულში ეტემა გამკრა, რაჟ გადმოვვარდე, ხომ შევერცხვი-მეთქი.

ამის გაფიქრება და ცხენიდან გადმოვარდნა ერთი იყო; ყორეში ჩავვარდი და თავი გავტეხე. ახლაც მაჩნა მაშინდელი კვალი. — ღიმილით თქვა იასონმა და კეფაზე მოისვა ხელი.

ბიჭები ინტერესით მიაჩერდნენ მოტიტვლებულად დარჩენილ თხილისოდენა ადგილს იასონის კეფაზე.

— ეკვითა და ყოყმანით დიდი საქმე არასოდეს ვაკეთებულა, — განაგრძო იასონმა, — სამამაცო, სარისკო საქმე ვაკეთება მხოლოდ საკუთარი ძალის რწმენით, ეკვიმუტანელი რწმენით შეიძლება. შენზე ამბობენ, აბესალომის მონასტერი ხუთი თითივით იცისო.

იასონმა თვალი თვალში გაუყარა შვილს.

ლევანი გაწითლდა და მზერა აარიდა — იმ მონასტრის კედლებზე ახალი აღთქმის სურათებია დიდხინის წინათ დახატული.

ლევანმა ანდროს მუხლზე დაადო ხელი და მამის ნათქვამს დაურთო:

— იმ სურათების სანახავად წაყვანას მოხოვდა უშანგი.

ანდრო თვალეზში მიჩერობოდა მისთვის კეთილშობილებისა და ვაყაყობის მაგალითად დასახულ რევოლუციონერს და ლევანის ნათქვამისათვის ყურიც არ უთხოვებია.

— იქ, ერთ კედელზე, სახარებაში მოთხრობილი ეს ამბავია ნახატით გადმოცემული: „მეოთხე ღამეს მათთან ზღვაზე სვლით მოვიდა იესო. მოწაფეებმა ზღვაზე მომავალი კაცი რომ იხილეს, საოცრებისაგან შეძრწუნდნენ და შეშინებულებმა ღაღადი იწყეს. ქრისტემ მოწაფეები დაამშვიდა, ნუ გეშინიათ, მე ვარ, თქვენი მოძღვარიო.

მაშინ პეტრემ უთხრა: უფალო, თუ შენ ხარ, მიბრძანე, რომ მეც მოვიდევ შენთან წყალ-წყალ ფეხით სვლითო. მოდიო, უბრძანა იესომ. გადმოვიდა პეტრე ნავიდან, მიაბიჯებდა წყალზე და მიდიოდა იესოსკენ. ამ დროს ძლიერ

არი ქარი ამოვარდა, ზღვა აღელდა, პეტრე შიშმა შეიპყრო, შეშინდა და წყალში ჩაძირვა იწყო. შეშინდა და სენი დახრჩობისაგანო — შექალაქდა ქრისტეს. იესომ მაშინვე ხელი გაუწოდა და უსაყვედურა: „რატომ ბოლომდე არ ირწმუნე, რომ წყალზე გაივლიდი, რად დაეჭვდი შენს ძალაში?“ ორივენი ნავზე ავიდნენ. ქარი დაცხრა და ზღვა დაწყნარდა“.

ამ ლეგენდაში ის მაღალი აზრია გატარებული, რომ ვიდრე ადამიანს რწმენა მტკიცე აქვს, მას შეუძლებლის გაკეთებაც, ზღვაზე ფეხით გავლაც შეუძლია; მაგრამ საქმაოა, ოდნავ დაეჭვდეს თავის რწმენაში და იგი დასალუბავადაა განწირული.

მე ძველი სემინარისტი ვარ და ისევ სახარებას დავიმოწმებ. იესო მუდამ იმას ჭადაგებს, რომ ბრმად, განუსჯელად უნდა გწამდეს და სარწმუნოებაში ეჭვი არ უნდა შეიტანო, რწმენის საფუძველს არ უნდა ჩაეძიო. ეკლესიას ბრმად მორწმუნე მრევლი სჭირდება, რადგან სარწმუნოებას მეცნიერული დასაბუთება არ გააჩნია. მეცნიერული თვალთ რომ შეხედო, ქრისტეს სასწაულები უმწეოდ გამოიყურება და ვერაფერს კრიტიკას ვერ უძლებს. აბა რა მეცნიერული ახსნა აქვს იესოს ერთი სიტყვით დაერდომილის აღდგენას ან მკვდრის გაცოცხლებას! ქრისტეს ცხოვრების აღმწერთ კარგად ესმოდათ მისი „სასწაულებია“ დაუჭერებლობა, ამიტომ არსად მათ ახსნას არ ცდილან და, პირიქით, ყველგან იმას უსვამდნენ ხაზს, რომ ქრისტე მარტოდენ მტკიცე რწმენით ახდენდა სასწაულებს, თავის ძალისა თვითონაც ურყევად სწამდა და სხვებისგანაც იმას მოითხოვდა, სასწაულში ეჭვი არ შესვლოდათ, ბრმად ერწმუნებინათ.

ქრისტე ერთგან ასე ეუბნება მოწაფეებს: „თუ რწმენა გექნებათ და ემკარ არ შეგეპარებათ, მთასაც რომ უთხრათ აღიფხვრე და ზღვაში ჩავარდით. მთა აღიფხვრება და ზღვაში დაინთქმება“.

მარტოდენ ცარიელი რწმენით, მთის აღფხვრა კი არა, კენჭის დაძვრაც არ

შეიძლება, მაგრამ კარგად შეიარაღებულია და რწმენით აღჭურვილ ადამიანს არაერთი სასწაული მოუხდენია.

ჰოდა, აბა, გუმბათიდან ჭვრის მოხსნა რა საძნელეს უნდა ყოფილიყო, მაგრამ იმ წუთს, შენ რომ ტაძრის სახურავზე მიახეხებდი და ჭვრისკენ ხელს იწვდიდი, რწმენამ გილალატა, შენი მოქმედების სისწორეში დაეჭვდი, შეგეშინდა და შეყოყმანდი თუ არა, შენს უნებურად წონასწორობა დაკარგე და ძირს გადმოვარდი. ასე არ იყო?

— არ ვიცი. შეიძლება აგრეც იყო.

ხმადაბლა თქვა ლევანმა.

— ნამდვილად აგრე იყო, ლევან. ბიძაშენის გავლენით შენ ჭერ თურმე მორწმუნე ყოფილხარ. როგორც ჩანს, იმ სარწმუნეობაზედაც არ მდგარხარ მტკიცედ. თორემ ისე იოლად არც ბიძაშენს გადაუდგებოდი. კომკავშირელი ამხანაგების გავლენით ქრისტეს სამსახურზე ხელი აიღე, მაგრამ, ეტყობა, სულ უღმერთოც ვერ ვახდი, და სადღაც ჩარჩენილმა ძველი რწმენის ნაშთმა იმ წუთას შენი მოქმედების სისწორეში დაგაეჭვა, სიმტკიცე შეგირყია და დაგამარცხა.

ლევანი შინაგანად ეთანხმებოდა მამის მსჯავრს, წითლდებოდა, თვალის გასწორებისა რცხვენოდა და დამნაშავესავით გატრუნული უსმენდა.

— ყველაზე ცუდი ადამიანის ხასიათში მერყეობა და გაუბედობაა. — აგრძელებდა იასონი თავის შეგონებას. — მერყევა და გაუბედავ ადამიანს დიდი და მნიშვნელოვანი არასოდეს არაფერი არ შეუქმნია. კაცი, რომელსაც თავისი მოქმედების სისწორე და აუცილებლობა არ სჯერა და საკუთარი ძალის რწმენა არ აქვს, დიდ საქმეს ტყუილად წუწაებობტინება.

გახსოვდეს: რწმენის დაკარგვა ყველა სიმდიდრის დაკარგვაზე საშინელებაა. ხოლო მიზნის უქონლობა და ურწმუნოება ქვეყნად ყველა უბედურებაზე დიდი უბედურება!

ბიჭები სულგანაბელი უსმენდნენ იასონს.

— გაგაბრუეთ სწავლა-დასწავლებით, არა? — თითქოს უცებ გამოერკვაო, ღიმილით თქვა იასონმა.

— არა, ბიძია იასონ, თქვენ საინტერესოდ ლაპარაკობთ.

აღტაცებით თქვა ანდრომ.

— საინტერესოდ? რა მოგახსენოთ. ეს კია, რომ ავადმყოფისათვის ამდენი ლაპარაკი დამღლელია და მეც მეყოფა ქადაგობა. ამ საგანზე მეტს აღარას ვერტყვი, ლევან, ოღონდ ეს კი მინდა იცოდეს: შენმა მარცხმა იმ დღეს მარტო შენ კი არ მოგიტანა ზიანი, არამედ ჩვენ ყველას, ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ ჩვენს საერთო ბრძოლას მოუტანა ვნება. ანდრო და მისი კომკავშირელები მეორე დღესვე აპირებდნენ მონასტრის გუმბათიდან ჭვრის ჩამოღებას, მაგრამ მე დავუშალე. ხალხის თვალში მხოლოდ იმას ექნება მნიშვნელობა, თუ ისევ შენ მოამსხვრევ იმ ჭვარს და საქვეყნოდ დაამტკიცებ, რომ ღვთის სასწაულით კი არ დამარცხებულხარ, არამედ უბრალო შემთხვევამ გადმოგაგდო ტაძრის სახურავიდან.

საავადმყოფოდან გამოწერილმა ლევანმა ისევ ყორნალს მიაშურა. ყვარჯნები რომ გადააგდო და ფეხზე კარგად მომაგრდა, ანდროსა და რამდენიმე კომკავშირელთან ერთად მონასტრისაკენ გასწია.

ამჯერად უკვე დროშებითა და სიმღერით აღარ მიდგომიან მონასტერს.

საუფლო დღე იყო.

მონასტრის ეზოში ზღვად იდგა ხალხი.

კომკავშირელები ხალხში შეიჭრნენ და ლევანი ისევ პირველი ავარდა მონასტრის სახურავზე.

გუმბათს მიუახლოვდა, შეჩერდა, სული მოითქვა და დაბლა გადმოსძახა:

— ხალხო!

ხალხმა მაღლა აიხედა.

— აი, თქვენ თვალწინ ვხსნი ჭვარს. ახლავე დარწმუნდებით, რომ ამ ჭვარს არავითარი ძალა არა აქვს და მისი სასწაული ვერაფერს ვერ მიზამს.

— გაუგეიებიხარ, შე უბედურო, და მეტს რაღას გიზამს!

ასძახა დაბლიდან ვილაცამ. მაგრამ ლევანს აღარაფერი ესმოდა. ჭვარს ორივე ხელი ჩასჭიდა და ძირში მოამსხვრია.

ჭვარი იმ დღესვე კლდეთში ჩაუტანა იასონს, თავისი უღმერთობისა და საკუთარი ძალისადმი უსაზღვრო რწმენის საბუთად და მამას მტკიცედ გამოუცხადა:

— უორნალში დამდგომი აღარა ვარ. კლდეეთის სკოლაში გადმომიყვანე.

შვილის ეს განცხადება იმდენად გადაჭრილი და შეუვალი ეჩვენა, რომ მამამ მიზეზის გამოკითხვა აღარ დაუწყო და შვილი ქალაქის სკოლაში გადმოაყვანინა.

კედლის საათმა დარეკა.

ლევანი გამოერკვა. წასაკითხავ მასალას დახედა: სამი სვეტი კიდევ დარჩენოდა.

ეს უიღბლო სამი სვეტი ბარე სამჭერაც ჩაათავა, მაგრამ სხვა ფიქრში წასულმა წაკითხულისაგან ვერც ერთხელ ვერაფერი ვერ გამოიტანა.

სადაცაა ბავშვს გაკვეთილები გაუთავლებია.

უნდა იჩქაროს, ამ სამი სვეტის წაკითხვა უნდა მოასწროს და სკოლისკენ უნდა გაიქცეს.

ყურებზე ხელი მიიღო, რომ ხმაური არ მისწვდომოდა და კითხვაში ხელი არ შეწლოდა.

ანაბეჭდს გადაეფარა და ისევ სხვა ფიქრს რომ არ მიეტაცნა, ამჯერად ხმა-მაღლა დაიწყო კითხვა:

„...ეკლესიაში კარგახანს ვიყავით ასე სულგანაბულები. ალბათ ნახევარმა საა-

თმა განვლო. ეტყობოდა, გერმანელებმა საყდარს ჩაუარეს.

ბოლოს და ბოლოს, ეკლესიიდან წყნდა გავსულიყავით, იქ ჭდომასა და ლოდინს აზრი აღარ ჰქონდა.

მაღალ, ვიწრო სარკმელზე ვაი-ვაგლახით ავფოფხდი. ეკლესიის მიდამოს თვალი მოვაველე: კაცის ჰაჭანება არსად იყო.

ძირს ჩამოვხტი და კარი ნელ-ნელა, ფრთხილად გავაღე.

სუფთა, საღი ჰაერი ხარბად ჩავისუნთქე და გზას გავხედე.

შორს, ცის დასალიერზე მუშტისტოლადღა ჩანდა გერმანელ მეავტომატეთა ჯგუფი.

შევბა ვიგარძენი. წელში გავიმართე და ის იყო, რამდენიმე ნაბიჯი წავდგი, რომ უცებ თოფის გასროლის დაგუდული ხმა გაისმა. მეომრის ინსტინქტმა უმაღ მიწას გამაყრა. ერთხანს ასე ვიყავი მინდორზე გართხმული. მეტრე ნელ-ნელა თავი წამოვწიე და გარემოში გარკვევა ვცადე.

სროლის ხმა ჩემ ზურგს უკან, ეკლესიის მხრიდან გაისმა.

ვალერი ფრთხილი, გამოცდილი მზვერავი იყო. თუ მან გაისროლა, ალბათ ამას რაღაც აუცილებლობა მოითხოვდა. მტერმა ნამდვილად ზურგიდან დაგვიარა და ვალერის ტყვიაც უთუოდ გერმანელებისთვის იქნებოდა განკუთვნილი.

გარეთ დარჩენა აღარ შეიძლებოდა და აღარც მკითხაობის დრო იყო.

წელში წახრილი შემოვტრიალდი და ეკლესიაში შევევარდი. ეკლესიაში სიჩუმე იყო.

— ვალერი! ვალერი!

გავძახე ჩურჩულით შესვლისთანავე.

ვალერი ხმას არ მცემდა.

საკურთხევლისაკენ მეგულებოდა, იქით გავიხედე, არ ჩნდა.

ღუმილი ცუდად მენიშნა.

საკურთხეველთან მივირბინე და ჩემს მტერს, რაც მე იქ ვნახე!

საკუთარი ტყვიით თავაგლეჯილი ვა-

ლერი გულადმა იწვა და სისხლში სცურავდა.

მეგრდზე ჩამოცურებული ავტომატის ლულა ისევ მალა იყო მიმართული.

თავის ქალა ახდელი, ტყვიისაგან აგლეჯილი ჰქონდა, ტვინი და სისხლი ერთმანეთში არეულიყო. დაბნეულმა სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, მიაჭაში ეწვდი.

ხელი უმაღვე დავეშვი. ტყვიით თავგახეთქილ, ტვინდათხეულ კაცს მაცას სადღა ვუპოვიდი.

ცრემლი მომერია. თავდაპირველად ვერც წარმოვიდგინე, რომ ვალერიმ თავი მოიკლა.

შერა უმწეოდ მოვაგლე იჭაურობას და თვალი სასანთლეზე დადებულმა თერთმა კონვერტმა მომტაცა.

წერილის დანახვამ ჯერ შემაერთო. კონვერტის აღებისა და გახსნის შემინოდა. არც გამიგია, ისე თავისთავად, ჩემს უნებურად წავიღე ხელი სასანთლიაგენ.

ეკლესიაში ბნელოდა.

სარკმლის ახლოს მივედი და წერილს სინათლეზე დავხედე.

ბარათი ჩემთვის იყო განკუთვნილი.

კონვერტი გავგლიჯე. წერილი ამოვიღე და თვალი სტრიქონებს სწრაფად გავაყოლე.

კითხვით გატაცებულმა ლევანმა პაპიროსის ნამწვი საფერფლეზე დააქრო, უმაღვე პირში ახალი გაიჭო და ასანთი გაკვრა.

უცებ ორთქლმავლის გაბმული კივილი გაისმა.

ლევანს ასანთი ხელში გაუშეშდა. ფანჯარასთან მიიჭრა და ქალაქს გახედა.

რკინიგზის ხაზზე, ხიდის თავთან შეჩერებული ორთქლმავალი შეცხადებულავით ჰკიოდა.

ხერგილი დაკეტილი იყო, მაგრამ ხალხი ამას არ დაეიდევდა, ცნობისმოყვარენი ქალაქის ორივე მხრიდან მორ-

ბოდნენ და ორთქლმავლის ირგვლივ შეგროვილთ ემატებოდნენ.

ლევანს გულში რალაცამ შემაჩრდილა ჰკრა. სუნთქვა შეუგუბდა და გაფითრდა.

მერე უეცრად ფანჯარას მოსწყდა და კიბეზე სირბილით დაეშვა. რედაქციის შენობა ქალაქის შემადლებულ ნაწილში, ფერდობზე იდგა.

რკინიგზის ხაზი ახლო იყო.

მოკლე, საცალფეხო გზით დაეშვა, თავდაღმართი მალე ჩაათავა და ჩაივკა.

მისებრ დაგვიანებული ცნობისმოყვარეები აქა-იქ კიდევ მორბოდნენ.

ორთქლმავალმა კივილი შესწყვიტა. ლევანი გულამოვარდნილი მიიჭრა. ხალხი მისწი-მოსწია და გზა ძალით გაიკვლია.

— ყოჩაღ, ძმაო, მემანქანე ვარო, მაგან უნდა თქვას!

— აბა, კაცო, ორ მეტრში გაუჩერებია მატარებელი!

— ბეწვზეა გადარჩენილი ბავშვიც და თვითონაც!

— აბა... აბა...

ლაპარაკობდნენ იქ მყოფები, მაგრამ ლევანს მათი აღარაფერი ესმოდა, შებლზე ჭირის ოფლი ასხამდა, მუხლში ძალა ელეოდა, მოუთმენლობისაგან სულა ყელში ებჯინებოდა და ჯიკავ-ჯიკავით წინ მიიწევდა.

შეკრებილთაგან ბევრმა იცნო. ერთიმეორეს თვალითა და ხელით ანიშნეს და ორთქლმავლისაგან გზა მისცეს.

ის იყო, ხალხში გაატანა და ისარნაკრავივით უცებ შექანდა.

გუმანი გაუმართლდა.

ლიანდაგის პირას ელისო ეგდო.

— შვილო!

ამოიზმუელა ლევანმა.

მუხლზე ჩაიკეცა, ბავშვს თავი აუწია და თვალეში ჩახედა.

— მიშველეთ!

ვედრებით მოაგლო ლევანმა თვალი იქ მყოფთ.



— აეწიოთ.. ვუშველოთ...

შეჩოჩქოლდა ხალხი.

რამდენიმე კაცი ელისოს ასაწევად დაიხარა და ამ დროს „სასწრაფო დახმარების“ მანქანის საყვირის ხმაც გაისმა.

— სასწრაფო მოდის...

— გზა.. გზა მიეცით მანქანას!..

აყვირდა ხალხი.

ყველა სხვას მოუწოდებდა უკან დახეულიყვნენ და მანქანისთვის გზა დაეთმოთ. თითქოს ეს მოწოდება პირადად არც ერთ მათგანს არ ეხებოდა, ადგილიდან არავინ იძროდა, სეირის ცქერას არ ეხსნებოდნენ და თავისი ნებით ფეხს არ იცვლიდნენ.

მანქანამ მძიმე ზოზინით, ნელ-ნელა გაიარა ხალხში და გაჩერდა.

ექიმი გადმოვიდა. ავადმყოფს დახედა, აღარც დაიხარა და ოდნავ გასაგონად თქვა:

— ისევ დამბლა!

ექმყოფთ თვალი მოაელო და ლევანს შეხედა.

— მარტო იყო?

იკითხა ექიმმა.

— მარტო ყოფილა. სკოლიდან უჩემოდ წამოსულა და კინალამ დაველუპულვარ.

ამოიგმინა ლევანმა.

— მარტო არ უნდა გაუშვათ. ხომ გაგაფრთხილეთ.

საყვედურნარევი კილოთი თქვა ექიმმა, მერე სანიტრებს ანიშნა და ლევანის მისამართით თქვა:

— შინ წავიყვანოთ, არა?

— შინ.

დაუდასტურა ლევანმა.

ელისო საკაცეზე დააწვინეს და მანქანაში ფრთხილად აიყვანეს.

ლევანი საკაცეს შეჰყვა და სანიტრების გვერდით მოთავსდა.

ექიმი მძღოლს გვერდით მიუჯდა.

სასწრაფო დახმარების მანქანა ისევ ნელა დაიძრა.

ლ ე ქ ს ე ბ ი

* * *

ჯერ კიდევ მოჩანს გაოცებულ ფანჯრების მწკრივი,
მაგრამ წყველიაღი, გრანიტივით მძიმე და მკვრივი,
კვლავ უბრუნდება ძველ ნაპირებს, ვით ოკეანე
და ყველგან მისი უსასრულო სული შრიალებს.
მე კი მიყვარსარ და შვილივით ვიხუტებ იმედს
და ჩემს სხეულზეც, როგორც ბორცვზე, გადადის მძიმედ
წყველიადის ტალღა.

უ კ ი ღ ო ბ ა

ბნელოდა. მაგრამ უჩინარ ცაზე
უკვე ჩნდებოდა რძისფერი ბზარი,
ხოლო იმ ბზარში, როგორც ხაფანგში,
ღრუბლები დონდლო კიდურებს ყოფდნენ.
ეს კი ნიშნავდა, რომ თენდებოდა,
რომ ერთხელ კიდევ სტოვებდა ღამე
მხოლოდ თავისთვის შექმნილ ასპარეზს.
და გაეფიქრე, რომ უსათუოდ
გაგაგონებდი ჩემს ხმას და საოქმელს,
თუკი ასლავე მივატოვებდი
ამ ერთფეროვან და მძიმე კედლებს.
მე ალაღებულზე გავეყვი ქუჩებს.
ჯერ კიდევ ეპყრა ქუჩები ღამეს,
მაგრამ მოშავალ მზეს და სინათლეს
მისი სხეული გაეხრწნა უკვე.
და იშლებოდა ღამის სხეული
და ნაწილ-ნაწილ ეკიდა ხეებს,
როგორც ვეშაპის აქნილი მძორი,
ხოლო იმ მძორის პირქუში ჩრდილი
ქუჩებში იდგა, ვით სისხლის გუბე.
მე მივდიოდი. და დილის ნესტი
სველი ხელებით მისრესდა სახეს
და ამის გამო ჩემი ფიქრები

ადგილს უთმობდნენ სიცარიელეს.
და გრძნობებისგან მთლად განტვირთული
უკვე გავცილდი ქალაქის კედლებს.
უკვე ცაც ჩანდა და რომელიღაც
თეთრი მწვერვალიც, ხოლო მის თავზე
ღრუბლების ჯოგი, ჩემს დასანახად,
ათასნაირად იცვლიდა სახეს.
მეც მივდიოდი, როგორც ღრუბელი
თავისუფალი და ცარიელი,
ან უფრო სწორედ ჩემი ფიტული
სადღაც მიქონდათ უჩინარ ძალებს.
და შემეშინდა, რადგან ვიგრძენი,
რომ ამ უაზრო სვლის საფასურად
ვკარგავდი ვნებით შემერთალ ღამეებს
და ჩემს სარკმლიდან დანახულ მთვარეს.
ვკარგავდი ძებნის და მოლოდინის
და განშორების მტანჯველ უფლებებს
და ჭრილობასაც, რომელიც დღემდე
მინათებს სულის იდუმალ კიბეს.

მე მოვტრიალდი და ხეებს შორის
თვალი წააწყდა ქალაქის კედლებს,
ხოლო ქარხნების ჯიუტი კვამლი
კვლავ უსასრულოდ იწვედა ცისკენ.

ზაფხულის პიკნელი დღე



კვლავ აწკრიალდა ოთახში ზარი.
კვლავ შეიმშუმუნენ ძილში ყველანი.
გავადე კარი, მაგრამ ვერავენ
ვერ დავინახე კარებთან მდგარი.

სამაგიეროდ დერეფნის ხერული
ყრუდ გუგუნებდა, როგორც დუმელი
და იდგა სველი მიწის სურნელი:
მკვრივი და მძიმე, მძაფრი და ცხელი.

რალაცნაირი იყო დუმილიც,
რალაცნაირად მსდალი თუ ფრთხილი.

და ნაცრისფერი, უფორმო ჭრდილზე
კედელთან ეგდო გაგუდულივით.

მკერდზე ასვლოდა სინათლის ხავსი
და გამომწვევად დუმდა კედელიც:
თვალისთვის ყველა გზის ჩამკეტველი
და გაქვავებულ ჩანჩქერის მსგავსი.

საფეხურების გულცივი რიგიც
მტკიცედ იცავდა დუმილის მიზეზს.
და ყველაფერი მოჩანდა ისე,
როგორც ბურუსის თუ შუმის იქით.

ს ი ზ მ ა რ ი

გამოჩნდა მიწა, შენთან ვარ თითქმის.
იღვიძებს მიწა და პერანგს იცვამს.
ეს ზომ თოვლია. მე წუთებს ვითვლი.
ნათურებს ანთებს და მორბის მიწა.

ოღონდ შენთანაც სინათლე ენთოს
და ყველა სასჯელს უზმოდ ავიტან.

და აი, უკვე შენთან ვარ. — ღმერთო.
ეს შენი ხმაა. — როგორ? საიდან?

ამოდის მთვარე და ცალი თვალით
ჩემს ხელებს ზვერავეს ჩუმად და მკაცრად.
მე კი ოთახში შემომყავს ძალით
და თავქვემ გიღებ ბალიშის ნაცვლად.

შ ე ხ ვ ე რ ი ა

სარკმელში ზამთრის მხრები ელაფენ.
პალტო ჩრდილივით აგდია კართან.
ის კი მფასედ ყვება ყველაფერს,
ძველსა თუ ახალს, ტყუილს თუ მართალს.

გადიმებული უყურებს ქალი
და ეფერება საკუთარ ხალათს
და ამოუხსნელ ბუნების ძალით
ბედნიერების ნახევარს მალავს.

კაცი კი ყვება და რასაც ყვება
სხვა ვერ გაიგებს იმ ორის გარდა.
ის ყვება პირველყოფილი ვნებით
და გულწრფელია საკუთარ თავთან.

სამყაროსთანაც. და ამის გამო
თავზე მოხვეულ თვისებებს კარგავს.
თვლებში მშვიდად უყურებს ღამეს
და, როგორც ცოცხალს, უყურებს საგანს.

ხოლო საგნების უძრავი კასტა
ღალატობს თავის წესს და ბუნებას
და ეწირება მათ გულწრფელ განცდას,
როგორც ყველაზე ძლიერ ცდუნებას.

ისინი წვანან. საწოლის თავთან
ფრინველის მსგავსი საათი ყვინთავს.
სარკმელი მკერდით აკავებს აუღარს.
სარკვე ყველაფერს ირეკლავს მშვიდად.

ისინი წვანან და ქალის ხელი
მიშვებულ ნიჩაბს თუ ფრინველს ბაძავს.
ხოლო ოთახში ნახევრად ბნელა
და გავს ოთახი პატარა ტაძარს.

დე, იყოს ასე. დე, ერთი ღამე
მოსვენებული ყავდეთ გონება
და არ ახსოვდეთ, რომ ყველა წამი
უფრო ნათელს ხდის მათ განზორებას.

რომ სიხარულსაც გაუდის ვადა,
რომ სიხარულიც ძაფით აბია;
და რომ ათასგვარ სიმწელის გარდა,
არსებობს მკაცრი გეოგრაფიაც.

არსებობს ბოძი, მავთული, ხნული...
არსებობს თვალი, სმენა და ენა,

მაგრამ არსებობს უსაზღვრო გულიც,
უსაზღვრო ნდობაც, უსაზღვრო რწმენაც.

და ამის გამო ამ ქვეყნის შლამი
წყალს მიაქვს მათი ალერსის ფასად.
და იყურება სარკმელში დამე
ცერებზე შემდგარ მოზარდის მსგავსად.

ჩ ი ბ ი


ისე ჯიუტად და უცნაურად უსტვენდა ჩიტი, რომ გამეღვიძა:

ზღვისპირას იდგა თეთრი სასტუმრო და მოთენთილი დამსვენებლები დასვირნობდნენ
ბნელ დერეფნებში, ვით კულისებში მსახიობებში.

ზღვისპირას იდგა შიშველი ქარი და ათრთოლებულ გრძელი ხელებით
სველ ნაფუხურებს ზედიზედ შლიდა.
მე კი სულ ერთი ნაბიჯი მაკლდა, რომ განმეცადა ბედნიერების უსაზღვრო სივრცე

ისე ჯიუტად უსტვენდა ჩიტი...

ისე ჯიუტად და უცნაურად...



ციკლიდან: ქართული მელოდიაზი

ულამაზესი ყვავილი ხარ საქართველოსი

ულამაზესი ყვავილი ხარ საქართველოსი,
შენს ირგვლივ ღელავს ოქროსფერად სიცოცხლის ყანა,
ალბათ ზღაპრული მოგიძლოდა შენ ანგელოზი,
რომ ქვეყანაზე ასე კარგი გამოგიყვანა!

ბევრი მინახავს შენი ეშხით გულგანგმირული,
მაგრამ ასეა ეს სოფელი: უყვარს წვალემა,
ზღვის უნაპირო და უსაზღვრო, სათნო თვალებმა —
არა იციან არც შენდობა, არც შებრალება.

და მაინც ვცოცხლობთ... ჩვენ სურვილებს არ უჩანს ბოლო,
და ამ ბრძოლებში ერთი ფიქრი გვამხნევეს მხოლოდ,
რომ შენ — ეს წმინდა სახსოვარი ტურფა მდელისი —
ულამაზესი ყვავილი ხარ საქართველოსი!

ს ბ უ მ ა რ ი

ამ წუთისოფლის ვარ დღეს სტუმარი,
ზოგჯერ ფიცხი და ზოგჯერ მდუმარიც...
და თუ არის რამ მიუწვდომელი,
არც მე ვარ ქვეყნად ბევრის მდომელი.
თუ წყალი გთხოვე — მომეცი წყალი,
და თუ არა გაქვს ის მაღლიანი —
ჯობს მოიხადო მასპინძლის ვალი
და სიტყვა მაინც მითხრა წყლიანი.
დიდხანს არ ვიციდი, მიგდივარ ღამით,
რას უცდი, გახსენს საუნჯე შენი,

თუ გემეტება მომეცი რამე —
ალალმართალი ცხოვრების ძღვენი.
ბევრს კი არ ვითხოვ ამ სოფლის მწირი,
არ მინდა დიდხანს ცხოვრებამ მგვემოს...
ისე კი, მსურდა შემეტყო მცირე
სიკეთით სავესე ცხოვრების გემო.
და შერე წავალ, წავალ იმ ფიქრით
იქ, სადაც ყველა არის მდუმარი,
რომ თქვან აქ ჩემზე — ერთხელაც იგი
ამ წუთისოფლის იყო სტუმარი!

როცა თმაში ჭალარაა

როცა თმაში ჭალარაა
სიხარული მაშინ რაა!
გული კვდება, ფიქრიც ქრება,
სულიც სევდის ამარაა!..
მაშინ არის ყველაფერი,

როცა ძღვევის ნალარაა,
სიჭაბუკე ცეცხლს რომ აფრქვევს,
არც კმუნვა, არც ჭალარაა...
და როცა ეს მიდის ჩვენგან —
არაფერიც აღარაა!

კ ა რ ა ს კ ე ვ ა

მომხრობა

გოგონა თითქმის ყოველდღე შოდინდა, მაგრამ მოახლოებას ვერ ბედავდა. ერთხელ კი გათამამდა, წამოვიდა და შორიანლოს გაჩერდა. მაღალი ფეხები ჰქონდა, მკერდი ოდნავ ამოხურთოდა. როდესაც გოგონამ ორივე ხელი კეფაზე შემოიჭლო, მიხამ მის მკერდს თვალი აარიდა. გოგონა იღვა და ჩმას არ იღებდა. მიხამ წიგნი მიწაზე დააგდო, გოგომ გაუღიმა.

— მოდი აქ! — უთხრა მიხამ.

გოგომ ნაბიჯი გადმოდგა, მაგრამ მაშინვე შეჩერდა.

— მოდი!

გოგომ თავი გაიქნია, არაო.

— რატომ? — ჰკითხა მიხამ, — მოდი, ნუ გეშინია.

გოგომ გაიცინა:

— რისი უნდა გეშინოდეს! — და ახლოს მოვიდა.

ქარვახანს უხმოვ უტყუერდნენ ერთმანეთს. მერე მიხამ ზეწარს ხელი გადაუსვა და თქვა:

— ეს თოვლია. მე თოვლში ვწევარ.

— თოვლი? — გაიკვირვა გოგომ, — ზატხულში თოვლს რა უნდა?

გოგომ საწოლთან ჩაიჩოქა და სახე ახლოს მიუტანა, ჭორფლიანი, პატარა ცხვირი ჰქონდა, თაფლისფერი, სხივიანდგმული თვალები.

— ავიდა ხარ? — ჰკითხა მიხამ.

— მზია, — გაისმა ამ დროს ქალის ხმა, — მზია! მზია!

— ბებიანიემია, — გოგო წამოდგა, — მე მეძახის.

— მზია! მზია! — იძახდა ქალი.

— წავალ, — თქვა მზიამ, — ბებია გამიჯავრდება.

— კიდევ მოდი, — უთხრა მიხამ.

— მოვალ.

გოგო გაიქცა.

ზღვის პირას მაღალი ფიჭვები იდგნენ, ფიჭვებს იქით ზღვა თვალისმომჭრელად ბრწყინავდა.

იმ ღამეს სიცხემ აუწვია და მეორე დღეს ზღვის ნაპირას აღარ გამოუყვანიათ. ასე გრძელდებოდა ოთხი დღე. თუმცა დედას თხოვდა, ემუდარებოდა, ზღვის პირას წამოყვანეთ, დედას გავონებაც არ უნდოდა.

აივანზე იწვა. აქედან ზღვა არ მოჩანდა. ზღვას თეთრი, ერთნაირი სახელები და მაღალი კვიპაროსები ეფარებოდა. თავდაღმართი უნდა ჩაგერბინა, რომ ზღვასთან მისულიყავი. აქედან ზღვის ნაპირამდე უზარმაზარი, მტვრიანი ავტობუსები დადიოდნენ. დედას დიდი, ქილოფის ქუდი ეხურა, თეთრი კაბა და თეთრი სანდლები ეცვა. არ შორდებოდა, მთელი დღე თავთან ეჭდა, ან წიგნს უკითხავდა, ან კიდევ ტილოს დიდ ნაჭერს ქარგავდა. მუხლებზე რომ ჰქონდა გადაფარებული.

მათ მეზობლად, იმავე აივანზე, ბრუნეტის მძიმე ფარდის იქით, ბერძნები ცხოვრობდნენ. პატარა ელას ვერცხლის ხარი ჰქონდა, ყურთან მიიტანდა და განუწყვეტლივ აწყრილებდა. ელას დედა ძალიან მსუქანი იყო, ძლივს დადიოდა. საღამოობით პატარა სკამს ჩაი-

ტანდა და ჭიშკართან ჩამოვდებოდა. დიდი, ძველებური მარაო ჰქონდა, ჩიტებით მოხატული: ელას მამა, მალალი, გამხდარი, გრძელცხვირა კაცი, სურათებს უღებდა დამსვენებლებს. შინ როცა ბრუნდებოდა, ყოველთვის საზამთრო ან ნესვი მოჰქონდა. ცოლი ჭიშკართან ელოდებოდა ქმარს. რომ დაინახავდა, უსათუოდ დაიძახებდა:

— ელა, ელა, მამა მოდის!

ელაც გამოვარდებოდა, გაიქცეოდა და მამას კისერზე მოეხვეოდა.

ღამით კვიპაროსები კიდევ უფრო მალდებოდნენ. ეს მალალი კვიპაროსები ფერდობზე ჩაფენილ უბანს საიდუმლო იერს აძლევდა. თვითონ უბანიც ისე იყო განათებული, თითქოს წითელი მუყაოს ფარნები აუნთიათო. ზარის წკრიალს უცებ ჭრიჭინა აპყვებოდა. მისი ჭრიჭინი უხეშ ბადესავით ფარავდა ნახსა და სუსტ ჰანგს, რომელიც მაინც იბრძოდა, არ წყდებოდა, მორცხვად და მორიდებით ეფინებოდა მიდამოს და ზაფხულის ღამეში ისე გაიხმოდა, თითქოს ბუნების ხმა ყოფილიყოს.

მეოთხე დღეს გადაწყვიტა, ზღვაზე გაპარულიყო. წამოდგა, ტანთ ჩაიცვა და ქუჩაში გამოვიდა. გაიქცა, მაკრამ მალე დაიღალა, ფეხსაცმელებზე დაიხედა, სულ ერთიანად გათეთრებოდა მტერისგან. ესიაშოვნა, რადგან სხვა ბიჭებისაგან განსხვავებით, ყოველთვის გაპრიალებული ფეხსაცმელი ეცვა. ამ დროს ავტობუსი წამოეწია. მოეჩვენა, გაჩერებას აპირებსო, აედევნა კიდევ, მაგრამ ავტობუსი არ გაჩერებულა. წაიბოროძია და ქვავზე მუხლი გადაიტყავა.

ღობის გადაღმა ონკანი დაინახა, ონკანიდან წყალი მოთქრიალებდა. დაბალი, მავთულით მოწნული კარი შეიღო და ეზოში შევიდა, თან აჭეთ-იჭით იხედებოდა, ძალლი არ გამოძივარდესო. გულისხეთქებით მივიდა ონკანთან. წყალი ჭერ პირზე შეისხა, მუხლის მობანასაც აპირებდა, რომ ამ დროს შიშველი ფეხები საშინლად აეწვა. მიიხე-

და, დაბალსა და მსუქან კაცს ხელში ჭინჭრის კონა ეჭირა, ბოლოზე უხეშო-შემოხვეული და წვივებზე უტყლაშუნებდა, თან უყვიროდა:

— ახლაც არ მოიშლი ამ ეზოში სერირობას, ახლაც!

რატომღაც სახეზე აიფარა ხელები, გამოიქცა, კაციც სირბილით გამოედევნა, ჭიშკრამდე სულ წვივებზე სცემდა ჭინჭრის კონას. მელოტ თავზე ქალის ნეილონის წინდისაგან შეკერილი ჩაჩი ეხურა, მზეზე ქონწასმულივით რომ ბზინავდა.

შინისკენ მობრუნდა და ხმამალა ტირიდა, ახლა არც სირცხვილზე ფიქრობდა, რადგან გული გასკდომაზე ჰქონდა. მალი-მალ ჩერდებოდა და დაშუშულ წვივებზე ხელს ისევამდა. უნდოდა ყველას დაენახა, ასე უშიშვოდ დასჯილი და ნაწამები. არავის მიუქცევია ყურადღება, არავინ შეჩერებულა, ცალი თვალითაც არ გამოუხედავთ მისკენ. უნდოდა ჩქარა მისულიყო დედასთან, მის კალთაში თავი ჩაედო და ეტირა, იქნებ გულიდან როგორმე ის სიმძიმე ამოეგდო, რომელსაც უცებ, სულ რამდენიმე წუთში მოესწრო მის ფსევრზე ჩაღეჭვა და ჩაყრვა.

ჭერ თბილისში უნდოდათ მისი წაყვანა. მერე ეჭიშმა თქვა, არ არის საჭიროო. ისევ აივანზე იწვა, ისევ გასცქეროდა გარინდებულ კვიპაროსებს, აღარ კითხულობდა, წიგნის დანახვაც კი არ შეეძლო. მთელი დღე ელას ზარის წკრიალი ესმოდა. ღამით, როცა ცაზე ვარსკვლავები აინთებოდა, ამ წკრიალს თითქოს მასთან ერთად ვიღაც უსმენდა, უჩინარი და დიდი, უფრო დიდი, ვიდრე ზღვა ან ქვეყანა. ხანდახან ძილში მისი ნაბიჯის ხმა ჩაეხმებოდა, მაშინვე თვალს გაახელდა და იდაყვებზე წამოწეული, ყურდაცქვეტილი უსმენდა, როგორ გადადიოდა ვარსკვლავებზე და ღრუბლებზე ვიღაც უხილავი და დიადი.

უნდოდა განუწყვეტლოვ მზიას სახელი გაემეორებინა, ხმამალა ეთქვა და, რადგან ამას ვერ ბედავდა, ელაო,

— იმხდა, — ელა! ელაც მოდიოდა და გაქვავებული, დიდი თვალებით უცქერდა, საწოლთან ახლოს სკამს დაუდგამდნენ, სკამის კიდეზე ჩამოჯდებოდა და ყურთან ვერცხლის ზარს ააწკრივლებდა.

— შენ რა, ლაპარაკი არ იცი? — ეკითხებოდა ელას.

გოგონა თავს უქნევდა, ვიციო.

— მერე რატომ არ ლაპარაკობ?

— გესმის? — პასუხის ნაცვლად ეუბნებოდა ელა და ზარზე უთითებდა.

— არც ამხანაგები გყავს...

— არა...

— არც მე მყავს ამხანაგები, — ამას იტყოდა და ისევ მზია დაუღვებოდა თვალწინ.

ერთ საღამოს მამა ჩამოვიდა. თუმცა დიდი ხანი არ იყო, რაც არ ენახა, მაინც ეუცხოვა, თითქოს გამოცვლილიყო. კიდეც უფრო გასუქებულიყო. წელზევით შიშველი, ქალაქს გასცქეროდა და ლიღინებდა. მერე ბოიანი, დიდი პირსახოცი აიღო და ზღვაზე წავიდა. კიბეზე რომ ჩადიოდა, მიხამ დაუძახა:

— მამა, შენ ცურვა იცი?

— აბა რა! — უპასუხა მამამ და კიბე ლიღინით ჩაირბინა.

მამა რომ წავიდა, დედას დაუძახა:

— დედა, მამამ მართლა იცის ცურვა?

— ხომ გითხრა, ვიციო.

— მართალი მითხარი, — გაჯიუტდა.

— რა დაგემართა, — შეუწყრა დედა, — როგორ იქცევი?

იმ დამეს დაესიზმრა, დედა ვარსკვლავებზე აბიჯებდა და მიდიოდა. ხელში ვერცხლის ზარი ეჭირა და მიაწკარუნებდა. დედა! დედა! — ეძახდა, მაგრამ დედას მისი არ ესმოდა.

ზღვიდან დაბრუნების შემდეგ ყველაფერმა ჩვეულებრივი იერი მიიღო. ერთხელ, როცა გაცვეთილებს ამზადებდა, კარზე მოუკაკუნეს. წამოდგა და კარი გააღო, კართან უცნობი, მაღალი ქალი იდგა. ხელში პაპიროსი ეჭირა.

— რას აკეთებ? — ჰკითხა მან მიხას.

მიხა დაიბნა, რადგან უცნობი ქალისაგან ასეთ შეკითხვას არ მოელოდა.

— ვემეცადინებო. — *[უპასუხა მანა]*

— ყოჩაღ! — უთხრა ქალმა, მერე ოდნავ დაიხარა, — მოდი, გაეცო.

მიხა უხერხულობისაგან გაწითლდა. უნებურად აიწია თითის წვერებზე და ქალმა შუბლზე მშრალი, გაყინული ტუჩები შეახო. აღარაფერი უთქვამს, გატრიალდა და წავიდა. გაკვირვებული მიხა დიდხანს იდგა კართან, მერე იფიქრა, წავალ, დედას ვკითხავ ეს ქალი ვინ არისო, და სასადილო ოთახში შევიდა, რადგან დარწმუნებული იყო, დედა იქ იქნებოდა. ამ ოთახში უყვარდა ფანჯარასთან ჯდომა და ქარგვა, ოთახში დედის ნაცვლად ისევ ის მაღალი ქალი დახვდა. ქალი კედელზე მამის სურათებს დაკვირვებით ათვალიერებდა. მიხან კარი რომ შეაღო, არ გამოუხედავს, ისე ჰკითხა:

— ეს „კარმენია“, ხომ?

მიხა ახლოს მივიდა, იმ სურათს შეხედა, რომელზედაც ქალი უთითებდა და უპასუხა:

— დიახ, „კარმენია“!

— აბა, როგორ გგონია შენ, — მოუბრუნდა უცებ ქალი, — აბა, როგორ გგონია!

— ბატონო?

ქალი თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა, სურათების ცქერით ისე იყო გართული, მის აქ ყოფნას ვერც ამჩნევდა. ნელა-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვებოდა კედელზე გაკრულ სურათებს, მიხაც მისდევდა.

ქალი მოულოდნელად მოტრიალდა და მიხას თვალებში ჩახედა:

— მეტი რა უნდოდა, ბატონო, რა?

იმ დღეს მამა გვიან დაბრუნდა შინ. გვიან ისადილეს.

— დედა სად არის? — იკითხა მიხამ.

ხმა არავის ამოუღია. დედის ნაცვლად ის მაღალი ქალი არიგებდა კერძს. ქალს ტუჩები მკაცრად მოეკუმა, პირი არაფრისათვის დაუკარებია. განუწყვეტლოვ პაპიროსს ეწეოდა. კაცივით ღრმა

ნათაზებს არტყამდა და სხივში აბრ-
კყვიალბულ კვამლს ხელს აუქნევდა
ხოლმე, თითქოს კვამლი უნდა მიხვედ-
რილიყო და სუფრას გასცლოდა.

— მიხა, ეს მამიდაშენია, — უთხრა
მამამ მიხას, როცა სადილს მორჩინენ.

მიხამ თავი ასწია და ქალს შეხედა,
ქალიც მას უყურებდა.

— სოფიკო მამიდა, — თქვა მამამ.

— ჩვენთან სტუმრად ჩამოვიდა ქუთაი-
სიდან. სოფიკო მამიდას ყველაფერი
უნდა დაუჯერო, ხომ დაუჯერებ?

სოფიკო მამიდამ თეფშები ერთმა-
ნეთზე დააწყო და თქვა:

— მიხა კარგი ბიჭია!

— დედა სად არის? — იკითხა მი-
ხამ ისევე.

— მე აბლა ცოტა ხანს წამოვწვები,
— თქვა მამამ, — თუ დამეძინა, შეიღ-
ზე უსათუოდ გამაღვიძეთ, ღღეს სპექ-
ტაკლი მაქვს.

— უნდა იმღერო? — რატომღაც გა-
უყვირდა მამიდას.

— კო.

— კი მაგრამ, — მამიდამ ხელები გა-
შალა, მერე თითქოს უცებ რალაც გა-
ახსენდაო, წამოღგა და ოთახიდან გა-
ვიდა.

მიხამ იგრძნო, რომ რალაც მოხდა.
უნდოდა მამისთვის ეკითხა, მაგრამ და-
ინახა, რომ მამას სკამზე მჯდომარეს ჩა-
სძინებოდა. ისე უზრუნველად ფშვი-
ნავდა, რომ ეპკიც კი შეეპარა, არაფე-
რიც არ მომხდარა, მომეჩვენაო. მამას
ასე ჩამოეძინებოდა ხოლმე სადილის
მერე. დედა აღვიძებდა მამას, მან კი
ვერ გაბედა და ოთახიდან ფეხბაკრუფით
გავიდა. დერეფანში რომ გამოვიდა, მა-
მიდა დაინახა, გულ-ხელი დაეკრიფა
და მას უყურებდა. თავჩაღუნულმა გა-
მოიარა დერეფანი და თავის ოთახში
შევიარდა, კარი მიხურა და ზურგიით
მიეყარნო. დიდხანს იდგა ასე. ოთახ-
ში ნელ-ნელა ბნელდებოდა. უკვე კარ-
გად გამოიკვეთა ფანჯარა, რომელსაც
დროგამომშვებით მოპირდაპირე სახლზე
აკრული უზარმაზარი რეკლამა მწვანე,
უსიამოვნო ფერით ანათებდა.

„დედა სად არის. — ფიქრობდა ის,
— დედა... დედა...“

იმ დამეს დიდხანს არ დაუძინებია სიბ-
ნელეში თვალდაჭყეტილი იწვა და
ქერს შესცქეროდა. მერე დერეფნიდან
ხმაური შემოესმა, თითქოს დედა ლა-
პარაკობდა. წამოხტა და კარი გამოაღო.
დერეფნის ბოლოში ვილაყეები იდგნენ,
ვერ გაარჩია, რადგან ბნელოდა. არა,
დედა იქ არ იყო, მოეჩვენა. ამ დროს
მამამ დაუყვირა:

— კიდევ არ გძინავს?

სასწრაფოდ შეიხურა კარი და ლო-
ვიში ჩაწვა.

დილით მამიდამ გაუმზადა საუზმე.
ლუქმას ძლივს ყლაპავდა, რადგან მამი-
და თვალმოშუშორებლად შესცქეროდა.

— კამე, რატომ არ კამე?

— აღარ მინდა, — ცოტა ხნის მერე
დაუმატა, — გმადლობთ.

— დილით ასე ცოტას კამ ხოლმე?

— ჰკითხა მამიდამ.

— დიახ.

— არ ვარგა. ამიტომაც ხარ ასე გამ-
ხდარი.

„დედა სად არის, — ფიქრობდა ის, —
ნუთუ ავად გახდა და მიშალავენ. ნამ-
დვილად ავად არის. ალბათ საავად-
მყოფოში წევს.“

მამიდას ვერ კითხა, დედას რა დაე-
მართათ, მამას კი ეძინა. გვიან იღვი-
ძებდა ხოლმე. მის ოთახში შესვლა სა-
სტიკად ჰქონდა აკრძალული. ჩანთა აი-
ლო და ქუჩაში გამოვიდა სკოლაში ერ-
თი სული ჰქონდა, როდის დამთავრდე-
ბოდა გაკვეთილები. დამთავრდა თუ
არა, შინისაკენ გამოიქცა.

მათი ქუჩის თავში პატარა ბაღი იყო,
გაღიებული და ბავშვებით სავსე. ადრე
ამ ბაღს რკინის მაღალი ღობე ჰქონდა
შემორტყმული და შიგ არავის უშვებ-
დნენ. ბაღში მაღალი ცაცხვის ხეები
იდგა და მწვანე-ბალახი ხასხასებდა,
იქიდან სიგრილე გამოდიოდა. ბაღს ყო-
ველდღე რწყავდნენ. ფოთლებსა და
ბალახებზე ათასფრად აციმციკებული
წყლის წვეთები ეკიდა. ქალები ბავ-
შვებს რკინის ღობის გასწვრივ ასეირ-

ნებდნენ. ბავშვები ღობეში ხელებს ყოფდნენ, ბალახის მოგლეჯა უნდოდათ, ქალები უშლიდნენ, ტუქსავდნენ. მერე ბაღს რკინის ღობე მოხსნეს და ბაღი ამ უბნის საყვარელ ადგილად გადაიქცა. ბაღს ახლა ქვის თეთრი დაბალი ყორე ერტყა. ყორეს გადააბიჯებდი და პირდაპირ დაბურული ხეების ჩრდილში შეხვიდოდი. ბაღი ისევ ისეთი ლამაზი იყო, თუმცა ახლა ყოველდღე აღარ რწყავდნენ.

მიხა ყორეზე ჩამოჯდა და წიგნები მუხლებზე დაიწყო. მზეს მოეთენთა, შიოდა კიდევ.

— ოპო, — მოესმა მიხას, — ამას ვის ვხედავ!

მის წინ მათი კარის მეზობელი რობინზონი იდგა. მიხას რობინზონი არ უყვარდა, რადგან სულ დასცინოდა ხოლმე და ხითხითებდა... ხითხითებდა... რობინზონი ახლაც იკრიკებოდა. ცისფერი კოსტუმი ეცვა, მილიციის ოფიცრებს რომ აცვიათ, იმ ნაჭრისაგან შეყერილი. ოპოზე თეთრი ნეილონის პერანგის ღილი შეხსნოდა დალაქული შაისური მოუჩანდა.

— მოდი, ბიჭო, მანქანაში ჩავსვა, — უთხრა რობინზონმა მიხას.

მანქანა იქვე იდგა, მწვანე „ვოლგა“. მიხა წამოდგა:

— გპაძლობთ!

ყოველთვის ფიქრობდა, როცა რობინზონს შეეხვებოდა, მეც უხეშად დაველაპარაკებო. მაგრამ მობუხებული აცახცახებული ელაპარაკებოდა ხოლმე. თუმცა ყოველწინადად ცდილობდა ეს შიში დაემალა, რობინზონი მაინც ატყობდა ატყობდა და აშკარად სიამოვნებდა, მისი რომ ეშინოდათ. რობინზონს ორი ჭროდათვალემა ბიჭი ჰყავდა, ტყუბები, ბუღლოვის ლეკვებივით ერთნაირი. ერთს კოტე ერქვა, მეორეს — სოსო. კოტე მიხას ბრუტიანს ეძახდა, სოსო კი — შოპენას.

— რას ელოდები აქ? — ჰკითხა რობინზონმა მიხას.

— ისე, ვზივარ, — უპასუხა თავჩაღუნულმა მიხამ.

— დედაშენს ხომ არ ელოდები?

— დედას? — მიხამ რობინზონს შეხედა, — სად არის?

— მე რა ვიცი. მამაშენი რას ამბობს, სად არისო? — მიხას ნიკაპი თითოთ აუწია და თვალეში ჩახედა, — ჰა, მამა რას ამბობს? — და გადაიხარხარა.

მიხა რობინზონს გაეცალა. ფეხებზე თითქოს ქვეები ეკიდა, ძლივს მიათრევდა. თავჩაღუნული მიდიოდა, საშინლად რცხვენოდა, ოღონდ არ იცოდა, რისი. გრძნობდა, რობინზონი იდგა და უყურებდა. ამის გამო კიდევ უფრო იბუზებოდა, თითქოს საცაა გაჭრებო, უნდოდა მართლაც გამჭრალიყო, ახლა აქ არ ყოფილიყო. უცებ ხის ძირას ქვა დაინახა, დაიხარა, აიღო და იმ წამსვე შემოტრიალდა. რობინზონი მანქანაში ჯდებოდა, მისკენ მიმავალი მიხა რომ დაინახა, სახე შეეცვალა, მერე ხელში ქვა დაუნახა.

— მიხა! — დაუძახა, თითქოს გააფრთხილა.

მიხას არ გაუგონია. ამ წუთას ვერც რობინზონს ხედავდა, ქვის სროლა რომ დააპირა, რობინზონმა ხელი დაუქია:

— ვის უხედავ თუ იცი, ლაწირაკო ქვა გააგდებინა:

— ვერ უყურებ ამას? — მერე ხელი წაპკრა, — დაიკარგე აქედან. შე მართლა შოპენა, შენა.

მიხას ფეხი არ მოუცვლია. იდგა და მიწას ჩასცქეროდა.

შინ რომ დაბრუნდა, ცოტა ხანს კართან გაჩერდა, მიაყურადა, დერეფანში ხომ არავინ დგასო. მერე კარი თავისი გასაღებით გააღო და ფრთხილად მიაწვა. ბინაში შეიხედა და პირდაპირ მაშიდის თვალეებს შეეფეთა. თითქოს მაშიდამ იცოდა, რომ ის უსათუოდ ახლა უნდა დაბრუნებულიყო და აშიტომ იდგა კართან. შერცხვა, ქურდულად რომ შემოაღო კარი. მამიდა უხმოდ შესცქეროდა. დიდხანს იდგნენ ასე, მერე მამიდამ უთხრა:

— კარი მიხურე!

საკეტმა რომ გაიხზრიალა, თითქოს მის ტანში ჩაიკეტა რაღაც მაგრად და ყრულ.

ყველაზე მეტად სწორედ მამიდას არიდებდა თავს. გრძნობდა, ამ უცხო ქალის ეშინოდა. თუმცა ამის მიზეზი არ ჰქონდა. იმასაც ატყობდა, რომ მამიდა მკაცრი არ იყო, მიუხედავად იმისა, თვითონ, ალბათ, უნდოდა, სწორედ ასეთი ჰგონებოდა ყველას.

— რას უდგებარ? — ჰკითხა მამიდამ.

მიხამ მამიდას გვერდი აუარა და თავის ოთახში შევიდა. წიგნები მაგიდაზე დაყარა და საწოლზე ჩამოჯდა.

— რობინზონ კრუზო! რობინზონ კრუზო! — გაიმეორა რამდენჯერმე ხმამაღლა.

თვალნათლივ დაინახა კმაყოფილი და გამძღარი, მზის გულზე ნებვირად წამოწოლილი, პირში ხიბუხგაჩრილი რობინზონ კრუზო, რომლის ფეხებთანაც საწყალი პარასკევა ჩაცუცქულიყო და ძაღლივით შესციცინებდა თავლებში. თუ პარასკევას ნაცვლად თვითონ იჯდა რობინზონ კრუზოს ფეხებთან და რობინზონი, როცა მოისურვებდა, მაშინ წამოუთაქებდა თავში, რადგან არც ჰქვის სროლა იცოდა, არც ჩიბუხის პოწევა.

— რობინზონ კრუზო! — გაიმეორა მან კიდევ ერთხელ და ამ დროს მაშინდამ მოუკაკუნა.

მიხა წამოდგა, ვერ დაუძახა, მობრძანდითო, ეს რატომღაც მეტად უცნაურად მოეჩვენა, ამიტომ წავიდა და კარი გააღო.

— არა გშია? — ჰკითხა მამიდამ.

— არა.

მამიდა ოთახში შემოვიდა, მაგიდასთან მივიდა და წიგნი აიღო, წინსაფრის ჯიბიდან სათვალე ამოიღო, გაიკეთა და წიგნი გადაფურცლა, ისევ მაგიდაზე დადო და მიხას შემოხედა:

— რატომ?

— ბატონო?

— რატომ არ გშია?

მიხამ მხრები აიჩეჩა. სიჩუმე ჩამო-

ვარდა. მამიდას, ეტყობოდა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ არ იცოდა როგორ დაეწყო ლაპარაკი მისი ცნობიერებით უცდიდა. მიხვდა, თუ თვითონ ხმას არ ამოიღებდა, მამიდა ვერაფერს იტყოდა, რადგან ლაპარაკის დასაწყებად აშკარად საბაბს ეძებდა. ახლა მთავარი იყო, არაფერი წამოცდენოდა ამის გაფიქრებამ გაახარა. მერე გაუკვირდა, რადგან თავის თავს სრულუბრით ახალი რამ შეატყო. საიდან გაუჩნდა ამდენი ეშმაკობა? სიამე? „ღედა, ღედა სად არის?“

უცებ ისეთი რამ გააკეთა, რაც შემდეგშიც, დიდი ხნის მერეც ვერაფრით ვერ ახსნა: ერთი წუთით, სრულად დარწმუნებულმა, რომ ოთახში მარტო იყო, კარდას სკამი მიადგა და კარადის თავზე წიგნებსა და ყუთებს შორის განხერილი დაშნის ტარს წაებოტნა. მისწვდა, ჩამოიღო და, როდესაც დაშნა რამდენჯერმე მარჯვედ გაიქნ-გამოიქნია ჰაერში, მხოლოდ მაშინ გაახსენდა, რომ მამიდა იქვე იდგა. შერცხვა. უბრველესად იმის გაფიქრებამ გააწითლა, რომ ასეთი პატარა და სულელი იყო, დაშნით თამაშობდა მაშინ, როდესაც მისგან, ალბათ, უფრო სერიოზულ საქციელს მოელოდნენ. მამიდისკენ გახედვის შეეშინდა, როგორ უნდა გაეგებინა, რომ ეს მისდაუნებურად მოუვიდა და თუმცა იქით არ იხედებოდა. მაინც დაინახა, როგორ გატრიალდა მამიდა, როგორ გაიჯახუნა კარი, ცოტა ხანს უძრავად იდგა, შერცხვენილი და გაოგნებული. მერე თვითონაც გავიდა დერეფანში და სამზარეულოსკენ გაემართა. სამზარეულოს კარი ღია იყო. მამიდა მაგიდასთან იჯდა და სიგარეტს ცეცხლს უკიდებდა. ასანთი რამდენჯერმე ჩაუქრა, მერე სიგარეტი მაგიდაზე დააგდო და მიხას შეხედა.

— მამაკეთ, თუ შეიძლება, — წაილულულა მიხამ, — მამაკეთ.

მამიდამ ისევ სცადა ასანთის ანთება. მიხა ახლოს მივიდა და უთხრა:

— მე ავანთებ, მომეცით!

მამილამ ასანთი გაუწოდა, მიხამ აუნ-
თო, მამილამ სიგარეტს მოუყიდა.

— დაჯექი, — უთხრა მან მიხას, —
დაჯექი, — და ხელით სკამზე ანიშნა.

მიხა სკამის კიდეზე ჩამოჯდა. ამით
თითქოს იმის თქმა უნდობდა, რომ დიდ-
ხანს დასაჯდომად არ ეცალა, ესეც უნე-
ბურად მოუყიდა, სასწრაფოდ გასწორ-
და სკამზე.

— შენც ხომ არ ეწევი, ბიჭო? —
კითხა მამილამ.

— არა, — უპასუხა მიხამ.

— კარგია, — თქვა მამილამ ისეთი
კილოთი, თითქოს გული დასწყდა, მი-
ხა რომ არ ეწეოდა.

— მამაშენიც არ ეწევა! — თქვა მან.

— დიახ.

— მართლა არ გშია?

— არა.

— კარგი, აბა, წადი ახლა.

— ვიქნები, — უთხრა ზრდილობი-
სათვის.

— ხაჭაპური ხომ არ გიყვარს?

— ძალიან!

— ჰოდა, ხვალ დილით გამოგიცხობ.

მეტე მათ სათქმელი აღარაფერი
ჰქონდათ. ფანჯრის ფარდასა და მიხას
შორის მოქცეული ბუზი გამწარებელი
ბზულობდა. ისინი თითქოს აქ იპიტომ უს-
დნენ, რომ ამ ბზულისათვის ესმინათ.
უცბე მიხამ იგრძნო, რომ ძალიან შიო-
და. აქამდე მართლა არ უგრძენია შიმ-
შილი. ახლა ვერც ამას იტყოდა. ისედაც
შეატყო, მამილამ მასზე ხელი ჩააქნია,
სერიოზული საუბრის ნაცვლად ხაჭა-
პურზე დაუწყო ლაპარაკი. ცოტა ხნის
მერე მთლად მიანება თავი და გაბჭურა-
ზე შემოდგმულ ქვაბს დაუტრიალდა.

მიხა წამოდგა და სამზარეულოდან
გავიდა. საჭმლის სუნეი თავბრუს აბ-
ვევდა, ცდილობდა სწრაფად გასცლო-
და აქაურობას. თავის ოთახში აღარ
შებრუნებულა, კარი გააღო და ბინიდან
გამოვიდა. ყური მიუვდო, რობინზონის
ბიჭები კიბეზე ხომ არ თამაშობენო,
ასე იქცეოდა ყოველთვის ამ ბოლო
დროს, როცა შინიდან გამოდიოდა. ჩა-
მი-ჩუმი არ ისმოდა. კიბე ჩაირბინა და

ქუჩაში გავიდა. იქვე ახლოს სასაუზმე
ეგულეზობდა, გადაწყვიტა იქვე შესული-
ყო. ჯიბეში სამმანეთიანი ველურა ჰქონდა
ახსოვდა, რისთვის მისცეს, ალბათ. წიგ-
ნების საყიდლად. წიგნები ვერ იშოვა
და ფული ჯიბეში ჩაარჩა. თავი მდიდარ
და დამოუკიდებელ კაცად წარმოიდგი-
ნა, გუნებას აყოლილი ქალაქში სასაი-
ნოდ რომ გამოსულიყო.

სასაუზმის კარს რომ მიადგა, შეჩერ-
და, როგორ უნდა შესულიყო იქ, სადაც
აქამდე ფეხი არ შეედგა. რა იყო ამ კა-
რის იქით, როგორ დახვდებოდნენ, შეი-
ძლება პანდურის კვირთაც კი გამოეგ-
დოთ გარეთ. ანდა მისი სახელი და გვა-
რი ჩაეწერათ, ვინა ხარ, სად სწავლობ,
როგორ გაბედე აქ შემოსვლა, აქ ხომ
მოწაფეები არ დადიანო. შიმშილმა
მაინც თავისი გაიტანა და მიხამ სასაუ-
ზმეს გამოღებულ კარში შეაბიჯა.

პატარა, დაბალკერიან ოთახში რამ-
დენიმე მაგიდა იდგა. იატაკზე წყალი
მოესხათ, ქერიდან ბუზების დასახოცი
დახვეული პრიალა ქაღალდები ჩაი-
შვებულიყო და მეტად ფრთხილად
უნდა ვაგველო, რომ ამ ქაღალდებს
არ წამოსდებოდი. დახლზე ერთმანეთ-
ზე დახვავებული ლუდის კათხები და
ქიქები ელაგა. დახლის უკან, ნახევრად
ბნელში, თაროებზე არყის ბოთლები
ელავდნენ.

გაუბედავად წავიდა და კუთხეში მა-
გიდას მიუჯდა. დიდხანს იჯდა ასე, არა-
ვის გამოუხედავს. რადგან შემოვიდა,
აქედან წასვლა აღარ უნდოდა. შიმ-
შილმა გადაუარა კიდეც, მაგრამ აქ
ჯდომა სიამოვნებდა.

რობინზონ კრუზო მის ადგილას რომ
ყოფილიყო, დააბრაზებებდა დახლზე
მუშტს, მოითხოვდა ლუდს და საკვებ
კათხას ერთი ყლუბით გამოცლიდა, ულ-
ვაშზე შერჩენილ ლუდის ქაფს ხელის
ხურგით მოიწმენდდა და გამყიდველს
უბრძანებდა:

— კიდეც დამისხი!

მეორე კათხასაც ასევე დასცილიდა. მა-
გიდას მიუჯდებოდა და ალბათ, ნახევარ
ცხვარს შეჭამდა. სუფრაზე ხელებს შეი-

წმენდა, ჩიბუხს გატენიდა და გააბო-
ლებდა. არც ამდენ ხანს აცდევინებდ-
ნენ მას, როგორ შეიძლება რობინზონ
კრუზოს დაყოვნება, მას ხომ უმარავი
საქმე აქვს! უნდა დაიბანოს ტანი, კოხ-
ტად შეიკრიჭოს წვერი, წავიდეს ცირკ-
ში ჭილაობის საყურებლად, ისეირ-
ნოს მანქანით, დასცინოს პატარა ბიჭს,
ყური აუწიოს და იხარხაროს.

— მე რობინზონ კრუზო ვარ! — თქვა
მიხამ.

— შენ ჭიყველა ხარ, ჭიყველა! —
ჩაიხიხინეთეს ლოთებმა და ლუდის კათ-
ხები ერთმანეთს მიუჯახუნეს.

— დიახ, რობინზონი ვარ-მეთქი! —
იყვირა მიხამ და მაგიდაზე შეხტა.

— ყაურმას შექვამ? — შემოესმა ამ
დროს მიხას.

მიხამ თავი ასწია, მის წინ მაღალი კა-
ცი იდგა. ერთ ხელში პაპიროსი ეჭრა,
მეორეთი კი კეფას იფხანდა.

— დიახ, — ძლივსძლივობით წარმო-
თქვა მიხამ, რადგან უცებ ამ კაცის ძა-
ლიან შეეშინდა.

— ლიმონათსაც დალევ, ალბათ? —
იკითხა კაცმა. მიხას არც კი უწყურებდა,
ფანჯარაში იხედებოდა.

— თუ შეიძლება... ლუდი... ლუდი
მომიტანეო.

— ლუდი არა გვაქვს, — უპასუხა
კაცმა, უცებ რატომღაც გაჩაგრდა, მი-
ხას თვალეზში ჩახედა და შეცვლილი
ხმით ჰკითხა, — ვერ ხედავ, ლუდი რომ
არა გვაქვს? ორი დღეა ლუდი არა
გვაქვს, შე კაცი კაცო, ორი დღე!

კაცი აშკარად გაბრაზებული წავიდა.
ცოტა ხნის მერე ისევ გამოჩნდა, ჰე-
ბა ხელში მათლაფა ეჭირა, იფიქრებდო,
საფერფლეო, თითქოს კაცი პაპიროსი-
თა და საფერფლით დასეირნობდა
ოთახში. საესე მათლაფა მიხას წინ და-
უდგა:

— პურს მოგიტან ახლავე, — წავი-
და, შუა გზაზე შეჩერდა და ისე ჰკითხა,
არ მობრუნებულა, — ლიმონათს და-
ლევ, ხომ?

— დიახ.

— მსხლისაა, — თქვა კაცმა და გაქ-
5. „მნათობი“, № 9.

რა. მართლაც გაქრა, რადგან მორიდე-
ბისა თუ შიშის გამო მიხამ უბოლომდე
ვერ აყოლებდა თვალს.

კაცმა პური და ლიმონათი მოუტანა:
— ჭიქა აგერაა, ა! — ხელი დახლი-
სკენ გაიჭნია.

მიხამ წამოდგა, დახლთან მივიდა და ჭი-
ქა აიღო. კაცს ლიმონათის ბოთლი უკ-
ვე გაეხსნა, მაგიდას გამტყრებელი
დასცქეროდა, თითქოს იხსენებდა რა
დამავიწყდაო. თურმე მართლაც ამაზე
ფიქრობდა, რადგან ხმამაღლა წამოიძა-
ხა:

— კოვზი არ მომიტანია, ხომ იცი! —
და მიხას საყვედურით შეხედა, თითქოს
მას კი არა, მიხას დავიწყებოდეს კოვ-
ზის მოტანა.

მიხამ ისევ წამოდგა, ისევ მივიდა
დახლთან, ჭიქას რომ იღებდა, თვალი
მოჰკრა — კოვზები და დანა-ჩანგალი
იქვე, ხის ყუთში ეყარა.

მიხას კერძისთვის პირი არ დაუკარე-
ბია, ლიმონათი კი დალია ერთი ჭიქა.

კაცი ლიღინ-ლიღინით შემოვიდა, შე-
ჩერდა, მიხას ისე შეხედა, თითქოს არ
ელოდა, აქ რომ დახვდებოდა. შეიძლე-
ბა კიდევ დაავიწყდა. ეს მიხას სრულე-
ბითაც არ გაუკვირდებოდა.

— რამდენი მოგართვათ? — ჰკით-
ხა მიხამ და ჯიბიდან ფული ამოიღო.

კაცმა სუფრას დახედა და ჩაიციხა:

— მაგრად გიქეიფია, ბიძია!

— რამდენი მოგართვათ...

— რამდენი? მანეთი!

მიხამ ფული გაუწოდა, კაცმა ორი
დაჰმუქუნული მანეთიანი მაგიდაზე და-
უდო და მერე გამოართვა ფული. მიხამ
უკვე კართან იყო მისული, კაცმა რომ
დააწია:

— შენ რომელ კლასში ხარ, ბიძიკო?
მიხამ მოტრიალდა:

— მეექვსეში.

— მეექვსეში... მეექვსეში, — გაიმე-
ორა კაცმა, ეტყობოდა, თან რაღაცას
ფიქრობდა, მერე ჯიბიდან მანეთიანი
ამოიღო და მიხას გაუწოდა, — ჰა, შე-
ნი ფული!

მიხამ უკან დაიხია და ხელი გაიჭნია:

— არა, ბატონო.

— გამომართვი, გამომართვი..

— რას ბრძანებთ! — მიხა უკვე ქუჩაში გადიოდა.

კაცი გამოჰყვა:

— მაშინ ლობიო გვაქვს კარგი და იმას გაქმევ, მოდი.

მიხა გარბოდა და ფიქრობდა:

„რას გადამიყიდა, რა უნდა ჩემგან!...“

„დინამოს“ სტადიონის წინ ხალხი ირეოდა. მიხას უხაროდა, რომ სტადიონზე შესვლა შეეძლო, არავინ დამშლელი არ ყავდა. ის იყო შესვლა დააპირა, რომ ამ დროს დეიდა ვერიკო გაახსენდა. დეიდა ვერიკო აქვე ცხოვრობდა, სტადიონის უკან. დედამ რამდენჯერმე მიიყვანა მიხა მასთან. ისინი რომ მივიდოდნენ, დეიდა ვერიკო გაიბადრებოდა, რას არ გადმოუღლაგებდა დედას, კაბებს, წინდებს, თავსაფრებს და სულ ამას გაიძახოდა:

— ეს ყველაფერი მარტო შენთვის, ჩემო გუგულო, ჩემო საყვარელო გუგულო!

მიხა დეიდა ვერიკოს დედის მეგობრად თვლიდა.

„შეიძლება დეიდა ვერიკომ იცოდეს დედაჩემის ამბავი!“

დეიდა ვერიკოს სახლს რკინის დახვეული კიბე ჰქონდა მიდგმული. ამ კიბით მეხუთე სართულზე უნდა ასულიყავი, ხის გრძელი აივანი უნდა გაგველო და შუშებჩასმულ კარზე დაგვეკაქუნებინა.

აივანზე სარეცხი იყო გაფენილი და სველ, დამძიმებულ ზეწრებს შორის ძლივს გაიარა. კარზე რომ დააკაკუნა, ბინაში ისეთი ხმაური ატყდა, შეკრთა, გამობრუნებაც კი დააპირა, მაგრამ თავი შეიკავა და დაუცადა, როდის გაუღებდნენ კარს. კარი უცებ გაიღო, ბინიდან რამდენიმე კაცი ერთად გამოვარდა, მათ შორის დეიდა ვერიკოც იყო. მკერდმოლეღილი კაბა ეცვა და სახეწამოწითლებულს ხელში დიდი თეთრი ცხვირსახოცი ეჭირა, ყველანი თითქმის ერთხმად ყვიროდნენ, მოვიდა,

მოვიდაო! იქ მიხა იდგა თუ არა, არავის შეუმჩნევია. დაგვემალა! — დაიძახა მერე ერთმა კაცმა და დედაჩემმა კომ რატომღაც ძალიან ხმაშიაღლა გაიცინა. ყველანი სველ ზეწრებს შეესივნენ და მხიარული სიცილი-სისიკისით ვილაცას დაუწყეს ძებნა. მიხა მიხვდა, მისი აქ მოსვლა სრულიად უდროო იყო. ნაბიჯი გადადგა წასასვლელად და სწორედ ამ დროს ამოიძვინით ცოტათი ნიჩქამხდარი დეიდა ვერიკო შეეფეთა, დეიდა ვერიკომ ერთი კი შეხვდა, მაგრამ თითქოს ვერც კი დაინახაო, სასწრაფოდ კაბა აიწია და წინდაზე შეხსნილი წვივსაკრავი გაისწორა. მიხა მოაჩირთან მივიდა და ეზოში გადაიხედა, იქ ხელუბგაშლილი პატარა ვოგო ერთ ადგილზე ტრიალებდა.

— შენ ვინ გინდა? — მოესმა დეიდა ვერიკოს ხმა.

ყველანი ოთახში შესულიყვნენ და დეიდა ვერიკო ახლა კარის შეხურვას აპირებდა.

მიხას ეგონა, დეიდა ვერიკო იცნობდა. ახლა ცოტათი დაიბნა. დეიდა ვერიკო ახლოს მივიდა:

— ვინ გინდა-მეთქი!

— დეიდა ვერიკო, მე მიხა ვარ.

— მიხა? მერე ჩემთან რა გინდა?

— დედა ხომ არ ყოფილა აქ?

— დედა? ვინ არის დედაშენი?

მიხამ უთხრა, ვინც იყო დედამისი.

— მერე ჩემთან რა უნდაა დედაშენს? — დეიდა ვერიკომ აქეთ-იქით გაიხედა, ხმას დაუწია, — ჩემთან რატომ უნდა მოსულიყო?

— იქნებ იცით-მეთქი..

— არა, გენაცვალე, მე არაფერი არ ვიცი..

ამ დროს ზეწრებს მაღალი, გამხდარი, ძალზე ვაფთრებული კაცი გამოეყო. მიხამ თვალს არ დაუჯერა: კაცს კისერზე უნიტაზის ხის სახურავი წამოეცვა, ღორს რომ უღელს გაუკეთებენ ისე. დეიდა ვერიკომაც იქით მიიხედა:

— სანდრიკ!

კაცმა ტუჩებზე თითი მიიღო, „სსუ“, თქვა და ოთახში შევიდა.

ღეილა ვერიკომ აღტაცებული მზერა გააყოლა, მერე მიხას მიუბრუნდა:

— წალი ახლა, გენაცვალე, ხომ ხედავ, არ მცალია!

— ნახვამდის, — თქვა მიხამ. სიტყვა ვერ დაამთავრა, რადგან ხმა ჩაუწყდა.

— დაიცა! — დაუძახა ღეილა ვერიკომ, — დაიცადე! მაშ, შენ თამარის ბიჭი ხარ?

— დიახ.

— დაიცა. — კარი შეღო და დაიძახა, — სანდრიკ, სანდრიკ, მოდი აქ!

სანდრიკა რომ გამოვიდა, ღეილა ვერიკო თითის წვერებზე აიწია და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. სანდრიკამ ამოიძახა: ვაჰო! და შუბლზე ხელი შემოირტყა, მერე საჩვენებელი თითი მალლა ასწია და თქვა:

— სსსუ!

სანდრიკას თუმცა უნიტაზის სახურავი მოესხნა, მიხას შიშინე უჭირდა მისთვის შეეხედა.

— მოდი ჩემთან, პატარა ბიჭო! — მიმართა სანდრიკამ მიხას. მიხა რომ აღვილიდან არ დაიძრა, თვითონ მივიდა მასთან და უთხრა, — დედას ეძებ, არა, დედიკოს? გასაგებია. შე ვიცი, სადაც არის დედაშენი. გინდა მიგასწავლო, გინდა?

მიხამ თავი დაუქნია, თან უკვირდა, რა ძალა აკავებდა აქ, რატომ არ გარბოდა.

— ბარნოვის ქუჩა, სამოცდაათი, ლევან კაპანაძის ბინა! აი, იქ არის დედაშენი, ღმერთმანი, თავს კარგად გრძნობს. ნუ გეშინია, მიდი, იქ დაგზიდება.

— ეი, იქ არის, — დაუმოწმა ღეილა ვერიკომაც, — ნამდვილად იქ არის. სანდრიკ, გეყოფა, შედი შინ, არ გაცივდე.

სანდრიკამ ისევ ასწია მალლა საჩვენებელი თითი და ისევ ისე მკაცრად, მასწავლებელივით გაიმეორა:

— სსსუ!

მერე ვერძღზე გაიხედა და კბილებ-

ში გამოსცრა:

— დედაკაცო!

— სანდრიკ, იცოდნენ ვინაობა უთხრა ღეილა ვერიკომ და ხმამალა შესძახა: — შენ რომ გაცივდე, თავს მოვიკლავ!

მიხა უხმოდ წამოვიდა, თითქოს ვილაყამ უბიძგა და ნაბიჯი გადაადგმევინა. მისთვის ყურადღება აღარ მიუქცევიათ. კბილებზე რომ ჩაღიოდა, ღეილა ვერიკოს ყვირილი მოესმა:

— ჩემი ქორწილის დღეს მოგინდათ რეცხვა, არა! გაწყდით, გაწყდით, ერთ დღეს გაწყდით, კუბოში მოიხმარეთ ეს სარეცხი, აჰა!

„ბარნოვის ქუჩა, სამოცდაათი, ბარნოვის ქუჩა, სამოცდაათი“, — მიხას თითქოს ვილაყა ჩასძახოდა ყურში.

„ეი მაგრამ, რა უნდა დედას იქ თუ თბილისშია, შინ რატომ არ მოდის. აქამდე სად ვიყავი, რას ველოდებოდი. აქამდისაც უნდა მომეძებნა“.

ნაბიჯს აუჩქარა, თითქოს დედა მის ფეხრებს უსმენდა. თითქოს ხედავდა, როგორ მოდიოდა ქუჩაში. განუწყვეტლივ გრძნობდა დედის მზერას, ქუჩაშიც, ტრამვაიშიც, მერეც, როცა ტრამვაიდან ჩამოვიდა და აღმართს შეუყვამდედას თითქოს ჯაღონსური სარკე ეკირა, ჩაიხედავდა და მიხას დაინახავდა.

რას იზამდა რომინზონ კრუხო, დედა რომ დაქარგვოდა?

რამდენჯერმე მოუხდა ზარის დარეკვა, როგორც იქნა გაუღეს. მიხას მაშინვე უნდოდა დაეძახა დედაო, მაგრამ ქალის მკაცრმა ხმამ შეაჩერა. მის წინ საშუალო ტანის გამხდარი ქალი იდგა. ქალს ღამის პერანგზე შემოეცვა ხალათი, თითქოს ეს წუთია, რაც ლოგინიდან წამოდგაო. გულისპირი გაღეღვოდა და თეთრი, ჩავარდნილი მკერდი მოუჩანდა.

— ვინ გნებავთ?

მიხამ ხმა ვერ ამოიღო, იდგა და ქალის წვეტიან ნიკაბს შესცქეროდა, პუდრის სქელ ფენას ძალზე რომ გაეთეთრებინა. პუდრი პერანგის გულისპირზეც ეყარა. ქალმა ნიკაბზე ხელი მოის-

ვა, ზედ დაიხედა და კიდევ უფრო მკაცრად გაიმეორა:

— ვინ გნებავთ-მეთქი?

„ნუთუ ყველამ ერთბაშად ჩემი დაცინვა გადწყვიტა?“ — ფიქრობდა მიხა.

სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, წაილულულა, მე ესა და ეს გახლავართო. ქალი გარეთ გამოვიდა, კარი ზურგს უკან მოიხურა, ოღონდ ხელით კი ეჭირა, არ ჩაკეტილიყო.

— რა თქვი, ვინა ვარო?

მიხამ გაუმეორა.

— მერე ჩემგან რა გინდათ?

ახლა რატომღაც ისევ თქვენობით მიმართა ქალმა.

-- არაფერი, — თქვა მიხამ.

— მაინც, მაინც?

ქალი ისე დაინტერესდა, რომ მიხამ იგრძნო, ნამდვილად არ შეიძლებოდა მასთვის მიზეზის განდობა.

— მაინც-მეთქი! — ქალმა ხმას აუწია, მერე ისეთნაირად გაიცინა, რომ მიხას თითქოს ყინულივით ცივი წყალი გადაესხა, — ღმერთო, — იცინოდა ქალი, — ღმერთო, რას მოვესწარი! — უცებ ხელებით მხრებში ჩააფრინდა, სახე კიდევ უფრო დაუგრძელდა და შეთქმულივით წასჩურჩულა, — შემოდი შინ, შემოდი!

ძალით შეათრია, თითქოს არწივმა ბუდეში კურდღელი შეიტაცაო.

— აქ დაიცადე! — უბრძანა მიხას, თვითონ სარკესთან მივიდა, ნიკაბიდან პუდრი მოიშორა, თმა შეისწორა და უღარდელი ხმით დაიძახა:

— ლევან, შენთან სტუმარია!

ოთახიდან არავეინ გამოპასუხებია.

— ლევან, არ გესმის?

— წამოდით, წამოდით, წამომყევით!

ოთახში რომ შევიდნენ, მიხას პირველად თვალში მავიღის ანთებული ლამბა მოხვდა.

რატომ ანთია? — გაიფიქრა კიდევ და ამის მერე შეამჩნია, რომ ოთახში საკმაოდ ბნელოდა, რადგან ფანჯრებზე სქელი ფარდები იყო ჩამოფარებული. აქ თითქოს არც კი გაუვიათ, რომ

დიდხანია რაც გათენდა. ნახევრადჩამობნელებულ ოთახს თვალყურს მოავლო და უცებ ღრმა სავარძელში ჩამჯდარი კაცი დაინახა. კაცს სავარძლის კიდებზე ხელები ისე უმწეოდ ეწყო, თითქოს სავარძლიდან წამოდგომას დიდხანს ამოდ ცდილობდა და ახლა ისვენებო. მის ფეხებთან თავახდილი ჩემოდანი ეგდო, საიდანაც წითელი ყელსახვევი გადმოვარდნილიყო, დაკლული ხარის ენასავით. იმ კაცის სახე კარგად არ მოჩანდა, მიხას მოეჩვენა — კაცი სახეს მოავდა. ამიტომ უფრო დაკვირვებით შეაკვიერდა და კი არ იცნო, გულმა ანიშნა, რომ ამ კაცს იცნობდა, თუმცა ვერ იტყოდა, ეს კაცი სად ენახა.

— ჩვენ შეილები გავხიზნეთ, — დაიწყო ქალმა ძალიან მშვიდი ხმით, თითქოს შემთხვევით გაწყვეტილ სასიამოვნო საუბარს აგრძელებდა, — მოვერიდეთ, ბავშვებს არ ენახათ ჩვენი სიბინძურე. შენ ზომ თქვი, ჩხუბი უხერხულიაო. აი, მე არ ვჩხუბობ, ზომ ხედავ, როგორი მშვიდი ვარ. არც კვივი, კვილიც უხერხულია...

— მეგი! — გაისმა კაცის შეწუხებულ ხმა.

ქალმა გაიცინა:

— ნუ გეშინია მე ჩემთვის ვგიყდები. ყურადღებას ნუ მიაქცევ...

— მეგი!

— აი, ბავშვი მოგადგა, დედას ექებს, გაეცი პასუხი! — უცებ აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და ხრინწიანი ხმით შესძახა — აღარ შემიძლია! ვიღრჩობი! — ფარდას მივარდა, კი არ გადასწია, ორივე ხელით დაეკიდა ზედ, ფარდა ჩამოწყდა და ქალი იატაკზე დაენარცხა.

კაცი სავარძლიდან წამოვარდა, ქალთან მიარბინა:

— მეგი! მეგი!

მერე მიხას მოხვდა, თითქოს ახლა დაინახა პირველადო, კარგა ხანს უცქირა, მერე წამოდგა და დაუყვირა:

— გაეთრიე, გაეთრიე აქედან!

მიხა ქუჩაში კედელს მიეყრდნო და სახეზე ხელები აიფარა, მერე იგრძნო,

როგორ დამშვიდდა, შეიძლება იმიტომ, რომ ყველაფერს ბოლომდე მიხვდა.

საღამოვდებოდა. ქუჩაში სიჩუმე იდგა ამ სიჩუმის გამო ტრამვაი წითელ დირიჟაბლს გავდა, რომელიც საცაა მუცლით უნდა ვახახუნებოდა მიწას. სეგები და სახლები თითქოს პაერში გვიდნენ. უცებ ტრამვაის ზარმა გაიწვრია-ლა და ყველაფერს თავისი ნამდვილი სახე დაუბრუნდა.

დიდხანს იარა ფეხით. ტროლეიბუსში განგებ არ ჯდებოდა, რადგან შინ მისვლა არ ეჩქარებოდა. მოულოდნელად გული გადაუქანდა: თუ კი ის კაცი შინ იყო, ხომ შეიძლებოდა, დედაც დაბრუნებულყო!

გაჩერებასთან მიიბრინა. ავტობუსში ავიდა და ავტობუსში ხუთკაპიციანი ჩავიდა. თან ფიქრობდა, თუ ბედნიერი ბილეთი შემხვდება, დედა აუცილებლად შინ იქნება: ავტობუსმა მართლაც ბედნიერი ბილეთი გადმოუგდო. ახლა კი საბოლოოდ დაიჯერა, რომ დედა შინ ელოდებოდა. როგორც კი ეს დაიჯერა, მაშინვე გადაიფიქრა შინ წასვლა, მოერიდა, დედა შემატყობს, რომ მე ყველაფერს ვხვდები. დედას კი ალბათ იმედი ჰქონდა, მიხამ არაფერი იცისო.

პიონერთა სასახლესთან ჩამოვიდა. დიდხანს იდგა ქუჩაში, ვერ გადაეწყვიტა, შინ წასულიყო თუ არა. მიუხედავად ამ ყოყმანისა, მაინც ბედნიერი იყო, რადგან დედა შინ ეგულებოდა.

როცა კარი მაილამ გაუღო, მიხვდა, რომ გუმანმა მოატყუა: დედა რომ შინ ყოფილიყო, უსათუოდ ის გაუღებდა კარს.

— სად ხარ აქამდე? — გაუწყრა მაილა და ამან კიდევ უფრო ატყინა გული. ეს ქალი, ეტყობოდა, კიდევ დიდხანს აპირებდა აქ დარჩენას.

პასუხი არ გაუცია და თავის ოთახში შევიდა. არც იმაზე უფიქრია, მაილდის შეკითხვის უპასუხოდ დატოვება უზრდელობა რომ იყო. თავი ბალიშში ჩარგო არ ახსოვს, რამდენ ხანს იწვა ასე. მერე კარი გაიღო და ოთახში მაილა

შემოვიდა. თავი არ წამოუწევია, არც მაილდის უთქვამს რამე. ხმაურზე დატყობდა, მაგიდაზე რაღაცეებს ულაგებდა. მერე სიჩუმე ჩამოეატრა. მიხამ ცალი თვალით გამოხედა, ხომ არ წვიდაო. მაილა სკამზე იჯდა და მას შესცქეროდა. რადგან მაილამ მისი მზერა დაიჭირა, თავის მიბრუნების შერცხვა, წამოდგა და საწოლზე ჩამოჯდა.

— მაიმ გვიტოხა, — თქვა მაილამ, — სადილად რომ არ მოხვედი.

ისევ კარგახნით გაიუმდნენ. თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა ეთქვა, შშიაო. გული უწუხდა, ისე შიოდა მაილამ თითქოს შეატყოო, ჰკითხა:

— სადილი არ გინდა?

— მინდა, — უპასუხა მიხამ.

— ჰოდა, წამოდი, ჰამე. ქვაბი ცუცხლიდან არ გადმომიღია, ვფიქრობდი, აი, ახლა გამოჩნდება, აი, ახლა-მეთქი...

არა, ასეთი მზრუნველობა მიხამ არ ჰირდებოდა, მორჩილსა და დამყოლს ხდიდა. ისევ იქ აბრუნებდა, საიდანაც წვალებით გამოვიდა, ამდენი დაცივის მერე.

— რომ არ ვჭამო? — ჰკითხა მაილდის და თავხედურად შეხედა. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ეგონა, მოურიდებლად და თავხედურად ვუყურებო.

— როგორც გნებოს, — უპასუხა მაილამ მშვიდად.

— არა, ძალიან შშია, უნდა ვჭამო, — თქვა მიხამ და წამოდგა.

— ისეთი გემრიელი წვნიანია, — მაილაც წამოდგა.

— არა, გადავიფიქრე, — თქვა მიხამ და ისევ საწოლზე ჩამოჯდა, — მე წვნიანი არ მიყვარს, დედამ ეს იცის.

მაილდის შეკითხვა რომ შეატყო, მიხვდა, მისმა უზრდელობამ კი არა, დედის ხსენებამ იმოქმედა მასზე, ამისი კი შეეშინდა და სცადა დაესწრო, რათა მაილდის დაუფარავად არ გადმოეფრქვია სიძულვილი. მიხამ დარწმუნებული იყო, რომ მაილდის დედა სძულდა.

— მაპატიეთ, წვნიანი მე ძალიან მიყვარს, — და კარისაკენ გადადგა ნაბი-

ჯი, მამიდას მოხედა. ის შუბლშეკრული შესცქეროდა.

სამზარეულოში მაგიდას მიუჯდა, იქ, სადაც მამა ჯდებოდა ხოლმე. მამასავით მოიფშვნიტა ხელები და მამიდას უთხრა:

— აბა, ვნახოთ როგორი დიასახლისი ხართ, აბა, ვნახოთ!

სამოგნებდა, რომ ხედავდა, როგორი შემეკრთალი და დაბნეული ტრიანლებდა მამიდა გახტურასთან.

უცებ ოთახი გადატრიალდა. მაგიდის კიდეზე ხელებით ჩააფრინდა, მერე ისევ გადატრიალდა ოთახი, თითქოს უხილავი ღერძის გარშემო ბრუნავსო. თვალთ დაუბნელდა, ბნელ, უძირო ორმომში ჩაეშვა, მაგრამ ამ დროს ვიდაცამ ხელი წაატანა და ისევ აქ, სამზარეულოში დააბრუნა. ვითომ არაფერი მომხდარიყოს, ოღონდ ეს იყო, რომ ახლა მამიდას მისი მაჯა ეჭირა ხელში.

— მგონი, სიცხე გაქვს, — უთხრა მან და ახლა შუბლზე მიადო ხელისხურვი, მიხამ თავი უკან გადასწია, მამიდას ხელი მოიშორა და გაიცინა:

— სიცხე კი არა, ძალიან მშია!

— მერე რატომ არ ჰქამ, კერძი გაიციედა!

როდის მოასწრო მამიდამ სუფრის გამოწყობა, როდის გამოთვლო კერძი? კიდევ კარგი, არ შეუმჩნევია თავბრუ რომ დაეხვია, ცოტა ხანს უნდა გამოაგრებულყო, გაეძლო. მერე მარტო რომ დარჩებოდა... რა უნდა ექნა, როცა მარტო დარჩებოდა?

კოვზი მაგიდაზე დაავლო.

— სულ ეს იყო? — ჰკითხა მამიდამ.

— ახლა მოვწიოთ! — თქვა მიხამ.

— აკი არ ვეწევიო?

— ვინ ვითხრათ? მომეცით სიგარეტი!

ამას რომ ამბობდა, თან ელოდებოდა, აი, ახლა გამარტყამს, აი ახლაო. საკვირველი ის იყო, რომ გულით უნდოდა, მამიდას მისთვის მწარედ გაერტყა, სამზარეულოდან გაეგდო. მერე დაექვდა, იქნებ მე მგონია, რომ ვლაპარაკობ,

ნამდვილად კი ხმას არ ვიღებო, თუ ვლაპარაკობ, მამიდა ისე რატომ უჩეკევა, თითქოს არაფერი ესმოდესო. უფრო იმიტომ, რომ ეპვი გაეთანტა, გაანჩხლებით იკითხა:

— სად არის სიგარეტი, სად?

მამიდა სკამზე ჩამოჯდა, წინსაფრის ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და წინ დაუდო.

„იცის, რომ ვერ მოვწევე“ — გაიფიქრა მიხამ.

— ნუ მოსწევე, — უთხრა მამიდამ.

— რატომ? — ჰკითხა მიხამ გამოწევევად და სიგარეტის კოლოფს წაებოტინა, — რატომ?

— იმიტომ, რომ ეს ბავშვების საქმე არ არის, — უპასუხა მამიდამ მშვიდად.

— უკაცრავად, ახლა ბავშვები აღარ არიან! — თქვა მიხამ და იმ წამსვე გაიფიქრა, ეს რა სისულელე ვთქვიო.

— მაშ, ახლა ბავშვები აღარ არიან? — იკითხა მამიდამ ისევ მშვიდად. მიხამ გრძობდა, რომ ამ სიმშვიდით ის ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ისევ იბრუნებდა თავის ერთი წუთით შერყეულ ძალაუფლებას. სწორედ ამ სიმშვიდით სჯობნიდა და სძლედა მას. ცოტაც და მამიდა ალბათ ისე დაუწყებდა ლაპარაკს, როგორც საბავშვო ბაღის პაწაწინა აღსაზრდელს:

— რა ფერია, ბიჭუნა, ზღვა?

— ლურჯი!

— ყოჩაღ! ყოჩაღ!

წამოდგა და სამზარეულოდან გამოვიდა. დერეფანში რომ მიდიოდა, ისევ დაეხვია თავბრუ, წაბარბაცდა და მხრით კედელს მიეყრდნო. მერე აღარ ახსოვს, რა მოხდა. თვალის რომ გაახილა, ლოგინში იწვა. ოთახში ბნელოდა, თუმცა მაგიდასთან ჩამომჯდარი მამიდა შაინც დაინახა. მას ფანჯრიდან შემოსული მუქი ეცემოდა. თვალი დახუჭა და იმ წამსვე ჩაეძინა. უცებ გამოელვია. თვალი არ გაუხელია. იგრძნო, ოთახში სინათლე ენთო. მამა ჩურჩულით ელაპარაკებოდა მამიდას. ძილში კი ეს ჩურჩული ხმამაღალ ლაპარაკად ჩაესმა და სწორედ

ამან გამოაღვიძა თვალს არ ახელდა, რადგან ყველასი რცხვენოდა, განსაკუთრებით კი — მამიდასი. მამიდამ, ეტყობა, გახადა ტანზე ისე, რომ მას არაფერი გაუგია, გახადა და ლოგინში ჩააწვინა.

— სიცხე არა აქვს! — მოესმა მამიდის ხმა.

„მგონიათ, რომ ავადა ვარ. იმას ხომ არ დაიჭერებენ, რომ მე ჩვეულებრივი უზრდელი და თავზედი ქუჩის ბიჭი ვარ. მინდა, რომ ასეთი ვიყო... მინდა... რომ პაპიროს ვეწეოდე, ქვის სროლა ვიკოდე... არა, არაფერიც არ მინდა... აი, ახლა თვალს დავხუჭავ და ყველაფერი გაქრება... ხომ შეიძლება ისე დამეძინოს, რომ აღარ გამომელევიძოს...“

კარი გაჯახუნდა, ეტყობა, მამა გავიდა ოთახიდან. მიხას კი უნდოდა, რომ აქ ყოფილიყო, მჭდარიყო საწოლთან, ეცქირა მისთვის, ან შუბლზე დაედო ხელი, ან არაფერი გაეკეთებინა, ისე მჭდარიყო.

მამიდამ სინათლე ჩააქრო. ახლა შეეძლო უფრო თავისუფალი ყოფილიყო, აღარ მოეშინარებინა თავი, ოღონდ ეს იყო, რომ მამიდის მზერას გრძობდა და ძალიან უჭირდა თავი შეეკავებინა და იქით არ გაეხედა.

ცოტა ხნის მერე მამიდამ ჰკითხა:

— გტყვი რამე?

ისე გაუკვირდა, არ დაიჯერა, მამიდა რომ მას მიმართავდა. არა და, ოთახში მათ გარდა სხვა არაფერი იყო. საიდან გაიგო, რომ ელვია? ოთახში დამაბული სიჩუმე ჩამოწვა. მამიდა აშკარად მის პასუხს ელოდებოდა.

— არა, — უპასუხა მან.

— შემაშინე, — მოესმა ისევ მამიდის ხმა, რომელიც რატომღაც ძალიან შორიდან მოდიოდა.

უცებ წარმოიდგინა, რომ თვითონ ტბის ფსკერზე იწვა, წყლის ხავერდოვან წყვლიაღში, მამიდა კი ნაპირზე იჯდა და ჩასძახოდა. ხმა ნელ-ნელა, რხევა-რხევით, მსუბუქ წყალმცენარესავით

ეშვებოდა დაბლა და სხეულზე ეფრინებოდა.

— მამაშენისათვის არ მითქვამს, ეს უნდა კიდევ? ვუთხარი, შეაცია და ჩავაწვინე-მეთქი. ხვალ სკოლაში არ გაუშვავო. რა გჭირს სამაგივო, დილით წამოხტები და არც კი გემახსოვრება.

მამიდა აშკარად ცდილობდა მისი გულის მოგებას. იქნებ ამიტომ იყო გაჩენილი, რომ ყველასათვის ყველაფერი ეპატიებინა ნუთუ თავისიანი არაფერი ჰყავს მამიდას, აქ რომ გადმოსახლდა. რისი გულისთვის? დაფრატუნობს მართოდ მართო ამ გამოცარიელებულ ბინაში, ან კიდევ რადიოსთან ზის და უსმენს, როგორ მღერის მამა. თუმცა ხომ არიან ქალები, საამოვნებით რომ რჩებიან ბავშვებთან, როცა მშობლები კინოში მიდიან, ან მიცვალებულს უთევენ ღამეს, ან ავადმყოფს ლაპარაკით ართობენ.

ძალიან შეეცოდა მამიდა. დედა რომ დაბრუნდებოდა, ისევე მოულოდნელად გაჰქრებოდა, დაიკარგებოდა, როგორც გამოჩნდა. მერე ალბათ აღარავინ იკითხავდა მის ამბავს. აქამდე ხომ არც კი იცოდა, მამიდა თუ ჰყავდა.

საავადმყოფოში მზინასა და თეთრ პალატაში, ორ მწკრივად ჩარიგებულ საწოლებს შორის მიდიოდა მამიდამისი. პალატაში სიჩუმე იდგა. მამიდამ უხმოდ გადაჭრა პალატა და კარი გამოაღო, ერთი წამით მოიხედა, უკან და გარეთ გავიდა. თურმე მიხატ იმ პალატაში წოლილა ფანჯარასთან: წამოხტა, ფარდა გასწია და ბაღში გაიხედა. გაუკვირდა, რადგან ბალი თოვლში იყო ჩაფლული, მიხა კი დარწმუნებული იყო, გახაფულაო. მამიდა თოვლში ნელა მიდიოდა. შავი, გრძელი პალტო ეცვა და ჭოლოფის ვარდისფერბაბთიანი ქუდი ეხურა. მერე რკინის ღობე აქლრიალდა, რადგან გარეთ გამოცვნილმა ავადმყოფებმა რკინის ჯახებით დაუწყეს ცემა ღობეს. მერე ვილაყამ იყვირა, ქალის კივილიც გაისმა და მიხამ თვალი გაახილა. ოთახში ბნელოდა,

ჩამიჩემი არ ისმოდა. მიხამ სინუემს ყური მიუგდო, დარწმუნებული იყო, რომ აქ, სადღაც, ძალიან ახლოს, მართლაც იყვირა ვიღაცამ. იყვირა და სწორედ ამიტომაც იდგა ახლა ასეთი სიჩუმე, რომელიც იმ ფარდასავით ირზეოდა, ახლახან რომ წამოედგენენ. ცოტა ხნის მერე მართლაც მოესმა რაღაც ხმაური.

„დედა დაბრუნდა!“ — გაუელვა მაშინვე გულში. მაგრამ აღარ უნდოდა შემდღარიყო, ამიტომ ლოგინიდან არ წამოშტარა. ხელი გადასწია და მაგიდიდან საათი აიღო, ფანჯრიდან შემოსულ შუქზე ძლივსძლივობით გააჩრია, რომ სამის ნახევარი იყო. კარგა ხანს სძინებია, მას კი ეგონა, ერთი წუთით ჩამთელიძო. ამ დროს ისევ მოესმა ხმაური, მამის ხმა გაიგონა გარკვევით. მაშინვე წამოდგა და ასე, ღამის პერანგის ამარა. დერეფანში გამოვიდა ფეხშიშველმა დერეფანი გაიარა და სასტუმრო ოთახის მოღებულ კართან გაჩერდა. კარიდან შუქი ისე გამოდიოდა, თითქოს პაპიროსის თხელი ბრწყინავი ქალღლით გაეტხრათ დერეფანი. მოღებულ კარში შეიძურწა, არავის გაუგია მისი ოთახში შემოსვლა. კართან გაჩერდა და პირდაპირ დედას მიაშტერდა, რომელიც წიგნების კარადასთან იდგა სახეზე ხელებაფარებული. მამა ფანჯარას შესტკეროდა მამიდა იჭდა და სივარეტს ეწეოდა.

რამ შეუბოკა ხელ-ფეხი, რატომ არ გაიქცა და არ ჩაეკრა მკერდში დედას. აი, მის წინ დგას, რამდენიმე ნაბიჯის იქით, ისე ახლოა, რომ შეიძლება ხელი გაიშვიროს და მიწვდეს. რა დაემართა, რამ გააჩუმა, რამ მოაღუნა ასე?

მამიდამ მოიხედა და, თითქოს არც კი დაუნახავს, მაშინვე მიაბრუნა თავი, მაგრამ მისი ეს წამიერი შემოხედვა თითქოს ნიშანი იყო სხვებისათვის — ოთახში ვიღაც შემოვიდაო, მაშინვე, თითქმის ერთდროულად შეხედეს მას დედამ და მამამ. მამამ უყვირა:

— რა გინდა აქ?

მიხამ დედას შეხედა, მას სახიდან

ხელები ნელ-ნელა ჩამოუცუროდა და რაღაც უნიათოდ, საწყლად გაეღიმა.

— მიხა, — თქვა დედამ, — მიხა!

მისი ხელები ახლა ცხვირსახოცს ჩააფრინდნენ, დაუმუქნეს, ისევ გაშალეს, დაუნდობლად დაძივნეს, მერე ცხვირსახოცი იატაკზე დაეარდა, დედა დაიხარა, სანამ ცხვირსახოცს აიღებდა, კიდევ ერთხელ გაუღიმა მიხას იმ საწყალი ღიმილით, რომელმაც მიხას რატომღაც ტირილი მოჰგვარა. ერთი წამიც და გაიქცეოდა, დედას მოეხვეოდა, დაუკოცნიდა სახეს, ყელს, ხელებს, მაგრამ სწორედ ამ დროს მამამ ისევ უყვირა:

— წადი-მეთქი აქედან!

— მიხა, მოდი ჩემთან! — დაუძახა დედამ, მისკენ ნაბიჯიც გადმოდგა, მაგრამ ერთ ადგილზე გაქვევდა, რადგან მამამ ისტერიული ხმით შესძახა:

— არ მიეკარო! არ მიეკარო! — მაგიდასთან მოვიდა, ორივე ხელით დაეყრდნო, და გაიმეორა: არ მიეკარო! — ხმა ჩაუწყდა, ხველა აუვარდა, ხელი გულზე მიიღო და წველებით, ძალიან ჩუმად, თითქოს დაიკვნესაო, გაიმეორა, — არ მიეკარო!

მიხა შეკრთა, მამას შეხედა, სახე წამოკარხლებოდა, თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა. უნებურად უკან დაიხია, რადგან ძალიან შეეშინდა. ხელით კარი მოძებნა, შებრუნების ეშინოდა, ეგონა, რაღაც საშინელი რამ მოხდებოდა, დედისკენ არ იხედებოდა, აღარც ეცოდებოდა, აღარც უხაროდა მისი დანახვა, პირიქით, ცდილობდა, რაც შეიძლება სწრაფად გასცლოდა მას. კიდევ გადადგა უკან ნაბიჯი და ის-ის იყო ოთახიდან უნდა გამოსულიყო, რომ დედის ხმა შემოესმა:

— შე კი მეგონა, შენ ყველაფერს გაიგებდი!

ოთახიდან გამოვარდა. ამ სიტყვამ შეაძრწუნა. მას ხომ სწორედ იმისი რცხვენოდა, რომ ყველაფერი ესმოდა, ყველაფერს ხედებოდა?

— დამანებეთ თავი, — დაიწყო მან

ჩემი ქვითინით, — მე ხომ ჯერ ბავშვი ვარ... ტირილს ნელ-ნელა უმატებდა, რადგან გრძნობდა, რომ ახლა თავის თავსაც ატყუებდა, რომ უკვე ბავშვი აღარ იყო. თავის ოთახში რომ შევიდა, სინათლე აანთო და კარადასთან მივიდა. კარადაზე დიდი სარკე იყო დამაგრებული, შიგ თავიდან ფეხებამდე მოჩანდა. დიდხანს იდგა და შესცქეროდა თავის თავს, ფეხშიშველას, ღამის პერანგის ამარას, სათვალისასა და ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა.

დილით მამილამ გააღვიძა. ისეთი მშვიდი ხმით ჰკითხა, როგორა ხარო, რომ ვრთი წუთით შეეპკვდა, წუხანდელი ამბავი ხომ არ დამესიზმრაო. რაღაც დიდი დანაშაულის გრძნობა ჰქონდა ძილიდან ცუდი სიზმარივით აყოლილი. დედა შინ არ იყო. ამას ყველაფერზე ატყობდა. იქნებ არც კი მოსულა სულ, — ფიქრობდა, მაგრამ აქაც გრძნობდა, რომ ამ ფიქრით თავს იმშვიდებდა.

სკოლიდან რომ დაბრუნდა, ბულდოგის ლუკვები სადარბაზოს კართან დახვდნენ. მის დანახვაზე უცნაურად შეეცვალათ სახე და ერთმანეთს გადახედეს. კბე ისე აიარა, მათი ხმა არ გაუგონია, ეს კი ცოტათი გაუკვირდა.

ამას, რა თქმა უნდა, ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ შინ კი აღარ შესულა. გამობრუნდა და ისევ ქუჩაში გამოვიდა. ბიჭები აღარ დაუნახავს, საკვირველი იყო ამ შიშველ კიბესა და სადარბაზოში როგორ ახერხებდნენ დამალვას. გაჩერდა, რადგან არ იცოდა, სად წასულიყო. ამ დროს სახლს რომინზონის მწვანე მანქანა მოადგა. რომინზონს რომ არ შეხვედროდა, ჩქარი ნაბიჯით უმიზნოდ გაჰყვა ქუჩას. მაგრამ რომინზონის ხმამ შეაჩერა:

— მიხა, დამიცადე!

მიხა შეჩერდა, არ უნდოდა შეჩერება, მაგრამ არც გაქცევა ივარგებდა. რომინზონი მისკენ წამოვიდა. მიხას რომ მიუახლოვდა, ხელი ასწია, მიხამ უნებურად უკან დაიხია, ეგონა,

გარტყმას მიპირებდო, რომინზონმაც შეატყო ეს შეკრთომა, გაუღმინა, ხტლი მსუბუქად დაადო მხარზე და უთხრა:

— კარგი ახლა, შევრიგდეთ.

მიხას ეუცხოვა რომინზონის ასეთი სინაზე. იფიქრა, ისევ დამციინისო. რომინზონი კი განაგრძობდა:

— კაცი ხარ უკვე, ვაჟაკო. რას იზამ. ყველას გული დაგწყვდა. უნდა გაწავადე.

ეს მართლა ან ახალი დაცივნა იყო, ან კიდევ...

— მილიციიდან დარეკეს და გავვარდით. მამაშენი მე მივიყვანე საავადმყოფოში.

— მილიციიდან?

— პო... ახლა წავიყვანე მამაშენი... თურმე ავტობუსს... მოკლედ, ტრაგიკულად....

დედა! დედა! დედა! დედა მოკვდა. — გაუღვია მიხას, მაგრამ იმ წამსვე ისევ ეკვით შეხედა რომინზონს. მაგრამ არა, ასეთი ხუმრობა, ალბათ, ნამდვილად არ არსებობს ამ ქვეყანაზე, არც შეიძლება რომ არსებობდეს, როგორ შეიძლება ეს სასაცილოდ იიგდოს ვინმემ? მაინც ამჯობინა, ღირსეულად მოქცეულიყო იმასთან, ვინც ახლა თავს იკატუნებდა, ნახეთ როგორი გულწვილი ვარო. ახლა მის თვალწინ რომ ამოეშვა ტირილი, ეს ხომ იმას ნიშნავდა, რომინზონს ყველაფერი ამატია. არა, მას არ შეეძლო ახლა ტირილი, არც არაფერი შეეძლო, სჯობდა რომინზონი გასცლოდა, თავი დაენებებინა.

ამას, ეტყობოდა, ასე მშვიდად იმიტომ ფიქრობდა, რომ გულის სიდრმეში დედის სიკვდილის ამბავი არ სჯეროდა. ყველაზე ძნელი დასაჯერებელი ხომ იმ ადამიანის სიკვდილია, რომელიც ყველაზე მეტად გიყვარს. ეს იმდენად წარმოუდგენელია, რომ გგონია, შენს გარდა ყველა ცდება, შენს გარდა, შენს გარდა და, ვიდრე შენ არ გჯერა, მანამდე სიკვდილი ჯერ კიდევ უძლურია, იმიტომ, რომ მართლაც შეიძლება, ყველა ცდებოდეს.

— გინდა შენც წავიყვან? — ჰკითხა რობინზონმა.

— არა, გმადლობთ! — უპასუხა მან და გატრიალდა. იგრძნო, რობინზონი შემცბარი დატოვა, პირში ჩალაგამოვლებული. დარწმუნდა კიდევ, რობინზონი მისგან სულ სხვა რამეს მოელოდა, რადგან უკვე საკმაოდ შორს იყო წასული, როცა მან ისევ დაუძანა და გაკვირვებული სახით შეეკითხა:

— მიზა, გაიგე, რაც გითხარი?

— აი, ასე! რობინზონი ჭიდაობის საყურებლად წავიდა და მოჭიდავეები არ გამოცხადდნენ. შერჩა ხელში ლოჯის ბილეთი.

„მაგრამ ხომ შეიძლება, ეს ამბავი მართალი იყოს, — ახლა ზურგიით რობინზონის მხერას აღარ გრძნობდა და თავისუფლად შეეძლო ეფიქრა, — ხომ შეიძლება, მართალი გამოდგეს? შეუძლებელია... კი მაგრამ, მართალი რომ იყოს?“

დღეს რომ ასაფლავებდნენ, იმ დღეს მამამ შავი კოსტუმი ჩაიცვათეთრ, გაქათათებულ პერანგზე შავი ყელსახვევი გაიკეთა. მალიმალ იხედებოდა სარკეში. მივიდოდა, სარკეზე ჩამოფარებულ ტილოს გადასწევდა და იდგა ასე. მერე რობინზონი მოვიდა. მას ვილაყები მოჰყვნენ, კალათებით დატვირთულები. რობინზონმა მამა კაბინეტში გაიყვანა:

— ხიზილალა რესტორნიდან გამოვიტანე, ცხვარი ნავთლუღის ბაზარში ვიყიდვ. ათი კილო ბრინჯი კიდევ მოვიტანე, რა იცი, იქნებ დაგვაყლდეს...

— ეპ, ჩემო რობინზონ, რა დროს ქვლებია!

— საჭიროა, სოფლიდან ჩამოვა ხალხი, ჭამა უნდა. თანაც არ გააკეთებ და იტყვიან, არ უყვარდაო. ხალხს თვალში ნაცარი უნდა შეაყარო!

— ეპ, ჩემო რობინზონ.

— ღვინო გურჯაანიდან ჩამოვატანინე, ნაღდი რვა ნომრის მასალაა. ლობიო ბლომადა გვაქვს, მწვანელიც, თევზიც არის, სხვა რა გინდა, პო, სასაფლა-

ოზე ვიყავი, არა უშავს, კარგი ადგილი ვიშოვე. იქაც ფული უნდა, მსუქანკ ადვილს ვინ მოგცემს. სასაფლავს სხვა თეატრები თაა.

— ეპ, ჩემო რობინზონ!

რობინზონმა ხურდა პიჯაკის პატარა ჯიბეში ჩაუკუწა მამას.

პანაშვილზე უამრავი ხალხი მოვიდა. მიზა მამის გვერდით იდგა. მამას ხელს ართმევდნენ. მას კი, თუ შენიშნავდნენ, კოცნიდნენ. მამა გულამოსკენილი ტირიდა. ყველა ცდილობდა, როგორმე ენუგეშებინა ის. ოთახში ცხელია, დაბუთულ ჰაერში მიწისა და ბალახის სუნი ტრიალებდა. მერე მთელი კაპელა ერთად მოვიდა. გაუდრული პეპერი ქალები და შავკოსტუმიანი კაცები. კაპელას ბალერინები მოჰყვნენ, გამხდარი, უშნო გოგოები, რომლებიც გულდათუთულნი ტირიოდნენ. ბოლოს სახელგანთქმული მომღერლები შემოვიდნენ, ტანკებივით. გვერდით ამოუდგნენ მამას და მიზა სადღაც კუთხეში მიაჰყლოტეს. მერე მამამ მოძებნა ის და მეორე ოთახში გაიყვანა.

— რატომ არ ტირი? — ჰკითხა, თან ტილო გადასწია და სარკეში ჩაიხედა.

დღეა თავახდელ კუბოში იწვა. პირზე თეთრი აბრეშუმი ეფარა. ხალხი კუბოს გარშემო უვლიდა. ზოგი დაიხრებოდა და დააკვირდებოდა, თითქოს ცდილობდა, დაენახა, რა იყო აბრეშუმის ქვეშ.

— კარებში ნუ გაჩერდებით! — ისმოდა რობინზონის ხმა. — ხალხი გაატარეთ! ერთ მწკრივად! ერთ მწკრივად! — პიონერის საყვირივით ხალხისანი ხმა ჰქონდა მასაც შავი კოსტუმი ეცვა და შავი ყელსახვევი ეკეთა.

მერე მიხას კლასის ამხანაგები მოვიდნენ, წინ დამრიგებელი მოუძლოდათ. მოწაფეებს ხელში თაიგულები ეჭირათ, არ იცოდნენ, სად დაედოთ, ყველამ დააპირა მიხასთვის მიეჩეჩებინათ ხელში. საქმეს ისევ რობინზონმა უშველა, ბავშვებს თაიგულები ჩამოართვა და კუბოს ირგვლივ ლამაზად შემოაწყაო.

მისა შეუშინეველად გაძერა ხალხში. აივანზე გასვლა დააპირა, სული ეხუთებოდა. აივანზე ვილაყები იდგნენ. სამხარეულოც ხალხით იყო გაჭედული, მისი ოთახიც. მის საწოლზე აწმახი, ჩექმებიანი კაცი გადაწოლილიყო და გაზეთს კითხულობდა. შეშაბანდშიც ტევა არ იყო. მისა ძლივსძლივობით მივიდა ფანჯარასათნ და ეზოში გადაიხედა. შუა ეზოში ცეცხლი გაჩაღებინათ და ზედ ვეება ქვაბი შეედგათ. ქვაბთან თეთრწინსაფრიაანი კაცი ტრიალებდა, ახლა ქვაბში ყრიდა მარხის. იქვე ტატზე მწვანილის მთა დაეხვავებინათ. ტატთან ძალი გაწოლილიყო.

— სად ხარ, შენ, სად? — ჩაველო ვილაყამ მხარში ხელი და უხეშად მოატრიალა, — მამაშენი გეძებს! — მისა ამ კაცს არ იცნობდა, იფიქრა, გადაცემული მილიციელი ხომ არ არისო. წამოვიდა და ისევ მამის გვერდით აიტუნა-მა მამამ მის მომყვანს მადლობის ნიშნად თავი დაუქანა.

კიდევ უფრო ჩამოცხა. ახლა ამ ქოტურ ბურუსში, რომელიც მისას გარშემო მოძრაობდა და ყრუდ გუგუნებდა, მხოლოდ რობინზონის ხმა ისმოდა მკაფიოდ:

— ერთ მწკრივად! ერთ მწკრივად!

სასაფლაოდან ისე გამოიბარა, არავის შეუშინევეა. ტროლეიბუსიდან რომ ჩამოვიდა, დაინახა, სადგურში მისულიყო. ნუთუ შინიდან გაქცევა უნდოდა? არა. სად უნდა წასულიყო, ვისთან?

ბინდებოდა. ბაქანზე იდგა და მატარებელს შესცქეროდა. მერე მატარებელი წელა დაიძრა, წავიდა და ბაქანიც დაცარიელდა. კიდევ დიდხანს იდგა. მერე სხვა მატარებელი ჩამოდგა ახლა იმას მიესია ხალხი. ისევ აივსო ბაქანი, ისევ აყაყანდა, აზრიალდა.

ის მატარებელიც წავიდა.

„რომ შეიძლებოდეს, — ფიქრობდა ის, — ზღვაზე წავიდოდი. რამდენი ხანია აღარ მინახავს. როგორი სიჩუმეა ზღვაზე...“

დედას უყვარდა ზღვაზე ყოფნა. იქ მუდამ მზიარული იყო. თეთრი ქვაბები და თეთრი სანდლები. თავზეც თეთრი ქუდი ეხურა. და ყველაფერი თეთრი იყო ირგვლივ, სახლები, მთები, გზა, ცა, კი თეთრი იყო მაშინ. აივანზე იჯდა, ქარგავდა, და მაღალი კვიპაროსებით მოჩანდნენ.

უცებ გული შეუხტა, იქნებ დედა ახლაც ზღვაზეაო. მას შეეძლო ჩამჯდარიყო მატარებელში და წასულიყო ზღვაზე, სადაც ყველაფერი შეუცვლელი დახვდებოდა, აივანიც, დედაც, კვიპაროსებიც და, ახლა მხოლოდ მასზე იყო დამოკიდებული, წავიდოდა თუ არა იქ. თუმცა მერეც რომ წასულიყო, თუნდაც ერთი ან ათი წლის მერე, ის ქვეყანა, სადაც დედა ცხოვრობდა, მუდამ შეუცვლელი დახვდებოდა.

„სანამ მე ცოცხალი ვარ, — გიფიქრა მან სიხარულით, — დედაც სულ ცოცხალი იქნება!“ მაშ, რა მოხდა დღეს იმ ტრიალ მინდორში, სასაფლაოს რომ ეძახიან, ვისი კუმო ჩაუშვეს სამარეში? როგორ წელ-წელა ამოიზარდა მიწის წითელი გორაკი, როგორ ჩუმად იდგა ხალხი, როგორ აყრიდნენ თეთრ ყვავილებს სამარეს. ნუთუ ადამიანი ერთბაშად ყველასათვის არ კვდება? რა ჰქვია მისი სიცოცხლის მეორე ნაწილს, რომელსაც მიწაში ვერ ატევენ, ყვავილებით ვერ ფარავენ, ისევ სიცოცხლე? ის ხომ მიწაზე არ დადის, ჰაერში დაფარფატებს, როგორც ღრუბლის ნაფლეთი, ანდა ჰადრის აბლაბუდა, ანდა, როგორც ხმა... ხმა და მეტი არაფერი...

მოსაცდელ დარბაზში შევიდა. დარბაზში სინათლე კი არ ენთო, სინელები იყო ოდნავ ყვითლად შეფერადებული. ხის მაღალზურგიან, გრძელ სკამებზე ხალხი ისხდა. ზოგზე ბავშვები იწვნენ. სკამების წინ ჩემოდნები და ფუთები ელაგა. სწორედ აქ უნდოდა ახლა ყოფნა, ამ მიჩუმებულ ხალხში.

მისა სკამზე იჯდა თვალდატყუარული და ფიქრობდა:

„რა იყო დღევანდელი დღე... გუშინ-

დელი... იქნებ ყველაფერი დამესიზმრა...“

მერე დაღლილობამ იმძლავრა, თავი ჩამოუვარდა, დაძინა.

თითქოს ცაში მიფრინავდა. ვარსკვლავები ლითონის ფირფიტებივით ტრიალებდნენ ირგვლივ. მიხა დაღლილი იყო, ვარსკვლავზე ჩამოჯდომა უნდოდა, მაგრამ ყველა ვარსკვლავი დიკავებული იყო. ყველა ვარსკვლავის შუაგულში რობინზონი მოკალათებულიყო. რობინზონ კრუზო, პირში ჩიბუხგაჩრილი. ხელში თოფი ეჭირა, წელზე ხმალი ერტყა მხოლოდ ერთადერთ პაწაწინა ვარსკვლავზე არ ჩანდა რობინზონი. ეს ვარსკვლავი ხელისგულივით ბატარა იყო და ზედ თვალდახუჭული გოგონა ერთ ადგილზე ხელებგაშლილი ტრიალებდა...

სწორედ ამ დროს ვილაცამ შეანჯღრია. მიხამ თვალი გაახილა. მის წინ შუახნის კაცი იდგა. მხარში ჩავევლო მისთვის ხელი. მიხამ უცებ ვერ გაიხსენა, სად იყო, ამიტომ ძალიან დაბნეული წამოდგა, უხერხულად აიწურა.

— ერთი წუთით ავდექე და მაშინვე მოკალათებულა ეს ყმაწვილი, — ჩიფჩიფებდა კაცი, — მოსწრებაზეა ეს ხალხი!

მიხა წამოვიდა ძლივს მიიკვლევდა გზას დახვავებულ ჩემოდნებსა და ფუთებს შორის. დარბაზში სიჩუმე იდგახანდახან დიქტორის მიღებული და მინახებელი ხმა გაისმოდა ხოლმე. დიქტორს თითქოს კატა ეჭდა კალთაში და იმას ეფერებოდა. მიხა ქუჩაში გამოვიდა. სადგურის მოედანი ცარიელი იყო.

საათზე დაიხედა, თერთმეტი სრულდებოდა. გაჩაღებულმა ცარიელმა ტრამვაიმ წყრილ-წყრილით გადაჭრა მოედანი. მაღალი სახლის თავზე სასტუმრო „კოლხიდას“ რეკლამა ანათებდა რა კარგი იქნებოდა, დიდი რომ ყოფილიყო. სასტუმროში მივიდოდა, ნომერს აიღებდა, და დილაამდე მშვიდად დაიძინებდა. შეიძლება მეორე დღეც გადაეხედა, მესამეც. მერე მოაკითხავდნენ ალ-

ბათ, კარზე დააკაკუნებდნენ, ხომ არ მოკვდაო. კარს გაუღებდა.

— აჰ, უკაცრავად, — ეტყობნენ, ჩანადგან უფროსებს ასე მორიდებით ელაპარაკებიან ხოლმე, — ჩვენ გვეგონა... — სათქმელს აღარ დაამთავრებდნენ და გაიცინებდნენ ისიც გაიცინებდა, რადგან უფროსებში ასეთი მიღებული, სხვები რომ გიციიან, შენც უსათუოდ უნდა გაიციინო, მერე ეტყობა, ბოდიში, ტელეფონზე უნდა დავრეკოო. კარს დაკეტავდა და ისევ დაიძინებდა. ეძინებოდა ერთი კვირა, ერთი თვე. მერე ისევ გააღვიძებდნენ.

— ვინ არის? — დაუძახებდა ის.

— ოჰ, უკაცრავად, ჩვენ გვეგონა...

—საქმე ვკონდათ რამე?

— არა, როგორ გეკადრებათ...

ისევ გაიცინებდნენ.

ისევ დაიძინებდა ერთი კვირა, ერთი თვე და, როცა საბოლოოდ გაიღვიძებდა, ყველაფერი დავიწყებული ექნებოდა. არა, ყველაფერი არა! ბევრი რამის დავიწყება თვითონაც აღარ უნდოდა.

ქუჩაში მიდიოდა და ასე ფიქრობდა. მეტი მილიციის მოტოციკლი დაინახა, ნაბიჯს აუჩქარა, რადგან იფიქრა, მე მეტებენო, ბნელში კედელთან აიტუზა. მოტოციკლმა ჩაუქროლა და წავიდა. ცოტა ხნის მერე თვითონ აედევნა მოტოციკლს:

— დამიცადეთ! დამიცადეთ! — შუა ქუჩაში მირბოდა და ყვიროდა.

მოტოციკლი თვალს მიეფარა.

მერე ქუჩაში შეგროვილი ხალხი დაინახა ის ადგილი ძალიან გაენათბინათ. უკვე შორიდანვე მიხვდა, ფილმს იღებდნენ. ნელა მიუახლოვდა. ხალხის შუაში მსუქანი ახალგაზრდა კაცი იდგა და მაღალ, ძალიან ლამაზ გოგოს დამცინავად ელაპარაკებოდა, სხვები გასულელებული უსმენდნენ. გოგო ტიროდა. ჭერ იფიქრა, ამათ ხომ არ იღებენო, მაგრამ შეცდა. ახალგაზრდა კაცი უხსნიდა, არიგებდა, თუ როგორ უნდა ეთამაშა გოგოს...

— უნდა გამოქანდე და აყოცო. არ

მიიხრა ახლა, ბიჭისთვის არ მიკოც-
ნიაო. პრაქტიკა საკმარისი გაქვს, ახლა
გამოცდილება ხელოვნებაში გამოიყენე.
შენთვის ეს ჩვეულებრივი ამბავი უნ-
და იყოს. რომ გეუბნები, სარა ბერნა-
რი ხარ-მეთქი, გწინს...

— ნუ მეძახი სარა ბერნარს! — უთხ-
რა გოგომ სლუკუნით.

— კარგი, გეყოფა! აბა, გადაღება!
— დაიძახა მსუქანმა ახალგაზრდამ და
გვერდზე გადავა. „იუბიტერები“ ანთვის
და ახლა დღესავით გაჩახჩახდა ირგვ-
ლივ. უცებ მიხას ქალის ხმა მოესმა:

— აკაკი წერეთელი დაიბადა ათას
რვაას ორმოც წელს, სოფელ სხვიტორ-
ში ვაიმეორე! — მიხამ მიიხედა. იქვე
ქუჩის პირზე ქალი და გრგონა ჩამომ-
სხდარიყვნენ. გოგონას სახეზე რაღაც
ისეთი ჰქონდა წასმული, რომ სულ
ერთიანად უბზინავდა. ეტყობოდა, მა-
საც ამ ფილმში იღებდნენ. ეს ქალი
კი, ალბათ, დედამისი იყო და ხვალინ-
დელ ვაკეთილს ასწავლიდა.

— აკაკი წერეთელი დაიბადა, — დაი-
წყო გოგონამ, მერე ხელის ზურგი
პირზე აიფარა, დაამთქნარა და თქვა:—
მეც ჩემი მწვანე კაბა ზურგზე უნდა გა-
ვაჭრევიანო.

მიხა ამით შესცქეროდა და ვერ შე-
ამჩნია, როგორ წამოეპარა რეჟისორი,
რომელიც ეტყობოდა, კარგა ხანია შო-
რიდან უთვალთვალებდა. მან მიხას ხე-
ლი ჩაავლო და იყვირა:

— ვიპოვე!

საჩქაროდ „იუბიტერები“ ჩააქრეს
და ყველანი ამით შემოეხვივნენ. აღ-
ტაცებული რეჟისორი გაიძახოდა:

— ვიპოვე! ვიპოვე! წარმოგიდგენი-
ათ! თავისი ფეხით მოვიდა! — მიხას
მკლავში ხელი ჩაავლო და ძალით წაათ-
რია, — ხომ გინდა ფილმში გადაღება?
კინო! კინო! გინდა, ხომ გინდა? აბა,
ჩქარა გრიმი! ყვავილები!

მიხას სახეზე რაღაც წაუსვეს, ხელ-
ში თაიგული მისცეს. ყვავილები ყვი-
თელი იყო და პეპელას ფრთებივით
მტვრიანი. მიხა გაოგნებული იყურე-

ბოდა აქეთ-იქით. რეჟისორი ხელუბს
იფშენებდა და ლამაზ გოგოს რაღაცას
ეუბნებოდა. გოგო თავს აქნებდა და მი-
ხას შესცქეროდა.

— გადაღება! — იყვირა რეჟისორმა.
— ზღვისპირა ბაღი!

„ზღვა... ზღვა... ზღვა!“ — ეს სიტყვა
რამდენჯერმე გატყაცუნდა ბიჭის გონე-
ბაში. მერე გაუყვირდა, „ზღვას აქ რა
უნდა?“.

გოგო გამოქანდა და მიხას ყელზე შე-
მოეხვია ისე, რომ მტვრიანი ყვავილები
სახეზე შეასრისა.

მიხა მხოლოდ ახლა გამოერკვა. თით-
ქოს შორიდან დაინახა თავისი თავი,
მკერდზე მიხუტებული ყვავილებით
და რატომღაც სრულებით არ გაუყვირ-
და.

გოგო ისევ გამოქანდა და ყელზე მო-
ეხვია, აკოცა.

— არ ვარგა! — დაუყვირა რეჟი-
სორმა, — თავიდან! თავიდან!

გოგო უცებ შეჩერდა, ჯერ მიხას და-
ავიკრდა, მერე ნელა მოატრიალა თავი
და რეჟისორს ვასძახა:

— ბიჭიკო! ბიჭიკო!

— ჰა? — გამოეპასუხა რეჟისორი.

— ეს ტირის, ტირის, — მერე ისევ
ძალიან ვაკვირვებულნი თვალებით შე-
ხედა მიხას.

— კარგია, რომ ტირის, სარა, კარგია,
— დაუძახა რეჟისორმა, — კარგია,
რომ ტირის.

და უცებ მზია დაინახა. ზღვის პირას
ბიჭებში ჩამდგარიყო და რაღაცას ხე-
ლების ქნევით ყვებოდა. ნელა, გაუბე-
დავად მიუახლოვდა. მზიამ დაინახა,
მაგრამ ლაპარაკი არ შეუწყვეტია. შეი-
ძლება რცხვენოდა კიდევ ბიჭებთან
იმის გამოჩენა, რომ მასთან მეგობრობ-
და. მიხა რომ ახლოს მოვიდა, მზია გა-
ჩუმდა და გვერდზე გაიხედა.

— მერე? — ჰკითხა ერთმა ბიჭმა
მზიას.

მზიას ხმა არ ამოუღია. მიხა თვალ-
მოუშორებლად შესცქეროდა მას. ბი-
ჭებმა მიხას მოხედეს, დაძაბული სიჩუ-

მე ჩამოვარდა. ერთი ბიჭი დაიხარა, ქვა აიღო და ზღვისკენ ისროლა. ქვა ალაპ-
ლაპებულ წყლის ზედაპირზე გაცურდა,
მერე ბაყაყივით ერთი-ორი გრძელი ნა-
ხტომი გააყეთა და გაქრა. ბიჭები მიხას
უყურებდნენ.

— წავიდეთ, გავცუროთ! — დაუძახა
მზიამ და ზღვისკენ ნაბიჯი გადადგა.

— შენ არ წამოხვალ? — ჰკითხა მი-
ხას ერთმა ბიჭმა და დამცინავად მოჭუ-
ტა თვალები.

— მაგან ცურვა არ იცის! — გაიცი-
ნა მეორე ბიჭმა.

— ვიცი, — იცრუა მიხამ, — ვიცი!
მერე მზია და მალალი ბიჭი დაინახა,
ხელიხელგადახვეულები ზღვისკენ რომ
მირბოდნენ. ცოტა ხნის მერე ბიჭების
ყიჟინა და მზიას მზიარული კისკისი

მოესმა. თვითონაც ზღვისკენ წავიდა
ისე, რომ წინ ვერაფერს ხედდებოდა. იგრ-
ძნო, წყალში რომ შევიდა. ტანსაცმელი
ბუშტივით გაიბერა. თითქოს წყლიდან
მისი ამოგდება უნდაო. მერე წყალი გა-
დაყლაპა, მლაშე და მძიმე. შეეშინდა,
უკან დაბრუნება სცადა, მაგრამ ამ
დროს წყალმა თავზე გადაუარა. ჯერ
ვიღაცის ფეხები დაინახა, რვაფეხას
მარწუხებივით ნებივრად რომ ირწეოდ-
ნენ, მერე თეთრი, ყრიალა ქვეები.

თვალები რომ გაახილა, ავარდისფე-
რებულ ბურუსში წვალებით დედის სა-
ხე გაარჩია. დამძიმებული ხელები
ძლივს ასწია და თვალებზე მოისვა.

— ცოცხალია! — დაიძახა ვიღაცამ
და ამ დროს ისევ დაჰკარგა ვონება.




შექახილი

თავო ჩემო! რა დუმილი შეგეჩვია,
ხმის გაღება ასე რატომ გეზარება.
თუ წკრიალით გულში ლექსი რეკდა ზარებს,
ის ხმა ყველას და ყველაფერს შენ გერჩია.

ის წუთები ნუთუ აღარ გენატრება,
უდროოდ რად მოდგომია შენს სულს რული.
დაგაფიწყდა ის ლხენა და ნეტარება,
რაც გიგრძნვინა დაწყებულის დასასრულით.

მოდო, ისევ შენებური ხმა დასძარი,
დუმილი სჯობს თუ ქუხილი, წილი ყარე.
თუ ოცნების ვერ ააგე შენ ტაძარი,
გამოფხიზლდი, გული მაინც დააწყენარე.

წინ სიცოცხლის სიყვარულო, ბრძოლის ჟინო,
ხმა ხომ შეგვრჩა, ვცადოთ, იქნებ ვიყიფინოთ.



ზურაბ კახიანიძე

ბიჭის სიზმარი

თვითმფრინავები, როგორც ჭურვები,
ბნელში ფანტავენ ღრუბლის ნახევებს,
და ძველი ციხის სათოფურები
ჩაცვენილ თვალებს ფართოდ ახევენ.

თვითმფრინავები ღელავენ ცაში,
ზეცას გაჰკვირვან ღამის ჩიტებად...
მფრინავი მამის ლოდინში ბავშვი
თვალებს ისრებს და ძილს ეჭიდება.

ბიჭს გამძლეობა ხშირად დალატობს,
ძილი უხილაჲ ძალით იზიდავს...
და ესიზმრება —
ცაში ნავარდობს
და მამა ხელებს უქნევს მიწიდან.

გამთენიისას შინ ბრუნდებიან
ძილგატეხილი თვითმფრინავები,
და ძველი ციხის სათოფურები
დაღლილ თვალებზე ნისლს იფარებენ.


წვივის წვეთები

ღია ფანჯარას უცებ კაპასი
მოაწყდა წვიმა და დაფეთებით
შემოცქრილდნენ ფანჯრის რაფაზე
ლამაზ-ლამაზი წვიმის წვეთები.

შენი ღიმილის ელვას ვადარე
ხულის ჩამდგმელი, გასაღმერთები,

ცქრილ-ცქრილა, პატარ-პატარა,
ხალისიანი წვიმის წვეთები.

ველარ ვისვენებ და ფანჯრის მინებს
აწყდება წვიმა თავგამეტებით.
„გააღე, ბიჭო, შუბლს გაგიგრძობთ“!
მიკაკუნებენ წვიმის წვეთები.



ს ი უ ქ ე ბ ი

მოთხრობა

ეურნალისტის მოუსვენარმა პროფესიამ თითქმის მთელი მსოფლიო შემოატარებინა ანდრეი ბელოვს.

ის არ ტყუოდა, როცა ამბობდა: დედა-მიწის ექვსი ნაწილიდან მხოლოდ ერთი — ანტარქტიდა დამრჩა უნახავიო.

როდის მოუწევდა ანტარქტიდის ნახვა, რა იცოდა ახლა კი თითქმის წელიწადი სრულდებოდა, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი საბჭოთა ვახუთის კორესპონდენტად მუშაობდა.

მას ჰქონდა მახვილი თვალი, დაკვირვების უნარი და ცრუ რწმენისაგან თავისუფალი გონება.

ბელოვი, როგორც ეურნალისტი, ფრიად მნიშვნელოვნად თვლიდა გაეგო ხასიათი და თავისებურება იმ ქვეყნებისა. სადაც მას ბედი გადაისროდა ხოლმე. ცხოვრება ყველგან განუმეორებლად განსხვავებული იყო, სავსე იმ თავისებურებებით, რომელიც მხოლოდ ერთ ხალხს ახასიათებს. ამიტომ იგი ხალიჩის ნაირფერ, უცნაურ მოხატულობას აგონებდა.

ჯერ ერთი, ამ სახარების სიტყვებმა მოაწმუნე პოეტის უფრო აღმათ იმიტომ გააღიზიანა, რომ „მთაწმინდის სახის აღწერაში“ უმხრიათ, და მეტიც, ეს განცხადება, რითაც სხვა ფაქტთან ერთად, რაც გრ. ორბელიანს ახალ სალიტერატურო ენის მომხრედ წარმოგიდგინებს, უფრო შემთხვევითი ამბავია თუნდაც, ახალი დროის უფრო შევადგინოს ნიშანი, მაგრამ არა იმისი საშუალო, რომ გრ. ორბელიანი ენის საკითხში არქაიზტი არ იყო და ისევე პრინციპებს არ იცავდა, რომელთაც უკომპრომიზო არქაიზტი პლ. იოსელიანი ჯადაგებდა.¹

გრ. ორბელიანს „მამათა“ ბანაკში წევრ კი არ ვითვებთ, თვითონ დგება და აღიარებს შეუძლია იქიდან მისი დატყრა-გამოყვანა.

მართალია, „პასუხშიც“ წიგნს გრ. ორბელიანი, ცრუ რუსთაველებმა რუსთაველის ენა წაგვიბიწვესო; მართალია, გმობდა და კაცობადა ყველას, ვინც გაუმართავი — ვინც ძველი, ვინც ახალი ქართული დაწერდა რასმე, და ეს მახვილი არ ასცდა არც გ. წყაროვს, არც ს. მესხს, არც ყაზბეგს, არც თვით აკაკის, რომლის ერთ პოეზიულ ნაწარმზე წაწერა: „უი, შე დღეობადა იმერელი, როდის ისწავლი ქართულს“, და ა. შ., მაგრამ გრ. ორბელიანი იცავდა საერთოდ ლიტერატურულ ქართულს, გამართულ ენას და თავის მრწამსით ძველს, ამაღლებული ენის მომხრედ რჩებოდა. მართალია, თვით დიდი ილია აღიარებს, რომ გრივოლ ორბელიანმა „თავისი ძლიერი მხარი მისცა ახალს მიმართულებას“, რომ „მამულის სიყვარულის გასაღვივებლად და დასაწერად აღსებლად ერთად არა ერთი და არც უტყვამს თავისი მშვენიერებას ლექსითა“, რომ „მამულის-შელომბას გრ. ორბელიანმა შეაპყრა იგი ღონიერი სული“, მაგრამ ეს იყო დიდი მთაწმინდის მიერ საერთოდ გ. ორბელიანის შემოქმედების, როგორც ერთგული დირებულების აღიარება, შევსება, რაც ერთგვარ დიდსულოვნობით ნაკარხნებ შეგრძობასაც შეიცავს. სინამდვილეში ფაქტი რჩება ფაქტად და ისტორიული სინამდვილის დამახინჯებულად წარმოდგენა იქნებოდა იმის დაჯერება, რომ „გრ. ორბელიანი კი არ შეებრძოლა ახალ თაობას, პირიქით, ბანი მისცა, მასთან ერთად შემოსახა ახალი ხანის სიმღერა“, როგორც ილიას ცნობილი დასასათბობი საფუძველზე

აყვადებს მკვლევარი პროფ. კ. მეტველია. ისტორიაში მრავალი მავალითა იმისა, რომ ენა, თუ ეს შეეძლება, თუნდაც გენიოსი, ვადამეტებულ, ან წყნდარ დასასათბობსაც კი აძლევს რომელიმე სხვა მწერლის, მაგრამ ისტორია ასწორებს ხელს ამანარ თვალახარის, თუ სინამდვილე ამის საფუძველს აძლევს. გრ. ორბელიანის გამხილული კრიტიკული წერილი არაა უშუალოდ „მამათა“ პოზიციებიდან „შეღელთა“ ბანაკში ნასროლი სამოღვემოცო ისარი, ესაა სრულიად ბუნებრივი, დროული რეაქცია მწერლისა მწერლის წინაშე, მაგრამ პრინციპულად ერთგვარი ნიშნის მივება მაინცაა ახალი თაობის წარმომადგენლის მიმართ — აი, ასეთია თქვენი ენაო. მართალია, ილიას ენა აქ სანიშნოდა აღიარებული, მაგრამ რეაქციონერ კი აქ სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა, მით უმეტეს, ასეთი პრინციპულობა ეპატირობოდა იმის დასამტკიცებლად, რომ მიუდგომოდა და „შეღელთა“ განქცება კი არ აღიარებდა, არამედ ენის სიწმინდის დაცვა შეტაც, ის აღიარებს ახალი ქართული რეალისტური მწერლობის ღირსებას. ილიას „კაცია ადამიანის“ აღიარებით ის აღიარებდა ახალი თაობის განიერი უფლებებს.

გრ. ორბელიანი ხედავს რუსთაველის საშვილიშვილო ამავს უკეთ, ვიდრე ვინმე სხვა, სწამს, რომ რუსთაველმა თავისი ბუმბუკაშული პოეტური ძალით შემოვიწმინდა, საუკუნეების ქარცხელში გამოატარა ქართული ენა, ამიტომ მისი ენის შეგრძობა გულდაწვლად უნდა უბედურება. ენა მართლაც ირყეობდა და ნაკუნადებოდა, ოღონდ ამასი შეიღობს არავითარი ხრალი არ მიუძღოდათ. პირიქით, შეიღობა მესვეურებიც ისევე იმბრძნენ ენის სიწმინდისა და გაკეთდომობილობისათვის, როგორც თვით გრ. ორბელიანი, და ეს ვერ გააგებს, არ სურდათ გავყოთ მამათა ბანაკში.

„მამათა“ და „შეღელთა“ ბრძოლის უშუალო გაგრძელებად არ თვლიან არც სატირულ ლექსს „დროების ათი წლის იუბილე“, რითაც გრ. ორბელიანი დაუნდობლად ესმის თავს ახალი თაობის ორგანოს, მთელი მოწინავე საქართველოს საყვარელ გაზეთს: „დროებს“ და მის მესვეურს სერგეი მესხს. მაგრამ აქაც საქმე შეება ენას, ენება ძველი და ახალი თაობის პოზიციების სხვადასხვაობას, და ამდენად ენე: საუბრით ბუნებრივი გაგრძელება იმ ბრძოლისა, რაც სამოციან წლებში დაიწყო.

ცხადია, სხენებული ლიტერატურული დოკუმენტები აღარ შეიცავენ ძველებურად ღრმად გააზრებულ სოციალურ სუბსანს, ესაა გ. წერეთლისა და ს. მესხის ლიტერატურული ენის კრიტიკა, მაგრამ პოზიციები არსებითად მაინც უცვლელი რჩება, კომპრომიზი არც ერთ მხარეს არ მოუხდენია მეორის სასარგებლოდ, თუ არ ჩავთვლით ილიას ნაწარმოებთა ენობრივი დირსების აღიარებას, რაც ჯერ კიდევ არ ნიშნავს მისი პრინციპების სრულ აღიარებას, და არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ წამიერი სიდიდეს ნაქრია, უწინდებური გამაგებით არ ლექსავნ შეუბებს და ბრძოლის სიმწვავემ ზაიარა. სხვაგვარად რომ წარმოვიდგინოთ, მაშინ ეს დიდი სოციალურ-ისტორიული

¹ ა. ვაწერელია, „ლიტერატ. ნარკვევები“ (გრ. ორბელიანისა და პ. იოსელიანის ლიტ. ურთიერთობათა შესახებ), 1947.

მნიშვნელობის მოვლენა — „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა — შეიძლება აფეხსნა სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა უცარი შეტაკებით, მუსხვიე მიწურ-მოწერის შემთხვევითი ხასიათით.

სულ სხვა ამბავია, რომ გრ. ორბელიანი ილიას ავტორიტეტს აღიარებს პირად ურთიერთობაში თუ ოფიციალურად, ანგარიშს უწყებს ახალი თაობის საქმიანობის ზოგიერთ მხარეს და ქართველთა კომუროსს უწოდებს ალექსანდრე ვახუშტს. ამით პოეტი თავის კანონიერ ადგილს განამტკიცებს ქართული კულტურის ინტერაიაში და ნებით თუ უნებლიედ აღიარებს იმას, რაც საერთოდ ჩვენი წინმეტყველების საქმეს გუთავნის, აღიარებს როგორც მწერალი და მოქალაქე.

პოეტ გრ. ორბელიანის ბინაზე გაიმართა 1878 წლის 30 იანვარს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაამუშავებული კრება, რომელზეც მოიწინა დიმიტრი ვაფიანის ბრძოლტი, იმავე დიმიტრი ვაფიანისა, რომლის მართლად არჩევასაც ასე სასტიკად აღუდგა წინ ფეოდალი გრ. ორბელიანი. მისი ცხოვრების ქრონიკაში ჩვენ ვნახებთ, რა ხალხით იღებს მონაწილეობას იგი ჩვენი ქვეყნის კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. „შვილთა“ ბანაკის ნაღებთან ერთად ესწრება სხდომებს, მათთან თათბარებს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შედარება-დადგენის საქითებზე. პოეტი თანდათანობით დაადგა სიხერეში ამ ნათელ გზას. სამოც-სამოცდაათიანი წლების შეურყივებელი მებრძოლი ოთხმოციანი წლებისათვის უკვე დაუწერელი ლომის შთაბეჭდილებას ტოვებს, განსასჯელად შინაგონის თავის ნაწერებს იმათ, რომელთაც ვებრძოდა, და მათთან ერთად სინჯავს ქვეყნის მკვირვებებს.

გრ. ორბელიანი და კომპარტი სელონევა

გრ. ორბელიანი ქართული ლექსის შესანიშნავი ისტატია. მისი პოეტური სიტყვა ის ფრთიანი იარაღია, რითაც პოეზიის მოვყარულის გრძობათა და ფიქრთა სამყაროს ეუფლება. მისი ლექსების ენა ძალში და აზრით უხვია, მისი მეტაფორა — მობედნილი და დროული, მისი სტრაქი — ლალი და ბუნებრივი. მართალია, ზოგან რიტორიკა, ერთფეროვნება და მძიმე სტრუქტურა გამოიყვანა ზოლზე, მაგრამ, საერთოდ, მთელი მისი პოეზია მჭკვეთარე მდინარეა აზრისა და გრძობისა, ჩვენი პოეზიის მღვდელმცოდნე უფლისავე რომ მისიარეფვის და არაბად არ ფერხდება. ქალაქური პოეზიის ზეგაყვანა, კლასიკური ქართულია თუ აღ. ჰეპედავის მუხამბა-ზური კილოში, გრ. ორბელიანი ყველგან რჩება ორიგინალური, რელიეფური, თავისთავადი, ხალასი, ამაღლებული პოეტური სიტყვას მთეფად.

გრ. ორბელიანი რთული პოეტური პიროვნება და ამპნია მისი ძალაც, თუ შემოქმედი მალე კარგავს ინტერესის აღძვრის უნარს, იოლად „კანმაგნიტდება“ ზოლზე და ამოხსნალ ამოცანასავე მოხვდება არ-

ყოველივე ამის გამოც აფასებს ილია გრიგოლს, „თვითმკრიპებელ ქართული ენისას“, ქველი და ახალი თაობის შემავრთებელ ხედს უწოდებს თავის „გამოცანებში“ და ღირსეულ, გონიერ ბურჯს ჩვენი კულტურისას, ხილი თუ მასაც ზოგჯერ ქვეყნის საქმე „ფეხებზე კეილია“, ესევე დამსახურებული საყვედურია.

მოგვიანებით, როცა გრ. ორბელიანი ცოცხალი აღარ იყო, ახალი თაობის მოღვაწეები სინანულს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ „სუვედგი და მალა-ნიჭიერი გრ. ორბელიანი გულწრფელი მამულიშვილი იყო, მაგრამ „ახალ თაობას“ ვერ ურიდებოდა, თუმცა არც ახალ თაობას დაუწევებია რამე მამულას წინაშე.“¹

სამოლოოდ უნდა დაგასვენათ, რომ გრ. ორბელიანის როლი „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლაში მანე უფრო თეორიულ-პრინციპულ ხასიათს ატარებს, და, თუმცა „მამათა“ ბანაკის მეთაურია, შინც ის, როგორც დიდი პოეტი და პატრიოტი, მთელი თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით ემსახურება იმავე პროზნული კულტურის დიდების საქმეს, რასაც თავისი სიცოცხლე შეაღია „შვილთა“ დიდმა თაობამ. მისი პოეტური მტკიცებება არაა ზედმეტად დამძიმებული არკაული პერიოდებით, მისი აზრები ქუმანურა და ამაღლებულია, მისი სურვილი — ქვეყნის და მწერლობის აღორძინება. მისი დროის ფრთას შეფარებული ბევრი მწერალი მიეცა დაუწევებს და ფართო შეიბველისათვის დღესაც უცნობია, გრ. ორბელიანმა კი არჩვეულებრივი ნიჭის ძალით სძლია თვით საკუთარი პრინციპები და ქვეყნის სახელოვან შვილთა უკმავე გუნდში ჩადგა. ეს გარემოება უნდა გვახსოვდეს მუდამ, როცა გრ. ორბელიანზე, როგორც „მამათა“ ბანაკის წინამძღოლზე ვლაპარაკობთ.

ქიში, გრ. ორბელიანი არც ცხოვრებითა და არც პოეზიით ასეთ შემოქმედთა რიგებს არ განეკუთვნება. მისი პიროვნულ-მოქალაქობრივი საქმიანობაც და პოეზიაც თავიდანვე კონტრასტების, ფიქრთა სხვადასხვაობის საგანად ქცეულა და დღემდე ვერ შეუთანხმებიათ ბევრი რამ მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. ეს მისი ღირსების ნიშანია.

გრ. ორბელიანი კონკრეტული, საქმიანი და კოლორიტულია, მან იყის ზომიერება, იყის პოეზიის ფასი და საგანი.

პოეტი უნდა მთელობს სათანადო კილოს და სიტყვებს ამა თუ იმ ვიწროსა თუ მოვლენას დასახასიათებლად. თუ თერვზე ლაპარაკობს, მისებრ სწრაფი და მჭკვეთა მისი სიტყვაც; თუ გაზაფხულის დილას აღწერს, სიონავით მომანავე ვნით გვეპაუზრება; თუ ბრძოლის სურათს გადმოგვყვამ, მისი ლე-

¹ ნ. ურბნელის (ნიკო ხიზანიშვილის) სტატია „ქველი და ახალი თაობა“, „დროება“, 1883, № 94.

ქებადან ცხენთა ღვრიანობის, შუბთა კვეთების, ზათქისა და ჭახანის ხმა მოგვემის, ზოლო თუ ქალის სიტყურფეს ხატავს, ნაგაღულივით ნარანრად მორაკაკებს მისი მშვენიერი ქართული.

„მთლი „საღვთაღვთა“ ერთიანი მშვენიერი მსატრულო ქათოლია. იგი წარმტაცი და მრავალფეროვანი სურათების მოზაიკაა, რაც განწყობილგზათა ცვლითა და ამაღლებული პოეტური სუნთქვით კი არ გვგანსაცხებს, არამედ გვასწავლებს, გვხიბლავს, გვესალხებებს, გვაღვლეებს და სიამაყის გრძნობით გვაყვებს.

გრ. ორბელიანმა მარტო ხმლით როდი მოიხვეჭა სახელი და დიდება. ხმალივით ჭრის მისი თავისებური, განუმეორებელი პოეტური ხმა. მისი თერგი რბის და ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან; მისი გორგასალი ლომივით მოუღვლევი და შემამართებელია; მისი ცა მშვენიერობს, ნათლდება; მის სატრფოს ღაწვებზე ერთდროულად ჰყვავის ვარდი და ზამბახი: მისი ბრძოლის ველი პომეოსის ბრძოლის ველს მოგვაცოცხებს, მისი სიმშვიდეც ჭაღარა კავკასიონის საღინჯეს ეხმარება და ენათსაყვება და უეცრად:

რა ცუცხლო ვაინდა გაღმა მხარს, რა გრგვინვა
მოღის ბრძოლისა!
მთლად დაღისტანი მოაწვა ვასაობრებლად
ყვარლისა!

„მთლად დაღისტანი მოაწვა“ თათქის ჩვეულებრივი, უბრალო გამოთქმაა, მაგრამ ვინც დააკვირდება, აღიარებს, რომ ასეთ ხატოვან ფრაზებს შოლოდ არამწველებრივი პოეტური ბუნების ადამიანები განიძინებენ და განსაცხებენ. აქ შეტად მეტყველია პოეტური სიხვის ძალა და სითბო, ცოცხლად რომ წარმოგვიდგენს ბრძოლის ამაღლებულ დიდებულ სურათს.

გრ. ორბელიანის არც თუ ისე დიდი პოეტური შემკვიდრებობა გვაოცებს თავისი რიტმულ-ვარიაციული ნაირფეროვნებით. მას არა აქვს ერთი ან ორი ძირითადი საზომი, არამედ მრავალნაირი, და მამართავს იმას, რაც მოცემულ განწყობილებას, თემას ან კილოს შეეფერება.

პოეტს თითქმის ყველა საზომი აქვს გამოყენებული, ხუმარაცვლიანიდან დაწყებული ოცმარცვლოვან ლექსამდე, უპირატესად კი ათ და თექვსმეტმარცვლოვან ზომებს მამართავს.

ასევე მრავალფეროვანია მისი სტროფებიც: აქვს ორტაქტივადი დაწყებული ხუთმეტრი და მეტატრიქონიანი სტროფებიც. ყველა ზომას ერთნაირი ხელოვნებით ფლობს და იყენებს სათანადო აზრისა თუ განედის გადმოსაცხებად.

გრ. ორბელიანის რითმა ხშირად სუსტია, ლექსს ხშირად აგლია დახვეწა. საერთოდ ხელნაწერებზე ბევრი მუშაობა არ უყვარდა. პოეტს თითქმის არ სურდა, ღმინით თუ ბრძოლით გატაცებულს, რათმის საძებლად, ჩქარობს, ლაღობს და ნაგარდობს,

რომ ყველაფერი მოასწროს. „შინარულობს გული ვადრე“. მაგრამ მისი სუსტი რითმაც არ არის დაბრკოლებია, მისი ურთიმო ლექსიც მშვენიერად მოგვხიბვნიან. იმდენია, იმდენად ძლიერია მისი სიტყვა და აზრი — ღრმა.

გრ. ორბელიანი მაღალ დანიშნულებას ხედავს პოეზიაში და საერთოდ მწერლობაში.

პოეტური ხელოვნების ნამდვილი მარგალიტია გრ. ორბელიანის მხატვრობა სამწერლო ენაზე — გწერეთლის მოთხრობაზე დაწერილ კრიტიკულ რეცენზიაში.

„ვითარცა ღამაზსა ტანსა უფრო გააღამაზებს შემკობილი სამოსელი და ჩვენცა მოგვწონს და შეეხართ მას, ეგრეცა გამოჩენილიცა მწერალნი გვიხატვენ ძაზრსა, არა თუ შოლოდ ნათლად, არამედ ღამაზის ფორმითაცა, და სიტყვაცა მათი მომდინარეობს, ვითარცა წყალი, ხან მისმედ, დიდებულების სიამაყითა, ხან დამშვიდებული, ვითარცა შემპირუნებელი რისხვა. მაშინ მამწენელიცა უნებლით მიჰდევს სიტყვისა მის მდინარეებს ძალსა, გულით გახარებული, გონებით მოზიდული, ღიერ-მიტაცებული, დამონებული“.

მართალია, არქაისტი აქაც არქაისტად რჩება, მასაც აქვს მოძველებული სიტყვები და რუსიციზმები („საზარელი კარტინა“ და სხვ.), მაგრამ ძირითადი იდეა, პრინციპი, მოთხოვნები წყარლისა სწორია და ჩვენ ვგრძნობთ, როგორ მაღლდება ზოლში თავის თავზე დიდი პოეტი, საყვებით საღად და შორსმჭვრეტელად რომ უსწორებს თვალს დროის საჭიროებას.

საერთოდ, გრ. ორბელიანის კრიტიკული რეცენზია, ატყული პრინციპების, კერძოდ მოძველებული, აზრობის და ცდვის მიუხედავად, ბევრ საღ, საულისხნო დებულებას შეიცავს და გვაოცებს კიდევ ერთი იმ „შეიღონა“ რეალისტურ ლიტერატურულ პრინციპებისა სახელოვით, რომელთა წინააღმდეგაც ასე თავამიძობით იბრძვის. პოეტი აღიარებს, რომ „კაცთა ადამიანი“ სიამოვნებით წაიკითხა, გიორგი წერეთლის „მეზარეობა“ კი საძაღლობად მიაშინა და ისიც ვერ გაუღია, თუ „რედაქციას რა ჰპირს ქქონდა, რა უნაროდა, რომ ჰმეცდებოდა ამას და არ შეიბრაღა არცა მკითხველი და არცა თვით ავტორი“.

გიორგი წერეთლის მიმართ გრ. ორბელიანი ძირითადად მართალია. ნამდვილად ვერ ჩათვლებოდა კარგ ქართულად „შე თავი გვაქვიე“, „იმახ შემპარავი“. „სტუდენტები დაგვიხედა“, „ბჭერი არის იქ ასეთი ყმაწვილები“, „ეყენობის ფონდი“, „საიდგან დანიშნოვნიება“, „ავატანეთ შე და ჩემსა ამხანაგმა“, „უნდოდა კიდევ უფრო გავაგრძელებინა იმის გულის დარღვა“ და სხვა მრავალი, ათობით შავლთით, რაც გულმოხდინედ ამოუწერია პოეტურიტიკისა თავის თანამოკალმის ცნობილი ნაწარმოებშიდან.

გრ. ორბელიანმა მშვენიერად იცის, რომ „ძაზრი გამოითქმის ნათლად შოლოდ სიტყვებისა კანონიერად გაწყობითა, ამისათვის საჭირო არის, რომ კანონები ესე იყოდეს მწერალმა და შეურყვევლად იგი.

მხმარებდეს მათ; იცის, რომ „დროთა განმავლობაში ზოგიერთი სიტყვა უკარსობის გამო ძველდება და აღარ იხმარება, მაგრამ ენის თვისება მეოფობს მარაღის შეურყევლობა. ეს ნათელი აზრები ერთხელ კიდევ ითქვა ამ დიდი მოღვაწისა და მწერლის პირობით, და ამას ჰქონდა მნიშვნელობა, რასაც შეუძლებელია არ ჩვეულია.

გრ. ორბელიანის ენობრივ-ლიტერატურული შეხედულებებისა და მისი ესთეტიკური მრწამის გასაცნობად ეს წერილი შეტასმეტად მნიშვნელოვანია და ნათელყოფს ამ დიდ შესაძლებლობას, რაც გრ. ორბელიანს ჰქონია, როგორც მრავალმხრივ მწერალ-თეორეტიკოსს, აგრეთვე იმ აზრთა სიუხვს, რასაც დამატებით დაეკრძობება, რომ მოეცალა და უფრო ხშირად ეწერა წერილები და სტატიები.

რეცენზიანი საუბარდღებო აზრთა გამოთქმული სამწერლო ენას ხალხურბაზე: „ხშირად ამბობენ აწინდელნი მწერალნი, „ხალხის ენაზედ ვაწეროთი“ მაშ რა ენაზე უნდა დასაწერონ? მაგრამ იქვე პოეტის თვის აზრს განმარტავს. ხალხურ ენას მწერლის ბრძმედში გატარება, დახვეწა, ლიტერატურულ დონეზე აყვანა უნდა: „მაგრამ ეს კი უნდა ახსოვდეთ, რომ ხალხის ენა არის მხოლოდ მასალა შექმნაველს; ვიდრე დახლოვნებული მწერალი მასალას მას არ გადაარტყვს, კარგსა და უკარგასისგან არ გასწმუნდს, არ გაამწვენიერებს და დიდებულებითა არ აღიყვანს სალიტერატურის სამფლობელოსში; მეტე, იმ გაღამაზებულსა ენასა გამწვენიერებულის ფორმითა გადმოასყვას მისამარებლად ისევე იმასვე ხალხსა, რომელიცა არის პატარონი ენისა, და რომელიცა შეიფიცებებს იმას ვითარცა საკუთრებას; და ამ საბით უმეტეს და უმეტეს მწვენიერდება ხალხის ენა და მით უმეტეს მწვენიერდება ხალხის ენა და მით უმეტეს ნათლდებაცა მისი გონებას“.

ასეთი მსჯელობა შეტყველებს პოეტის დიდ აღიარებას, გუმოწმებასა და გულისხმირებაზე, რითაც მწერლის ენასა და მის შემფასებლებს ცვიდებოდა.

გრ. ორბელიანი მუდამ გრანობს პოეტური ხიტყვის ძალასა და მნიშვნელობას, ზედავს მასში მკითხველის დაინტერესების საშუალებას და აღმაფრენის წყაროს. კრიტიკულ წერილში, რაც გიორგი წერეთლის „აეოლოიკი, ჩიოლოიკი და კუდაბზიკას“ ენის წინააღმდეგ არის მიმართული, მწერალი წუხს იმის

გამო, რომ ენის კანონებზე მოუხდება მოსწვევი ლაპარაკი „და ამის გამო ამ სტატუსსა, რაჯვერველია, წერითმეცა ის პოეტურიკი ვულგარეტიკი უწოდნარეობა სიტყვისა, რომელიცა უნდა მარადის ახალისებდეს და აღვიძებდეს მკითხველის სურვილისა“. პოეტს შეტადრე აწუხებს ის აზრი, რომ მისი სტატია არ მოეწონებათ ქალებს, „რომელნიცა ყოველსა დროსა ყოფილან და აწუცა არიან უკეთესნი ენის დაზფასებულნი“.

პოეტი თავისი ენას ხომარლის მიზეზად პლატონ ფილოსოფოსის (იოსელიანის) გრამატიკას თვლის და ბოდიშს უხდის მანდლოსნებს, „მარადის მათი ერთგული, მათგან და მათთვის დამწვერი“.

ქართული მწერლობა გულთბილად შეხედა ამ სტატიას. ამ ფაქტის დადასტურებას ვაშოულობთ მის თუშანიშვილის წერილში, რაც მიმართულია შვილის, გიორგი თუშანიშვილისადმი, 1875 წლის 21 იანვრის თარიღით: „ინტერესით წაიკითხე შეიძლება მხოლოდ ძველი სემინარისტის სტატიისა, რომელიც ამელავებს არა მარტო მის დიდ კრიტიკულ ტაქტს და ესთეტიკურ გემოვნებას, არამედ აგრეთვე საუხურო ფილოლოგიურ ცოდნას, რაც არ ჩამოუვარდება პროფ. ცვაგარლის ცოდნას სისწორისა და სიზუსტის მხრით.

ჩვენ გვგურა, რომ მკითხველთან ერთად ჩვენს პოეტსაც გული დიდად შესტყვივა ესრეთისა დაცემისათვის ქართულისა ენისა“, იმ ენისა, რომელზედაც დაიწერა ვუფხისტყაოსანი, ძველი და ახალი ლექსები, ხალხური სიმღერები... „არა, ეს მგზავრობა არის რაღაც მახინჯი, —ასყენის პოეტი და აღმფრთხილებული: ესოდენი შეცდომილება, ესოდენი უცოდინარობა ენისა, ესოდენი უპაზრობა, როგორ უნდა იპოვებოდე ერთს პატარა თხზულებასო“.

ესადაც, გრ. ორბელიანი მეორე უკიდურესობაში ვარდება, უსაზღვრო თავმოყვარობას სწამებს გიორგი წერეთელს, გულდაჯერებით დააბეჭდვინაო „ნიჭობა თვისი“ და ვეულამ იცის, რომ გიორგი წერეთელი უნიჭოთა გვარადან არაა. მაგრამ პოეტის თავდასხმა საერთოდ საფუძვლიანი და პრინციპულია. თუ ძველი კლესიო-მონასტრების თვალის ჩინიეთ უფროხილდებოდნენ და იყავდნენ ქართულ ენას, რატომ უნდა შერყვნან ის დღეს რედაქციებმა და მწერლებმა? — ასეთია მისი დასკვნათი სიტყვა.

პრ. ორბელიანის პროზაული ნაწარები

როგორც ცნობილია, ქართული რომანტიზმი მთელი სიძლიერით პროზაში მოგვევლინა. თავისთავად ეს ბუნებრივია, შეტადრე საქართველოში, დასაბამიდან პროზის ქვეყნად რომ არას ცნობილი.

მაგრამ არ იქნება სწორი ძველი შეხედულების უამწვობა, რომ ჩვენი რომანტიზმი მხოლოდ პოეზიით შემოიფარგლა.

გრ. რველიშვილის რომანებზე, ვახტანგ ორბელიანის ეპოსსა, აღ. ორბელიანის დრამებსა და ნარკ-

ვევებზე, გიორგი ერისთავის „ვერუჯარე ათაბაგზე“ რომ არალერი უქვამთ, გრ. ორბელიანის პროზაზე ნაწილობრივ მაინც აბათილებს ამ შეხედულებას.

ქართული რომანტიზმის ძირითადი ფართი ლირიკული პროზია, მაგრამ საქითის ცალმხრივი შესწავლის

¹ გრ. ორბელიანი, თხზ. სრ. კრებ. ავ. ვაწერე-ლიასა და ქ. ტუმბურაძის რედ., „საბჭოთა მწერალი“, თბ., 1959, გვ. 315.

მეფეობა იქნებოდა იმ აზრის განხორციელება, რაც ა. ოსტროვსკის და ა. ფედოროვის წერილში გამოითქვა.¹ და რასაც სპეციალური ნარკვევი გასცა პასუხი სოც.ხეცოში: „თითქმის ყვენი რომანტიზმისათვის უცხო იყოს ენობრივი სხვადასხვაობა და არ გაგვანდეს არც მოთხოვნა, არც დრამა, არც რომანი...“

რომანტიკული ოხვრა და წუთისთვლის ამოვებაზე ჩივილი სრულიად კანონზომიერად პოულობენ ადგილს გრ. ორბელიანის წერილებში და სხვა პროზაულ ნაწერებში: „ეწმი ადარ არას გულში და უიმისოდ რაღა ღაზათი აქვს სიფოცხლესა“ „ამა სოფელსა და მისს მაცოუნებულს ამპოებსა აღარ უყურებ მე ყმაწვილურის თვლითა“, „ეპ, ტყუილია სულ ყოველისფერი“ და სხვა მსგავსი გამოთქმები უხვად გვხვდება პოეტის ეპისტოლარულ მუშაურობაში.

პოეტის პროზაულ ნაწერებშიც ხშირად იღვრება ის განწყობილება, რაც „სადღვერძელში“ ლექსად იქნა უკდავყოფილი:

მამული ველარ იხილავს
იბაკლის ხმალის მღელვარებს,
დიდება იფერობისა
მასთან მარხია სამარტს...

გრ. ორბელიანის პირველი პროზაული ესეების გამოქვეყნება-კომენტირება ი. ბალახაშვილის, ს. ხეცოშვილისა და ჯ. ჭეშხერიძის ღვაწლია.

ოფდიათხი წლის ქაბუკი უკვე იფინებს „ვეგილოვანსა დროსა სიჭაბუკისასა“, როცა აწმუტ დაატკობდა და მომავალშიც აღუთქვამდა ბედნიერებას! მაგრამ ადრე იწყება პოეტის ოხვრა. გამქრალა მსათვის ბედნიერება, „ეთარცა საამურისა სისხრისა ოქნებანა“. ბავშვ დიმილი დავიწყებია, გული დამტყნარა, ღებინა შევბა აღარ უბოფნია მარტოდ დარჩენილს.

პოეტის წალკოტში დასეირნობს და „მშენაერნი ვეგილონი სხტენებანი მტუმენარეთა ფიქრთაგან“ მისა: „ეს სტრიქონები „ვისრამიანის“ საუკეთესო გვერდებს დამშვენებდნენ. რვა წელიწადი ვბრძოდა თურმე პოეტის გონება გულს და ბოლოს იძლია გული. მეგობარი რომ გვერდით ყავდნენ, რჩევას მისცემდა, მაგრამ ასეც შორსაა, და არას „ქრეთ დამოყენილი შესატყლად მწუხარებისათვის“. გულმოკლეული ემშვიდობება შორს მყოფ მეგობარს და ნატრობს, მისმა წერილმა მაინც აწუხებოს დარღისაგან დაღდასმული.

არაფერი იდუმალი და ინტიმური ამ ესეებში არაა. ესეების ადრესატად სრულიად ბუნებრივად შერჩეულია მივიწინით მამაკაცი, რომლის მეგობრული რჩევა და ზრუნვა მისთვის ასე ჭირფასი ყოფილა. ვინ უნდა ყოფილიყო ასეთი ახალგაზრდა პოეტისათვის, თუ არ ანტონი, რომელსაც თავისი პირველი ლექსთაგან უბღვანა. ჩვენთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, წერილია, დღიური თუ დამოუკიდებელი ესეიზი აქ განხილული ფრაგმენტი. მთავარია ის

პოეტური აზროვნება, ფიქრთა სინატიფე და სუბიერი მიღღვარება, რაც ამ, ცოტა არ იყოს, აღმოსავლურად ჩატკბილებული ესეებში ატკბრწმე ტკბეჭყედვანა.

შენაწილეთა

თუმცა დიდი შუალედით — მთელი ხუთი წლით გვიან, მაგრამ თითქმის იმავე სტილში და ხასიათშია გადწყვეტილი მეორე, იმავე მიყვლობას პოეტურ ფრაგმენტი „ზამთრისა ქარი გრიალებს“.

მინიატურა „ნ. ე. მ.“ (ნინო და გაატყვინე ტყე-ქაგაძეობა, მანანა ორბელიანი) — მოლონება იმ დანუიყვარი დღისა, რუსეთს მიმავალსა ახალგაზრდა პოეტმა რომ შეუარა სახელოვან ქართველ ქალებს გამოსამშვიდობებლად და იძლია მოულოდნელად „სამნიფე ერთად, ვითარცა მშენიერი ბრაცინა“, მოჯარზე დამჯდარნი, „სამინილად აღრველ ორბელები“ შესცქეროდნენ და იფოდნენ, რომ ამ ღრუბლებზე უსამინელესნი არიან „ღრუბლენი ვენბათანი, ცხოვრებისა ჩვენისა დამამწარებულ და დამანებლებლენი“. ეს ღრუბლები ჯერ არ შესებოდნენ გრაციების უმანყო გულზეს. პოეტს ნუგუმის ცემა დაუწყეს. პოეტა დუმდა, მაგრამ, როცა მოქმათ სიტყვა „მშენილობით“, მათაც ცრემლით აფებთ თვალები. „არა გობილავსთა მშენიერსა გაზაფხულისა დილასა ვარდი ახლად გაშლილი, რომელსა ზედსა ბრწყინვლებს ზეცისა ნამი, ანუ არა გახბოთა, შხაინაა დღეა მიწმენდილი ცა, გადმოცვერველი წვიმისა... მარგარიტებრ ცვიანად და ასიამოვნებურ თვალთა? ესრეთ იფენ თვალნი თქვენნი...“ ასე ხატონად აღწერს 1832 წელს პეტერბურგს ჩასული პოეტა „გრაციებთან“ განმარების წუთებს, და სანუგუმოდ ეს მოლონება დარჩენია უცხო მხარეში.

ესკიზი სრულად და ცოცხლად წარმოგიდგინა იმ დაუიყვარი მსუფდარი წუთებს და თუმცა ფრაგმენტია, მაინც დამოუკიდებელი მნიშვნელობა ეძლევა. როგორც მხატვრულ ნამუშარებს დიდი ცხოვრების ამბისას.

არსებითად ისევ სიჭაბუკის წარმავლობაზე და ბედის მუხთლობაზეა დაწერილი მეორე ცნობილი მინიატურა.

„ზამთრისა ქარი გრიალებს“ — ამ ფრთოვანი თქმით იწყება ზამთრის პეზნაფის უზადო სურათი. რომელიც ყოველ კლასიკურ მოთხრობას დაამშვენებდა: „ზამთრისა ქარი გრიალებს სამინლად და ფრთენი მისნი მბერვენ სიციფსა და ყინვას. ღრუბლთა დასჭარტს შავად მშენიერი ცა და არღა ისინი უკვე საამური, დამატყვევებელი სტენა ბულბულთა და სხვა ფრინველთა. ფოთლენი, დამტყნარნი, სხევიან ყუთლად, რომელნიცა ოფდამე შემოხვიდნენ ზუთა ეარეთ მშენიერად და აგრადებდნენ თვის კეცმა მუშავრსა, განსასვენებლად შროლარესა. ყოველნი გაზაფხულისა სიტყვფენი მოსბო ზამთრის ხელმან და დაასო მათ ზედა ბტყედი სიყვდილობა...“!

გარეთ თოვს, ქარი ფანჯრებს სცემა და წიფის. ნაღვლიანი პოეტა ბუხართან დამუჯარა, ფიქრებს

¹ Грузинские романтики, სერია — Библиотека поэта (ლენინგ.). 1940.

¹ გრ. ორბელიანი, თხზ. სრული კრებული, „საბჭოთა მწერალი“. 1959 წ. გვ. 290.

მისკვამია: „აბ! სიტუაცია დაღნი ჩვენი უსრუტ მშვენიერი და ესერო ტაბილი, არა ეშვავებთან და: ღუღუღა ყვავილია, ბუნების შემამოქმედა...“ ტაბურ რომანტიკულ სიტუაციას ქმნის მშვენიერი გასაფხულის შედარება სწრაფწინაველ სიტუაციებთან და წამოთრისა — სიბერესთან, „რომელ, კიბარ-ლა წამოთრისან დახოც თავი ჩვენი და... განგვირვი-და გული ყოველი მშვენიერებისა ტრეპილივისა“ განა“ თვით ცხოველყოფილი სიყვარულის სიტუ-ბოება ქრება, სიბერის სიახლოვეს რომ იგრძნობს. სიბერის ვასს, „სიციცხლე ჩვენი არს მხოლოდ თვლე-მა“, მიმავალი ბნელია, წარსული დაფრეხებული, სიახლოვის დღის გასაქმბაც ბუნდოვან სიმზარის ეშვავებება, ან ელვას ბნელ ღამეში, და ახალგაზ-რდობაც ისე ქრება, როგორც მშვენიერი განთიადი გასაფხულისა.

ასე თავდება ესეიზი. ის დაწერილია ტაბუკობა წლებში. მეტისმეტად ნაადრევია ასეთი მჯავლობა ახალგაზრდულ ასაკში. უფრო ომბოვი წლის ბრძე-ნი მწერლის დღიურის ფრაგმენტს მოვყავარებს. ეს იშვიათი, თითქმის არაბუნებრივი შემთხვევაა, და შეიძლება ვთვთროთ, რომ ჩანაწერი ავტორს რომე-ლიმე მოთბობაში უნდოდა გამოყენებინა.

„ან...ღმი“ დაწერილია ტაბუკობა ზელით და მით უფრო გვიჩვენებს მისი პოეტური სუნთქვა, აზრთა და ერბობათა სიღრმე და სინატიფე ერთი შეხედ-ვით ეს ესკიზი დღიურის ნაწილია და მიმართულია სატრფოსადმი. აკი მის ადრესატად ამ ესკიზის პირ-ველმა გამოხეცულმა იაკობ ბალასაშვილმა ნინო ტაჭევაძე მიიწინა კიდევ. შეეძინა გააწიროს ს. ხუ-ციშვილმა, რომელმაც დაადგინა, რომ ადრესატია ან-ტონ ორბელიანი, ვისაც ვაძლენა გრ. ორბელიანის პი-რველი ცნობილი ლექსი.¹ უნდა ეს გაურკვევლობა იმისა, ქალს ვაძლენა ესეიზი თუ კაცს, მტკველებს მის ზოგად ხასიათზე, რაც სატორიში მრავალ გამო-ჩენილ პოეტს დამართია. ჩვენ ვერ ვხედავთ რაიმე სა-პატიო საბუთს იმისას, რომ უარვყოთ ს. ხუციშვილის მოსაზრება, ესეიზი ანტონ ორბელიანს ეძღვნებაო. მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში ჩვენთვის არის არა ადრესატია, არამედ ნაწარმოების მხატვრული ღირე-ბულება. ამ მხრივ ეს „ან...ღმი“ ნამდვილად მშვენი-ერი პოეტური ფრაგმენტს მოამბედილებს სტო-ვესს.

გრ. ორბელიანის პროზაული თხზულებებიდან, თა-რგანების გარდა, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი უკვდავი „მეზავრობა ჩემი“... დღიური, წერილე-ბი, საქართველოს ისტორიის კონსპექტი,² რაც სამ-წესწარად ზორწეუქსმელი დარჩა; ესეიზები „წამო-რისა ქარი ვრავლებს“ და „ან...ღმი“ (ანტირისადე-მი) — პოეტური პროზის მშვენიერი ნიმუშები, ბე-რეოვე სხვადასხვა შენიშვნები და ჩანაწერები, რო-

მელთაც იგივე იღებები, იგივე პოეტური სუნთქვა, ცხოვრების ცოდნა, აზრის სიღრმე და რომანტიკული განწყობილებანი ახასიათებთ, ლექსებში რომ უკე-დავყო განსაკუთრებული ძალთა.

პროზაულ ნაწერებში გამოჩენული ადგილი უკე-რავს პოეტის კრიტიკულ წერილს „მეზავრობა სვა-ნებისაკენ“ — ეს წერილის „კუკოლია, ჩიკოლი-კის და კუდაზიასას“ კრიტიკულ განხილვას.

როგორც თავის დროზე ცნობილი მკვლევარმა პ. ინვოროვამ აღნიშნა, „გრ. ორბელიანის „მეზავ-რობა“ მტკად მნიშვნელოვანი ძეგლია XIX ს. პირ-ველი ნახევრის ქართულ მწერლობაში. გარდა წმინ-და ლიტერატურული ღირებებისა, ეს ნაწარმოები განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს როგორც პირველბარბისოვანი ლოკუმენტი ქართული საზოგა-დოებრივი აზროვნების ისტორიიდან“.¹

რუსეთს მიმავალი პოეტი ხან მელეკაძე, მებრ-ძილი სულისკვეთებით ანთებულა, ხანაც უიმედობას მოუცავს და დაწერებული მითქვამს დაკარგულ დიდებაზე, დასტირის ერეკლეს საფლავს. „ესე არს ნაშობი და მოწაზე იყვრის დიდებისა... უნებლიეთ გარდამოცვიდვანი თვალთვან ცრემლინი, ვახილ — რა საფლავი შეფისა ირაკლისა; რომელსა თანა არს დამარხული დიდება და ყოველი კეთილი იყვრისა“ („მეზავრობა ჩემი...“). ეს პროზაული პირველსახეა იმავე განწყობილებისა, რაც ცნობილ ფრაგმენტშია გამოხატული ლექსად, „საფლავს ჩავდივარ ვოდე-ბითო“.

„მეზავრობა“, უპირველეს ყოვლისა, ბრწყინვალე მხატვრული ნაწარმოებია. მისი ღირევი კილო, ხა-ტიკანი ენა, აღწერილობანი, მტკაძრე ბუნების დი-დებული სურათებისა, და ბილოს, დალოცვნი გან-ძილი სურათი საქართველოს ბუდე-ბილოსა, განსკა-მისი აწმყო-მომავლისა ექოქაური მნიშვნელობის მოუღვენაა უკვე იშითაც, რომ რამდენიმე ათეული წლით ადრე დაიწერა ილიას უკვდავ „მეზავრის წე-რილებზე“, დაახლოებით რვა წლით ადრე ნ. ბარა-თაშვილის პოემაზე „ბედი ქართლისა“ — ამ თრ დიდ ლიტერატურულ ძეგლზე. რომელთაც თვლიდნენ გა-სული საუკუნის ჩვენი ლიტერატურული აზროვნების პირველ მერცხლებად. საველისმზოა ის გარემოება, რომ, ისევე როგორც ახალგაზრდა ილია, ახალგაზრ-და გრ. ორბელიანიც თერვან მიდამოებში საქართ-ველოს ბედზე ფიქრობდა და თვითონაც მებრძოლი, რადიკალურად განწყობილი პატრიოტია, როგორც მოგვიანებით მისი მოპირდაპირე, „შეილითა“ ხანაკია მედრომე, სულ სხვა ბუნებისა და მისწრაფებათა მქო-ნე ილია ტაჭევაძე.

რაც შეეხება „ბედი ქართლისას“, ისიც შექმნილია დამოუკიდებლად, ისე რომ, ავტორს თავისი ბიძის „მეზავრობა“ თვალთვან აქ უნასავს, და ისიც აბე-ბულია ორი ბიძის — ავრეთე ორი პატრიოტის — დავაზე. „მეზავრობაში“ დავოვან ტაბუკი გრიგოლ ორბელიანი და გენერალი ივანე აფხაზი, „ბედი ქარ-თლისაში“ ბრძენი სოლომონ მსაჯული და კრედე

¹ ს. ხუციშვილი, გრ. ორბელიანის პროზაული თხზულებები (გორის სახელმწიფო პედ. ინსტი-ტუტის შრომები, 1947, II, გვ. 91-92).

² გამოაქვეყნეს ს. ხუციშვილი და ნ. ტატიშ-ვილი საქ. მეზღუდის მოამბეში (№ XI).

¹ „ქართ. მწერლ.“, 1928, № 6-7, გვ. 245.

მეფე, „მეზაერის წერილებში“ — მოხვევ და ახალ-გაზრდა ილია ჭავჭავაძე. პირველნი ყოველგვარ გა-რემოებაში და მოუკიდებლობას ქადაგებენ, მეორენი გონების სასწორზე სდებენ ვითარებას და აუცილებ-ლობით ნაკარნახევი გამოსავლისაკენ იხრებიან.

დიდურში ეხებადო საეკლესიო, ღრმავართვან ად-გილებს, რომლებიც ყოველი დიდი პოეტის ღვწილს თემად გამოდგებოდა. ახეთი თუნდაც ჭეჭნი კრი-ტიკის მიერ უკვე შენიშნული შაჯულობა ადამიანის ბედნიერებაზე, რაც ნ. ბარათაშვილის შაჯულობას მოგვაგონებს ღვწიში „ფიჭინი მტკვრას პირას:“ „რამ არს ბედნიერება? — ვეითბება თავის თავს პო-ეტო და პასუხობს: — მე აწ მგონია, რომ ბედნიერე-ბა მყოფობს სიმართლეში, შინაშია, როცა ვფიცა მართლ, მაშინ ვფრთხობ მტახსაკაპიტნობაში; მომივი-და იგი, გამეხარდა და კუალად ახალი სურვილი ბედნიერებისა აღჩნდა გულსა შინა ჩემსა. ესრეთ ერ-თი კიბე აღიფურსს მეორისადმი, ერთი სურვილი კმობს მეორესა და საეკლესიოაშდის დასასრული არ აქვს სურვილისა ბედნიერებისათვის“.

„დიდურების“ ავტორი დაკვირვებული მწერალი და ღრმა ფსიქოლოგია. „სად არს სიმწვენიერე ქა-ლისა, რომელსაწა დააბრძანა გონება ძინისა? სადა არს გრძნობა და ძალი სიყვარულისა, რომელთაყა დაავიწყეს და ძმისა? აწ მხოლად რაოდენნიმე ძელები და რამდენიმე ნაგულჯი ტანისამოსისა მო-ტობრობენ ამოებასა ამა სოფლისასა...“ ამრიგად,

მეცოდვე და-ძინს მტვრად ქსეულ ძელებთან დგას ბრძენი პოეტი და შაჯულობს წუთისოფლის წარმავ-ლობასა და მარადიულ ანებზე. **საქმიანობაში**

„დიდურების“ ენა შედარებით მატერიალურ და ნაკლებად არქაული. ჯ. ჭუმბურიძეს ეს საფუძვლიანად მიაჩნია მართლწერის გამართკვირების ტენდენციის უნებურ გამოვლინებად შპ-იანი წლების ქართულ მწერლობაში, რამაც თავი იჩინა პოეტის დიდურებში, როგორც ისეთ ზღნაწერში, რომლის გამოკვეთებამ-საც ის არ ფიქრობდა!

„ანბანი რიცხის ღომიბატალი ნათქვამი“ მოკლე მო-თხრობაა, სინამდვილიდან აღებული. რომელიდაც ვი-წოდოლმა შემსაშულებ უმუხთია გარდაცვალებულ მე-ტობარს, თავად ბოთიწკოს, მოახლო დაიყენა მასი ქალიწილი და მიითვისა მისი ტონება, მერე კი ვე-რაგულად ჩაყარა შინაში ყავაში, რომელიც მოახლეს მასი მუეღლისათვის უნდა მიყრამოია. ტალბატონი მოკვდა, გოგო გააცამიბრება და შემოხვევთ გზაში შეხ-ვედრილმა იმპერატორის მუეღლემ იხსნა, დაუბრუნა ქონება და გვარი. მოთხრობა თავდება იმპერატორის ქებით, რომ ახეთი ქველი საქმე მოახდინა.

რამც განსაკუთრებული მსატვრული ღირებულება ამ მოთხრობას არა აქვს, თხრობა მოკლე და მშრალ-ლია, იდეა—იმპერატორის დიდსულოვნება. მაგ-რამ მოთხრობა მანც საეკლესიოაშდის, როგორც პოეტის პრაქ მოთხრობი სურველი დაინტერესებისა და მისი ღაცონიური ბტილის ნიშნით.

ბუნება გრ. ორბელიანის შემოქმედებაში

ბუნების ქება-დიდება ნამდვილ გაღმერთებამდე აღწევს გრ. ორბელიანის შემოქმედებაში. მისთვის ბუნება არა მარტო ფონია, არამედ თემაც, საშუალებაც, პიროვნებაც, საზომიც სიღადასა.

ბუნების აღწერაში, ეპიზოდურობას მიუხედავად, კ. ანაშიძე გრ. ორბელიანს რუსთაველზეც კი მაღლა აყენებს, თუმცა იქვე დასძენს, რომ ბუნების სურათები ლირიკოსს უფრო ესპატირობა და პოემაში ის არც ისე აუცილებელია.

გრ. ორბელიანი ბუნებას მიმართავს ისე, როგორც აღორძინების ეპოქის დიდი მსატვრები მიმართავდნენ ბაბლოურ სიუვეტებს: როგორც დიდებულ, ამაღ-ლებულ ფონს, სამკაულსა და მშვენიებას, მის მუფურ იერს, სილო თუ ყვავილებს შეუბო — ზამზასა და ვარდს არ სცოდლებია.

გრ. ორბელიანი თვითონ ბუმბერაზული პოეტური ბუნება და ბუნებასაც ბუმბერაზული ძალით ასა-ხავს.

მისთვის ჭეველი ხერხით გაღმორგევეს პოეტი ბუ-ნების გამჭვირების, სინჯლის სინაილით მყვლის, ჯარის შემქარის, საონად გამზადების, ცხენთა ჯარი-თის ერთობლივ სურათს.

გრ. ორბელიანისათვის ბუნება გოლიათური ძალა, პარველყოფილი, დიადი, ყოვლის მომცველი და ადამიანზე აღმატებული, მაგრამ ადამიანით მგრძნობიარე და გაპიროვნებული. ბუნების ხილება აოცებს,

ჩააფიქრებს ადამიანს, მიუწვდომელსა და იფუნალის განკლას უღვიძებს. „კაცი იბილავს რა დიდმშენი-ერებას ბუნებისასა, უნებლიეთ მღუმარებს დაფიქ-რებულთ“! აქ პოეტს თითქოს სიტყვა არ მყოფის იმ განკლდის გაღმოსაკცმად, რასაც ბუნების ხილება იწ-ვევს, ამიტომ დუმს. „თვალნი მიმართა ცად მი-მართ“ და ინტუციით უკავშირდება უხუნებს. მარ-თლაც, აკი თვითონვე აღხადებს: „კაცისა ხელი ფრი-ად სუბტ არს აღსაწვრად დიდებულებითის ბუნების მშვენიერებისა“ („მეზავრობა“). იგივე თქვა ღვწილად სიი წლის შემდეგ: „სჯობს ენა სდუმდეს, ხმა შეს-წოდეს“ („სიღამო გამოსაღმებისა“). პოეტური საღე-ბავეების ასეთ ერთიანობას პროზასა და პოეზიაში სხვაგანაც ხშირად ეხედვით. მისი „თერგი რბია, თერგი ღრიალებს“ ადრე „მეზავრობაში“ ასეთი ხა-ხით ითქვა: „თერგი დუღებდის, კრისხდებდის და ვე-თარცა გაყოფებული ჰურის ქაფსა, კრბის გრიალითა. . . შეხედებინა მას დიდროანი, სასარგელნი ღოდნი — სლტების მაღლა და მათზედა გარდაცვლების“.

ბუნების კლასიკურ აღწერებს ხშირად ეპოელობო პოეტის იმ ნაწერებშიც, რომელთაც პოეტური ქმნილე-ბის პრეტენზია არა აქვთ.

ქ. ჭუმბურიძე, „ნარკე. ქართ. ლიტ. და კრიტიკოსტორიიდან“, თბ., 1958, გვ. 362.

„არაგვი შორის უფსკურლისა შინა მიმოიკლავებოდა თვითად ძაფსაგით. და გრილი მისი ისმოდა საზარლად. სამინელნი მათან ერთმანეთზე აღვეწინილნი ცაამდის, დიდებულებით მღუმარებდნენ.“ — ასეთია რუსეთს გამწვანებელი პოეტის შთაბეჭდილება, რაც თავის სამწვანო ჩანაწერებში შეუტანია. ის არავის არ მამადავ და თვითონვე ქმნიდა ორიგინალურ მხატვრულ დიქციულებას.

ბუნება ვარდამავალი კიბეა, რომლითაც რომანტიკოსი პოეტი რაღაც ციურ საშვაროს უახლოვდება, რაც დაიწვევას აძლევს ტანჯვით დაღდასმულს, ასვენებს და აყვითლწობილებს.

გრ. ორბელიანის ბუნებას ვერ ვეწოდებთ უტყუვ, დიდი მხატვრის ფუნჯივით აცოცხლებს კალმით პოეტი მეტყველ ბუნებას, სწვდება მის იდეალებსა და ხანის მის შინაგან ძლიერებას. ამ საქმეში იგი ქართულ მწერალთაგან პირველია და ტოლი ძნელად მოეძებნება.

გრ. ორბელიანის ბუნება მეტყველი, თანამგრძობელი, გამკები, გაყოცხლებული, მანუგემული ან რისხვის განმობნატველია. პოეტი ემშვიდობება სატრფოს, მამულს, და ბუმბერაზი შთები დუმილით დაფუძებულან, მათი ყინულის ბაგებია მოკუწულია, ჩქამი არ იმას, ხოლო თუ სატრფო ახლოა, „მოთვარე, ამიეთ მოწამე, სიამით ნათელს მოპყენს“ მათ.

ბუნებას ხილადიბო, მისი ქარმნიითა და ხილწმით მომბოლელი, იტაცებულ პოეტი სიტყვას ვერ პოულობს, ისევ შემოქმედს მიმართავს, და ამ ხერხით განაახლებს ჩვენს შთაბეჭდილებას:

ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს
მის ფერ უთვალავ მწვეწებას.
სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით
ქბადავ ცხოვრებას!

გრ. ორბელიანის ბუნება მაინც თვალმწველწველი პოეტური ნინლითაა დაბურული, შეიცავს რაღაც დაფარულსა და საიდუმლოს, რასაც ადამიანი შორიდან შესცქერას გარცხებით, მოწიწებითა და ერთგვარი შიშითაც კი. თუ ნიკოლოზ ბართათაშვილისათვის წყნარი საღამო მეგობარია, მისებრ „მწუხარ და სვედიანი“, მთაწმინდა კიდეც — ვულდასურულია მეგობარი, და უსასკოთა ენა ესმის ადამიანს, გრ. ორბელიანის კავკასიონი უფრო პირქუში, დიდებული და შორეულია, მასი გასაწვების ბუნებაც—საოკარი, მაგრამ მხოლოდ თვალწარმტაცი, არა ადამიანის მეგობარი და მესაიდუმლე, არამედ განწვ გამდგარი, დაუნდობელი და მიუკარგებელი.

გრ. ორბელიანმა რომანტიკულ სამბოელში გაახვია გასაფხული, „ღრი საამო, როს ბულბული ვარდსა შეტარფის ეწყით ბჰული, როს უმეტეს ტრფობის ალი გულსა შინა აღვწუნების“.

მაგრამ ასე ცოცხლად დახატული გასაფხული კონტრასტია იმისა, რასაც პოეტი განიცდის:

გაზაფხულის ეამს სასურველს
ყოული იშვებს, ყოელი ქბარობს!
მხოლოდ ჩემს გულს დამწარებულს
ხმა ბულბულის აღარ ატკბობს.

ჩემთვის აღარ ტურფად ვარდი
ქმლილობს, ქმწმინავს სუნწვლებით!
ჩემთვის აღარ განათავდრეკენწმლი
აღმობრწმინდეს წვტრწმინდობისა

ტიპიური რომანტიკული ხიტყვითაა ბუნების მწვენიერი სურათი და ადამიანის აფორიატებული სული ვერ ქმნიან ქარმნიას. ბუნებას სრულყოფილი სიღამასზე მხოლოდ უფრო რელიეფურად აჩენს ადამიანის ცხოვრების არასრულყოფილობას, ტანჯვასა და მიუწყობლობას.

გულიც შესთვასებია თავის კავმანს და ბუნების მრისხანებას:

ჩემს უყვარს გულსა დაღრეკილს,
ცა მოღრუბლული რისხვითა;
როს გრივალს, ჰექას და ჰეხილს
ისმენს ქვეყანა კრბალითა!

მაშინ სიკვდილსა მღუმარედ
სიამოვნებით მოველი,
რომ მას შევერთდე სამარედ,
ვისთვისაც ვიუავ სულღმული...

ტიერთვის ადამიანის დაკარგვამ დაუარგა ფასი ბუნების მწვენიერებას, პოეტს აღარ ახარებს გასაწვული მოსვლით და აღარ აწუხებს წასვლით.

მაგრამ გრ. ორბელიანი მოვლენებს არ უყურებს სტატიკურად, მეტაფიზიკურად, ან მხოლოდ ერთ, ან მხოლოდ მეორე მდგომარეობაში. მისთვის ცნობილია ადამიანის ცხოვრებისა და ბუნების მოვლენების უთვალავი ვარიანტი, ასევე მათი უპირობობის, ქარმნიისა და დისპარმონიის მომეტებე. ლექსში „ღამე“ იგონებს ბედნიერ დროს, როცა სატრფოსთან იყო და ბუნებაც თანაურწმინდა:

მთოვარე, ამიეთ მოწამე, სიამოვნებით
დაგვმწებდა!
ნიავე სუნელთ ყვაილთვან ქვრებდა და
ქროლეთ მოგებრდა!
მაშინ ესკენ, ეჰანი სამოთხის რომ ამა
სოფელს არიან...

ეს საგულისხმო, „ერტიკული“ აზრი — რომ სა-მოთხე მიღმა ქვეყანაში კი არ უფოილა, არამედ აქვე, დედამიწაზე, ყოველდღიურ ცხოვრებაში — პოეტს ბუნებას მწვენიერებაში და სატრფოს სიახლოვემ ჩაუნერგა, იმან, რაც ადამიანის არსებობას აზრსა და სტიმულს აძლევს.

არც ისეთი ხასიათის ნაწარმოებშია ბუნება მიწაწვებული, როგორცაა „ტილუბაში“. აქ მწედრები ცეცხლის გარშემო ღმინის დროს ინსუნებენ „ვარსკვლავსა ფირუსა“, „სიციცხლის მოწუნსა ქარსა“.

სად მთანი ყინვის ვრგვიწვით არიან ცამდე
ასულნი
და მღინარენი ხახილით ზვართის
ზვირთებზე მსროლენნი —

უფსკრულნი — ჩაბნელებულნი, კლდენი —
თვალგაღმწვდენენი,
სად მონადირე მსდევს ჯიხესა და მის ქვეშ
პელენან ღრუბელნი.

ბუნების აღწერის ამ იმეათ ნიმუშს მოსდევს სა-
ხელგანთქმული სტროფი: „სხვა საქართველო სად
არის, რომელი ეუბნე ქვეყნისა?“

გრ. ორბელიანი შეუდარებელი ისტატია დრამატუ-
ლი პეზიანისა, რაც მოქმედი პირობის გარემოვე დაბა-
ბულ სიტუაციას ქმნის.

სადაც ბუნების მშვენიერებასა და დიდებაზე ლა-
პარაკობს, იქ პოეტის სატყვეც თითქმის უფრო ლა-
ლად და დიდებულად მოედინება, რითაც უფრო ბუ-
ნებრივი და მდიდრულია, განწყობილებაც უფრო
ამაღლებული და ძალდაუტანებელი.

გაიხსენით ცნობილი „თერგი რბის, თერგი ღრი-
ალებს“, „საღამო გამოსაღებებისა“, ან „ტოლუბანისა“
ეს ადგილი, რომელსაც ფოველი მოსწავლე იხეპი-
რებს საქართველოში:

ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად
შეღება,
ცას სიხარული მოპოვინა და ქვეყანასა
შვენება
აენთნენ ცეცხლის ალებრივ შორს
გაბნეული ღრუბელნი,
ცა მშვენიერობს, ნათლდება... მასა
შეენატრით მისიღველნი
...ო, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება
მიძინებელი!
დაჩუმიდით... ყურა მიუგდეთ... არ გესმით,
პვალობს ბუბუდი?

პოეტურა გრადაციის ამ ნიმუშა, ბუნების იდილი-
ურ სურათს მოსდევს ისევ ქვეყნიერებას მოუწყობ-
ლობას, ბრძოლისა და უაზრო სისხლის ღვრის მკა-
ური სინამდილე.

ბუნების სურათი ავტორს თავისა კაცთმოყვარული
იდეების საქდაგებლად ესაჭიროება. „სადღერბე-
ლოს“ მკითხველი იხიარებს ავტორის გაოცებას, რა
საჭიროა ამ მშვენიერი ბუნების წიაღში უაზრო ხი-
ცვა-ღვტვა?

გრ. ორბელიანისათვის ბუნება მუზეუმის მინის მი-
ღმა კი არ არის ფერგადასული შარყმანივე, არა-
მედ მისივე ბუნების სისხლხორველი ნაწილია,
გასულღმეულბებული, ცოცხალი და მასობელი, ავი
და კეიილი, სამშობლოს მკერდას დამამშვენებელი.
გრ. ორბელიანი ქართული პოეტია, ქართული ბუ-
ნების ღვირღი შეილი, და გალიიდან გაქცეული ნა-

დირივით კი არ გარბის ტყე-ღრესა თუ მთებში, არა-
მედ თვითონაა ორგანულად შერწყმული ბუნებასთან
და ბუნების წიაღში თავმთვარებელი წახვლის არ-
საით არ აპირებს.

მას ყოველ დანახვაზე აოცებს ცათამდე აყვდებულ.
ბუმბრას შთათა მშვენიერება, თერგის ღრიალი, ჩა-
საგალი მზის სხივებისა და თვითი მწვერვალების
აღრისი.

და მაინც ბუნების აღწერაში უმაღლესი ისტატობა
გრ. ორბელიანმა გვიჩვენა ცნობილ ლექსში, „საღამო
გამოსაღებებისა“. ეს ვლევია ერთადერთი ნიმუშია
იმისა თუ რა შეეძლია მონუმენტურ პოეტურ სი-
ტყვას როგორც ტაძრას ფრესკაზე, ისე მანს კავკასი-
ონის მთების დიდებულა, ფერადოვანი პანორამა მია-
ღეჭაში. საკვირველი სიმშვიდით აყვდებულან მდე-
მარე მთები ცათამდე, „მსუდან, ვით დევნი, სპე-
ტაკის ფანულ-გვირგვინით შემკულნი“. ჩამაგალი მზე
ეშვიდობება ტალარა კავკასიონს. „თავსა უხვეა
აღერათი, ვით ტალი მამს მოხუცა“.

ერთ სტროფში დახატულია ბუნების სიმშვიდის
გრანდიოზული სურათი, ღირსი დიდოსტატების ყა-
ღმისა, მგრამ პოეტი არ აპირებს მკითხველის ჩა-
ძინებას. ფილოსოფოსის გონებით სწევდება მრისხანე
ძალას, რაც ამ მშვიდი ბუნების წიაღში იფარება და
აფორმატებს ადამიანს რაღაც დიადით, რომლის ღირ-
სეულად დახატვა მისამყვდომია მხოლოდ დიდი პოე-
ტური ბუნებისათვის:

მათ კლდოვან გვერდთა შავადა ღრუბელნი
ზედ დასწოლიან,
და მრისხანებით ქვეყანას წარღვნიათა
ემუქრებთან...
წყალნი მითი დაქანებულნი აღმასებრ
უფსკრულს მსცივიან,
თერგი პიბის, თერგი ღრიალებს, კლდენი
ბანს ეუბნებთან!

პოეტს ღრმა სიბერემდე შერჩა ბუნების მშვენიე-
რების ამაღლებული პოეტური განცდა. მას გულს უა-
რილებს კოჯრის ნიაგი, პირდაპირ ვაზბვეიდან მო-
ხული პაერა ჩასდის მკერდში ტამაბულის მყოფ
მოხუც გრივოსს, პორჯომივი მისია, იქვე გაუწევია
ლანათები... მთელი საქართველო მისია და მისი არა
მარტო როგორც მუზეუმი სიძველეებისა, ნანგრევთა
კრება, არამედ ცოცხალი, დატანჯული და საყვარელ-
სამშობლო, როგორი იქნება ამ ქვეყნის მომავალი?
აქ უკვე ჩვენა რომანტიკოსება ოხრავენ და სხვადა-
სხვა გამოსავალს ეძებენ.

ზამანდმოუხარი ორბელიანი

გრ. ორბელიანი თამამად შეიძლება მივათვალოთ
მხოლოდის გამორჩინლ სამრწინსმეტყველთა რიცხვს.
მის აფორისტულ თქმებში, მის წერალებში, ლექსებ-

ში იფარება მრავალი საგულესმით აზრი. ბევრი
მხოლოდ დიდი ხანია მტკიცედ შეედა ჩვენი ხალ-
ხის ნადავსანმარი აფორიზმების რიცხვში...

გრ. ორბელიანის დიდი თავყვანისმცემელი იონა მენარგია სწორედ პოეტის სიბრძნეს და გონიერებას უკავშირდა ხასს:

„დიდი ხანია დავცხებები ქვეყნად, ზვერი შესანიშნავი ქართველი კაცი გამიცნია, ზვერისა კი არა, თითქმის ყველა ჩვენი სამართი მწერლების თუ არ მეგობარი, ახლი ნაყნობი მანის ვარ და გულზე ხელდაღებით შემოძლია ვოქვა: გრიგოლ ორბელიანისებრ გონიერი ქართველის მსახველი არა ვარ... თუ მეითხველი ვერ დარწმუნდა ამასი, ბრალი ჩემი იქნება და არა ორბელიანისა“.

გაეხსენოთ თუნდაც „ტოლუბაშის“ ეს აფელი. „მარა სიძნელე სუსტს გულს კლავს და მტკიცე მით არს აღზრდილი“. გამოთქმა ცოტა მძიმე და ძნელად გასაგებია, მაგრამ დააკვირდით ცხოვრების გამოცდილებებს ამ ნაყოფს: სუსტი ნებისყოფის ადამიანი ვერ უძლებს დიდ განსაცდელს, ვერც დიდ უზედრებას, სამაგიეროდ სიძნელე აწრთობს და აძლევს ნებისყოფას, გამოცდილზე აყენებს ადამიანს და გამოაქვს დიანურულს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცხოვრება ნებისყოფის სამჭედლოა და იმარჯებენ სულთ ძლიერნი. აქ მხოლოე პრინციპული საკითხზე იჭრება ცნობიერებაში: სიძნელე ზრდის ადამიანს, რომლის ვალია გაბედულად შეუბას ყოველ დაბრკოლებას და თავისი გაიტანოს.

ამ გზაზე ადამიანის ლამპარი და გზისმკვლევნი სიყვარულია. ადამიანი დაბრკოლებას არ უნდა შეუშინდეს: „გულს სიყვარულით, ზელს ხმალით რას არა აღასრულებდეს?“ ვინ არ უნდა ემსხვერპლოს დიად მიზანს და ვინ დახმებს უკან, ვისაც გზას სიყვარული უნათებს? თუ გაეთვალისწინებთ, რომ აქ სიყვარული ამ სიტყვის მაღალ, სიმბოლურ გაგებასაც გულისხმობს, „ტოლუბაშის“ ავტორი უაღრესად დიდი, გომეზანაოელი მოაზროვნის სახით გვეცდილება.

მინიატურაშიც „ზამთრისა ქარი გრიადებს“ პოეტი იმავე აზრს ატარებს: „სიყვარულიცა, ეზე მშვენიერი სილოცებისა ზვენიის ვევილი, რომელიცა გვატბობს, გვახარებს თვით ტანჯვასა შინა თვისსა და აღგამაღლებს ყოველთა მდამალთა და უღირსთა სხვათა ვენებათაგან...“

უფრო მოკლედ ეს აზრი ასეა ფორმულირებული: „ტანჯვა არს მზრდელი ტრფობისა“.

ეს მოსაზრებანი ღრმა ფილოსოფიურ შინაარსს შეიცავს: წინააღმდეგობათა ქარცეცხლში იწრთობა ადამიანი და ვითარდება ბუნებაში ყოველივე ამდენად ტანჯვა არა მარტო გარდუვალი, არამედ საჭირო რამაც არის.

ადამიანის სიციცხლის აზრად და არსად „სადღეგრძელოში“ მამულის სიყვარულია გამოცხადებული; თუ მამულს ვეღარას არგებს, „უტყუია მიხი სიციცხლ“.

პოეტი არ იფიქვებს ნუგეშის შეორე წყაროს — მეგობრობას.

1 იონა მენარგია, ქართველი მწერლები, 1954 წ., გვ. 151.

ვთუ ვინცა ეშის ცეცხლით ჩემებრ გულსა
მკვდრისა მხედუნს...
მეგობრ, ჰე, შენ, მეგობრობაზე შევემს
ვარსკვლავად აღეგზენი

ამ გრძნობით თითქოს გულაჩუყებული პოეტი მორიგ სადღეგრძელოში საყოველთაო სიციცხლს, შიშის, მოყვასთა სიყვარულის დიოთარაშს ამბობს.

რა არის ჩვენი სიციცხლე, თუ არა საქმე კეთილი,
თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვეჭმნათ ნუგეშ-მცემელი.
თუ არა ვსადგენით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი?
სხვის ეცნესა თუ არ გვაწუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი?

პოეტი ბრძოლას ქადაგებს ყოველივე იმის წინააღმდეგ, „რაც უშლის კაცსა სულია მადლობას“, ადამიანი უნდა ებრძოდეს, სდგენიდეს „ძალას დამნაგრევლს“, და ამ ბრძოლაში უზენაესი მადლია არა ტლანტი ძალა, არამედ ნიჭი. ნიჭისა და ადამიანის ხალასი ღირსების პრიორიტეტის ნამდვილი პიშია „სადღეგრძელის“ ეს აფელი.

მეიციოთ ნიჭსა გზა ფართო, თავყვანისცემა ღირსებას:
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს, და არა გვარის-შვილობას...

„ესდევნიდეთ ყოველს, რაც უშლის კაცსა სულის მადლობას“, — ეს აფორისტული მოწოდება ლახვრად უნდა მოხედვს ყოველ უღირს ადამიანს, მდაბალსა და ვულგარულს, პირადას თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში პარაზიტულად მოკლათებულსა თუ ჭირივით შეჭრილს, და იმ გონებაშეზღუდულთ, რომელთაც ზოგად დარაიებდ ეჭვენებათ პოეტური სიბრძნე.

საერთოდ, გრ. ორბელიანი აფორისტული მეტყველების ერთ-ერთი შესანიშნავი ოსტატია. დავიმოწმით კიდევ რამდენიმე ნიმუში:

ვითარცა ცეცხლი მარტოდა მსიანს ველსა
ზედა მათოშილი,
რომლისა ცვამი ჰაერში ქარის შებერვით არს მჭარლი...
ეგრეთ იქმნების აღხოცილ ამ სოფლით მისი სახელი,
გზა ცხოვრებისა ვინც განვლო და არ აღბეჭდა ნავალო.

მწუხარების დროს ეამნი მსწარტლნი ვლიან ნელიად.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს არს სწუხარ, რომ ბოლო თვით
სიხარულსაც ჰქონია.

როს ბუღბული ვარდს შემსტროდეს,
უვალობდეს, შეხაროდეს,
მამინ უვავსა რად არ ჰსცხვენის, რომ მათ შუა
სამძღვრად დაჰყდეს?

სიყვარულსა ჟერ არს, რათა მარად სურვა
დაჰბერვიდეს,
თვარა ვითა ცაცხლს უნივთოდ, არ უძს
დიღხანს ენთებოდეს.

ზღვის კიდეს დგომით მარგარიტი ვით
აბოეების,
ტრფობისგან წყლულნი მხოლოდ
ოხვრით ვითა განჰქრების!

მე იგი მზე მძელს, რომლიცა მნათობს და
ჩვენ კი არ ვვათბობს.

აწ ვჰხარობ, მარამა შტანჯავს ეს ფიქრა,
რომ სიხარულსაც აქვს დასასრული.

გულს სიყვარული, ხელს ხმელს
რას არა აღასრულებდეს?
და სხვ. მრ.

დამოწმებული მაგალითებიდანაც ცხადია, რომ
გრ. თბელიანი იყო დიდი გონებრივი შემართების,
გაქანებისა და კეთილშობილი გულის მქონე პოეტი,
რომლის აფორიზმები იხვევ გადავიდნენ ხალხში, რო-
გორც რუსთაველის, პარათაშვილის, ილიას, გურა-
მიშვილის, ვაჟას და სხვა მრწამადმოუბარ პოეტთა
უწყნობი ანდაზური თქმები.

სიბრძნისმეტყველება ცალკე, იზოლირებულად არ
არსებობს. ეს ადამიანის ნიჭისა და ბუნების უმაღლე-
სი გამოხატულებაა, ხალხის სიბრძნის ზღვიდან გა-
მომდინარე ნაკადია, და ვინაყ თავის შემოქმედებაში
ჩახვილი, ღრმავაროვანი, ანდაზური გამოთქმები მი-
მოუნეგია, ამით თავისი მშობელი ერის პოტენციის
წამანდობლივი თავისებურებები, გონებრივი საღაროს
საგანძური და მახვილგონიერება გამოუტანია საბა-
ლხოდ, გამოუმხერვებია და შთამომავლობისა და
სხვა ზალხებისათვის ხელმისაწვდომი გაუხდია.

გრ. თბელიანი თავისი აფორიზმებითაც აღასტუ-
რებს იმას, რაც მისი ცხოვრებისა და შემოქმედების
მიმოხილვის დროს არაერთხელ გვათქვამს: რომ ის
ქართველი ხალხის სისხლი სისხლთაგანი, ხორცი
ზორცთაგანია, მისი ნიჭისა და სიდიადის ზორცთაგან-
მული მაგალითი.



გრიგორ ბაგრატიონი

3. 0. ლენინის „სახელმწიფო და რევოლუციის“ 50 წელი

ორმოცდაათი წლის წინათ, 1917 წლის აგვისტო-სექტემბერში, დაიწერა ვ. ი. ლენინის გენიალური ნაშრომი „სახელმწიფო და რევოლუცია.“ ეს იყო პირველი მსოფლიო ომის მძვინვარე პერიოდი, როდესაც მეტად გამწვავდა წინააღმდეგობა კაპიტალიზმის ქვეყნებს შორის, ხოლო რუსეთის სინამდვილეში შეიქმნა რევოლუციური სიტუაცია ექსპლოატატორთა ხელისუფლების მოსპობისა და პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში აღებისა. ამიტომ, ბუნებრივია, სახელმწიფოსადმი დამოკიდებულების საკითხს ამ პერიოდში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა „თეორიულად“ და პრაქტიკულ-პოლიტიკურადც¹.

როგორც ვ. ი. ლენინი ამბობს, „სახელმწიფოსადმი პროლეტარიატის სოციალისტური რევოლუციის დამოკიდებულების საკითხს ენიჭება არა მარტო პრაქტიკულ-პოლიტიკური მნიშვნელობა, არამედ უაღრესად საჭირობოტო მნიშვნელობაც, როგორც მასებისათვის იმის განმარტების საკითხს, თუ რა უნდა გააკეთონ მათ კაპიტალის უღლისაგან განთავისუფლებისათვის უახლოეს მომავალში“¹.

1916 წლის ბოლოს და 1917 წლის დასაწყისში ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და აგროვებს მასალებს სახელმწიფოს შესახებ. მან შეადგინა გეგმა ამ საკითხზე შრომის დასაწერად, იგი ერთ რვეულს წარმოადგენდა და ატარებდა სახელწოდებას „მარქსიზმი სახელმწიფოს შესახებ“.

1916 წლის დეკემბერში ვ. ი. ლენინი ბეკდავს წერილს „ახალგაზრდობის ინტერნაციონალი“, რომელშიც სასტიკად აკრიტიკებს Nota Bene-ს (ბუხარინის) ანტიმარქსისტულ (ანარქისტულ) შეხედულებებს სახელმწიფოს საკითხზე. ამავდროულად ვ. ი. ლენინი შეგვიპირდა, რომ „ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს ჩვენ იმედი გვაქვს დაუბრუნდეთ ცალკე სტატიაში“-ო¹.

როგორც ითქვა, ვ. ი. ლენინს ამ მასალაზე მუშაობა მოუხდა 1917 წლის აგვისტო-სექტემბერში და დაასრულა კიდევ მისი დაწერა. „სახელმწიფო და რევოლუცია“ შეიცავს ექვს თავს, გეგმით კი გათვალისწინებული იყო მეშვიდე თავის დაწერაც—რუსეთის 1905-1917 წლების რევოლუციების გამოცდილება“. 1917 წლის ოქტომბრის დღეებში, თეორიულ პრობლემებთან შედარებით, წინა პლანზე პრაქტიკული საკითხები დაისვა, რამაც „ხელი შეუშალა“ ვ. ი. ლენინს დაეწერა შრომის დასახელებული მეშვიდე თავიც. ამასთან დაკავშირებით „სახელმწიფო და რევოლუცია“-ს ბოლოსიტყვაობაში ლენინმა ჩაწერა: „ეს ბროშურა დაწერილია 1917 წლის აგვისტოსა და სექტემბერში. მე უკვე შედგენილი მქონდა გეგმა შემდეგი, მეშვიდე თავისა: „რუსეთის 1905-1917 წლების რევოლუციების გამოცდილება“. მაგრამ ვარდა სათაურისა, ამ თავის ერთი სტრიქონის დაწერაც ვეღარ მოვასწარი: „ხელი შემიშალა“ პოლიტიკურმა კრიზისმა, 1917 წლის ოქ-

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 25, გვ. 468-469.

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 23, გვ. 212.

ტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში ასეთი „ხელის შეშლა“ მხოლოდ სასიხარულოა ... უფრო სასიამოვნო და სასარგებლოა „რევოლუციის გამოცდილების“ კეთება, ვიდრე მის შესახებ წერა“.¹ ამით ვ. ი. ლენინმა ერთხელ კიდევ დაასაბუთა თეორიისა და პრაქტიკის უშუალო კავშირის მნიშვნელობა.

„სახელმწიფო და რევოლუციაში“ ღრმად განხილულია სახელმწიფოს შესახებ მარქსისტული მოძღვრების ისეთი საკითხები როგორც არის სახელმწიფოს წარმოშობა და მისი კლასობრივი არსი, სახელმწიფოს ტიპებისა და ფორმების საკითხი, ბურჟუაზიული სახელმწიფოსი და ბურჟუაზიული დემოკრატიის ექსპლოატატორული ხასიათი, საკითხი ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევისა და სოციალისტური ტიპის სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობის შესახებ, სოციალისტური ტიპის ფედერაციის, სოციალიზმისა და კომუნისმის ძირითადი ნიშნების შესახებ და ა. შ. ვ. ი. ლენინი შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს ორ ფრონტზე: ოპორტუნისტ მოღალატეთა, ერთი მხრივ, და ანარქისტების წინააღმდეგ, მეორე მხრივ. ფაქტიურად ოპორტუნისტებიც და ანარქისტებიც ერთიან ბრძოლას აწარმოებდნენ პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ.

დასახელებული საკითხების ღრმა მეცნიერული ახსნით ვ. ი. ლენინმა გაამდიდრა იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმი, მისმა „სახელმწიფო და რევოლუციაში“ კი როგორც ჩვენი დროის გენიალურმა ნაშრომმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მეცნიერული კომუნიზმის იდეურ საფუძვლად. ეს ნაშრომი წარმოადგენს მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარების კლასიკურ ნიმუშს.

„სახელმწიფო და რევოლუციის“ დიდი მნიშვნელობა, პირველ ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ ვ. ი. ლენინმა ფ. ენგელსის სიკვდილის შემდეგ მარქ-

სიზმი გადაარჩინა რევოლუციონისტების მხრივ დამახინჯებისაგან, განსაკუთრებით სახელმწიფოს საკითხში. ყველა მხარის ოპორტუნისტი, ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის დაცვის ყველა მოტრფიალე, აღიარებენ რა ბურჟუაზიული სახელმწიფოს მარადიულობას, ამახინჯებენ, ჩქმალავენ მარქსიზმის რევოლუციურ მხარეს, შინაარსს აცლიან რევოლუციურ მოძღვრებას, ისინი სახელმწიფოს კლასთა შერიგების ორგანოდ აცხადებენ და უარყოფენ სახელმწიფოს როგორც „კლასობრივი ბატონობის ორგანოს“, როგორც „საზოგადოების შეურიგებელ მტრულ კლასებად გათიშვის“ ნაყოფს. რენეგატი კაუცკი, პილფერდინგი და სხვანი კი უარყოფდნენ პროლეტარული რევოლუციის აუცილებლობას და „მოწესრიგებული კაპიტალიზმი“ ან „ულტრა იმპერიალიზმის“ „თეორიას“ ამუშავებდნენ, რევოლუციურ მოძრაობას ევოლუციური შეხედულებებით ცვლიდნენ. ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი „სახელმწიფო და რევოლუციის“ პირველივე გვერდებში სახავს თავის დევიზს: „საქმის ასეთი მდგომარეობის დროს, — ამბობს იგი — მარქსიზმის დამახინჯებათა ესოდენ გავრცობა გავრცელების დროს, ჩვენი ამოცანა უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ ადვადგინოთ მარქსის ჭეშმარიტ მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ“.¹

ვ. ი. ლენინი „სახელმწიფო და რევოლუციის“ პირველ თავში დაწვრილებით იხილავს მარქსისა და ენგელსის მოძღვრების საფუძველზე სახელმწიფოს ნიშნებს, მის არსს, სახელმწიფოს როგორც კლასობრივ წინააღმდეგობათა შეურიგებლობის ნაყოფს, რომელიც „სულ უფრო და უფრო ეთიშება საზოგადოებას“.

ვ. ი. ლენინმა გაანადგურა ოპორტუნისტთა ამეზიანური და ფილისტერული თეორია „კლასთა შერიგების შესახებ და, მარქსისა და ენგელსის შეხედულებათა მომარჯვებით, ერთხელ კიდევ მე-

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 25, გვ. 615.

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 25, გვ. 417.

ცნიერულად დაასაბუთა, რომ სახელმწიფო არის იარაღი, მანქანა, კლასობრივი ბატონობის ორგანო, კეტი გაბატონებული კლასის ხელში მოწინააღმდეგე კლასის დასამორჩილებლად; რომ სახელმწიფო კლასთა წარმოშობისა და მათი ურთიერთ შეტაკებათა ნაყოფია. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ეკონომიურად ძლიერი კლასის აპარატია, ამიტომ ამ კლასის ხელში იგი პოლიტიკურ ორგანოსაც წარმოადგენს. როგორც ვ. ი. ლენინი წერს „სახელმწიფო ჩნდება იქ, მაშინ და იმდენად, სადაც, როდესაც და რამდენადაც კლასობრივ წინააღმდეგობათა შერიგება ობიექტურად შეუძლებელია“.¹

ვ. ი. ლენინმა აღადგინა მარქსისა და ენგელსის შეხედულება იმის შესახებ, რომ მუშათა კლასს თავისი განთავისუფლება შეუძლია მოიპოვოს მხოლოდ პროლეტარული რევოლუციის მეშვეობით და ძველი, ექსპლოატატორული სახელმწიფო აპარატის დამსხვრევის შედეგად. „დაემახთ კაპიტალისტები, — წერს ლენინი — შეიარაღებულ მუშათა რკინის ხელთ გავტეხთ ამ ექსპლოატატორების წინააღმდეგობა, დაემახვრიოთ თანამედროვე სახელმწიფოს ბიუროკრატიული მანქანა — და ჩვენ ხელთ გვექნება „პარაზიტისაგან“ განთავისუფლებული, ტექნიკურად კარგად მოწყობილი მექანიზმი, რომლის ამუშავებასაც სავესებით შესაძლებელ თვითონ გაერთიანებული მუშები“...²

ცნობილი რევიზიონისტი ედუარდ ბერნშტეინი აცხადებდა, რომ მარქსიზმი მოძველდა; ახალ ვითარებაში, იმპერიალიზმის ხანაში პროლეტარული რევოლუცია ეს ზედნეტი სისხლის ღვრაა; პროლეტარიატის დიქტატურის შექმნა ამ ეტაპზე გაუმათლებელია; მარქსს ეს სიტყვა „წამოცდა“ და ა. შ. მისი აზრით შესაძლებელია კაპიტალიზმი შეეზარდოს სოციალიზმს. როგორც ვ. ი. ლენინი ამბობს, „პროლეტარიატის რევოლუ-

ციაზე ოპორტუნისტი ფიქრსაც კი გადაეჩვია... საეულისხმოა, რომ ამ პუნქტში ბერნშტეინს არ შეკავშირებია ბერნშტეინის შეხედულებებს ბევრი აბათილებდა — განსაკუთრებით პლენანოვი რუსულ ლიტერატურაში, კაუცკი — ევროპულში, მაგრამ არც ერთს, არც მეორეს ბერნშტეინის მიერ მარქსის ამ და მახინჯებაზე არა უთქვამს რა“.¹

ამრიგად, ვ. ი. ლენინმა მარქსისტული პოზიციებიდან დაასაბუთა პროლეტარული რევოლუციის აუცილებლობა, ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის დამსხვრევის და გარდამავალ პერიოდში კაპიტალიზმიდან კომუნისტურ საზოგადოებამდე ახალი ტიპის, სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობა. ამით ვ. ი. ლენინმა გაანადგურა როგორც ოპორტუნისტები, ყველა სახეობა რევიზიონიზმისა, ისე ანარქიზმი. ეს უკანასკნელი პროლეტარული რევოლუციის შემდეგ საერთოდ უარყოფდნენ ყოველგვარ სახელმწიფოებრიობას, უარყოფდნენ პროლეტარიატის დიქტატურას, მოითხოვდნენ ყოველგვარი სახელმწიფოს აფეთქებას. ანარქისტებისათვის გაურკვეველია თუ რით უნდა შეიცვალოს ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატი მისი დამსხვრევის შემდეგ. ისინი წინააღმდეგნი არიან პროლეტარული რევოლუციის მზადების და რევოლუციაში გამარჯვებული პროლეტარიატის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების გამოყენებისა. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს განსხვავება მარქსისტებსა და ანარქისტებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ პირველნი, მიზნად ისახავენ რა სახელმწიფოს სრულ მოსპობას, თვლიან, რომ ეს მიზანი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის მიერ კლასების მოსპობის შემდეგ, როგორც შედეგი კომუნისმის დამყარებისა, რომელიც იწვევს სახელმწიფოს კვდომას; მეორეებს სურთ სახელმწიფოს სრული მოსპობა დღეს-ხვალ და არ ესმით ასეთი მოსპობის განხორციე-

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 25-ე გვ. 472.

2 იქვე, გვ. 526.

1 ვ. ი. ლენინი, იქვე, გვ. 529.

ლების შესაძლებლობის პირობები- ვ. ი. ლენინი აქვე გარკვევით უთითებს, რომ ჩვენ სრულიადაც არა გვაქვს უთანხმოება ანარქისტებთან სახელმწიფოს გაუქმების, როგორც მიზნის, საკითხში. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია სახელმწიფო ხელისუფლების იარაღთა, საშუალებათა, ხერხთა დროებითი გამოყენება ექსპლოატატორების წინააღმდეგ, ისევე როგორც კლასების მოსასპობად აუცილებელია ჩაგრული კლასის დროებითი დიქტატურა.¹

ვ. ი. ლენინი, იხილავს რა მარქსის 1852 წლის 5 მარტს ვეიდემეიერისადმი ნიწერილი წერილის შინაარსს, დაასკვნის, რომ ვინც მხოლოდ კლასების ბრძოლას აღიარებს, ის ჯერ კიდევ არ არის მარქსისტი... მარქსისტი მხოლოდ ის არის, ვინც კლასების ბრძოლის აღიარებას პროლეტარიატის დიქტატურის აღიარებამდე განავრცობს.²

პროლეტარიატის დიქტატურის შექმნის აუცილებლობას ვ. ი. ლენინი ასაბუთებდა ექსპლოატატორი კლასების დათრგუნვის აუცილებლობით. წერილობურუყუაზიულ და ნახევრად პროლეტარული მასებისადმი ზელმძღვანელობის გაწევისა და კომუნისტური საზოგადოების აგების აუცილებლობიდან გამომდინარე აქვე ვ. ი. ლენინი ასაბუთებს, რომ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებასა და განხორციელებაში ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა კომუნისტების პარტია³ ამის შესახებ ვ. ი. ლენინი „სახელმწიფო და რევოლუციაში“ წერს, რომ „მარქსიზმი, მუშათა პარტიას რომ ზრდის, იგი ზრდის პროლეტარიატის ავანგარდს, რომელსაც შეეძლება ხელთ აიღოს ძალაუფლება და გაუძღვეს მთელ ხალხს სოციალიზმისაკენ, წარმართოს და მოაწყოს ახალი წყობილება“...⁴

ვ. ი. ლენინი „სახელმწიფო და რევო-

ლუციაში“ იძლევა დირსშესანიშნავ დასკვნებს ახალი ტიპის სახელმწიფოს, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის შესახებ.

ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ თავის ცნობილ აპრილის თეზისებში მიუთითა, რომ „მუშათა დეპუტატების საბჭო ერთადერთი შესაძლებელი ფორმაა რევოლუციური მთავრობისა“.¹ „სახელმწიფო და რევოლუციაში“ კი მან უფრო კონკრეტულად განიხილა ეს პრობლემა. სოციალისტური ტიპის სახელმწიფოს ფორმები რევოლუციური მოძრაობის პროცესში უნდა დაიბადოს, მარქსი და ენგელსი არ თხზავდნენ, არ იგონებდნენ მას. როგორც ვ. ი. ლენინი წერს, გაბატონებულ კლასად ორგანიზებული პროლეტარიატის „პოლიტიკური ფორმების აღმოჩენა მარქსს არ უცისრნია“.² მარქსი „იღებს მასობრივი პროლეტარული მოძრაობის ფაქტურ გამოცდილებას და ცდილობს გამოიყვანოს იქიდან პრაქტიკული გაკვეთილები“.³

ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ მიუხედავად პარიზის კომუნის წარუმატებლობისა და მისი ხანმოკლეობისა, მარქსი შეუდგა იმის შესწავლას თუ რა ფორმები აღმოაჩინა ამ მოძრაობამ. ამ გზით მარქსმა დაასკვნა, რომ კომუნა „მეტისმეტად მოქნილი პოლიტიკური ფორმა იყო“.⁴ ვ. ი. ლენინმა, „სახელმწიფო და რევოლუციაში“, მარქსის ნაშრომის „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“ ძირითად დებულებათა ახსნის შედეგად, განმარტა მარქსის შეხედულება, რომ „კომუნა რევოლუციის მიერ „ბოლოს და ბოლოს აღმოჩენილი“ პროლეტარული ფორმაა, რომლის დროსაც შესაძლებელია მოხდეს შრომის ეკონომიური განთავისუფლება“.⁵

მარქსის დასახელებულ ნაშრომის გამოქვეყნებიდან დაახლოებით 20

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 24, გვ. 5.

2 ვ. ი. ლენინი, ტ. 25, გვ. 534.

3 იქვე, გვ. 524.

4 მარქსი და ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1950 წ., გვ. 601

5 ვ. ი. ლენინი, ტ. 25, გვ. 534.

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 25, გვ. 539, 604.

2 იხ. იქვე, გვ. 506-507.

3 იხ. სკკპ ისტორია, 1959 წ. გვ. 300.

4 ვ. ი. ლენინი, ტ. 25, გვ. 497.

წლის შემდეგ (1891 წელს) ფ. ენგელსმა დაწერა „ერფურტის პროგრამის პროექტის კრიტიკა“, რომელშიც იგი პარლამენტურ დემოკრატიულ რესპუბლიკას მიიჩნევს პროლეტარიატის დიქტატურის „სპეციფიკურ ფორმად“. ახალ პირობებსა და ვითარებაში ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა, რომ „პარლამენტური რესპუბლიკა კი არა, მუშათა დემუტატების საბჭოების შემდეგ ამ რესპუბლიკისაგან დაბრუნება ნაბიჯის უკან გადადგმა იქნებოდა, — არამედ მუშათა, მოჯამაგირეთა და გლეხთა დემუტატების საბჭოების რესპუბლიკა მთელ ჩვენს ქვეყანაში, თავიდან ბოლომდე.“¹ მაგრამ, ამასთან ერთად, „სახელმწიფოსა და რევოლუციის“ ვ. ი. ლენინმა დაასკვნა, რომ კაპიტალიზმიდან კომუნისმზე გადასვლამ ან შეიძლება არ მოგვეცეს პოლიტიკური ფორმების დიდი სიმრავლე და ნაირნაირობა, მაგრამ არსი ამასთან გარდუვალად ერთი იქნება: **პროლეტარიატის დიქტატურა**.²

დღესათვის ცნობილია პროლეტარიატის დიქტატურის კლასიკური ფორმები — პარიზის კომუნა, საბჭოთა რესპუბლიკა და სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა. მომავალში ახლად აღმოცენებული სოციალისტური სახელმწიფოები, ქვეყნის შინაგანი და საგარეო პირობების შესაბამისად, შექმნიან შესაბამის ფორმებს პროლეტარიატის დიქტატურისა, ან მიიღებენ უკვე არსებულ ფორმათაგან მათთვის მისაღებ ფორმას.

ვ. ი. ლენინმა „სახელმწიფო და რევოლუციის“ განავითარა მარქსისა და ენგელსის შეხედულება სოციალისტური სახელმწიფოს ბუნების შესახებ.

მარქსისა და ენგელსის განმარტებით სახელმწიფო არის მჭონებელი კლასის ხელთ მყოფი აპარატი არამჭონებელთა დასათრგუნავად, აპარატი, რომელიც ხელთ უპყრია საზოგადოების უმცირეს ნაწილს უდიდესი უმრავლესობის დასამორჩილებლად; რომ სახელმწიფო არის

„განსაკუთრებული ძალა“, „განსაკუთრებული მანქანა“, „სამხედრო ბიუროკრატიული მექანიზმი“ მიმართულ საზოგადოების უდიდესი უმრავლესობის საწინააღმდეგოდ.

მარქსმა ანალიზი გაუკეთა ახალი ტიპის სახელმწიფოს, პარიზის კომუნას და დაასკვნა, რომ პარიზის კომუნარები „თავისი საკუთარი ბედის ბატონ-პატრონი გახდნენ“, რომ „კომუნა შესდგა ქალაქის ხმონებისაგან, რომელიც პარიზის სხვადასხვა უბნებში საყოველთაო კენჭის ყრით იყვნენ არჩეული. ისინი პასუხისმგებელი იყვნენ და მათი გადაყენება ყოველთვის შეიძლებოდა“. კომუნა „არსებობდა მუშათა კლასის მთავრობა იყო“, „კომუნა უნდა ყოფილიყო არა პარლამენტური დაწესებულება, არამედ მომუშავე კორპორაცია, აღმასრულებელი და განმკარგულბელი ერთსა და იმავე დროს“¹ და ა. შ.

ენგელსი ბებერსადაც 1875 წლის მარტში გაგზავნილ წერილში უთითებს. „კომუნა უკვე არ იყო სახელმწიფო საკუთარი აზრით“ — ი. ეგლისხმება, რომ არ იყო ის ექსპლოატატორი უმცირესობის ხელთ საზოგადოების უდიდესი უმრავლესობის (მშრომელთა) დათრგუნვის იარაღი.

პარიზის კომუნა პირველი სოციალისტური ტიპის სახელმწიფო იყო, „საბჭოთა ხელისუფლება კი მის განვითარებასა და დამთავრებას წარმოადგენს“, ამიტომ ისინი ერთბუნებოვანი არიან. ამ პრინციპის დაცვა წითელ ზოლად გასდევს ვ. ი. ლენინის „სახელმწიფო და რევოლუციის“.

„კაპიტალიზმის დროს — წერს ვ. ი. ლენინი — ჩვენ გვაქვს სახელმწიფო ამ სიტყვის საკუთარი აზრით, საგანგებო მანქანა ერთი კლასის მიერ მეორის დასათრგუნავად და ამასთან უმცირესობის მიერ უმრავლესობის დასათრგუნავად“² „კომუნა კარგავდა სახელმწიფოს ხასიათს, რამდენადაც მას უხდებოდა მოსახ-

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 24, გვ. 6.

² ვ. ი. ლენინი, ტ. 25, გვ. 508.

¹ მარქსი და ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, 1950 წ. გვ. 593, 597, 601.

² ვ. ი. ლენინი, ტ. 25, გვ. 576.

ლეობის არა უმრავლესობის, არამედ უმცირესობის (ექსპლუატატორების) დათრგუნვა“.¹

ვ. ი. ლენინი ასაბუთებს, რომ მუშათა კლასს პროლეტარული რევოლუციის შედეგად არ შეუძლია მზამზარეულ სახელმწიფოებრივ მანქანას უბრალოდ დაეპატრონოს და იგი თავისი საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენოს, რომ მან უნდა დაამსხვრიოს ძველი სახელმწიფო აპარატი, მოსპოს ბურჟუაზიული სახელმწიფო. ამასთანავე ვ. ი. ლენინი აკრიტიკებს უტოპისტებს, ანარქისტებს და მიღის იმ დასკვნამდე, რომ „კაპიტალიზმიდან კომუნისმზე გადახვლის დროს დათრგუნვა ჯერ კიდევ აუცილებელია, მაგრამ დათრგუნვა უკვე ექსპლუატატორთა უმცირესობისა ექსპლუატირებულთა უმრავლესობის მიერ. დათრგუნვის საგანგებო აპარატი, საგანგებო მანქანა, „სახელმწიფო“ ჯერ კიდევ აუცილებელია, მაგრამ ეს უკვე გარდამავალი სახელმწიფოა, ეს უკვე აღარ არის სახელმწიფო საკუთარი აზრით“...² იგი „ნაცვლად ბურჟუაზიული დემოკრატიისა იქცევა პროლეტარულ დემოკრატიად, ნაცვლად სახელმწიფოსი (განსაკუთრებული ძალა გარკვეული კლასის დასათრგუნავად) რაღაც ისეთად, რაც უკვე არ არის საკუთარივე სახელმწიფო“.³ ვ. ი. ლენინი ასეთ „პროლეტარულ სახელმწიფოს“, „რაც უკვე აღარ არის სახელმწიფო „საკუთარი აზრით“, არ არის „საკუთარივე სახელმწიფო“—ნახევარსახელმწიფოს უწოდებს.⁴

ასეთი სახელმწიფოს „განსაკუთრებული ძალა“ მისი შექმნის პირველი დღიდანვე მხოლოდ მშრომელთა (საზოგადოების უდიდესი უმრავლესობის) ხელთაა უმცირესობის (კლასობრივი მტრების) საწინააღმდეგოდ, ამჟამად კი საბჭოთა სახელმწიფო მთელი ხალხის მმართველობის აპარატია. მას შემდეგ, რაც ჩვენს სინამდვილეში პროლეტარიატის

დექტატურის სახელმწიფო გარდაიქმნა საერთო სახალხო სახელმწიფოდ და ნახევარსახელმწიფოს ნიშნებზე უფრო მეტად აღსაშენებელი გახდა.¹ ამით მზადდება სოციალისტური სახელმწიფოს კვდომის პირობები, იქმნება კომუნისტური თვითმმართველობა. როგორც ვ. ი. ლენინი წერს, „ბურჟუაზიული სახელმწიფო კი არ „კვდება“, ენგელსის მიხედვით, არამედ „ისპობა“ პროლეტარიატის მიერ რევოლუციაში. ამ რევოლუციის შემდეგ კვდება პროლეტარული სახელმწიფო ან ნახევარსახელმწიფო“.²

ვ. ი. ლენინმა „სახელმწიფო და რევოლუციაში“ დაასაბუთა, რომ სახელმწიფოს სრული კვდომისათვის საჭიროა სრული კომუნისტური საზოგადოება, როდესაც განხორციელებული იქნება ლოზუნგი „ყველამ ნიჭისამებრ, ყველას მოთხოვნილებისამებრ“, იმ პირობებში თუ იმპერიალისტური ქვეყნების მხრივ თავდასხმის საფრთხეც მოხსნილია. ვ. ი. ლენინი აქ არ წყვეტს საკითხს სახელმწიფოს კვდომის ვადების შესახებ. „...ჩვენ უფლება გვაქვს — წერს ვ. ი. ლენინი — ვილაპარაკოთ სახელმწიფოს მხოლოდ გარდაუვალ კვდომაზე, ამასთან ხაზი უნდა გავუსვათ ამ პროცესის ხანგრძლივობას, მის დამოკიდებულებას კომუნისმის უმაღლესი ფაზის განვითარების სისწრაფეზე და სრულიად ღიად დეტოვოთ ამ კვდომის ვადების ან კონკრეტული ფორმების საკითხი, ვინაიდან ასეთი საკითხების გადასაწყვეტად მასალა არ მოიპოვება“.³

რასაკვირველია, ორმოცდაათი წლის წინათ, დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ვ. ი. ლენინს არ შეეძლო განესაზღვრა სახელმწიფოს კვდომის კონკრეტული დეტალები, პრაქტიკული გამოცდილება ამის შესაძლებლობას მაშინ არ იძლეოდა, ამიტომაც ვ. ი. ლენინი პირდაპირ წერდა, რომ „რა

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 25, გვ. 546.

² ვ. ი. ლენინი, ტ. 25, გვ. 576.

³ იქვე, გვ. 516.

⁴ იქვე, გვ. 486.

¹ С. П. Фукс. К вопросу о «полугосударстве» (об. журнал «Правоведение» № 3. 1965, стр. 28).

² ვ. ი. ლენინი, ტ. 25, გვ. 486.

³ ვ. ი. ლენინი, ტ. 25, გვ. 584.

ეტაბებით, რა პრაქტიკულ ღონისძიებათა გზით გასწევს კაცობრიობა ამ უმაღლესი მიზნისაკენ, ეს ჩვენ არ ვიცით და არც შეგვიძლია ვიცოდეთ“—ო.¹

მიუხედავად ამისა, კომუნისტური პარტია სწორედ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შეხედულებების მომარჯვებით იკვლევს გზას კომუნისმის გამწვანების მშენებლობის დღევანდელ ეტაპზე და სწორად ასკვნის კიდევ სახელმწიფოს კვდომის საკითხს. სკკპ პროგრამაში ჩაწერილია, რომ „ისტორიულ განვითარებას გარდუვალად მოსდევს სახელმწიფოს კვდომა. სახელმწიფოს სრული კვდომისათვის უნდა შეიქმნას როგორც შინაგანი პირობები—განვითარებული კომუნისტური საზოგადოების აშენება, ისე გარეგანი პირობებიც — საერთაშორისო ასპარეზზე სოციალიზმის გამარჯვება და დამკვიდრება“.²

ვ. ი. ლენინმა „სახელმწიფო და რევოლუციაში“ გააშუქა არა მარტო სოციალისტური ტიპის სახელმწიფოს მმართველობის ფორმის (საბჭოების რესპუბლიკის), აგრეთვე ან ფორმათა სიმრავლის შესახებ საკითხი, არამედ სახელმწიფო წყობილების ფორმის (საბჭოთა ფედერაციის) საკითხიც. აღსანიშნავია, რომ ვ. ი. ლენინი რუსეთის მიმართ ფედერაციის საკითხში 1917 წლამდე განსხვავებული შეხედულებისა იყო. 1917 წლამდე მიჩნეული იყო, რომ რუსეთში ფედერაცია არ აკმაყოფილებს და ვერც დააკმაყოფილებს დემოკრატიის ინტერესებს. 1917 წელს პარტიის აპრილის კონფერენციაზე ეროვნული საკითხის შესახებ მიღებულ რეზოლუციაშიც კი არაფერია ნათქვამი სახელმწიფოს ფედერაციულად მოწყობის შესახებ. „სახელმწიფო და რევოლუციაში“ კი ვ. ი. ლენინი ფედერაციის სასარგებლო შეხედულებას გამოსთქვამს.

ფედერაცია მიჩნეულ იქნა გარდამავალ ფორმად სხვადასხვა ერის მშრომელთა სრული შეერთებისაკენ. ვ. ი.

ლენინის ეს შეხედულება პრაქტიკულად განხორციელდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. იგი საბჭოთა რუსეთის მიმართ საკანონმდებლო წესით განმტკიცდა „მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაციის“ დამტკიცებით.

„სახელმწიფო და რევოლუციაში“ ვ. ი. ლენინი ფართოდ ჩერდება აგრეთვე მარქსისა და ენგელსის შეხედულებებზე კომუნისტური საზოგადოების დაბალი და უმაღლესი ფაზის შესახებ. აქ გენიალურად არის გადაჭრილი უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხები: მათგან გარკვეული ნაწილი ჩვენი ქვეყნისათვის განვლილი საფეხურია. ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებით მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შეხედულებანი კომუნისმის პირველი ანუ დაბალი ფაზის შესახებ სინამდვილედ აქცია. ვ. ი. ლენინის შეხედულებანი კომუნისმის მაღალი ფაზის შესახებ დღეს საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ღონისძიებებს ამ დიდი ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლაში. ვ. ი. ლენინის ეს შეხედულებანი დიდ დამხარებას უწევს აგრეთვე სახალხო დემოკრატიული ქვეყნებში მუშათა და კომუნისტურ პარტიებს, — ამ ქვეყნების მშრომელთა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში მათი კონკრეტული პირობებისა და თავისებურების შესაბამისად. ვ. ი. ლენინის ნაშრომი დახმარებას უწევს საერთაშორისო პროლეტარიატს—გაირკვიოს გზათანამდებროვე პოლიტიკური ვითარებაში, იბრძოლოს იმპერიალიზმისაგან განთავისუფლებისა და საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნისათვის.

მარქსიზმი შემოქმედებითი მეცნიერებაა. ვ. ი. ლენინმა თავისი ნაშრომით არა მარტო აღადგინა მარქსისტული მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ, არამედ, განავითარა კიდევ იგი ახალი ისტორიუ-

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 25, გვ. 588.

² სკკპ პროგრამა, 1961, გვ. 182.

ლი ფაქტებითა და მუშათა რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებათა მეცნიერული დასკვნებით.

ვ. ი. ლენინის „სახელმწიფო და რევოლუცია“ ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომია. 50 წლის წინათ დაწერილი ეს შრომა პასუხობს დიდმნიშვნელოვან პრობლემებს დღესაც მარქსიზმის დამაბინჯებელთა წინააღმდეგ ვ. ი. ლენინის ბრძოლა მარქსიზმის სიწმინდისათვის ამ შრომაში დღევანდელი იერით უფროს და ძლიერ იდეოლოგიურ იარაღს წარმოადგენს იმპერიალიზმის დღევანდელი აპოლოგეტების წინააღმდეგ.

„სახელმწიფო და რევოლუციაში“ მოცემული შეხედულებანი ძველი რევოზიონისტების ყალბი შეხედულებების განადგურებით როდი ამთავრებს თავის მისიას. მეორე ინტერნაციონალის „თეორეტიკოსთა“ შეხედულებების რეცეპ-

ციის თანამედროვე მოსურნენი დღეს არა ნაკლებ ცდილობენ დაახლოვნდნ მარქსიზმ-ლენინიზმი, გამოიტყონ იგი შეაფერხონ მშრომელთა რევოლუციური მოძრაობა.

ვ. ი. ლენინის „სახელმწიფო და რევოლუცია“ ძლიერი იდეოლოგიური იარაღია დასავლეთის ფანატიკოსთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს ნაშრომი იმის პრაქტიკული განსახიერებაა თუ რამდენად შეუძლებელია დაუთმო მტერს იდეოლოგიურ ბრძოლაში, თუ რამდენად შეუძლებელია პრინციპების შერიგება და დაუშვებელია სხვადასხვა იდეოლოგიათა თანაარსებობა.

ვ. ი. ლენინის „სახელმწიფო და რევოლუცია“ ძვირფასი განძია მარქსიზმ-ლენინიზმისა, იგი მაგიდის წიგნია კომუნისტების ყოველი მშენებლისათვის, ყოველ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანისათვის.



ოქტომბრის იღმების გამარჯვება

1917 წლის 25 ოქტომბრიდან დაიწყო ადამიანთა საზოგადოების ის ნამდვილი ისტორია, რომელიც გენიალურად განსკვრივტეს მარქსმა, ენგელსმა, ლენინმა. ამ დღიდან დაქირავებულთა კლასი, დევნილთა კლასი, ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა კლასი კაცობრიობის ისტორიაში პირველად ამაღლდა გაბატონებული კლასის მდგომარეობამდე. სწორედ ამიტომ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება ნიშნავს ძირეულ გარდატეხას კაცობრიობის ისტორიაში. კაპიტალიზმის აპოლგეტებიც კი იძულებულნი არიან აღიარონ ოქტომბრის რევოლუციის, როგორც უდიდესი მოვლენის, მნიშვნელობა.

გაივლის მრავალი წელი, ადამიანები მიიღწევენ პროგრესის ისეთ მაღლობებს, რომელთა წარმოდგენა უძლიერეს ფანტაზიასაც კი არ შეუძლია, მაგრამ ის მწვერვალი, რომლის სახელია ოქტომბერი, არ დაიჩრდილება, არ დაიფარება დავიწყების ბურუსით. იგი დასანახი იქნება ადამიანისათვის იმ ისტორიული სიშორიდან, როგორც მიბრუნების პუნქტი კაცობრიობის ისტორიაში.

ამდენად, ბუნებრივია, რომ ყოველი წელი, რომელიც გვაშორებს დიდი ოქტომბრის დიადი თარიღიდან, სულ უფრო მეტად ზრდის დედამიწაზე პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დაბადების მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას. ვ. ი. ლენინი წერდა: „რაც უფრო გვშორდება ეს დიადი დღე, მით უფრო ცხადი ხდება რუსეთის პროლეტარული რევოლუციის მნიშვნელობა... ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ და ვა-

მაყოთ კიდეც იმით, რომ წილად გვხვდა ბედნიერება დაგვეწყო საბჭოთა სახელმწიფოს აშენება, დაგვეწყო ამით მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა“.¹ განვილიმა 50 წელიწადმა სავსებით დაადასტურა ვ. ი. ლენინის სიტყვების სისწორე.

დიდი ოქტომბრის ისტორიული დამსახურება კაცობრიობის წინაშე ის არის, რომ მის მიერ შექმნილი საბჭოთა სახელმწიფო წარმოდგენს მთელი მსოფლიოს ანტიიმპერიალისტური და დემოკრატიული ძალების ურყევ, საიმედო დასაყრდენს, რომელიც განუხრელად ააშკარავებს იმპერიალისტური, ანტიდემოკრატიული ძალების ზრახვებს, შეუწელებლად იბრძვის ომის გამჩაღებულთა წინააღმდეგ, მშვიდობისა და პროგრესისათვის.

საბჭოთა ადამიანები, მთელი პროგრესული კაცობრიობა უდიდესი ზეიშითა და აღფრთოვანებით აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს. საბჭოთა ხალხს, რომელსაც ვ. ი. ლენინი მოუწოდებდა გაპყოლოდა ოქტომბრის მებრძოლთა კვალს, მიებაძა მათი გმირებისათვის, შეუძლია იმაყად განაცხადოს, რომ ნახევარი საუკუნეა, რაც იგი მტკიცედ მიდის ოქტომბრის გმირთა სახელოვანი გზით, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი და უძლეველი დროშის ქვეშ დარაზმული.

სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელება კომუნისტურ პარტიას მოუხდა ტროცკისტთა, მემარჯვენე ოპორტუნისტთა, ნაციო-

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 33, გვ. 37, 42.

ნალ-უკლონისტთა და ლენინიზმისადმი სხვა მტრულ დაგვიფებათა წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლაში. საჭირო იყო საბჭოთა ხალხის რკინისებური, შეუდრეკელი, შეუპოვარი, ყოვლისგადამლაზველი ნებისყოფა. ემირული შრომა, რევოლუციური მგზნებარება, სოციალიზმის იდეებისადმი უსაზღვრო ერთგულება, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელშეწყობა, რათა დაგვეძლია ის ღრმა უფსკრული, რომელიც იყო რევოლუციის ამოცანათა მსოფლიო ისტორიულ სიდიადესა და ძველი რუსეთისაგან მემკვიდრეობით მიღებულ უკიდურეს ჩამორჩენილობას შორის.

ოქტომბრამდელი რუსეთი ითვლებოდა ნათის ლამპის, კვარის, კავისა და სახნისის ქვეყნად. მის ვეებერთელა სივრცეზე გამეფებული იყო „პატრიარქალობა, ნახევრად-ველურობა და ნამდვილი ველურობაც კი“. ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა, სიდატაკე, შიმშილი და სხვა მრავალი გაჭირვება, უვიცობა — აი ის მემკვიდრეობა, რომელიც ძველი რუსეთისაგან მიიღო სოციალისტურმა რუსეთმა.

იმ დღეებში, როცა ჩვენი ქვეყანა იწყებდა სოციალისტურ მშენებლობას, ვ. ი. ლენინი ლაპარაკობდა რა იმ უდიდეს ამოცანებზე, რომლებიც ჩვენს ქვეყანას უნდა გადაეჭრა. მოგვაგონებდა ნეკრასოვის შესანიშნავ სტრიქონებს, რომლებიც გამსჭვალული იყო რუსეთისადმი გულისტკივილის გრძნობით და ამავე დროს მისი ძალისადმი მგზნებარე რწმენით:

შენ უხვიცა ხარ,
თან უბადრუციც,
შენ ძლიერიც ხარ.
თანაც უძლური,
დედაც რუსეთო!

ვ. ი. ლენინმა, ბოლშევიკების პარტიამ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახეს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა:

„...რადაც უნდა დაგვიჯდეს მივალ-
9. „მნათობი“, № 9.

წიოთ იმას, რომ რუსეთი აღარ იყოს უბადრუცი და უძლური, რეჟიმისგანდევს ძლიერი და უხვი, ამ სიტყვების/სიტყვების მნიშვნელობით“.¹ რომ „უკულტური და ველური კაპიტალისტური ქვეყნიდან შეექმნათ კულტურული კომუნისტური ქვეყანა“.²

ახლა ლენინის სიტყვები, ჩამორჩენილი რუსეთი გადაიქცა ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე განვითარებულ ქვეყნად მთელ მსოფლიოში, რომლის კოსმოდრომიდან გაფრინდა პირველი კოსმოსური ხომალდი, რომლის საჭესთან იჭდა მსოფლიოში პირველი საბჭოთა კოსმონავტი იური გაგარინი.

მეტად ძნელი, გაუკვალავი იყო ის გზა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გაიარა ჩამორჩენილობის დასაძლევად და სოციალიზმის ასაშენებლად. საბჭოთა ხალხი, რომელსაც წინ არა ჰქონია მაგალითები და ნიმუშები, არ უშინდებოდა გაჭირვებასა და სიძნელეებს, გაბედულად მიდიოდა წინ და ქმნიდა ახალ ცხოვრებას. ვ. ი. ლენინი ახალგაზრდა სოციალისტურ სახელმწიფოს გზას ადარებდა გამოუცვლეველ მთაზე მიმავალი ადამიანის გზას. „წარმოვიდგინოთ ადამიანი, რომელიც ფრიად მაღალ, ციცაბო და ჭერ გამოუცვლეველ მთაზე ადის... აქ კი არც ეტლია, არც გზა, საერთოდ არაფერია, სულ არაფერი, რაც კი წინასწარ იყო ნაცადი“.³

ვ. ი. ლენინს, პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების მოპოვების შემდეგ ყველაზე ძნელ ამოცანად რუსეთის წვრილი, გლეხური წარმოების კოოპერირება მიაჩნდა. ლენინი არა ერთხელ აფრთხილებდა პარტიას, რომ სანამ რუსეთის ხალხი წვრილგლეხურ ქვეყანაში ცხოვრობს, კაპიტალიზმისათვის რუსეთში უფრო მტკიცე ეკონომიური ბაზა იქნება ვიდრე კომუნისმისათვის, რომ ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთი უფრო სუსტია, ვიდრე კაპიტალიზმი, არა მარტო

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 27. გვ. 176.

² ვ. ი. ლენინი, ტ. 29. გვ. 171.

³ ვ. ი. ლენინი, ტ. 33. გვ. 230-231.

მსოფლიო მასშტაბით, არამედ ჩვენი ქვეყნის შიგნითაცაო. ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ დაგვემარცხებია კაპიტალიზმი ეკონომიურად.

კომუნისტურმა პარტიამ დასძლია გლეხურ მეურნეობათა კოოპერირების ამოცანის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ყველა სიძნელე. საკოლმეურნეო წყობილებამ მთელი შემდგომი განვითარებით დამტკიცა თავისი უპირატესობა წვრილ, დაქსაქსულ, ერთიპროცენტულ, გლეხურ მეურნეობასთან შედარებით. სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობის უზრუნველსაყოფად სკკპ 23-ე ყრილობამ დასახა ახალი ეფექტური ღონისძიებანი. სოფლის მეურნეობის წარმოებაში სახელმწიფო აბანდებს დიდ სახსრებს. ასე, მაგალითად, მიმდინარე ხუთწლედში სოფლის მეურნეობაში დაბანდებული იქნება სულ 71 მილიარდი მანეთი, მათ შორის 41 მილიარდი მანეთი სახელმწიფოს ხარჯზე, ე. ი. იმდენი, რამდენიც იყო დახარჯული ამ მიზნისათვის უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში. მატერიალურ ბაზაზე მტკიცე დაყრდნობით აქემალ წყდება სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციის პრობლემა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელს გზა გაუხსნა ცოდნისაკენ. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციასთან ერთად განხორციელებულ იქნა კულტურული რევოლუცია, რის შედეგად საბჭოთა კავშირი გადაიქცა მაღალი კულტურისა და პირველხარისხოვანი მეცნიერების ქვეყნად. ჩვენს ქვეყანაში 4.650 სამეცნიერო დაწესებულება და მრავალი ასეული უმაღლესი სასწავლებელია. მათში შრომობს 660.000-ზე მეტი მეცნიერ-მუშაკი, რაც მსოფლიოს მეცნიერ-მუშაკთა საერთო რაოდენობის მეოთხედს შეადგენს. 50 წლის განმავლობაში გაიზარდა სახალხო ინტელიგენციის 20 მილიონიანი არმია.

სოციალიზმის მშენებლობის წლებმა პირველად შეცვალა ჩვენი ქვეყნის ადა-

მიანთა ურთიერთობის ხასიათი. ოქტომბრის 50 წელი — ეს არის უახალი სამყაროს ადამიანის, ახალი მორალის ადამიანის დაბადება. „საბჭოთა ხელისუფლების წლებში აღიზარდნენ მაღალ-განვითარებული პოლიტიკური შეგნების ადამიანთა თაობანი, რომლებიც ახლებურად ეკიდებიან შრომას, აღზრდილი არიან კოლექტიურობისა და ამხანაგობის, საბჭოთა პარტიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. გამოიჭედა ადამიანის-რევოლუციონერისა და ჩვენი დიადი საქმისათვის მებრძოლის ახალი ხასიათი“¹

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მძლავრად განვითარდა სსრ კავშირის ყველა ხალხის კულტურა და ხელოვნება, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. ჩვენი კულტურა ყველაზე იდეური, მოწინავე და ნამდვილად ხალხური კულტურაა.

ჩვენი ქვეყნის ამ დიად ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ გარდაქმნათა შედეგად, სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად, არსებითად შეიცვალა საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა. ლიკვიდირებულ იქნა ექსპლოატატორული კლასები, ჩვენი საზოგადოება ახლა შედგება მხოლოდ მშრომელებისაგან: მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციისაგან. ასეთი საზოგადოების შექმნასა და განმტკიცებაში ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა და ეკუთვნის ჩვენს გმირულ მუშათა კლასს. „დიდია საბჭოთა მუშათა კლასის როგორც ახალი საზოგადოების შემქმნელის როლი. მისი ისტორიული მისია გამოიხატა ოქტომბრის რევოლუციის განხორციელებით და სოციალიზმის აშენებით. მუშათა კლასი კომუნიზმის გზით მიმავალი საბჭოთა საზოგადოების

¹ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 4 იანვრის დადგენილება. გაზეთი „კომუნისტი“ 1967 წ. 8 იანვარი.

ყველაზე მოწინავე და ხელმძღვანელი ძალაა“.¹

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ პირველად სახელმწიფოთა ისტორიაში სრულიად სწორად გადაწყვიტა ეროვნული საკითხი. თავისუფალი და თანასწორუფლებიანი არიან სსრ კავშირში შემავალე ყველა ერისა და ეროვნებათა წარმომადგენელი. მათ ერთობლივი მეცადინეობით ააშენეს სოციალიზმი, გამოვიდნენ აყვავების გზაზე და უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. ორგზის ლენინის ორდენოსანი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ისე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა, ყველა წარმატება საბჭოთა ხელისუფლების წლებში ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პოლიტიკის განხორციელების, იმ მუდმივი ურთიერთდახმარების შედეგია, რომელსაც უწყვეტ ერთმანეთს სსრ კავშირის ხალხები. ამჟამად საქართველო აწარმოებს უფრო მეტ ელექტროენერჯიას, ვიდრე აწარმოებდა რევოლუციამდელი რუსეთის ყველა ელექტროსადგური, ანდა იმაზე მეტს, ვიდრე პაკისტანის, ირანის, ერაყის, ავღანეთის ელექტროსადგურები ერთად აღებული. ერთ სულ მოსახლეზე ჩვენი რესპუბლიკა აწარმოებს 8-ჯერ მეტ ელექტროენერჯიას, ვიდრე თურქეთი, რომელიც ტერიტორიით 11-ჯერ სჭარბობს საქართველოს.

საქართველო მშლავი მრეწველობის, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის, დიდად განვითარებული სოციალისტური კულტურის რესპუბლიკა გახდა. ჩვენი რესპუბლიკის მაღალი ეკონომიური განვითარების მკაფიო გამოვლინებაა მისი სამრეწველო პროდუქციის

სულ უფრო მზარდი მონაწილეობა საბჭოთა კავშირის ექსპორტში. რევოლუციამდელი საქართველოს მცენიერებისა და ტექნიკის განვითარებაზე შეიძლება ვიმსჯელოთ დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის ილია ქავჭავაძის სიტყვებით, რომელიც ოცნებობდა ენახა თუნდაც ათიოდე ქართველი სპეციალისტი. ამჟამად კი საქართველოს რესპუბლიკაში 300 ათასზე მეტი სპეციალისტი მუშაობს.

კომუნისტურ მშენებლობაში საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის ბრწყინვალე მიღწევები, მისი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის აყვავება, მშრომელთა კეთილდღეობის განუწყვეტელი ზრდა თვალსაჩინოდ მოწმობს ოქტომბრის იდეების ზეიმს.

სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობა წარმოადგენს ყველა სოციალისტური ქვეყნის ხალხების მიერ კომუნისტური საზოგადოების აშენების მნიშვნელოვან ნაწილს. ამჟამად აღარ დგას ერთ ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის შესაძლებლობის საკითხი. დიადი სოციალისტური გარდაქმნების პროცესი, რომელიც 1917 წლის ოქტომბერში დაიწყო, გაფართოვდა. შეიქმნა სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, რომელიც აერთიანებს 14 სოციალისტურ ქვეყანას, რომელთაც უკავიათ მთელი მსოფლიოს ტერიტორიის 26 პროცენტი, მოსახლეობის 35 პროცენტი და აწარმოებენ მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის ერთ მესამედ ნაწილს.

მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა მსოფლიო ისტორიის ყველაზე დიდი მოვლენა იყო 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ.

საბჭოთა წყობილების სიმტკიცის მკაცრი გამოცდა იყო დიდი სამამულო ომი. ეს ომი ყველაზე მძიმე და სასტიკი იყო, იმ ომებს შორის, რომლებიც კი ყოფილა კაცობრიობის ისტორიაში. საბჭოთა ხალხმა თავის საკუთარ ზურგზე გადაიტანა პიტლერული გერმანიისა

¹ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 4 იანვრის დადგენილება. გაზეთი „კომუნისტი“ 1967 წ. 8 იანვარი.

და იმპერიალისტური იაპონიის ჯარების განადგურების მთელი სიმძიმე, დაიცვა თავისი ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, გერმანელი ბარბაროსების ბატონობის უღლისაგან გაანთავისუფლა ევროპის მთელი რიგი ქვეყნების ხალხები, ფაშისტური მონობის საფრთხისაგან იხსნა მთელი მსოფლიო. საბჭოთა ადამიანების მგზნებარე პატრიოტიზმი და უმაგალითო გმირობა ფრონტზე და ზურგში ყველაზე მკაფიოდ მოწმობს ოქტომბერში დაბადებული სოციალისტური წყობილების სიდიადეს, უძლეველობასა და სიცოცხლისუნარიანობას.

ჩვენი სახელმწიფოს მტრები ვარაუდობდნენ, რომ უდიდესი ზარალი, რაც საბჭოთა ქვეყანას ომმა მიაყენა, შეასუსტებდა სოციალისტური ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობას. მათ იმედი ჰქონდათ, რომ საბჭოთა კავშირის წელში გასტეხდა სამეურნეო სიძნელეთა ტვირთი, რომ იგი ქედს მოიხრიდა იმპერიალისტების წინაშე. მაგრამ საბჭოთა კავშირის მტრები ამჯერადაც მოტყუვდნენ.

საბჭოთა ხალხმა მოკლე დროში მოიშუშა ომით მიყენებული ჭრილობები და განაგრძო გმირული შრომა სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული მშენებლობის ყველა ფრონტზე ახალ ისტორიულ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

ომის შემდგომ პერიოდში მრეწველობის პროდუქციის გამოშვების ზრდის საშუალო წლიური ტემპი ჩვენში უფრო სწრაფი იყო, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1966 წელს მრეწველობის პროდუქციის წარმოება სსრ კავშირში ომამდელ 1940 წელთან შედარებით 8-ჯერ გაიზარდა. 1959-1965 წლებში აშენდა და ამოქმედდა 5.500-მდე მსხვილი სამრეწველო საწარმო. დღეისათვის ყოველდღიურად შედის ექსპლოატაციაში 2-3 მსხვილი სამრეწველო ობიექტი.

საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებული პირველი წარმატებების საფუძველზე

ვ. ი. ლენინი წერდა: როცა ისტორიას ჰქმნიდნენ ერთი მუჟა თავადაყმნაულობა და ბურჟუაზიული ინტელექტუალების მცირე ჯგუფი, ისტორია მილანსახებდა ნელა, კუს ნაბიჯით. ახლა როცა ისტორიას დამოუკიდებლად ჰქმნიან მშრომელთა მილიონები, იგი მიფრინავს „ლოკომოტივის სიჩქარით“.

ვ. ი. ლენინის აღნიშნული გენიალური წინასწარხედვა ბრწყინვალედ დაადასტურა ჩვენი ქვეყნის მიერ მოპოვებულმა მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის წარმატებებმა. ეს წარმატებანი ოქტომბრის იდეების ახალი ზეიმიია, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სისწორის დადასტურება. საბჭოთა ქვეყანამ მუშათა კლასის უმაგალითო გმირობისა და შემოქმედებითი აქტივობის მეოხებით ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია განახორციელა მშვიდობიანი შრომის სულ რაღაც 13 წლის განმავლობაში, საკუთარი ძალებით, ვარედან კაბალური სესხების აულებლად, ხალხის გაუძარცვად და დაუჩაგრავად.

ყოველივე ამის მიღწევა შესაძლებელი გახდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად.

პარტიის XXIII ყრილობამ შეიმუშავა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის სწრაფი განვითარების პროგრამა, რომლის განხორციელება დააჩქარებს კომუნისამის გამარჯვებას.

ახალი ხუთწლიანი გეგმის დირექტივებით დასახული ამოცანების წარმატებით შესრულება იქნება დიდი ნაბიჯი კომუნისამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზაზე. სსრ კავშირის მთავარი ეკონომიკური ამოცანის წარმატებით გადაჭრა შემზადებულია საბჭოთა ეკონომიკის მიღწევებით, ქვეყნის სულ უფრო მზარდი შესაძლებლობებით. საბჭოთა ზელისუფლების არსებობის წლებში სოციალისტური სახალხო მეურნეობა განუზომლად გაიზარდა, გახდა უფრო მრავალმხრივი და მრავალდარგოვანი. ახლა ჩვენს ქვეყანას აქვს მძლავრი სა-

წარმოო ძალები. დაჩქარდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპი, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოესი მიღწევების წარმოებაში დანერგვა.

საყოველთაოდ ცნობილია საბჭოთა მეცნიერების მიღწევები. მათ საერთაშორისო აღიარება ჰპოვეს. ამჟამად საბჭოთა მეცნიერებას მსოფლიო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის რიგ უმნიშვნელოვანეს მიმართულებაში წამყვანი ადგილი უჭირავს. კანონზომიერია, რომ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანამ პირველმა დაიწყო ატომური ენერჯის მშეოდობიანი მიზნით გამოყენების ერა. პირველმა გაკაფა გზა კოსმოსურ სივრცეში.

ხუთწლეულში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის განვითარებას იმ ეკონომიური ღონისძიებების სისტემის საფუძველზე, რომელიც პარტიამ შეიმუშავა. პარტიამ მიგვიჩინა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების კონკრეტულ გზებზე. ეს გზებია: მექანიზაციის მტკიცე ბაზაზე სოფლის მეურნეობის თანამედვერობითი ინტენსიფიკაცია, წარმოების ელექტროფიკაცია და ქიმიზაცია, მიწების ფართო მელიორაცია.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, ატარებდნენ რა ცხოვრებაში სკვპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმისა და XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, გასულ სამეურნეო წელს უდიდესი გამარჯვება მოიპოვეს — მიიღეს მარცვლული კულტურების ყველაზე დიდი მოსავალი საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელ მანძილზე.

ჩვენი მრეწველობა მეორე წელია მუშაობს ახალ პირობებში, როცა ამაღლდა საწარმოო კოლექტივების მატერიალური დაინტერესება, მათი შემოქმედებითი ინიციატივა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ეკონომიური

პოლიტიკა გამოხატავს ხალხის ძირეულ ინტერესებს, სავსებით შეესაბამება მეურნეობის სოციალისტურ განვითარების ღონისძიებებს. მას საფუძველად უდევს საწარმოო ძალთა განვითარების მიღწეული დონე, ჩვენი საზოგადოების ეკონომიური ურთიერთობის მეცნიერული ანალიზი.

პარტია ახალ ხუთწლეულში ატარებს მნიშვნელოვან ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია საბჭოთა ხალხის ცხოვრების ღონის ამაღლებისაკენ.

სოციალისტური საზოგადოების წინსვლის შესანიშნავ პირობას წარმოადგენს თავისუფალ და თანასწორუფლებიან ხალხთა ძმური მეგობრობა. საბჭოთა ქვეყანაში მოსახლე ყველა ერი და ეროვნება ერთი ბედით ცხოვრობს. ერთად განვიღობა სახელოვანმა და ძნელმა გზამ გამოაწრთო მათი მეგობრობა. ქვეყნობით ურღვევი სოციალისტური დემოკრატიის განვითარება, მილიონობით საბჭოთა ადამიანის მონაწილეობა სახელმწიფო საქმეების მართვაში უნერგავს მათ თავიანთ ქვეყნის ნამდვილ ბატონ-პატრონის გრძნობას.

კომუნისმის მშენებლობის ინტერესები მოითხოვენ კვლავაც განვამტკიცოთ სახელმწიფოს დემოკრატიული საფუძველები, განვავითაროთ მასების აქტივობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში.

საბჭოთა კავშირის მსოფლიო ისტორიულმა გამარჯვებებმა სავსებით დადასტურეს იმ გზის სისწორე, რომლითაც მიჰყავს ჩვენი ხალხი კომუნისტურ პარტიას, ახორციელებს რა ოქტომბრის რევოლუციის იდეებს, ღონისძიების იდეებს!

საქმე, რომელსაც საბჭოთა ხალხმა 1917 წლის ოქტომბერში საფუძველი ჩაუყარა, უძლეველია. ეს საქმე დღეს ზეიმობს დედამიწის ერთ მესამედზე და მას ეკუთვნის მომავალიც მთელ მსოფლიოში.

პიოჩი მარხველაშვილი

ქართული პოეზიის სიხვედრე

უკვე საყოველთაოდ აღიარებული ქეშ-მარიტებაა, რომ ქართულმა საბჭოთა პოეზიამ, ისე როგორც მთელმა საბჭოთა პოეზიამ, უკანასკნელი ათი-თორმეტი წლის მანძილზე მძლავრი აღმავლობა განიცადა, რომ ამ უკანასკნელი ხანის მწერლობამ ჰუმანიზმის ახალი დონე, ინტელექტის ახალი დამაბვა, გრძობათა მეტი სიმდიდრე, პოეტურ ფორმათა მზარდი მრავალფეროვნება მოუტანა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას, ხალხის სულიერ ცხოვრებას საერთოდ.

რა თქმა უნდა, ეს ახალი აღმავლობა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართული პოეზია, ქართული საბჭოთა ლიტერატურა მანამდე მოკლებული იყო ყველა ზემოთდასახელებულ ნიშანთვისებას. პირიქით, ეს იმას ნიშნავს, რომ ხსენებული თვისებანი იმთავითვე ახასიათებდნენ მას და რომ ამჟამად შეიქმნა ზოგიერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა სწორედ იმისა, რომ აღორძინებულყო ქართული საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო და დღევანდელი ტრადიციები.

საბჭოთა ლიტერატურის ადრეულ მიღწევათა თუ მტკივნეულ მარცხთა მასაზრდოვებელ ყველა რთულ გარემოებას და წინაპირობას რომ არ შევხვით, კარგადაა ცნობილი, რომ ომის შემდგომ წლებში, ორმოციანი წლების მეორე ნახევარში და ორმოცდაათიანის დასაწყისში

სში მთელს საბჭოთა ლიტერატურაში დაიწყო გაფრთხილება სტემებმა და დოგმებმა, რომლებმაც სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებაში ეროზიის ნიშნები შეიტანეს და მის ჯანსაღ ორგანიზმს ავთვისებიან ხორცმეტად მოველინენ.

რა თქმა უნდა, ასეთი მდგომარეობა განსაზღვრავდა უმთავრესად პოეზიის საშუალო დონეს და უფრო ნაკლებ ზიანს აყენებდა დიდ და გამოცდილ ოსტატთა შემოქმედებას. მაგრამ მაინც აყენებდა და ეს იქნებ ამჟამად უფრო საგულისხმოა, თუნდაც იმიტომ, რომ უკეთ შევაფასოთ ის მძლავრი შემოქმედებითი აღმავლობა, რომელიც განიცადა თითქმის ყველა ამ გამოჩენილმა პოეტმა უკანასკნელი წლების მანძილზე. გავიხსენოთ ქართული პოეზიის ორმოციანი და ორმოცდაათიანი წლების მიჯნის ისეთი მნიშვნელოვანი ქმნილებები, როგორიც იყო გალაკტიონ ტაბიძის ზოგიერთი პუბლიცისტური ლექსი, გ. ლეონიძის „ლექსები უნგრეთზე“, გრ. აბაშიძის „სამხრეთ საზღვარზე“, ირ. აბაშიძის „სიმღერა მკის დროს“, სიმ. ჩიქოვანის „კოეთეს ცაცხვებთან“, რევაზ მარგინის „სიმღერა კომუნიზმისა“, კ. კალაძის, ი. ნონეშვილის ლექსთა ციკლები და სხვანი. საყოველთაოდ ცნობილია ამ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ღირებულება, მაგრამ განა უფრო ნათელი არ გახდა ამჟამად ამ ციკლებში შესული ცალკეული ლექსების სუსტი მხარეც — ის გონებისმიერი „სიცივის“ ერთგვარი ელფერი, რომელიც მათ დაპ-

ეროვნული
ნიშნითა

კრავდათ? განა არ ვნებდა ამ ლექსებს, ზოგს გადაჭარბებული დეკლარაციულობა, ზოგს ერთგვარი სქემატურობა პოეტური ჩანაფიქრისა, ზოგს გრძნობათა ზედმეტი თავშეკავება? განა მეტი ნდობა საკუთარ აზრთა და გრძნობათა ნაკადისადმი, მეტი პოეტური სილაღე არ გაზრდიდა ამ ნაწარმოებთა ემოციური ზეგავლენის ძალას? და განა საამაყო და საგულისხმო არაა, რომ თითქმის ყველა ამ გამოცდილმა ოსტატმა ქართული ლექსისა ახალი შემოქმედებით აღმავლობა განიცადა, შექმნა ნაწარმოებნი, რომლებიც სოციალისტური რეალიზმის ახალ იდეურ და მხატვრულ გამარჯვებას მოასწავებენ ქართულ პოეზიაში, ნაწარმოებნი, რომლებიც არამც თუ ამ მწერალთა ადრინდელ საუკეთესო ქმნილებათა დონეზე არიან, არამედ ახალ და თავისებურ საფეხურსაც კი წარმოადგენენ მათს შემოქმედებაში, ზოგ შემთხვევაში კი ღირსეულად დააგვირგვინეს ამა თუ იმ პოეტის სახელოვანი შემოქმედებითი გზა. ამავე დროს ეს პროცესი ქართულ მწერლობაში იზოლირებული როდი იყო მთელი საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისა და აღმავლობის პროცესისაგან. პირიქით, იგი საზრდოობდა იმავე ისტორიული საკვებით, იგი აღმოცენდა იმავე ისტორიულ ნიადაგზე, რამაც განაპირობა ძვრები მთელი ჩვენი ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში. ამ ძვრების ლიტერატურასთან ორგანული კავშირის შესწავლა უკვე დაწყებულია და მომავლის საქმეცაა, მაგრამ მე ქვემოთ მინდა შევეხო არა განყენებულ პრობლემებს და თეორიულ საკითხებს, არამედ თანამედროვე ქართული პოეზიის ზოგერთ წარმომადგენელთა ცოცხალ შემოქმედებითს პრაქტიკას, რათა თვით ამ პრაქტიკამ დადასტუროს და დაასურათოს იმ ძვრათა და ცვლილებათა ხასიათი და ბუნება, რაც ქართულმა პოეზიამ უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე განიცადა და რამაც სოციალისტური რეალიზმის გან-

ვითარების ახალი ეტაპის ხასიათი და თვისებანი განაპირობა.

I

როდესაც ლეონიდ მარტინოვმა ერთერთმა პირველთაგანმა საბჭოთა პოეზიაში — გამოსთქვა ლექსად ამქამად უკვე სავსებით დადასტურებული წინათგრძნობა — „ჰაერში ხელოვნების სუნი ტრიალებს, კაცობრიობას სიმღერა მოსწყურდაო!“, როდესაც ბორის პასტერნაკმა ლაღო გულდაშვილისადმი მიძღვნილ სტრიქონებში კვლავ მიმართა ჰექსაქსილის სანუკვარ სახეს, რათა ამჯერადაც ჩაეჭსოვა მასში თავისი ყველაზე იღუმალი და საოცნებო იმედი ანუ ურყევი რწმენა ცხოვრების ახალი აღორძინებისა და ფერისცვალებისა —

Пронесшейся грозой полон воздух.
Все ожгло, все дышит, как в раю.
Всем руспоском кистей лиловогроздых
Сирень вбирает свежести струю.
Все живо переменою погоды.
Дождь заливает кровель желоба.
Но все светлее неба переходы
И высь за темной тучей голуба.
Рука художника еще всесильней
Со всех вещей смывает грязь и пыль.
Преображенной из его красильни
Выходит жизнь, действительность
и быль...

როდესაც ჩვენმა ქვეყანამ მესხიერებისა და ისტორიის სასწორზე სამართლიანად გაანაწილა ის დიდი სიკეთეც, რომელიც მან მოიმოქმედა და ის ბოროტება, რომელიც მას თავს მოახვიეს, როდესაც მან ახალი ძალით განიცადა კანონიერი სიამაყის გრძნობაც და უღმობელი განკითხვის სიმწარეც, რათა ახალის გზნებითა და შემართებით განეგრძო სიკეთის თესვა — ქართული პოეზია შინაგანად მომწიფებული და შემზადებული შეხვდა თავის ახალ სავალდებულო მისიას — ხალხის ცხოვრების სულიერი გადახალისების ამოცანას. ეამთა სიავის დამთრგუნველ დროთა სიახლეს ერთერთმა პირველთაგანმა მთელს საბჭოთა პოეზიაში შეაგება ლექსი და აღიმადლა ხმა, მართლაც რომ მედიუმური გულისხმიერებათა და გულთმისნური ალღოთი დაჭილ-

დოვებულმა დიდოსტატმა ქართული სიტყვისა—გალაკტიონ ტაბიძემ, რომელმაც ამჯერადაც არ უღალატა თავის ნაცად და თვისტომ, არტისტიზმითა და გრაციით აღსავსე ლირიკული ლაღადისა და ფილოსოფიური განჭვრეტა-განსჯის რომანტიკულ მანერას:

იმ გაზაფხულის სავსე ფილა
გადმოიტომა.
რა ნიაღვრის იყო გრიალი,
რა წყალდიდობა!
მაგრამ ღარბა იმ ვარემოიდან
რამე ნიშანი?
წყალნი წავიდნენ და წამოვიდნენ,
ღარჩენ ქვიშანი...
ასწი ფილა, სავსე ფილა!
აქა მშვიდობა!
რა ნიაღვრებმა გადიგრაილა,
რა წყალდიდობა!

გაზაფხულის ნიაღვრით გასპეტაკებული, ნამუსდაცული და სინდისიერი მიწის აღტაცებული ხილვით და აღდგენილი ზნეობრივი ჰარმონიის ფაქიზი განცდითაა გასახიფოსნებული გალაკტიონის თითქმის ამავე ეპოს შექმნილი სტრიქონები, რომელთა ურთიერთნათესაობას ამ ზემოთმოყვანილ ლექსთან, სიახლოვეს დროსა და განცდამი თვით მათი რიტმული პულსაციის ერთიანობაც კი მოწმობს:

სხვაგან სადაა სხარტული
და მწუხარება
რომელ სინათლით განათდება
ზღვით მწუხარება?
სხვა რომელ წყალით იბანება
ნატყვიარები?
გმადლობ, ნუგვეო, შენს ვხაზე რომ
დავიარებო.
ნემს მხურვალე შებღს დიდი ცეცხლის
აინდა წვალება,
შეახე ცივი ხელისგული,
ვით მოწყალება.

იგივე სულიერი კატარსისის ნიშანი გამოკრთის ამავე რკალის ლექსში „ორ-ნამენტი“:

ოცნებავ ჩემო! არ ამაოდ დიდხანს ვევედრე,
რომ შეგვენახა ერთი ფერი: მშვიდი სითუთოე,
სითუთოე თოვლის, სისპეტყე მხარეთ
ზემოთა,
რომ მას უმანყო ბავშვის ცრემლი არ
დასცემოდა.

ბუნებრივია, რომ გალაკტიონი, სამშობლო მხარის მოსალოდნელი განახლების ეპოს, ილიას განთქმული ლექსის სიმბოლიკასაც შეეხმიანა და თავისებურად თავისივე არა ნაკლებ განთქმული ლექსისი „რამა მამულის“ ზოგიერთ სახეთა პრიზმაში გამოასხივია ილიასეული გაზაფხულის სახე:

გაზაფხულია. ხე ფოთოლს ისხამს,
ვახის ცრემლებით აფხვო ზეარი.
ამ მშვენიერ დღეს, ამ დილას სისხამს
ფეხებს ვისუსხავს ეს უხვი ცვარი.
კარგია, როცა რიყრავი მოსდებს
სიშინდს და ხეებს წაშვების ლილევის,
საკმარისია შეეხო ტოტებს,
და ნამი თავით ვოკამდე გივლის.

ხე ფოთოლს ისხამს, ხე ფოთოლს ისხამს
ქალაქის ბაღის და სოფლის ზეარის.
ამ მშვენიერ დღეს, ამ დილას სისხამს
გაცოცხლებული ეცემა ცვარი!

ილიას ეს გახსენება როდია შემთხვევითი და ერთჯერი. ჩვენი ქვეყნისა და ხალხის მიერ მათს უდიდეს მონაპოვართა ხელახალი შეფასებისა და დადასტურების ეპოს, სანუჯვარ სულიერ და ნიეთიერ საგანძურს მიტმანსებულ ცურუწმენათა და ავთვისებიან ზორცმეტთა უღმობელი მოკვეთის ეპოს, გალაკტიონი ჰეშმარიტად გენიალური სისადავითა და უმძაფრესი განცდით იმეორებს ქართული ხალხის წმიდათა წმიდა მცნებას, ილიას მიერ ახალი დროის გარიყრავზე ქადაგებულს:

გეშვ ვით არ იცნობს
ზღვას ვრცელს და ვანიერს,
იგივ ხომ შეზღვაურს
სამშობლოდ ეცუთენის?

— მოხვევე! გახედე
ჩვენი იმერ-ამიერს:
ევუღენის თავის თავს?
— ცხადია, ევუღენის!

ილიას სახის ათინათი და ილიას მოტივთა უშუალო ანარეკლი ჩანს გალაკტიონის ლექსებში „ილიას მოტივი“ და „ილია მღერის ვაჟმე!“ უფრო ღრმად და შეფარვითაა დაბინადრებული ილიას სული გალაკტიონის ამ ხანის მრავალ ლექსში და გვაგრძნობინებს თავის სუნთქვას ხან ლექსის რიტმულ დინებაში, ხან მის სინტაქსურ წყობაში, ყველა შემთხვევაში კი ლირიკული განცდის რალაც განსაკუთრებულ დრამატიზმში, დაძაბულობაში, რაც აკაკის აპოლონურ ბუნებას არც ისე ხშირად გაეკარებოდა ხოლმე, ილიას კი „ყვარლის მთებით“ დაწყებული მის უკანასკნელ პუბლიცისტურ ეპისტოლეზამდე მუდამ თან სდევდა, და რაც მან ერთხელ და სამუდამოდ დაიმტკიცა, სთქვა რა — „მას შემდეგ რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული, ჰოი მამულო, გამიერთა მე ძილი და შვება“. აკაკის მიცეა შვება ილიას გაუერთა. სამშობლოს ტოლძალად და ტოლფასად მოსიყვარულე ორ მგოსანს, მათი განსხვავებული ადამიანური და პოეტური ბუნების შესაბამისად, განსხვავებულადვე ხვდათ წილად ამ სიყვარულის შეგრძნებაც და გამოხატავც.

გალაკტიონმა ორივე ეს ლირიკული საწყისი შეითვისტომა იმთავითვე, მაგრამ დროის დაძაბული თვითგამორკვევისა და გზათა ძიების ეპოს იგი, როგორც წესი, ილიას დიონისურ და ბობოქარ სულს უფრო ეზიარებოდა ხოლმე. ამჟამადაც ასე მოხდა.

ზღვაზე მწებრის ჩრდილია, რომ მღერის:
გამაისდი!

მაგრამ სვედა ლოდივით მაინც მთვხს
გასცქეროდა.

„ყვარლად ილიას, — ამბობს არტურ
ლაისტო, —

ერთადერთი მოტივი და მუდამ მას მღეროდა!
რომ სული სტირის და გული, გულტყ მასხანან
გულტყ მასხანან
რომ ამ წუთისოფლის გულს ვერ იგებს
რაიმეთი,
თვალს აახელს ბედკრული, თვალს ცრემლი
არ შორდება,
დარჩენია განწირულს ერთადერთი იმედი...

მეტად რთული, მაგრამ მაღლიერი ამოცანაა გალაკტიონის 50- იანი წლების პირველ ნახევარში შექმნილი საუკეთესო ლექსების დაკვირვებული შესწავლა და ამოხსნა. გალაკტიონის პოეზიის ბარომეტრული და, თუ გნებავთ, სეისმოგრაფიული თვისებანიც კი ამ ხანაში გასაოცარი ძალით გამოვლინდა, მაგრამ არა დეკლარაციულ პოეტურ „მეტეოცნობათა“ სახით, არამედ უნატიფეს და უფაჭიზეს ლირიკულ წიაღსვლებად. ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი დრამატული და ისტორიულად აუცილებელი გარდატეხის წინააღმდეგ, ნათელ და ბურუსიან განწყობილებათა ჰიდილისა და ხანაც უცნაური შეხლართვის ატმოსფეროში გალაკტიონი ქმნის არაჩვეულებრივი სულიერი თრთოლვით აღფლავებულ ლექსებს. გამსჭვალულთ რომანტიკული ნათელხილვითა და მოახლოვებულ ცვლილებათა წინათგრძნობით.

თრთის დასაველეთი, აწითლებს ზღვას ზეცის-
კაშკაში.

ზეცის კაშკაში არეულა უცხო ხაშხაში,
თანდათან ციდან ძირს ეშვება ღამე საშხრეთის
ნული მიზნედით ვადივლის ზღვას და მთებში
შედის.

— ღამე მშვიდობით! — ამბობს ქალი. ცა
მოწამეა.

— ღამე მშვიდობის, მაგრამ ვანა ახლა ღამეა?
რამ დაალამა?! გულში დილა გათენდა
გრძნობის.

დილა მშვიდობის, შენ კი ამბობ: ღამე
მშვიდობის!

როგორც ვხედავთ, ეს სულიერი განწყობილება ხან თითქოსდა ინტიმურ გრძნობათა რკალში ვლინდება (თუმცა,

რა თქმა უნდა, ბევრად უფრო ვრცელ სულიერ სამყაროს გულისხმობს და გამოხატავს), ხან კი ალგორითულ პეიზაჟში ჩაქსოვილ ეთიკურ რეზინიაციას განაპირობებს, და აქაც მიჯნისეული, ცვალებადი, გზაჯვარედინს მიახლოვებული დროის სიმპტომებს, უტყუარ სიმპტომებს მიგვანიშნებს:

მეწყერი გაჩინდებულა, არ იძვრის, გინდა
შეწყერი!
მე მინდა ეუთხრა უძრავებს: წინ წყალი,
უკან მეწყერი!
ეს უძრავობა დროადრო მეც მიშლის —
შრომა მჩვევია,
შვრამ წრფელ ხმაში არასდროს ყალბი
არ გამიჩრევია.
მეწყერი მთიდან დაეშვა, მეწყერი
ღრიან-კლდოვანი.
თან მოაქვს მთას მოწყვეტილი ტყეები
სამოცლოვანი.
სამოც წელს მიუვახლოვდი, სიბერის ხანა
შვევლია.
შეტყვიან: ერთი ღერი თმა კაცს თეთრი არ
გირევია.
მეწყერი მთიდან დაეშვა, ხეობას აღარ
დაჯერდა;
შვრამ წყალს შეხვდა მდინარეს, და იმ
წუთშივე გაჩრდა.
რა არის წყალი ლხინისთვის, ან — დარდი
როცა გწვევია?
მე კი ჩემს თასში არასდროს წყალი არ
გამიჩრევია!

„წრფელი ხმის“, გულში შემონახული, „ქაღალაშეურველი“, ახალგაზრდული გზნების, „წყალშეურველი“ პოეტური თასის მოტივები 50-იანი წლების მეორე ნახევრის დამდეგს დაუკავშირდებიან გალაკტიონის ლირიკაში უფრო მკაფიოდ, ყოველგვარი ალგორითული სიმბოლიკის გარეშე გამოთქმულ აზრს პოეტის შინაგანი თავისუფლებისა და მოგვეური მისიის შესახებ:

რა სასწაულოთ, რა საწყაულოთ
პოეტი უნდა შეიქმნეს მოგვი —
მუხლები თუ აქვს გადატყუებული
პატონების წინ ხეუნით და ჩოქვით.
არვინ მიენდოს ამგვარს იოტით!
პოეტი მართლა პოეტი თუა —
არც ერთ მლიქვნელის და იდიოტის
სწრაფვას იმისი არ ახუცებს კუთა.

სავსებით სამართლიანად აღნიშნა ერთ თავის წერილში გურამ კანკავამ, რომ „უცხოელი პოეტისადმი“ მიმდევნილ ამ ლექსის დედააზრი გულისხმობს არა მარტო კონკრეტულ მისამართს, არამედ გალაკტიონის საერთო ზნეობრივ-შემოქმედებით კრედოსაც გამოხატავს. იგივე კრიტიკოსმა მართებულად დაუკავშირა გალაკტიონის ამ კრედოს მისი იგავური ლექსიც „მგელი ბატყანს“:

მგელი ბატყანს შეხვდა ნავსად,
შეკრთა, დაიბანდა...
ცად კი ერთი კასრის მსგავსად
მთვარის დისკო ჩანდა.

მგელმა ბატყანს ჰკითხა: — კასრის
მსგავსი რაა გარეთ?
ბატყანმა თქვა: — ჩემის აზრით
ცაზე ბრწყინავს მთვარე...

მგელმა ბატყანს (რა გგონიათ?)
გაკვრა კბილი ბასრი:
— როგორ ბედავ, იქონიო,
საკუთარი აზრი?!

გალაკტიონისათვის არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი და უჩვეულო ის პასუხი, რომელიც თვითონ დრომ და დროის მისწრაფებათა გამომხატველმა ძალამ გასცა იმ მტკივნეულ და საჭირობოროტო საკითხებზე, რომლებიც ორმოცდაათიანი წლების შუაგულს მოხლევადნენ და რადიკალურ გადაწყვეტას მოითხოვდნენ. თვით მას ხომ „არასდროს გაურეგია წრფელ ხმაში ყალბი“, ხოლო პოეტურ „თასში — წყალი“. მან ხომ იმთავითვე დაუკავშირა თავისი ხმა იმ ძალას, რომელსაც დღეგრძელობა ეწერა. და მან თავისი პოეზიის მუდმივი და გაუწყვეტელი პანგი ააქდერა, როდესაც საჭიროდ ჩათვალა შედარებით ადრე დაწერილი ლექსის ახალი ვარიანტის შექმნა და მისი ახალი დათარიღებით გამოქვეყნება:

ღირებულებათ გროვა დიდებულისა,
სრული,
მას დასტრიალებს ხალხის განათლებული
სული!
ხალხი მქმნელია მარად — ასე მძლავრი
და ღლი,

უოველ სულიერ წყაროს სათავე არის ხალხი — მარად მგრძობელი ხალხი, მარად მცნობელი ხალხი, შეუცდომელი ხალხი, ხალხი და მხოლოდ ხალხი!

ვერ წაიშალა, თუმცა შალა, შალა და შალა, ბნელში, უკვდავი მარად ხალხთან კავშირის ძალა, პიროვნებისთვის მზეა ხალხთან კავშირი სალი, — მხოლოდ კავშირი ხალხთან, რომ გვდარაჯობდეს ხალხი, ბევრის მნახველი ხალხი, ხალხი და მხოლოდ ხალხი!

ხალხთან მარადის კავშირს რომ არ მოედოს ენგი. ხალხის სულიერ ძალად უნდა აედერდეს ჩანგი. ჩანგიც სულია ხალხის, მარად ცოცხალი ხალხის, გულით მომდერად ხალხის, ხალხის და მხოლოდ ხალხის!

აღიარა რა ისტორიულად დადასტურებული, ხოლო თვით მისთვის მუდამ ნათელი კეშმარიტება, რომ „პიროვნებისთვის მზეა ხალხთან კავშირი სალი“ და რომ პოეტის „ჩანგიც — სულია გულით მომდერად ხალხის“, გალაკტიონმა მეორე ლექსში მიმართა და გაესაუბრა თავის ორეულს თუ მეგობარს და გაახსენა მას დავიწყების შორეულში ჩამხრჩვალ მედროვეთა და მართლაც რომ ხალხის მტერთა ზროვა, რომელიც სულ ახლახან ჩემობდა და ძალით ითვისებდა ხალხის მეგობართა, შურუნველთა და მომველთა სახელს და უფლებას, რომელსაც წარმოშვა და დაამკვიდრა ქვეყნად უფრო წვრილფეხა „გამველელ-გამომველელ“ ბატონკაცთა მთელი დასი:

გიორგი! ახლა მზრუნველს და მომველს საქართველოში ვინმე გამოლევს? მზად იყავ მისივე ანგარიში ხალხს და არა უოველ გამველელ-გამომველელს!

და როდესაც ახლა პოეტის წყევლა — „წინ წყალი, უკან მუწყყერი“, რო-

დესაც დაიძრა გარინდებული მუწყყერი და უძრაობაში შეიტანა სიცოცხლე და განახლება, გალაკტიონმა „შემოდგომის სიმბოლურ სახეს დაუკავშირა ამ განახლების ქროლვა:

შემოდგომამ უველადური შესძრა ხელშეხები — წრიალებენ, გრიალებენ, მქუხარებენ მუხები!

იგივე სახეა ჩაქსოვილი მეორე ლექსშიც:

გადმოშვება წვიმის ზესტის, გამოკრთობა შუქის სუსტის, ალბათ შემოდგომას ელის, ალბათ შემოდგომას უცდის!

მესამეჯერაც: შემოდგომა, მოდი, გელი, მომაროდე, შენი ხელი!

ან კიდევ: ო, შეშხუნებს ახალგაზრდა მავარი, ის ზმარობს, ის ვანიცდის თავის დროს!

და კვლავაც, ოლონდ უფრო გართულებული ქვეტექსტით:

ამ შემოდგომის გზათა სიავით ხეში მიმოქრის ნელი ნავეი, — ნიავი ფიქრთა ათასი ნავით. მე მინდა მივეცე ნუგეში ნიავს: ნუ გეშინია! ნუ გეშინია! ეს მხოლოდ დროის მჭროლი ეშინია! ულტრაისფერ სხივით ლავდება დღე: ვაზფხულიც მალე დაღვება. ...ნიავმა ამ თქმით ბევრი იცინა, ტყეში შეიჭრა და მიიძინა.

ამ ლექსის ირონიას თითქოს სიფხიზლე შეაქვს ზედმეტად იდილიურ განწყობილებათა ატმოსფეროში და იგი წკებლავს ზანტად თუ ნელა მონიავე გულუბრყვილო ფიქრს, რომელსაც „შემოდგომის გზათა სიავე“ „დროის მჭროლ ეშინად“ მიაჩნია.

ჩვენ გულუბრყვილონი ვიქნებოდით, თუ ბუნების ამდაგვარ სურათებში, რომლებიც გალაკტიონის 50-იანი წლების შუაგულის ლირიკაში უხვადაა წარმოდგენილი, წმინდა პეიზაჟურ ჩანახატებს დაეინახავდით. თვით პოეტი არ კმაყოფილდება ზმირად მისსავე პეიზაჟში

ჩაქსოვილი ღრმა ზნეობრივი და სოციალური აზრის ფარული დინებით და თუნდაც თითო-ორი მკაფიო შტრიხით ამქლავებს ხოლმე ლექსის აზრობრივ საფუძველს. ასე, თუ ლექსში „ტუია“ წმინდა ლირიკული „ზედნაშენი“ თითქმის სავსებით მალავს მის ფილოსოფიურ საძირკველს:

— ასე ტუია და ცა უსივრცო
სულს ეხამება,
ასე არასდროს არ დაივიწყო
ეს შედამება.

ასე სავსეა ღამის ფილა
სიციოცხლის წინა,
ასე ტუიამ გაიშრიალა
და მიიძინა.

ასე ცისკარმან მიმოაფინა
ვარდი თუ ია.
და კვლავ ახალი სიციოცხლის წინა
დგაბარ ტუია —

გალაკტიონის ამავე ხანის მეორე ლირიკულ შედევრში („ნეკერჩხალი“) ლექსის მთავარი სახის მეტაფორული რეალიზაცია ლირიკული კომპოზიციის დასკვნით მოტივში მისი იდეურ-ფილოსოფიური საფუძვლის უფრო აშკარა გამომქლავებით გვირგვინდება:

იქ სადაც შხის ფერი ეხვევა ცისფერს,
შემოდგომისგან აღისფერ-ელალო,
იფნის შოლტივით მოქნულ გზისპირს,
გზაჯვარედინზე, დგას ნეკერჩხალი.
იქ მდგარი ეტლი და ნეკერჩხალი
მთაზე აღმართულს შესცქერენ უძოს,
შემოდგომა, გასცდა მერცხალი
სალოცავად მდგარ მხევლებს უძოს.

ღუმს ნეკერჩხალი, მან ახალ-ახალ
მოვლენებს წინ ბევრი იცადა,
ამ ქვეყანაზე მან რა არ ნახა,
რა გარდატეხა არ განიცადა!
თრთის ნეკერჩხალი, ქვეყნად აბრის არ
შვეწის ცა მისებარ ზღაპრული გზებით,
ის სისწორის გზა აგვად იხარს —
ბეთანიიდან სამადლოს გზებით.

ზემოთ მოყვანილი მთელი რიგი ლექსების სიღრმე რომ გავლანდოთ და მათს გამქოლ მოტივებს რომ მოვუნახოთ საერთო მნიშვნელი, რაღა თქმა უნდა, აღმოჩნდება, რომ „მაჰარი, რომელიც განიცდის თავის დროს“, ან „ნიავე, რომელიც მიმოქრის ფიქრთა ათასი ნავით“

და ხან „ნუგეშს თხოულობს, „ხან მონუგეშს დასციინის“, ან „სუსტა: მუქის გამოკრთომა, რომელიც შემოდგომას ელის“, ან თვით „შემოდგომა, რომელმაც შესძრა ყველაფერი ხელშეუხებში“, ან თუნდ „ტუია, რომელიც დამდგარა კვლავ ახალი სიციოცხლის წინა“, ან ეს „იფნის შოლტივით მოქნულ გზისპირს, გზაჯვარედინზე დამდგარი ნეკერჩხალი“, რომელმაც თურმე ახალ-ახალი მოვლენების წინ „ბევრი იცადა ქვეყნად, რა არ ნახა და რა გარდატეხა არ განიცადა, რათა ეხილა სისწორის გზა“, ან ამავე „სისწორის გზის“ სახეცვალება კიდევ ერთ ჩვენს მიერ დაუსახელებელ ლექსში, სადაც განმეორებულია „იფნის შოლტივით მოქნული გზის“ მოტივი, ხოლო ამ გზაზე ამჯერად კონკრეტული, რეალური, თითქმის ყოფითი სურათია დახატული „საამომ ბაღისა“, სადაც „ბავშვების ხმა კმაყოფილი“ გაისმის, მგოსნის მეგობარს კი ხელთ „შოთა, შექსპირი და რასინის „ფედრა“, უპყრია“, — კვლავ ვიმეორებ — ყველა ამ მოტივთა საერთო მნიშვნელი რომ მოვიძიოთ — ჩვენს წინ გადაიშლება დიდი პოეტის, გულთმისანი მგოსნის, მგზნებარე მოქალაქის და ბრძენი მოაზროვნის მიერ ეპოქის გზაჯვარედინზე დანახული თუ ნაწინათ-გრძნობი, განჭვრეტილი თუ ნათელხილვით გალანდული, განცდილი და გააზრებული ბობოქარი ცხოვრების სურათი. და ჩვენც უკვე სხვა თვალითა და სხვა სმენით, უფრო მახვილი გულისყურით აღვიქვამთ გალაკტიონის გედის სიმღერას, მის უქანასკნელი წლებს ლექსებს, და ყველა მის რომანტიკულ სტრიქონში დაეუყურადებთ და შევისმენთ ცხოვრების მძლავრ გამოძახილს, თანამედროვეთა სულიერი განცდების უტყუარ ექოს:

ჩვენი იფნის ტუიდან ისმის,
ხმაურობა უძოს ხვედის,
ვადმოსმის, ვადისმის
ხმა ზვირთების მიმოხვევის.

რაღაც ნაცნობ სიხარულს მგერის,
უძოს ხვეო, ვლერა შენი.



შინდისიდან ნაივი ქრის
ტყის ფოთლების ამაზრზენი.

მოსვენებას შესთხოვს ვისმეს?
კ, მაგრამ ვის? პე, ვის?, პე ვის?
აივანზე ტყიდან ისმის
ხმაურობა უძოს ხევის.

ომსა ცელის მშვიდობა
და ნგრევას შენება,
სიტლანჭეს სულსას
ცელის სელის მშვენება,
წყალს — ღვინო, ღამეს — ღღე,
სიცხადე — ჩვენებას, —
აქ გული მონაა
და თანაც ბატონი.

2

გალაკტიონის ეს თავისთავადაც ჯა-
დოქრული სტრიქონები მოსვენების
მძებნელი ნიავისა და იფნის ტყიდან
მოღწეული უძოს ხევის ხმაურის შესა-
ხებ, — კიდევ მეტ საგანძურს გამოგვიმ-
ზიურებენ თუ კი ჩვენ აღვიქვამთ ამ
სტრიქონებს მათთან შინაგანად მონა-
თესავე ლექსების მწკრივში. მაშინ ჩვე-
ნთვის გადაწყვეტილი და გადაჭრილი იქ-
ნება ის ალტერნატივა, რომელიც თვით
გალაკტიონმა დაუსახა თავის მკით-
ხველს:

არის მკითხველი
მშვენიერ წიგნის
და არის მხოლოდ
გადამკითხველი...
ის ფურცლავს, ნიშნავს,
აღარებს, ჩიჩქნის,
მაგრამ ვინაა
აქ გამკითხველი?

ჩვენი საუკუნის დიდმა ქართველმა
პოეტმა, რომელმაც პირველმა უმღერა
ახალი ეპოქის დამდეგს რევოლუციისა
განმაახლებელ ქარბუქს და ნახევარი სა-
უკუნის მანძილზე დაუბრელად ეპყრა
ხელთ სოციალური სამართლანობის
და ეროვნული ქედუხრელობის, ინტერ-
ნაციონალური სულისკვეთებისა და თა-
ვისუფალი ადამიანობის დროშა, ჩვენი
დროის ურთულეს გზაჯვარედინზეც
განკვირება „სისწორის გზა“ და პოეტურ-
რი ადექვატი მოუძებნა იმ ერთადერთ
დიალექტიკურ ფორმულას, რომელსაც
ძალუქს დროის წინააღმდეგობათა, მისი
ნათელისა და ბნელის, დღისა და ღამის,
ომისა და მშვიდობის, ნგრევისა და შე-
ნების, სულიერი სიტლანჭისა და სუ-
ლიერი მშვენების, პიროვნული თუ სა-
ხალხო თავისუფლებისა და ისტორიუ-
ლი აუცილებლობის განკვირება, ახსნა,
შეცნობა და მოღება:

ირაკლი აბაშიძის ლირიკულ გმირს
ქართველი მკითხველი ჯერ კიდევ ოცი-
ანი წლების დასასრულსა და ოცდაათია-
ნის დამდეგს გაეცნო და უმალვე შეით-
ვისტომა იგი, მიუხედავად მისი ამჟარა
ქაბუყური უსრულობისა — მოუტიდე-
ბელი სითამამე იყო ეს თუ გადაჭარბე-
ბული პოლემიკური გზნება, ხაზგასმუ-
ლი პათეტურობა და ერთგვარი სწორ-
ხაზოვნება, საღებავთა სქემატური პოლა-
რიზაცია თუ გამომწვევი პლაკატურო-
ბა. მაგრამ რაოდენ გასაგები და გამარ-
თლებული იყო ყველა ეს ნიშანთვისე-
ბა! არა მარტო თვით პოეტის ახალგაზ-
რლობით, არამედ ეპოქისა და ქვეყნის
სიახლით, სადაც იღწვოდა და მოქმე-
დებდა დამწყები მგოსანი. და რაოდენ
გულწრფელი და ნაღდი იყო მისი —
ცრემლი და დარდი თუ არა (ჯერ სად
იყვნენ ისინი ოციან წლებში, ოცი წლის
ასაკში!) — სიცილი, ღიმილი, სიმღერა,
შეძახილი! ეს ის ხანა იყო პოეტისა და
ქვეყნის ცხოვრებაში, რომელიც თით-
ქმის სამი ათეული წლის შემდეგ „მიახ-
ლოების“ ავტორმა ასე დაახასიათა:

შეუმჩნეველ ხმებს,
ღუმლის ნასს,
უჩუპარ ბგერებს, დასტა-დასტობით
შენ არ უთმობდი
შენს ყურთა სმენას,—
ამაყი იყავ ახალგაზრდობით.
შენ არ ვახსოვდა ცილი ფერთა,
შენ ვწამდა ერთი მკაცრი და მკვეთრი;
შენს თვალიწი ხანჯალ ელავდა მეტად
შავი და თეთრი,
შავი და თეთრი.
შენ არ იცნობდი
მთელსა და ნაწილს,
ნაწილი მთელთან გეგონა მტკვარი...
და შეუმჩნევლად გაიგებლდა თვალიწი
ათასი ბგერა,
ათასი ფერი.

მას შემდეგ მეოთხედ საუკუნეზე მეტმა ჩაიარა. შეიცვალა თუ არა პოეტის ლირიკული გმირი? ვუპასუხოთ კითხვას კითხვითვე: ვანა შეიძლება ის არ შეცვლილიყო? არ გაზრდილიყო? არ გამდიდრებულიყო სულიერად? არ აღჭურვილიყო პირადი თუ ისტორიული გამოცდილების სიბრძნით, სამშობლოსა და ხალხთან ერთად?..

სამსახევარი ათეული წელი!.. სოფლის რევოლუციური გარდაქმნა აშკარა წარმატებებითა და „წარმატებათა გამო თავბრუსხვევით“ ინდუსტრიული ხუთწლეულები, გამაჰკვალული უგულწრფელესი შემართებითა და თავგანწირული სულისკვეთებით. თამამი გაჭრა მომავლისაკენ, საითაც, ბორის პასტერნაკის თქმით, „შორე ხუთწლეულს გაუწვდენია სულის თეზისთა ბასრი ისრები...“ ისტორიულად გარდუვალი და გამართლებული სიძნელენი წინსვლისა და იქვე თითქოსდა მოულოდნელად თავს დამტყდარი „სატყვიარი“, რომლის შესახებ გვიან „ხმა გამკიცხავი“ მოუსვენრად ჩააცივდება „მგოსნის გონებას“: „იყო საჭირო? იყო საჭირო? სულო ნაწვიმო, სულო ნაწილო, ხმა გაავონე მგოსნის გონებას, ხმა ან დასტურრა, ან ხმა უარის, — იყო საჭირო და გარდუვალი?... სულო ნაწილო, სულო დაქრილო, იყო საჭირო? იყო საჭირო?...“ საბედისწერო ხანა, როდესაც „საქართველოზე კაენის სულის აღზევებამ გადისრიალა“ და „სანუკვარი ქემშარიტების რწმენით“ გამსკვალული ხალხის სულიერი სიმტკიცე და ცეცხლგამძლე უდრეკლობა... შემოქმედი და მებრძოლი ხალხის სწორტოვარი გმირობა სამამულო ომში. ადამიანის ბედი ომის ქარცეცხლში, საქართველოს თავდადება და მსხვერპლი ძმადნაფიც ერთა სხვა ოჯახიშვილებთან ერთად. სამარადიან წამომდგარი ქართველი მეომრის ლექსში სამარადწამოდ ამეტყველებული ფიცი და ლაღადისი... შემდეგ ცხრაასორმოცდახუთის მაისის მზენათელი აკაშკაშება, იმედები და გეგმები, მათი

ფრთაშესხმა თუ გატრეება, „ნაწილის მთელთან“ ახალი შეწონსწორება... ისტორიის მკაცრი პასუხი დღის წესრიგში თუ უწესრიგობაში წამოჭრილ კითხვებზე. მეოცე ყრილობა, მეოცდაორე, ყამირი, კოსმოსი, სამოცდაოთხის შემოდგომის ბრძნული და დინჯი სიახლე... ასეთი იყო განვლილი სამსახევარი ათეული წელი. ქვეყნის ცხოვრების ყველა ეს კვანძი აირეკლეს პოეტის სიტყვის წახანჯებმა. თვით ეს სიტყვა იყო: შენებაში — აგური, ბრძოლაში — მასვილი, კამათში — არგუმენტიც და არბიტრიც, ვნებათაღელვაში — ტალღაც და იალქანიც, სულიერ შფოთში — შფოთის თავიც და მშვიდობის მაცნეც. ყოველივე ეს განფენილია მის წიგნებში და ლექსთა ციკლებში. ზოგიერთ რკალთა სათაურნიც კი თავფურცლად უძღვნიან თვით პოეტის ცხოვრების წიგნის სამიჯნო ამბებს — განცდილს, გაგონილს, ნახულს, ნაზრევს: „პირველი თოვლის სიმღერა“, „პოეტი ომში“, „სიმღერა მკის დროს“, „ჰყვავის გურია“, „მონადირის ღამები“, „ჩანახატები მეოცე ყრილობაზე“ და ბოლოს „რუსთაველის ნაკვალევზე“ და „მიახლოება“...

სწორედ ამ ორ უკანასკნელ რკალზე მსურს ამჟამად გავამახვილო ყურადღება, რადგან, სწორედ მათ გამოხატეს მკაფიოდ ახალი ეტაპი არა მარტო მგოსნის შემოქმედებაში, არამედ თვით ჩვენი ხალხის ცხოვრებაშიც, და ამდენად გახდნენ მთელი საბჭოთა ლიტერატურის ახალი სულისკვეთების მთაწყებელნი, ჩვენი ხალხის სულიერი მართიანის მხატვრული განსხეულების ნიმუში.

ირაკლი აბაშიძის პოეზიის შესწავლა და საჯაროდ განხილვა მე პირველად 1954 წელს მომხდა. რაოდენ დასრულებული და გამოკვეთილი ჩანდა იმჟამად პოეტის სახე! რაღა თქმა უნდა, ყველას გვეჩოდა, რომ იგი კვლავაც შექმნიდა ისეთივე ჩინებულ — ნათელ და მკაფიო, ლალ და მკვეთრ, მხიარულ

თუ შრისხანე, ალტაცებულ თუ მძვინვარე სტრიქონებს, როგორნიც მას მანამდეც უნობათნია მკითხველისათვის. არც ის იწვევდა ეჭვს, რომ პოეტის ოსტატობა მიაღწევდა ახალ სიმაღლეთ — იგი ხომ მანამდეც არ შეფერხებულა ასეთ აღმაფრენისას; გვწამდა, რომ მისი პოეზიის შინასამყარო კვლავაც გაიფართოვებდა საზღვრებს — იგი ხომ მანამდეც იზრდიდა მუდამ დაკვირვებათა და შთაბეჭდილებათა მარაგს. მაგრამ რალა დასამალია და ცოდვაც გამოტეხილი სჯობს, — პოეტის შინასამყაროს გაფართოება-ზრდაში ჩვენ პოეზიის ობიექტური შინაარსის გამდიდრებას, ლექსში განსხეულებული მასალის მოჭარბებას უფრო ვგულისხმობდით. ახალი თემები, ახალი ფენები ცხოვრების მასალისა და მათი ხორცშესხმის უნარიანა თუ ნიჭის, ოსტატობისა თუ გამოცდილების ახალი დონე — აი, თითქოს რა მიმართულებით უნდა განეგრძო წინსვლა ნახევარი საუკუნის მიჯნას მიახლოებულ მგოსანს. ხოლო თვით ლირიკული გმირი პოეტისა — მისი სულისკვეთება, მისი მსოფლშეგრძნება, სულიერი დაძაბულობისა და ვნებათა მხურვალების სავარაუდო ზღვარი, განცდათა და განსჯათა სიღრმე და გაქანება, ადამიანისა და სამყაროს დრამატულ დიალექტიკაში შეჭრისა და წვდომის გაბედულება — ყოველივე ეს გვეჩახებოდა მკაფიოდ გამოკვეთილ და ზუსტად შემოფარგლულ მოცემულობად, რომელიც სიხარულს ანიჭებდა და ხალისს გვრიდა მკითხველს თავისი ქრესტომატითული ჰარმონიულობითა და პლასტიკური გამოძერწილობით, მაგრამ უკვე „ათვისებული“ იყო მის მიერ, დაპურებული და წყურვილმოკლული მისი საყვარულით და ანიტომ თითქოსდა გამოორიცხავდა პირველი საყვარულის უძღვებ შიშშილსა და დაუოკებელ წყურვილს. უეცარი გოცების ელდასა და ამაზრუნეი დაეჭვების ღვართქაფს.

მოახლოვდა გარდატეხისა და ფერისცვალების ეპოქა. ცნობილია თუ რა ვა-

ნახლება განიცადა პირველ რიგში მთელმა საბჭოთა პოეზიამ და საკუთრად ლირიკამ. ჩადგნენ მწყობრად მკითხველს თავან ოცი წლით მოკვეთილ ოსტატობა ქმნილებანი. მძლავრ ნაკადად შეიკრა მწერლობაში ახალგაზრდათა დასი. ხოლო ერთერთ ყველაზე ნიშნულ და მრავლისმეტყველ მოვლენად გადაიქცა „ნახევარსაუკუნეს მიახლოებულ“ ნაცად და ცნობილ ხელოვანთა „მეორედ დაბადება“, მათ გამოუთქმელ ლექსთა, აუხდენელ სიხმართა და სუბლიმაციურ ხილვათა კრიტიკალიზაცია და განაღდება. და თუ ჯერ კიდევ გუშინ შეეძლო მგოსანს მეტნაკლები გულწრფელობითა და საკუთარი თავის წინაშე გულახდილობისა და გულჩაქეტილობის შეწონასწორებით თვითდარწმუნება — „შენ არსებობდი, შენ არ ცდებოდი, შენ არ ანგრევდი, შენ არ აწყობდი, შენ ვერ ამჩნევდი, შენ ვერ წვდებოდი, შენ ვერ ჰხედავდი, შენ ვერ ატყობდი“ — ეს პილატეს თვითმოტყუება, წერტილებითა და მრავალწერტილებით აღჭურვალი, დღეს ჰამლეტურმა კითხვის ნიშნებმა შესცვალეს:

მაშ, ვერ ამჩნევდი?..

მაშ, ვერ წვდებოდი?..

მაშ, ვერ ჰხედავდი?..

მაშ, ვერ ატყობდი?..

მშვილად დავბოდი,

მშვილად წვებოდი?

შენ იხაროდი, შენ ამაყობდი?

მაშ,

არ დაკრილხარ იქვის მახვილით,

არ დაღვრემილხარ

შენს ტყილ წამებში?

არ უთრევიხარ ფიქრს თავდახრილი

ყინვით გათოშლ შუღამში?

არ უნატრია შენს ჩემ ხეტიალს

დღე დამშვიდების, დღე განრიდების?

კითხვის ნიშნებით არ დაგჩხვლებია

რწმენა სანუჯარ ქეშმარიტების?

ამ წარმოუთქმელ სიტყვათა წარმოთქმა, გადავიწყებულ ფიქრთა დენა, ძველი ხმების მიყურადება, ძველ ნაწიბურთა გულზე შერბევა, წარსულსურათთა თვალში ძიება — ავსებს და მსჭვალავს ირაკლი აბაშიძის ორ უკ-

ნაკენელ, ურთიერთთან უმკიდროესად გადანასკველ და შესხარათულ პოეტურ რკალს „მიახლოება“ და „რუსთაველის ნაკვილევი“. ამ რკალთა უერთმანეთოდ გაგება ძნელიცაა და ფუჭიც, თუმცა ერთი მათგანი უშუალოდ თანამედროვეობასთანაა შესიტყვებული, ზოლო მეორე საუკუნეთა სიღრმეს აღწევს და წარსულის ჯანღს ჰკვეთს ლექსის სხივით.

მაგრამ ვიდრე მთელის ძალღონით მოიქნევედა პოეტი ჩოგანს, მან მოისინჯა თვალი და მკლავი მცირე ასპარეზზე — ესკიზურ ჩანახატებში თუ თავისებურ წინათქმებში. ასეთია „ჩანახატები მეოცე ყრილობაზე“ — მორის ტორეზისა და დოლორეს იბარურის გრაფიკული პორტრეტები. პოეტური ფანქრის მოძრაობის სიმსუბუქე და თავისუფალი მოქნილობა შეამოწმა ღიმილით შეფერულმა თუ ნატიფი იუმორით შეზაგებულმა პეიზაჟურმა ხილვამ („ღამე ცაში“):

უხმარ ნოხების უხეად გაფენა,
აქეთ ფანქარი,
იქეთ ოფორტი...
ლურჯ ირლანდიას ასწყდა „სახენა“
უკან გაფრინდა აერობორტი.
ნუ,
მაღალ ღრუბლებს
ნუმი რამ ეწყინოს; —
ღრუბლები ჩემი მასპინძლებია...
ამაღამ უნდა მათთან შეძინოს,
როგორც ურმოებაში დამსიზმრებია.

მაგრამ მალე პეიზაჟი არა მარტო სურათოვან ასოციაციათა წყარო გახდა პოეტისათვის:

ღრუბლებმა ზეცა გადაჰრღელეს
ზაფხულის მზეში ნაკრიალები;
უთოდ ახლა ომში დაქრიალებს
ყრუ ტეხვით ტეხენ ნატყვიარები.
ისინი მგოსნებს,
დიდ მგოსნებს მშობენ, —
მათ ჩვენი ზობბაც,
ჩვენი მადლობაც,
მგოსნებიც მათებრ
ტკივილით გრძნობენ
ამინდის ყოველ ცვალებადობას.

ეს ლექსი შეიძლება ეპიგრაფად წაგვემძღვარა ლირიკული ციკლისათვის

„მიახლოება“... თუ რამდენად ზუსტია ეს კამერტონი ადვილად შევსდებოდა ამ რკალის ერთ-ერთი პირველდღეულ ლექსად, რომელიც პაოლო იაშვილის ხსოვნას მიეძღვნა სწორედ იმ დღეებში, როდესაც პარტიამ უმწიველო მოქალაქის სახელი დაუბრუნა კეთილშობილ მგოსანს და სამარადეამოდ გააფანტა მის გარშემო მდებალი ცინიკური სიცრუისა და ცილისწამების ბურუსი თუ ნაკარტუტა:

მსურდა ეს ფიქრიც
ძველი დარღის ერთი ფურცელი,
უხმოდ წამელი,
როგორც ვაჯაცს მოეთხოვება,
მაგრამ დავნებდით —
სათქმელს ძველებს ვერ გავეძელი...
ძნელი ყოფილა
ორმოცდაათს მიახლოება.
ვერ ამ სტრეიქონებს,
იქნებ სულმა იგრძნოს დაცხრომა,
იქნებ გათავდეს,
შენზე ფიქრი აღარ მომინდეს;
ყურში არ რეკდეს
იმ დღეს ჩვენზე ზეცის გაწერომა,
ზაფრას გავეძე
იმ დასაწყევ საღამომინდელს.
...ძველ სამშობლოზე
შენ შეგებლო
ლოცვით გელოცა,
ახალ მამულშიც
ვერცხლზე არა ვავიცილია რა;
შენ,
შენ დავი იმ წელს,
რთუა საქართველოზე
კანის სულის აღზევებამ
გაღისრილა.
თვითონ შტერთაგან
საქართველოს შტერებზე მითვლილი
სწუხდი, მეჭახდი,
თან დამდევილი ოცი წელია,
რომ გეთქვა ჩემთვის
შავ ოცი წლის შენი სიკვდილით
მგოსანს ქეშმარტს
რომ სიკვდილი არ უწერია.

საკვირველი ლექსია ირაკლი აბაშიძის „გამოუთქმელი ლექსების ხსოვნას“. ასე ღრმად და რთულად, ფაქიზად და ქვეცნობიერი ტაქტით იქნებ არავინ არ შეხებია ამ თემას მთელს საბჭოთა პოეზიაში, და იშვიათად თუ გასულა ვინმე სამშვიდობოს ასეთი „ბეწვის ხი-

დით“. ლექსი მოგვითხრობს ლირიკული აღსარების მართოლოვარე და მღვდლვარე ენით დაუწერელ, მაგრამ საღდაც გულის სიღრმეში, სულის უსანუკვარეს სივრცეში აედერებულ სტრიქონთა შესახებ, რომელნიც დაბადებისთანავე გაითქვიფენ სხვა, უფრო ხმამაღალ და მკაფიო ელერადობაში. ვითარცა ყველაზე მაღალი და ამაყი ტალღანი თვითვე შთანთქავენ ხოლმე თავისთავს და ერწყმიან საერთო ნაკადს თუ დინებას, რათა განაგრძონ ამ ნაკადის შუაგულ სიღრმეში უხილავი და ეფემერული არსებობა მას შემდეგ, რაც გაუზიარეს თუ გადაულოცეს მაინც თავისი ძალა და ენერგია, სუნთქვა და მაჯისცემა მომდევნო ტალღებს და მხარი შეაშველეს თუ ზურგი გაუმაგრეს ახალ და ახალ, ნათლად ხილულ და მქუხარე ზვირთებს. აქ არ იფულისხმება არც პოეტის გულდახშელობა, გულის დახურვა, თავის შენახვა, თავის დასხლეტა ანდა, ასე ვთქვათ, დიპლომატიური, თუნდაც ამა თუ იმ გარემოებით ნაკარნახევი იძულებითი დადუმება — აბა სცადეთ ზემოთმოყვანილ შედარების შესაბამისად მიაწეროთ მსგავსა წაჭაქე-უკუჭაქეობა ზღვას ანდა მდინარეს! აქ იფულისხმება პოეზიის სიმთა, მგოსნის სულიერ პანგთა ელერადობის სირთულე, ლექსის ფარული ზრდა და მწიფება, აზრის და გრძნობის თვითმობრძობა, თვითგამორკვევა, პოეზიის თავშეკავება და სტოიკური თვითშეზღუდვა ცხოვრების ნაკადის იმ საბედისწერო მიჯნის წინაშე, რომელიც ავლენს ისეთ სფეროს მყობადისას, რის ნაადრევად გამოქვავება ჩანასახშივე სიტყვის მსხვერპლად გაღებას ნიშნავს. გამოუთქმელად გულჩახვეულთ კი ამ უხმო ლექსებს შესწევდათ ძალა სხვა სტრიქონთათვის ბიძგის მიცემისა და სრულყოფილი არსებობისა სტრიქონთა ძარღვების ხლართში. ჩრდილს შეფარებულნი ასაზრდოებდნენ ისინი გულისთქმას, რათა ფერისცვალების ეამს აღბეჭდილიყვნენ აშკარად პოეტის იერშეცვლილ სახის ნაკვთებში, უფ-

რო ჩანსად და მომძლავრებულ მაჯისცემაში, პოეტის სულის გამძიდრებულ, გაღაღებულ ვიბრაციამდე და თუ უნდა რეგამოთქმული ლექსების სეგბედნიერ შემქმნელს ჰქონდა უფლება გაენდო ჩვენთვის უგულწრფელესი აღსარებისას თვისი ხილული იერის თითქმის დორიან გრეისიკული ლაზათი, შრო და მადლიანობა —

ვერაფერს ქვეყნად ვერ შეველიო,
ცხოვრების ყოველ ზვირთში ვერიგ,
გულში ვიკრავდი ამ ტუბილ მზიანეთს,
მსურდა წამელ უველა სიამე,
ყველა სიმწიფის მენახა გემო...
სიგრძე და განი... ზემო და ქვემო...
ვერ შეველიე ამრილის დიღებს,
ლურჯ კონდარზე ტყეშღების ფთიღებს —

— ახლა ფარულ ვნებათა და აზრთა კიდლის კვალით აღბეჭდილ; ეამთა სიავით დაღარულ და ნაგვემ, თვალთ უხილავ ავტოპორტრეტის გამქვავების ეამს, მას კიდევ მეტი უფლება ჰქონდა მიემართა თავის გამოუთქმელ პირმშო ლექსთათვის, რომელთა შესამკობად თუ მათი არსის გამოსავლენად პოეტს უჭირს კიდევ შეარჩიოს ზუსტი ფერი და თითქოს არც კი იცის რა დაარქვას მათ — ცვენსა თუ პანგი, ელვა თუ ქანგი, ლტოლვა თუ თვლემა, შობა თუ კვდომა, ჭირი თუ ლხენა, ლოცვა თუ წყევლა, ცა თუ ქვესკნელი, ოცნება ტუბილი თუ მწარე სევდა:

არ ეწიებდით სიცოცხლით თრობას;
ლურჯ კაბდონებს, ცისფერ ნაპირებს,
უსაზღვროებებს, გაფრენებს, ტრფობას,
მზიურ მწვერავლებს, წითელ ამრილებს...

სწორედ ასეთს, გულის სიღრმეში და სულის ლაბირინთებში ნალოლი-ავებ სიახლეს გრძნობისას და აზრისას ვხედავთ და შევისმენთ ჩვენ ირაკლი აბაშიძის ხსენებულ „მიახლოებასა“ და „რუსთაველის ნაკვალევში“, რომლებიც თანაბრად აკვირებენ მკითხველს გამოთქმის თუ პოეტური ამოსუნთქვის თავისუფლებითა და სილალით, სიტყვის და აზრის წონის არამც თუ შეუმსუბუქებლად, პირიქით, უკიდურესი გადატვირთვითა და დახუნძვით, ინტონაციის

მაღალი სისადავით, როდესაც ხმის გამოყვანი ძალას სუნთქვის ზუსტი მარაგი უზრუნველყოფს და აღსარების ეამს ბავთაგან მოწყვეტილ ჩურჩულსაც აწვდის თავის წილ იმპულსს.

ჩვენ რომ გვეთქვა, რუსთაველისადმი მიძღვნილი ლექსების რკალი რუსთაველს ეხებათ — ბანალური ტავტოლოგია იქნებოდა. რა თქმა უნდა, ეს ასეა და მათს საფუძველს რუსთაველისა და მისი მაღალი სევბედის თემა შეადგენს. ქართული რენესანსის ბუმბერაზი გენიოსის მიერ ქეშმარიტების, სამართალისა და სიმართლის, ადამიანობისა და სიყვარულის ძიების, ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის თემა. მაგრამ ამავე დროს, ლექსთა ამ რკალში გვესმის და შევისმენთ ჩვენი თანამედროვის ლირიკულ დადადისს თუ აღსარებას, მის ფიქრსა და ვნებას, ვეზირებით მის ხილვასა და ვანცდას, მისი ნებისყოფისა და ნებასურვილის დაძაბულ თრთოლვას, ხოლო მისი მეშვეობით — ჩვენი დროის ერთერთ ყველაზე ნიშანდობლივ და სიმპტომატურ თვითგამორკვევასა და თვითგამოსახვას. აქ არის საქართველო, ერის ბედი და გზა, მისი კულტურის, მისი ენის, მისი შემოქმედებითი გენიის ხვედრი და დანიშნულება. აქ არის დროთა, ეპოქათა, ეამთა შეხშიანება, მათი იღუმალი დიალოგი. აქ არის მგოსანთა შეხშიანებაც. რუსთაველის „ნაკვალევის“ ძიება ნიშნავს სამშობლო ქვეყნის ისტორიული სულის ძიებას, ხალხის უკვდავების საიდუმლოს ამოხსნის ცდას, დიდი ადამიანური ხელოვნების საგანძურთა გასაღების ძიებას, სულის სიმალეში ლექსის სიდიადის ხილვას და ამოკითხვას. „ნაკვალევთა ძიება“ და „მიახლოება“ — ეს საკუთარ თავთან და თავის დროსთან მიახლოება და გზათა ძიებაა, ხალხთან და სამშობლოსთან გზის მიკვლევა და მიახლოებაც. ასეთი ძიება და მიახლოება ნიშნავს იმ ბარიერთა გადალახვასაც, რომელნიც მეტნაკლებად აცილებენ ერთერთს აზრს გამოთქმულსა და აზრს გამოთქმულს. ეს თუ გნებავთ იმ მწარე პარადოქსის

უარყოფაცაა, რომლის თანახმად „აზრის გამოთქმა ნიშნავს სიცრუეს“ („Мысль изреченная есть ложь“), „ნაკვალევზე“ სწორედ იმ „გამოთქმულ ლექსთა“ აღორძინება და მკვდრებით აღდგომაა, რომელთა ხსოვნასაც მიუძღვნა მგოსანმა მრავალგზის ხსენებულ, მართლაც რომ საკვირველებათა შემცველი ლექსი:

ეს იყო თქვენი მოსაგონარი,
თქვენი ხსენება ამ სიმღერაში,
თქვენი,
ვინც უცნობ რაღაც უნართ
ზარხით პოეტის გულის ძეგრაში.

თქვენი,
ვინც კართოდით უხილავ აღად,
ზორცშესხმის მაცდურ ცდას არ ჩემოდით,
რომ შთაგონების შემოქმედ ძალას
ნაყოფად, ძველად არ დაჩენოდი.

არ ეძიებდით სიცოცხლით თრობას:
ლურჯ კაბადონებს, ცისფერ ნაპირებს,
უსაზღვრობებს, ვაფრენებს, ტრფობას,
მზიერ მწვერველებს, წითელ აპრილებს.

...მგოსანი იყო, როგორც მგოსანი,
სუნთქავდა თქვენით,
თქვენის იმედით,
ყველა უცნობის და საოცარის
ამოხსნა სურდა თქვენი სიშებით.

...თქვენ,
აღალ მგოსნის დარაჯად მდგარი,
თქვენ,
აღალ მგოსნის მყველი და მწველი,
თქვენ იქ კვდებოდით,
სადაც ძვეს ზღვარი,
იქ, სადაც პოეტს არ უღვეს ზელი,
არას ითხოვდით სიკვდილის ფასად,
რჩებოდით მგოსნის გულის ძარღვებში,
და ინთქმებოდით ზვიროების მსგავსად
პოეტის უცნობ წარმოსახვებში.

გამოთქმულ ლექსებთან გამოთხოვება და დაშვილობება, მათი მოგონება და წარმოსახვა იქცა ამ ქვეცნობიერ და სიღრმძვეულ შთაგონების ზვიროთთა და უხილავ დინებათა პოეტის დღევანდელ სულიერ ქარტეხილებთან შეხვედრით შობილი ახალი ლექსების საწყის წერტილად.

ასეთმა განწყობამ შეამზადა და წარმოშვა წიგნი „პალესტინა, პალესტინა!..“ სადაც პოეტმა განაგრძო და დაასრულა ინდოეთისა და აღმოსავლეთის

მასალაზე აღმოცენებული ლექსების თემა, რუსთაველის ნაკვალევთა პირველი მიგნების ცდა. თვით წიგნის სათაური მოწმობს, რომ მისი თემატური საფუძველი უკავშირდება რუსთაველის ცხოვრების მიმწუხრობის შესახებ შექმნილ ლეგენდებს (იერუსალიმს გადახვეწა და იქ განსვენება). პოეტური რკალის საერთო სათაური („რუსთაველის ნაკვალევზე“) და თვით ამ რკალის იდეა წარმოესახა ავტორს იერუსალიმს გამგზავრებამდე ბევრად ადრე. ასე რომ ამ სათაურმა თითქოს წინასწარ განჭვრიტა არა მარტო პოეტის მომავალი მარშრუტნი — მისთვის იმეამად ალბათ წარმოდგენილი, არამედ წინასწარ მოხაზა და შემოფარგლა თემატური წრე და შინადასწარო მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ქმნილებებისა, რომელთაც დღეს ქართული პოეზია დაამშვენეს. ეს სათაური წინასწარმეტყველური აღმოჩნდა, რადგან განჭვრიტა მგოსნის ხვალისდელი გზაც და მისი შემოქმედებითი გეზიც.

მაგრამ ლირიკის ჭეშმარიტი სათავეები აქაც, როგორც ყოველთვის, უკავშირდებიან არა თემის ძიებას, არამედ პოეზიის უფრო ზოგად და ძირეულ ამოცანებს, პოეტის მიერ აღქმულ-დასახულთ — მის სულისკვეთებას, მის სასიცოცხლო ინტერესებს, გულის სატკივარს, იმ გრძნობათა-ფიქრთა მწიფობას, ძალასა და ორგანულობას, რომელთა ბიძგით წარმოებს ხოლმე ყოველი კვლევა ანდა ძიება. თავისმხრივ „რუსთაველის ნაკვალევში“ გამოვლენილი ეს ძალა და სიმწიფე განაპირობებს იმ ისტორიულ ცვლილებათა სიღრმემ და დრამატიზმმა, რომელთაც წარუშლელი კვალი დაამჩნიეს დღევანდელი კაცობრიობის პოლიტიკურ, ფილოსოფიურ, ზნეობრივ და ესთეტიკურ მსოფლშეგრძნებას. ამიტომ მოხდა, რომ ისტორიული თემისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები თამამად შეიჭრა იმ მძაფრ „დილოგში“, ან, უფრო ზუსტად, კიდილში, რომელიც წარმოებდა და წარმოებს ერთი

მხრივ კაცობრიობის ბედობლის თავისუფალი, შემოქმედებითი, ჭეშმარიტებისა და ისტორიზმის სულით გამსჭვალულად გაგება-წარმართვის მომხრეთა და, მეორე მხრივ, ფანატიკურ კონცეფციათა მოზიარე დოგმატიკოსთა და კერპთაყვანისმცემლებს შორის, რომელნიც მზად არიან მსხვერპლად შესწირონ ამ კონცეფციათა ანაბანას ადამიანის პიროვნებაცა და თვით კაცობრიობის კეთილდღეობა-არსებობაც.

რუსთაველის თემა — ერთადერთი უდიადესი ისტორიული თემაა, რომელსაც კი ძალუქს თანამედროვე მწერლის შთაგონება. რუსთაველის თემა — ჭეშმარიტებისა, პატრიოტიზმის, შემოქმედებისა და სიყვარულის უნივერსალური ზოგადსაკაცობრიო თემაა, რომელიც თავის კონტრაპუნქტურ მთლიანობაში ადამიანის გონების მიერ ჭეშმარიტების შემეცნების იდეას გამოხატავს და განამტკიცებს. რუსთაველის თემა ანიჭებს მგოსანს უსაზღვრო საშუალებას ისტორიისა და თანამედროვეობის უწყვეტი ურთიერთგაგებისა, ხოლო რუსთაველის პირით წარმოთქმულ ლირიკულ მონოლოგთა ფორმა საუკეთესო მხატვრულ პირობას უქმნის ავტორს ამ ამოცანის გადასაწყვეტად. ამავე დროს პოეტის საბოლოო გამარჯვება უზრუნველყო ამ თავისებური ტრანსფორმაციის და გარდასახვის იდეურმა და მხატვრულმა სიფაქიზე-სინატიფემ. პოეტს უნდა გამოემქლავნებია განსაკუთრებული მხატვრული ტაქტი, რათა ღრმა და ორგანული მხატვრული გარდასახვის ნაცვლად ფეხი არ დასცდენოდა ელემენტარული „შენაცვლების“ მოლიპულ გზისაკენ, „გარემოების საყვირის“ მისიის ნაცვლად არ ეკისრებია შოთას „საყვირის“ როლი ან არ გაეხადა თვით შოთა თავის „რუპორად“. საჭირო იყო ნაწარმოების ეპიური გმირის სავარაუდო განცდათა მოდერნიზაციის თავიდან აცდენაც, ასევე მისი ლირიკული გმირის სულიერი სამყაროსა და სათქმელის არქაიზაციის აცილებაც. ლექსთწყობის თითქოსდა

ფორმალურ, მაგრამ ამჟერად მეტად არსებით მხარეს რომ შევეხოთ, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორი იმთავითვე სწორ გზას დაადგა, როდესაც რუსთაველის მონოლოგთა ლექსურ ყალიბად აირჩია არა თექვსმეტმარცვლიანი რუსთაველური შაირი, რაც მას სტილიზაციის მორევში ჩაითრევდა და ზუსტ ინტონაციას შეუფერხებდა, არამედ ბევრად უფრო გვიანდელი, უკვე ბარათაშვილის მიერ დამუშავებული და მონოლოგიურ-საალსარებო ლირიკისათვის ზედმიწევნით მორგებული ფორმა. ამ ფორმას ძალუძს საკმარისი სისრულით შექმნას შორეული წარსულის სულიერი ატმოსფერო თუ მეტყველების კოლორიტი და გამოდგეს ამავე დროს თანამედროვე პოეტის მხატვრული აზროვნებისა და განცდის იარაღად. ასეთი ფორმის შერჩევამ და გამოყენებამ გაუადვილა, როგორც ვთქვით, მწერალს მოდერნიზაციის სცილასა და არქაიზაციის ხარიბდას განრიდება. ეს საფრთხე კი თანაბრად მოასწავებდა სტილიზაციის უნაყოფო სტიქიის მხატვარზე გამარჯვებას და არა ჭეშმარიტ მხატვრულ აღმოჩენას.

თვით „ვეფხისტყაოსანში“ კი უტყუარ მუსიკალურ კამერტონად გამოადგა პოეტს პოემის პროლოგისა და ეპილოგის ზოგიერთი წილსვლა, ავთანდილის ლოცვა-ღაღადისის მოტივები და, რა თქმა უნდა, ყველა ის ლირიკულ-ფილოსოფიური შეგონება, რომლებიც თვით რუსთაველის განწყობას უფრო აღმოგვცემს, თუმცა პოემის ეპიკურ მასივშია უზშირესად შეჭრილი („ევა, სოფელის“ მეთაურობით)— ე. ი. სწორედ ის, რასაც შემდგომ დაეყრდნო, გურამიშვილის გულმწარე მონოლოგების კვალად, ნიკოლოზ ბარათაშვილი. აი, რა ნიშანდობლივი ისტორიული ძაფი გაიბა. ამდაგვარად გააზრებულმა და ასეთს საფუძველზე დაყრდნობილმა ლირიკულმა მონოლოგმა მისცა ავტორს უტყუარი საშუალება ჭეშმარიტი ფილოსოფიური სიღრმითა და მძაფრი სულიერი

განცდით ელაღადა თავის სულიერ მრწამსზე, პატრიოტულ განცდაზე, თუ შემოქმედებით იდეალზე.

მართლაც რომ ტონი ჰქმნის მუსიკას, ხოლო ინტონაცია — ლირიკას. ახლა უკვე ყოველივე დამოკიდებული იყო გულში და სულში გამჭლარი პრობლემების საკუთრივ სახეობრივ ხორცშესხმაზე...

ციკლს „პალესტინა, პალესტინა“ შეადგენს ათი ლექსი, რომელთა რიცხვი თითქოს შეესაბამება დასკვნითს „პალესტინის ქართულ პერგამენტზე უცნობ მინაწერში“ ნახსენებ მსცოვანი ბრძენის სიკვდილის წინა ათი დღე-ღამის სულთმბრძოლავ ვნებათა ლეღვას:

ვისთან დაეობდა...
ვისთან მსჯელობდა...
ათი დღე-ღამე ცას შესცქეროდა:
სწამდა, სჯეროდა...
სწამდა, სჯეროდა...
...დღეს გარდიცვალა შოთა რუსთველი,
კვალად ზვადი,
კვალად უცვალა,
ათი დღე-ღამე
უშველ-უსშელი
სენაკის თვისის ცას შესცქეროდა:
ვისთან დაეობდა,
ვისთან მსჯელობდა!
სწამდა... სჯეროდა...
სწამდა... სჯეროდა...

პოეტმა თითქოს მიუყურადა რვა საუკუნის შორეთში რუსთაველის ხმას და შეეცადა მის გადმოცემას ან ჩვენთვის გამხელას შესაბამისად დასათურებულ ლექსთა წყებაში: „ხმა ჯვარის მონასტრის გალაყანათან“, „ხმა ჯვარის მონასტერში“, „ხმა ზეთისბილის ბაღში“, „ხმა სამრეკლოსთან“. „ხმა თეთრ სენაკში“, „ხმა კატამონთან“, „ხმა ჯვარის მონასტრის ბინდში“... ამ შედგენილ აუღერებულ „ხმას“ წამძღვარებული აქვს ორი პოეტური წინათქმა, სადაც გამქდავენებულია დიდებული ხილვის თუ ზმანების პირველი წინათგრძნობა, ხოლო რკალს ფარგლავს თავისებური ეპილოგი, სადაც შოთას „ხმას“ გადმოგვცემენ მისი ლეგენდარული გარდაცვალების უცნობი დამსწრე-მოწმენი.

„გულით წყუროდა შენს შორეულ

შთამომავალს წარმოედგინა, რას განიცდიდი და ფიქრობდი შენ სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში.

მაშ, ეს „ხმები“ ისე ჩაუთვალე მას, თითქოს მართლაც გაეგონოს იგი პალესტინის ქართულ ჯვარის მონასტერში, შენს უკანასკნელ თავშესაფარში, შენი დაქარგვიდან შვიდასი წლის შემდეგ — რუსთაველის დიდებულ აზრდისადაში მიმართულ ამ სიტყვით გახსნა ირაკლი აბაშიძემ თავისი წიგნი და ყოველ ლექსს ამ წიგნისას დააკისრა შოთა რუსთაველის ტიტანური სულიერი დრამის პერიპეტებზე ფარდის ჩამოსხნა, გენის მონოლითური და უსაზღვრო სამყაროს შემცველი არსების ზოგიერთ წახნავთა ახალი შუქით განათება.

„ხმა ჯვარის მონასტრის გაღვანთან“ და „ხმა ჯვარის მონასტერში“ — იქნებ პალესტინის ციკლის ერთერთი უმნიშვნელოვანესი და დედაბოძური ლექსებია. მათში განსხეულებულია და ფრთაშესხმული ფიქრი პოეტის, მოაზროვნის, ადამიანის იდეური მრწამსის შესახებ, განსჯილია ბრმა, მონური, განურჩეველი, უაზრო რწმენა და რწმენა ლაღი, თავისუფალი, ამაყი, გულში გამონაბრძქმედი, გონების ძალით ამაღლებული, დაუძინებელ ძიებათა გამოცდილებით შეცნობილი და განმტკიცებული, საკუთარ, პირად გამოცდილებაზე დამყარებული და ამდენად, საბოლოო შედეგში, ქეშმარიტებისა და სიმართლის კანონიერ სინონიმად გადაქცეული. რა რიგ მაღალი და მტკიცეც არ უნდა იყოს შენი მიზანი და შენი რწმენა, იგი მარადეჟამს უძინებელი, უღუნებელი გააზრებისა და სულიერი განცდის შედეგი და გვირგვინი უნდა იყოს შენთვის. რწმენა არ უნდა გაქვადდეს, შენს გარეშე მდგომ სალოცავ ხატად თუ სათაყვანო კერპად არ უნდა გადაიქცეს, ის მუდამ უნდა ცოცხლობდეს შენში, თან უნდა გახლდეს, შენი „თამამლეუარი უქცავი სული“ უნდა იყოს, მუდამ განახლებას უნდა განიცდიდეს, ვით სიყვარული, როგორც მაღალი შემოქმედება, რო-

გორც შენი გონების, ადამიანის გონებისა და გრძნობის განსჯის, გვერდების, განცდის საგანი, მათი ბატონობისა და განული ფორმა, როგორც სიყვარულისა და შემეცნების სასწაული. ფეტიშიზმი კი თავის ნებისმიერ ნაირსხვაობით გამორიცხავს ქეშმარიტ რწმენას. იგი და რწმენა შეუთავსებლობის ბარიერით არიან დაშორებულნი. ამიტომ იყო, რომ კულტი მუდამ ახშობდა და კლავდა რწმენას, იწვევდა მის გადაგვარებასა და ატროფიას. შეუძლებელია ამ ლექსთა კონცეფციის, ისე როგორც ყოველი ქეშმარიტი ლირიკული ქმნილების შინაარსის შიშველი მსჯელობის ერთ გადმოცემა. სჯობს თვით ლექსი მოვიშველიოთ:

ძლეულთ ნუგეშო, დაერღობილთა
 თავშესაფარო,
 მაშვრალთ იმედო, ანთებულო ბნელში
 ღამპარო,
 არას მქონეთა სავანძრო, დიდო ზღუბულო,
 მიზანი მიზანი უმალესო, რწმენით ნახულო.
 მე შენის მცნების აღსარება ვარ თვით
 აკენიდან,
 შენია ჩემი გულცი, ცნობაც, ხმაყ საკუთარი.
 მე სიურპის დღიდან არ მქონია სხვა
 საყუდარი,
 შენგან არს ჩემში რაც ამაღლდა, რაც რამ
 დაქნილდა,
 შენით, მე შენით ათას გზაში გზა არ შემშლია,
 შენმა განგებაშ, შენმა მცნებაშ მართლად
 წარმმართა.
 შენ ამაშორე ბიწიერი წარყვნა წარმართთა,
 შენ ჩამაგონე ზეციერი: „ღმერთი შენშია“.
 მე ჩემს გონებას, ცნობას ვთვლიდი ჩემ დიდ
 საუნჯედ,
 რადგან არსთაგანს მე მებოძა ეს
 საბოძველი, —
 შენ მოხოვდი თავყანს, მხოლოდ თავყანს,
 თავყანს განუწყელს.
 მე მხოლოდ განწყის, მხოლოდ განწყის
 ვიყავ მლოცველი.
 თუ განმაკაცე, თუ დამაძვი თვალი
 სრულქმენლის,
 თუ მომეც ძალი ხან ფრთაშესხმის, ხან
 დაღონების,
 მე მწაღდა შენგან სიტბოც ცნობის
 თავისუფლების,
 მე მწამდა შენგან სხაბრულიც განმულ
 გონების.

ამავე დროს ამ ორ ლექსში საოცარი ძალით ეღერს ის აზრიც, რომ მიზანთა-

მიზნის, რწმენათა-რწმენის ახალი სიმ-
 ძაფრით განცდის სურვილი, ახალი თვა-
 ლით, გულგრილობის ლიბრითა და ფა-
 ნატიზმის აფეთქებით დაუბრმავებელი
 თვალით დანახვის ნდომა სრულიადაც
 არ ნიშნავს ამ მიზნისაგან თუ რწმე-
 ნისაგან ოდნავ მაინც განდგომას, ერესს
 და ყოყმანს; პირიქით, მათთან მეტ შერ-
 ყყმანსა და შესისხლბორცებას მოასწა-
 ვებს მხოლოდ:

მე შენს დიდ კანონს, დიდ განგებას როდის
 გარდაველ,
 როდის დაეკელ სიბოზო ლოცვას, ლოცვას
 მონებრივს,
 მაგრამ თუ ზოგჯერ ვერ ვუპირად ფიქრსაჲ
 სადავებს, —
 რად მომეც ნიჭი, გულის ყური, თვალი
 გონების.
 ან იქნებ ცოდვად არც მეთელემა ეს
 მკრებელობა
 და შენ, პირიქით, მცირედ მითელი ჩემს
 შემართებას;
 იქნებ ამოდ შენთან ვიწყებ თავის
 მართლებას,
 მე — სხვა ბუნების მოწოდება, მე — სხვა
 ხელობა,
 გარნა ვინ ვიყავ? რა ხმა მჭონდა, რა
 საკუთრება?
 ვიყავ მმართველი, ხმელთა რისხვა, ზღვათა
 მწყობრბელი?
 მე შეპყრა სკობტრა? მბრძანებლობის
 მჭონდა უფლება?
 ვიყავ ქალაქთა აღმმართველი, დამამშობელი?
 მე აზრი ვიყავ... ბედი კაცთა მე არ მებარა,—
 ჩემად ნუგეშად, ჩემად ტანჯვად მე ეს
 მყოფის...
 მე კაციც ვიყავ, მეც ამ მიწის მედრო ბეგარა:
 მე ვიყავ მონა სიყვარულის და ერთმეფობის.
 აზრის ამ თითქოსდა მოულოდნელ
 შემოტრიალებებაშია სწორედ ლექსის
 იდეურა კულმინაცია, ვინაიდან თავისუ-
 ფალი გონება ვერ ურთიგდება პილატეს
 ხედვას და სულიერი მონობის ცოდვას
 თუნდ სიყვარულის სახით მოვლენილს.
 „ტანჯვა“ აქ „ნუტეშს“ კარბობს და შემ-
 თხვევით როდია აქ შეხზიანებული ჯვა-
 რის მონასტერში გაგონილი ხმა იძულ-
 ებითი უმოქმედობას არტახებით შებო-
 ჭილ-გაწამებული ბარათაშვილის მომე-
 ვალ დალაღმთან:

მაგრამ რადგანაც კაცნი გქვიან, შეილნი
 სოფლისა,

უნდა კიდევაც მივსდიოთ მის, გვესმას
 მშობლისა,
 არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი შევდარს
 ემსგავსოს,
 იყოს სოფელში და სოფლისათვის არა
 იბრუნოს...

იდეურა მრწამსის თემის კვალად და
 მასთან უმჭიდროეს კავშირშია გადაწყ-
 ვეტილა ლექსში „ხმა ზეთისხილის ბაღ-
 ში“ წიგნის მეორე საყრდენი, კვლავაც
 დედაბოძური თემა — მამულის, სამ-
 შობლოს თემა. აღამიანი საბოლოო შე-
 დევში ორ დიდ მიზანს ემსახურე-
 ბა — ერთთა მისი საკაცობრიო ჰუმანის-
 ტური იდეალი. მეორე — მისი პატრიო-
 ტული მცნება. რა დიდიც არ უნდა იყოს
 მსოფლიო, მისი სიყვარული სამშობლოს
 სიყვარულთ იწყება და საზრდოობს.
 სამშობლოს სიყვარულის გარეშე ვერც
 მსოფლიოს რომელიმე სხვა კუთხის ან
 მთელი მისი სივრცის სიყვარულია შე-
 საქმებელი. ამაშია პატრიოტული
 გრძნობისა და საკაცობრიო განცდის
 ურთიერთობის მთელი რთული დიალექ-
 ტიკა. ამ სულიერ დიალექტიკას ხსნის
 სწორედ პოეტი თავის ლექსში, რუსთა-
 ველის კიდევ ერთ მონოლოგში. რაღა
 თქმა უნდა, მთელი ეს კონცეფცია ლექს-
 ში ეგზომ სწორხაზოვნად და დეკლარა-
 ციულად როდია გადმოცემული—იგი გა-
 ნფენილია ლირიკული აღსარების სრულ
 დინებაში და პარმონიულ საზოგან წყო-
 ბაში. ყურადღებას იპყრობს აქ კიდევ
 ერთი მოტივი — თუ შეიძლება ასე ით-
 ქვას, მოტივი „ანტიკონდოტიერობისა“:
 ო, პალესტინავ, პალესტინავ, ყოვლის
 მომკვლის,
 ყოვლის მფლობელის მწამდა შენის სიტყვის,
 ცხოვლისა,
 მაგრამ უადრეს, უწინარეს, უმაღ ყოვლისა,
 მე სამშობლოსთვის, სამშობლოსთვის ვიყავ
 მოსიყვლი-
 ნებტრით ის მწეავდა, მწარე მისგან
 გამმწარება,
 მის ცის ქვეშ ყმობაც ჩემთვის იყო
 აღამბარობა;
 მე უკვდავება მამულს ვარეთ არ მწამებია,
 არ მიძენია მამულს ვარეთ მამამთავრობა.

რა თქმა უნდა, უცნაური იქნებოდა
 პატრიოტულ გრძნობათა ეროვნულ კარ-

ჩაკეტილობასთან და მით უმეტეს განდიდების მანიასთან აღრევა. რუსთაველიც, თანამედროვე ქართველი პოეტის წარმოსახვაში რუსთაველი არ იქნებოდა, რომ მისთვის საშობლოს სიყვარული, ამ სიყვარულიდანვე, ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებიდანვე გამომდინარე, უმტკიცესად არ ყოფილიყო შერწყმული საქართველოსა და მასთან ისტორიულად დაკავშირებულ თუ იდეოლოგიურად მონათესავე სამყაროსთან გულთა და კარგახსნილ ურთიერთობაზე ოცნებასთან. მონოლოგში „ხმა სამრეკლოსთან“ რუსთაველი გამოთქვამს მწარე წინათგონობას მომავალი კატასტროფებისა და ბარბაროსულ შემოსევათა შესახებ, რომლებსაც ძალუძთ საქართველოს მოწყვეტა და იზოლირება სისხლბორცეულად მასთან შეზრდილი ელადისა და პალესტინის სათავეებიდან მომდინარე სულიერ თუ კულტურულ გარემოსთან. იგი ზეცას ევედრება არ დაუხშოს საქართველოს „პონტის კარები“. და თვით „პონტის კარების“ სახე, რომელიც მეორდება ამ ღირიყული შეგონების თითქმის ყოველ მუხლში, იქცევა საქართველოს დიდ სამყაროსთან, ჭეშმარიტების მაძიებელ და აღორძინების ხანას მიახლოებულ კაცობრიობასთან სულიერ და კულტურულ, იდეურ და შემოქმედებით კავშირთა მეტყველ სიმბოლოდ:

— შენ გაეყები, შენს ვედრებას გულით
ნათმენი,
სად წამოსული მონა შენი, მონა უარბი:
არ დაუჯებო საქართველოს პონტის კარები,
არ მომიკეთო შენ ჭვარს მიწა, შენით
ნათელი.
რად შეჩვენება ეამი ჭირთა მოახლოების,
რისხვა განგების, შემოწყრომა მალალ
სამართლის,
რატომ ხანს შავად უსაზღვრობა
აღმოსავლეთის,
რად მესმის გლოვა შორი ქართლის
სამრეკლოების.
...აეშარე ჭირი, მტრის მონობა, სპარსი, არაბი;
ამორე ცრემლი, ურქულობა, წარღვა,
ქარაფი;

შენ გვედრები, შენს დიდ გზაზედ ლოცვით
მარბი,
არ დაუჯებო საქართველოს პონტის კარები.

მაგრამ გაისმის „ხმა კატამონთან“..
ეაი თუ ბედი მაინც გაწყურეს, მოახლოვდეს ეამი ჭირთა და ისტორიის რისხვა კვლავ თავს დაატყდეს ბედშავ საშობლოს? იქნებ დაეცეს ყველა სიმაგრე, გატყდეს ციხე, მოისრას ჭარი, დაედოს მტვერი წარსულის ხსოვნას, მოკვდეს თვით აზრი, სიმწრით ზრდილი და ნათილისმარი, მტერად განიფანტოს ყველა ძეგლი, ტაძარი, კოშკი, საბლი, სასახლე, შემოქმედ ხალხის დიდოსტატთა ხელით ნაგებნი?.. ასეც რომ მოხდეს შოთამ იცის, რომ არის ძალა, იქნებ ერთადერთი, რომელსაც შესწევს სასწაულებრივი უნარი ერის გადარჩენისა, მისი მკვდრეთით აღდგენისა, უკვდავებასთან ზიარებისა—ესაა ხალხის უდიადესი ქმნილება, მისი ისტორიული შემოქმედებისა და გენიალური ხელოვნების უპირატესი პირშეშო — ენა. რამეთუ იგი ანიჭებს სულს ზორციელ არსებობას, მატერიალურ სიმკვრივეს, განაღდებისა და გამოვლენის თვისებას. ენა ხომ, როგორც მარქსი იტყოდა, ხალხის „აზრის სინამდვილეა“ და იგი ის უკვდავი სუბსტანციაა, რომელიც ყოველგვარ ფერისცვალებასა და გარდასახვას იტანს, ეამთა სიავეს უძლებს, ეროვნული ბედუკუღმართობის ყინულეთს აღლობს და ბნელეთს ამუქებს. იგი ინახავს ერის აღორძინების ნაყოფიერ მარცვალს:

თუ ზამ მზე მწამდა,
თუ რა მზე მწევდა,
უტყბილეს დღეთა,
უტყბილეს წამთა,
უტყბესი შენ ხარ, ენად დედაო,
შენ, მწარე ლხინო, ტყბილი სევდაო,
შენ, ყოვლის მტყმელო,
ყოვლის არმოქმელო,
შენ, გმირთა გმირო, ბრძენო ქართველო,
წარსულის ძეგლო, წინ გამბედავო.
...დაეცეს, იქნებ, სიმაგრე ყველა,
მოისრას, იქნებ, ყველა ემა ვეღად,
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
დააყდეს აზრი ნაპოვნის პოვნას,
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს შენი,

ყოველ ძველს, იქნებ, დაედგას ფეხი,
 მხოლოდ შენ, უკნობს, შენ, ხატად ქცეულს,
 რა დრო, რა დასცემს შენს უკვდავ სხეულს?
 ო, ენებ ჩემო, დედაო ენებ,
 შენ, ჩემო ნიჭო, სრბოლავ და ფრენავ,
 შენ, ჩვენი სუნთქვის დიდი ალამო,
 შენ, პირთა ჩვენთა ტბალო მალამო,
 შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
 შენ ერთს, შენ ვერ გთმობ სამარის პართან.

ამჟამად ხარვეზები შეიქმნებოდა პალესტინის ციკლში, რომ მასში არ აღერებულყო თამარის სახელი, არ დაერევა სიყვარულის ზარს. და აი, „ხმა თეთრ სენაკში“ აქებს და აღიდებს ადამიანურ გრძნობათაგან ყველაზე ადამიანურს. მაგრამ ამ მონოლოგის უხვი სახოვანება როდი ემსახურება ჩვეულებრივი ხოტბა-ქების ამოცანას. აქ გაშლილია სიყვარულის თავისებური ფილოსოფია, ისე როგორც წინა მონოლოგებში თანმიმდევრობით იყო გაშლილი რწმენის, ისტორიის, კულტურისა და შემოქმედების ფილოსოფია. თეთრ სენაკში მიყურადებელი რუსთაველის დაღლისის დედააზრიც სწორედ ყველა ამ კატეგორიათა ერთობლიობის ქადაგებაშია, სიყვარულის ამაღლებული გრძნობის ჰუმანური, ქმედითი და შემოქმედებითი არსის აღიარებაში. სიყვარული ჰუმანიტეტის ბინა და „ნავთსაყუდარი“, მისი ბუდე და სენაკი, დასაფრენი და ასპარეზი. უსიყვარულოდ ჰუმანიტეტება არც კი არსებობს, ვინაიდან იგი განურჩეველი და გულგრილი ძალა როდია, თვითონ ღვთაებაც არ არსებობს უსიყვარულოდ და „უგულობა“. „უღმერთობაზე“ დიდი ცოდვაა, უღვთოს კვლავ შეუძლია ღმერთს ეზიაროს — თუ შეიყვარა, უგულოსთვის კი ღმერთისკენ გზა ჩაკეტილია სამარადეთოდ (მგონი ზედმეტია აქ განმარტება, რომ ყველა ზემოთ ნახსენებ სახეს ამა თუ იმ ზნეობრივ-ფილოსოფიურ კატეგორიათა ხატოვანი მინიშნების ვალი აკისრიათ და არა ასე ვთქვათ რელიგიური ტერმინოლოგიის ფუნქცია).

„ხმა თეთრ სენაკში“ თითქმის კვანძავს პალესტინის ციკლის პირველ და

დასკვნით „ხმათა“ მოტყეებს: რწმენა და ჰუმანიტეტა საიმედო საზღოვარსა და ადგილსამყოფელს მიუღობენ სიყვარულის წიაღში. ხოლო კიდევ ერთ „ხმაში“ (ჯვარის მონასტრის ბინდში რომ გაისმის), შოთას ამ უკანასკნელ მონოლოგში თუ სიკვდილის წინა ლოცვაში — ყველა ჩვენი მიერ მოსმენილი „ხმა“ ერთ პარამონულ მწყობრშია შეკონილი, ერთ მოკლე, მაგრამ ძალზედ ექსპრესიულ შეგონებაშია შერწყმული და შევედრებულა ბედს, ზეცას, თვით ისტორიას — იგულოს ცოცხლად სამშობლო, ერი, ხალხის სიმართლე და მშვენიერება, ენა — ამ სიმართლისა და მშვენიერების გამომხატველი თუ უკვდავყოფელი:

მხოლოდ მას მარადს
 ღმერთს ვევედრებ
 სამარის კარად
 ჩვენი მართალ მამულს,
 მის კლდეთა დგმას,
 მის წყალთა დენას;
 ეს ლოცვა ჩემი
 ათას წლებში
 ფარეიდეს ფარად
 მის უკვდავ მთა-ბარს,
 უკვდავ მაჟას,
 მის უკვდავ ენას.

დაახლოებით ასეთი შინაარსია ჩაკეტილი — ფილიგრანული ხელოვნებით — ირაკლი აბაშიძის პალესტინის პოეტურ რეალში. იგი არ გახლავთ ეამთაღწერა, იგი სულია და მუსიკა ისტორიისა, თანამედროვე ქართული პოეტის მიერ შესმენილი და, ამდენად, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, ქართული რენესანსის დიდი ბელადისა და ჩვენი ეპოქის მკვიდრი მგონის ლირიკულ აღსარებად აღერებულა.

3

ამ მოკლე მიმოხილვაში რანდენიმე ფურცელი უნდა დაეთმოს კარლო კალაშეს — მწერალს, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნეა შესკიდებია ქართულ სიტყვას, რათა იგი თავისი მშფოთვარე სულის ბრძმედში გამოატაროს

და ჩვენთვის დროგამძლე ხელოვნების ქმნილებანი ჩამოაყალიბოს. ვის შეუძლია დაიტრახოს, რომ ასეთი ვნა შეუფერხებლად გაუვლია, მუდამ ნაყოფიერად უმუშავნია და თავის პოეტურ სახელოსნოში მხოლოდ უტყუარი შედეგები შეუქმნია? კარლო კალაძესაც უგმენია არაერთხელ გამარჯვების სიტკბოსთან ერთად მარცხის სიმწარე, ბრალიც ხან მხოლოდ მას მიუძღოდა, ხან ამა თუ იმ სპეციფიკურ გარემოებასთან, ეამთა სიავისა და სიკეთის, დროის შექჩრდილის ქიდილთან ჰქონდა იგი საზიარო, მაგრამ მით უფრო საამაყოა, რომ მას არ გაუწყდა ჭეშმარიტი პოეზიის ძარღვი და თავისი ლექსის კრალისანზეც მან, თუმცა ხან მეჩხერად, არა ერთი ნამდვილი მარგალიტიც აასხა. მე ხაზი მინდა გავუსვა ვადაწყვეტ გარემოებას, რომელიც უტყუარად მოწმობს მას, რომ ჩვენ ჭეშმარიტი პოეტის შემოქმედებით ცხოვრებასთან ვვაჭვს საქმე. კარგი ლექსი კარლო კალაძის პოეზიაში შემთხვევითი ინკრუსტაცია თუ სამკაული როდია, იგი მუდამ კანონზომიერი რგოლია ერთი უწყვეტი ჯაჭვისა, მუდამ გამოსხივებაა ერთი მთლიანი პოეტური პიროვნებისა. უფრო მეტიც, მაშინაც კი, როდესაც კარლო კალაძის ამა თუ იმ ქმნილებაში, პუშკინის სიტყვის პერიფრაზს რომ მივმართოთ, ალგებრა სქარბოზს პარმონიას, ამ ქმნილებას მაინც ერთი ოსტატის ხელი ატყვია. ისიც უნდა ითქვას ხაზგასმით, რომ პარმონიის გამარჯვება ალგებრაზე, მოკარტული საწყისისა სალიერიზმზე, რაც არაერთხელ მომხდარა მგოსნის შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე, ოციანი წლების შეუაგულის თუ 30-ნის პირველ ნახევარს, სამამულო ომის მრისხანე ეამს თუ ბუნებრივი აღფრთოვანებით გახალისებულ ომის შემდგომ წლებში — დღეს ეს ზეიმი პარმონიისა კარლო კალაძის პოეზიაში კიდევ უფრო აშკარა და მტკიცე გახდა, რასაც მისი უკანასკნელი წიგნი მოწმობს, რომელსაც თვით ავტორმა ნი-

შანდობლივად თავისი „დღისა და ღამის წიგნი“ უწოდა. და როგორც ყუბველ მნიშვნელოვან პოეტურ შემოქმედებას, ამ წიგნის კანონიერი თანავეტორი თვით დრო აღმოჩნდა. აქ ისტორიის სულმა ადამიანის სულში გამოასხივა. და თუ მე, როგორც კარლო კალაძის ლექსის ძველ მოტრფიალეს და შემფასებელს, ჯერ კიდევ ამ ათიოდე წლის წინათ მქონდა საფუძველი მეტყვა და დამესტამბა კიდევ, რომ „არც ისე იშვიათია შემთხვევა, როცა მისი პოეტური სახეები სინათლის ნაცვლად ერთფეროვნებით ან უფერულობით ხასიათდებიან, სისადავე გაუბრალოებას ემიჯნება, სირთულე კი ხელოვნურობას, რომ შიშველი მსჯელობა და რიტორიული ფრაზა ჩაგრავს ბუნებრივ და ხატოვან თქმას, ხოლო პოეტის ლექსების გარკვეული ნაკადისათვის დამახასიათებელია მეტად გულგრილი, შინაგან მგზნებარებას და დრამატიზმს მოკლებული ინტონაცია, თუმცა სწორედ ასეთი ლექსებია შემოქმედი ჭარბად ძახლის ნიშნებით“ — დღეს მე, ჩემდა სასისხარულოდ, ამ სიტყვებს ველარ გავიმეორებ, რადგან პოეტის „დღისა და ღამის წიგნისათვის“ ნიშნეულია სწორედ ის, რასაც მკითხველი „ხერთვისის განთიადებისა“ და „მედოქეების“, „გუდასტვირის და ღვინის გულის“, „ფიჭრის გორის გაზაფხულისა“ და „შორს ანთებული სარკმლის“, „მხედრულისა“ და „ქვევრების“ ავტორისაგან მოელოდა. აქ არის სწორედ აზრისა და ხატოვანების, ვანცდისა და მუსიკის, შინაგანი ზილვისა და ზილული ფერწერის, მახელი ფიჭრისა და ემოციური პლასტიკის, კვლავაც თუ გნებავთ, ალგებრისა და პარმონიის ის სვებედნიერი შერწყმა, რაც მგოსნის საუკეთესო ქმნილებებს წინათაც ახასიათებდა, ხოლო ამჟამად მისი ახალი წიგნის საერთო ბუნებას განსაზღვრავს. კარლო კალაძემ შესძლო ამ წიგნიში შინაგანი ინტიმური კავშირის დამყარება დროსთან, დროის სულისკვეთებასთან. შესძლო თავის წინანდელ ლექსებში ზო-

გან ვიწრო ნაპირებით დაჩაგრული მძაფრი ლირიკული ნაკადის შესაფერის კალამოტში შეყვანა, სადაც ამ ნაკადმა იხარა და ღონე მოიკრიფა. თვით პოეტის ადამიანური ბუნებაც, მისი ლირიკული გმირის სულიერი და ხორციელი თვისებანიც „ღლისა და ღამის წიგნში“ ჩინებული უშუალოებითა და პლასტიკური დამაჯერებლობით განსხვავდება. და კვლავ წარმოსდგა ჩვენს წინაშე სიხარულსა და ცხოვრებას დაწაფებული, სიცოცხლეს მართლაც რომ წარმართული ყიფინით დახარბებული, ტრფიალების, მეგობრობის, მამულიშვილობის, კაცთმოყვარეობის წყაროს ნაზიარები მგონის სახე, რომლის გარეგნული იერაც კი — ნისი, ასე ვთქვათ, ჰაბიტუსი — ანტიკური ფაენის თუ სატირის იერს მოგაგონებთ. ეს ის კარლო კალამა, რომელმაც ომგადახდილ და გამარჯვებით განარბებულ მამულს სიცოცხლის ხალისით შეზარხოშებული ლექსი უნობათა 1945 წელს. გავიხსენოთ ეს სანიმუშო სტრიქონები — მსუბუქი და ნათელი იუმორით გამოთბარი, ლაღი, სხარტი და მოსწრებული, საოცრად ქართული:

ზემო სოფლიდან ურმებით
მოვიდნენ მედოქეები,
აულო მიწით მძერწყავნი,
წარმართთა მეტოქეები.
ფეხებით შეუფუთონათ
სურა, ხალამი, ჰინვილა...
წავეი ნავაზიც მოპყვებათ,
ჩაჭვი აბია ჩინაქილად.
ღაბლ, გოგორა ურემზე
გადაწოლილი ჰერები,
იციბრებიან პირლიად,
დევივით გაბაწრულები!
...შეჩერდნენ სოფლის წყაროსთან,
ბაწრები ახსნეს ძარისა,
გამოეკვებათ კიშკრიდან
ღიმილი პატარაქალისა!
...გული შეუერთა კახაშვილს,
აღვიღზე დარჩა უძრავად,
თვალები თითქოს წაცვიდნენ
წარსულის შესამუსრაჟად.
...იფიქრებს ბიჭი წითლური,
იფიქრებს... მაგრამ ანაზღად
პრგე მედოქეებს ხორხოცით
გრძნობს, მხრები აუთამაშდათ.
გრძნობს, რომ სიცილით ურმებზე

გადაწოლიან ჰერებიც
და ძველ არაქად მოსმის
წყაროთა ნაჩრჩნულევიც!
ღვას კვლავ თავდაბრით, წყაროსკენ
ვახედვა დავგზარება, —
გული რომ რკინა ვგონა
დოქივით ვაებზარებას!

გავიხსენოთ პოეტის მეორე შედეგურიც, „მედოქეების“ მომდევნოდ შექმნილი „გუდასტიკური და ღვინის გუდა“. ლექსის თემაა პოეზიის და სიცოცხლის შერწყმა-შედუღება. პოეზია აქ მესტიერის გუდიანთა განსახიერებელი, ზოლო სიცოცხლის ხალისი — ღვინით სავსე გუდა-ტიკურით. ეს ოდნავი იუმორით შეფერილი, მაგრამ ღრმავაროვანი სახეები ოსტატურად არიან ლექსში გატარებული და „გათამამებულინი“.

ვით ორი ჰინა, ბნელ კენჭულიდან
მომძებნის ორი პატარა გუდა,
ერთი ძლივს ითქვამს სულს ჩუჩნელითა,
მეორე ღვინით სავსეა მუღამ.
...აქმს როცა ღვინით აწივებს ერთი
და მეტყვის ღმერთმა ნუ დავგაბეროს!
მეორეს ღვინით ვესება მერდი,
რომ სტიკის უცდავი სული შთაბეროს.
...მაგრამ, როდესაც ინათებს დილა,
ნდომით ერთმანეთს როცა დასცლიან,
ვხედავ, ბუზარიც ამაოდ ცდილა,
დრო სულ ნაპერწყმებს გაუტაცინი!
ვხედავ, რომ გულ ძალ-ღონეს იღვეს,
და სტიკისაც აღარ ვესახელები —
ბუზრის წინ სძინავთ კინწმობებილებს,
მშიმედ კეიღათ მოკლე ხელები.
ორთავეს უნდა გაუწრო რული
დილა თუ გინდა გათენდეს ღვინით,
შთაბერე პირველს ხელახლა სული,
მეორე ისევ აავსე ღვინით.

ამ ლექსის ერთადერთი აზრია — სიცოცხლისა და სიხარულის ქადაგება, პოეზიისა და ცხოვრების განუყრელი ერთიანობის აღიარება და დაკვიდრება. და თუ მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა პოეტის „გუდასტიკური“ დროდადრო სასიცოცხლო „ღვინის გულის“ წაშველება დაკვება — ამეამად „ღლისა და ღამის წიგნის“ ავტორს შეუძლია გვახაროს, რომ მან კვლავინდებურად —

შთაბერა პირველს ხელახლა სული,
მეორე ისევ აავსო ღვინით!

უკვე ამ ძველ ლექსში იყო ნაგულის-
ხმევი პოეზიის მის პირველწყაროს-
თან ნებსითი და უნებლიე, იძულებითი
თუ შეგნებული დაშორების, დაცილე-
ბის, გაყარის დრამატიზმი. ამ საშიშრო-
ების ზოგიერთი პირობა და გარემოება
კარლო კალაძემ დიდი გაცდიტა და
ემოციური დაძაბულობით გადმოგვცა
ლირიკულ პოემაში „მამა“, რომელიც
„დღისა და ღამის წიგნის“ თავისებურ
ქვეყნობებს შეადგენს. ცხადია, რომ
პოეზიისა და ცხოვრების გაყრა-დაცი-
ლების, საფრთხის გადალახვისა და აცი-
ლების დროებას, რომელშიც მგოსანს
„დღისა და ღამის წიგნი“ უყარნახა, არ
შეიძლება თავისი ბრძნული და ღინჯი,
სევდანარევი სინათლისა და გრძობა-
დაძაბული ჰერმეის ნიშანი თუ კვალი
არ დაემჩნია პოეტის ლექსზე. ამითაა
განპირობებული კარლო კალაძის ახალი
ლექსების განსაკუთრებული, ნათელი
სევდით აღბეჭდილი ტონალობა. თვით
ამ ლექსების აზრიანი ოპტიმიზმიც უკ-
ვე უღრუბლო როდია, და როგორც ყო-
ველი ზეცა, აქ პოეზიის ზეცაც ამინდი-
სა და უამინდობის ჭიდილით, მზისა და
ღრუბლების შებრძოლებით არის ასუ-
ლდგმულზელი და გაცოცხლებული.
ეს განწყობილება კარლო კალაძის ერთ-
ერთ სიუჟეტისო ახალ ლექსში ასეა
გადმოცემული:

ჩემი სიცოცხლე და სიამაყე,
ჩემი კერაა, ჩემი მამული!
შავი ზღვის პირად სხელი ავაგე-
ხეების ჩრდილქვეშ ჰერმეიმადელი.
შავი ზღვის პირად, იქ სადაც ტალღას
შეუპარება თმაში ქალაქა,
ჭვიშა მოხვევა ზღვამ საიდანღაც
და გამჟვარავალ ფსევტზე დაყარა.
ფსევტზე დაყარა პატარ-პატარა
ქუთუთოების მსგავსი ნიჟარა,
ფსევტზე დაყარა, მაგრამ თითებით
მოფერებოდი, არ დამშალა!
მიყვარს მე თვალ ამ ბრალს კენჭის,
გადაიწყებულ ფიქრის ამწენა!
მიყვარს მოვარდნილ ტალღას რომ ერჩის
ძველი ჭვრტირის ერთი ნამცეცო.
შას, შემიძლია, ზღვის გულში ჩაყვებ,
მისი მიწა და წყალი მწყურია,
იქ არის ჩემი ქალაქი წყალქვეშ,
იქ არის ჩემი დიოსკურია!

შავი ზღვის პირად, იქ, სადაც ერთ დროს
წყალმა წირსულის კვადრე წაშალა;
ბედს უნდა ჩემი დღე შემაბეჭდოს
ჩემი გზა გასტრა, ჩემი გზა-შარა!
ჩაძირულ თვალთა შუქს კი ვინ მოჰკრებს,
ზღვის გულში ღელავს რომ
ჩაკყოლია...
ხანდახან ზღვა რომ ამოიხრებს,
მე წინაპრების სუნთქვა მგონია!
და წაბით გულოც შეერთება, მაგრამ
წარღვეთ წართმეულ წუთს არ
მივტირო, —
მოშავალ დღისა და ღამის გაყრამ
ვერ უნდა შესძრას ჩემი ჭვრტირი.

იგივე განწყობილებაა გადმოცემული
მეორე ლექსშიც, რომელიც ჰერმეიმადელი
და სევდენიერ საშობლოსადმი პოე-
ტის გულის სიღრმიდან აღმომხდარ ფი-
ცადაც ქლერს და ქვეყნად პოეზიის შე-
უზღუდავი დამკვიდრების იმედსაც და-
დადება:

ცას, შეუტრჩე ჩარბოდ საკმელი,
ზღვის აღლევებულს — მყერლი აივანის,
ფიქრობ, ჭერ კიდევ დამრჩა სათქმელი
და ჩემი დილა ყრუდ არ ჩაიგლის.
მე მინდა ჩემი დილა დაეხატო
და ჩემი ცეცხლით მეწვის თვალები —
სიტყვას რა ვუყო, როგორ გაეხადო
ხელიდან ხელში საგოგამანები!..
დამიწყებს ვახი სვეტიდან მზერას
და მის რქა-ღერწებს ვეაღერებს;
ეხარობ, ჩემსავით ხელისმოწყრას
რომ ახერხებენ ვაზის ღერწები!
არა, არ მინდა სხვა მავალითი,
განა ეს მხოლოდ ჩემი ევეთა:
განდა წუთოვით პატარა ჩიტი
და ჩემს აივანს შემოჩვევია!
უკრთის დასაწერ მტევანს ფურცელი,
უნდა წვეთ-წვეთად აესებდეს ოსებს,
ჩიტს კი ყელამდე ჰყოფნის ყურძენი
და თითო მარცვალს ყოველთვის მტაცებს...
ოღონდ ვერაგმა და გულით ცუდმა
არ მოჰკრას თვალი და მე არ ვჩივი,
ღე, გაიტაცოს გაღრენილ წუთმა
მთელი ეგ სიტყბო — ჩემი, არჩივი,
სხივი, რომელიც ჩემს თვალს ცივია,
წვთი, რამდენიც გულს დარჩენია —
ისე ვით შუქი, ისე ვით წვიმა —
საშობლოვ ჩემო, ისეე შენია!



და, ნიკოლოზ ტიხონოვმა ლენინგრაღში გამართულ ქართული პოეზიის საღამოზე წარმოთქმულ სიტყვაში შთაგონებულად შეასხა ქებათა-ქება საქართველოს, „მშვენიერ ქვეყანას“, რომელიც „ისე ევლინება კაცს, როგორც მხოლოდ ლექსში ევლინება ხოლმე პოეტური სახე“. ამ შედარების დასამოწმებლად ტიხონოვმა საქართველოს ერთერთი უმშვენიერესი კუთხის სვანეთის თვალწარმტაცი სურათები მოიგონა და დასძინა: „დადქით ლატფარის გადასასვლელზე... და თქვენ იხილავთ ბუნების წარმოდგენელ ქმნილებებს, რომლებიც სამარადეოდ აფიფორიაქებენ სულსა და გულს. მე ვიცნობდი კაცს, რომელსაც არ ჰქონდა დრო გზაგრძელი მოგზაურობისათვის, მაგრამ ლატფარს ააღწევდა ხოლმე, ერთ-ორ საათს იღგა იქ გაოგნებულგალადებული, კვლავ უბრუნდებოდა მოსკოვს. მეტის საშუალება მას არ ჰქონდა, მაგრამ ესეც ჰყოფნიდა“.

რევაზ მარგიანი მკვიდრია სწორედ ამ ზღაპრული მხარისა, რომელსაც ძალუძს ადამიანის „სულისა და გულის სამარადეოდ აფორიაქება“. მაგრამ ამავე დროს, სწორედ იმიტომ, რომ სვანეთი მისი სამშობლო კუთხეა, პოეტის შთაგონება საგრძნობლად განსხვავდება იმ ადამიანის გრძობა-ვანცუათაგან, რომელიც ლატფარს ორი საათით სწევვია ხოლმე. მისი თვალი ხომ ბავშვობიდანვე შეეჩვია „ბუნების წარმოუდგენელ ქმნილებებს“ და მან იმთავითვე მიიღო მემკვიდრეობითი უფლება შეგვეკითხოს ჩვენ და გვითხრას კიდევ:

გადასვლბარ ლატფარიო
 მოწმენდილზე ადრიან,
 დავინახავს მწვერვალის
 მოსარმული ვარაყით?...
 ალაგ-ალაგ ზაფხული,
 ალაგ-ალაგ ზამთარი,
 ზოგან თოვლი ბრძვევილა,
 ზოგან მწვანე ბალახი...

შენს კალთაზე, ლატფარო,
 ბეჭეჭერ დამიძინა,

ბეჭეჭერ დამთენებია,
 სახნად მქონდა ღრუბელი
 და ბალიშად თვაქალთო...
 თერმე ტუბილზე-ტუბილია,
 რაც კი დამისიზრებია...
 ნეტავ სამაგიერო
 შენთვის გადამეხადოს.

ქეშმარიტი პოეზია მუდამ წარმოადგენს პოეტის განხორციელებულ სწრაფვას „სამაგიერო გადაუხადოს“ სამყაროს, სრულის საწყაულოთ მიუზღას ცხოვრებას მისგან მიღებულ და მინიჭებულ უმძლავრეს შთაბეჭდილებათათვის, დაუბრუნოს მას — პოეტურად სახეცვლილი და გარდასახული — ყოველივე ის, რასაც თავმოყრილად და შექამებულად ბედნიერება შეიძლება ეწოდოს. ბედნიერება ბედნიერების წილ.

რევაზ მარგიანის პირველივე ლექსები, აკაკის თქმისა არ იყოს, „სოფლის ვალის“ გადახდის ან ჩვენი ბაღდადეგი რუსი თვისტომი რომ გავიხსენოთ, იმ „აუნაზღაურებელი სესხის“ დაფარვის ცდა იყო, რაც მარად ახარებდა და ერთდროულად აწამებდა პოეტებს:

მგოსანი მუდამ ქვეყნის ვალშია
 სიშრით ნაშოენი განძის მიწხვევლი...

და თუ მიაკოვსკი „ბაღდათის ზეცის“ მოვალედ თვლიდა თავს, რალა განაკვირია ნატერა პოეტისა, რომელსაც მშობლიურ ლატფარზე ზმანები: ტუბილზე-ტუბილი სიზმარი — „ნეტავ სამაგიერო შენთვის გადამეხადოსო...“

რევაზ მარგიანმა დიხხაც რომ შესძლო ამ სამაგიეროს გადახდა. მაგრამ ქვეყნის ვალი ერთბაშად როდი იფარება. გადასახადიც ტოლფასი და თანაბარი როდია მუდამ. ამ რამდენიმე წლის წინ მე ვწერდი რევაზ მარგიანის ორმოციანი წლების დასასრულისა და ორმოცდაათიანის დასაწყისის ლექსებზე. „გვხვდება ჩვენ აქ რიტორიკული, ხორც-შეუსხმელი პუბლიცისტური სტრიქონები და სტროფები; თემატიკის სიფართოვე მიღწეულია ხანდახან აქტუალური მასალის ზერელე ღამუშავების ფასად... ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ დღემდე მარგიანის საუკეთესო ლექსებად რჩებიან მისი შედარებით ადრინ-

დელი, მშობლიური სენათისადმი მიძღვნილი ლექსები ან ფრონტული ლირიკის კრებული „მუმი მუხასა...“ სასიხარულოა, რომ პოეტის საუკეთესო აღზინდელ ლექსებს დღეს უკვე მხარს უმშვენებს არა ერთი რკალი თუ კრებული ახალი, უმთავრესად უკანასკნელი ათი წლის მანძილზე შექმნილი ლექსებისა — „ღირიკა“, „მხოლოდ ახალი“, „ისევ ახალი“, „წლების სახსოვრად“ და სულ ახლახან, ამ დღეებში დასტამბული ბოლო სამწიგნულის შემაჯამებელი „გამოღვიძება“.

რევაზ მარგიანის ახალმა ლექსებმა დამაჯერებლად დაადასტურეს, რომ ახალგაზრდა მწერალთა პირველი საკავშირო თათბირის მონაწილე ქართველი პოეტის ბრწყინვალე და საფუძვლიანი დებიუტი როდი იყო შემთხვევითი მოვლენა; რომ ის მძლავრი ეპიკური სულისკვეთებით გამსჭვალული ლირიკული ნაეადი, რომელმაც ეგზომ გაიტაცა თავის დროზე მკითხველი და მოხიბლა იგი ანკარა მჩქეფარებით, რა უხილავი წილსვლა და მალული გზა-კალაპოტიც არ უნდა აერჩია მას დროებით. მაინც არ უნდა დაშრეტილიყო და მეჩხითა სამსხვერპლოდ არ უნდა განწირულიყო. არც უმნიშვნელო და წვრილმან, ხანდახან ელვარე და თვალისმომჭრელ, მაგრამ დღემოკლე შხეფებად დახურდავება-დაქუცმაცება ელოდა მას.

მცდარი ვარაუდი იქნებოდა, თითქოს ის „აქტუალური მასალა“, რომელიც ქარბად შეიჭრა რევაზ მარგიანის ლექსებში გარკვეულ დროს, არაორგანული იყო მისი პოეტური ნიჭისათვის ან არ ნახულობდა მის გულში გულწრფელ გამოძახილს. პირიქით, ბევრი რამ, რასაც დაახარჯა შრომა პოეტმა, არა მარტო თავისთავად იყო მნიშვნელოვანი, არამედ თვით პოეტსაც პირადად აღლვებდა, ახარებდა და აწუხებდა. მაგრამ, რათა ყოველივე ეს დიდი პოეზიის ხარისხში წარმომდგარიყო, აუცილებელი იყო სათქმელის ისე გამოხატვა, როგორც ეს მხოლოდ მას — რევაზ მარგიანს — „მინანგულასა“ და „მუმი მუხასა“, „კა-

ლოზე“, „არწივების“, „იექალთისა“ და „მარილის“ დამწერს, საკუთარეუხმის მფლობელს, სიმწრით სნამოვნნი მხარით ლექსის შემკავშველს ეკადრებოდა:

იქნებ ავლია ჩემს ლექსს მარილი
და სენათითი სხვის ვესესხები,
აღმათ ამიტომ ქაირშხალივით
არ მქუხარებენ ჩემი ლექსები.

...წივალ აღზევანს, ცხრა მოას, ცხრა წყაროს,
ძველ ურბულივით გზებს გადავივლი,
რომ საქართველოს შედეგე ვახარო —
როგორ ვიშოვე სენაშა მარილი.

პარადოქსი სწორედ იმაში გამოიქვლენდა, რომ სწორედ იმ ლექსებში, სადაც პოეტმა, სხვების მიმხედურად, „ქარიშხალივით მქუხარება“ მოიწადინა, იქ შემოაკლდა მარილი და მადლი მის სიტყვას. და აი ისეთ ციკლებში, როგორიცაა „პირველი სიტყვა“, „მშვიდობის დროშა“, „სიმღერა კომუნისმისა“ დაიწყო მოჭარბება, თუნდაც ყველაზე მაღალი თემის მეტად ზოგადმა და განყენებულმა, ასე ვთქვათ, „საშუალო არითმეტიკულმა“ გადაწყვეტამ, დაიკარგა და გაჭრა პოეტური განცდისა და გამოხატვის უტყუარი კონკრეტულობა და პირველქმნილი უშუალობა, მხატვრული აღქმისა და ხილვის განუმეორებელი ინდივიდუალობა. და, როგორც წესი: წარმატებანი (ისინიც ჰქონდა, რა თქმა უნდა, პოეტს) მუდამ საკუთარი ძალით მოპოებულნი იყვნენ, მარცხი კი მუდამ საზიარო იყო, ვინაიდან დაკავშირებული იყო „საერთო ადგილთა“ და „ზოგად მსჯელობათა“ იმ მიგრაციისთან, რომელმაც თუნდაც დროებით, მაგრამ საკმაო ძალით მოიკცა ინდროინდელი პოეზიის ზოგიერთი მეტად თვალსაჩინო უბანი. დღეს, როდესაც დრომ და ისტორიამ შეიტანეს თავიანთი ავტორიტეტული და უღომბელი კორექტივები მრავალ ღირებულებათა ნუსხაში, რევაზ მარგიანმაც შესძლო თავისი „მარილიანი“ თუ „უმარილო“ ლექსების სწორი დახარისხება და ბოლო ხნის ყველა თავის „რჩეულში“ შეიტანა უმთავრესად ის ქმნილებები, რომლებმაც გაუძლეს დროის, მკითხველის

და თვით პოეტის შინაგანი ალღოს მსჯავრს. ერთერთ ასეთ თავის „რჩეულს“ პოეტმა საგულისხმო სათაური მისცა: „წლების სახსოვრად“. ამ სათაურთანაა დაკავშირებული ამ კრებულის მომდევნოდ დასტამბული წიგნის „ისევ ახალის“ ოთხივე განყოფილების დასახელებანიც: „მარილი, დარდი და სიხარული“, „გადავიწყება არ შემოიძლია“, „ფიქრები მამულზე“ და „ელეგია მეგობრის სიკვდილზე“. ამ მეტად ინტენსიური და მადლიანი ნაღვაწლის ღირსეული დაგვირგვინებაა რევაზ მარგიანის უკანასკნელი წიგნიც „გამოღვიძება“.

მე იმიტომ მომყავს აქ ეს სათაურები, რომ მათში აშკარად გამოკრთის პოეტის ახალ ნაწარმოებთა დიდი ნაწილის გამჭოლი მაგისტრალი. მათში სკარბობს მოგონება და ფიქრი განვლილ გზაზე, განცილ-ნაგრობობზე, ძალზე ხშირად — სამამულო ომზე, ყირიმის ეპოპეაზე, ბრძოლებზე ქერჩის ნახევარკუნძულზე, რომელთა მონაწილეც იყო პოეტი. ამავე დროს ეს ლექსები მეტად თანადროულად ეღერენ, ისე როგორც თანადროულნი არიან, ვთქვათ, სლუცკისა და მევიროვის, ლუკონინისა და სამოილოვის ახალი ლექსები მეოთხედი საუკუნის წინ მქუხარ ბრძოლებზე. თანადროულია ომში დაღუპულ მირზა გელოვანისადმი მიძღვნილი რეკვიემი რევაზ მარგიანისა, ისე როგორც თანადროულია უკანასკნელი წლების რუსულ ლიტერატურაში გამოცოცხლებული მოგონებანი პავლე კოვანზე და ნიკოლოზ მაიოროვზე, მიხეილ კულჩიციზე და ნიკოლოზ ოტრადაზე. ნირზა გელოვანი ზომ მისი ბედის მოზარე აღექსანდრე საჭაიას და სვეერიან ისიანთან ერთად სწორედ იმ ისტორიულ გაწვევის მებრძოლ-პოეტთა მწკრივის ეკუთვნოდა, რომელსაც ეკუთვნოდა რევაზ მარგიანიც. და იქნებ სწორედ ამ „ფრონტული თაობის“ საბჭოთა პოეტთა ბიოგრაფიათა სიახლოვით უნდა ავხსნათ, სხვა მიზეზთა შორის, ის იშვიათი ორგანულობა და შინაგანი სიზუსტე, რაც ახასიათებდა რევაზ მარგიანის ლექსთა

პირველ ლუკონინისეულ, მევიროვისეულ, შუბინისეულ თარგმანებს.

ჩვენ ვლაპარაკობთ მოგონებების, გუშინდელ დღეში დაბრუნების, წარსულთან შეხვედრის თანადროულობაზე. რაში მდგომარეობს ეს თანადროულობა? რაში გამოიხატება და გამოსკვივის იგი? მტკიცება, რომ პოეტი განსკვრეტს გუშინდელ დღეს დღევანდლის სიმალლიდან იქნებოდა სწორი, მაგრამ მეტად ზოგადი. შეიძლება გვეთქვა, რომ პოეტის ცდა და მეცადინეობა მიმართულია პოეტურ თქმასა და პოეტის შინაგან განწყობილებათა შორის პარამონიის აღდგენა-განმტკიცებისაკენ, რაც წინათაც ახასიათებდა მის საუკეთესო ქმნილებებს. მაგრამ ასეთი განმარტებაც შეგვზღუდავდა ჩვენ მეტად მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც შემოქმედების ფსიქოლოგიისა და ლიტერატურული ოსტატობის საკითხთა ჩარჩოებით. საქმის არსი კი სწორედ პოეტის „შინაგან განწყობილებათა“ ხასიათსა და თვისებებში უნდა ვეჩინოთ, რათა მივავნოთ წარსულსა და თანამედროვეობას შორის. ომსა და მშვიდობას შორის თვით პოეტის შეგნებაში წარმოშობილ შეხების წერტილს, რათა გავიზიაროთ გარდასულ მოვლენათა რომელი მხარე თუ წახნაგი აირეკლა დღეს პოეტის გულში, შეეხმიანა მას და აღუძრა კვლავ მძაფრი ინტერესი. მართლაც და იმიტომ ხომ არ მოკიდა დღეს მან კალამს ხელი, რათა ოცი-ოცდახუთი წლის მოგვიანებით, ეცადა დაერწმუნებინა მკითხველი, რომ სამამულო ომში მტერი უნდა დამარცხებულიყო, ხოლო ჩვენს სამართლიანს საქმეს გამარჯვება და ბედი ეწერა? დღეს ამგვარი ინფორმაცია ცოტა არ იყოს მოძველებული იქნებოდა. და თუ სამამულო ომის წლებში საბჭოთა პოეზიის ზეამოცანას მართლაც რომ გამარჯვების მოპოვება და სულიერი უზრუნველყოფა შეადგენდა და თვით ომი, რომელიც ყოველთვის უბედურება და ტრაგედიაა, ჯერ უნდა მოგვეგო, ხოლო მერე შეგვეჩვენებია და დაგვეწყვილა.

დღეს ომის თემა, ბუნებრივია, სხვანაირად აღდგება, ვინაიდან წინა პლანზე წამოიწია ომის არაადამიანური არსის, მისი უღრმესი ტრაგიზმის განცდა და ანასთან ერთად კიდევ უფრო მძლავრად გაისმა ომის ღროს ადამიანური სულისკვეთების შენარჩუნებისა და გამარჯვების მოტივი. ომის არაადამიანურობა და ადამიანურობა ომში—აი რამ მიიზიდა პოეტის გულისყური ახლო წარსულში. გვირობამ და შემართებამ მიიპყრო ამჯერად ყურადღება არა მარტო და არა იმდენად თავისი საამბო-ეპიკური მხარით. არამედ ეთიკური, სულიერი და ზნეობრივი საფუძვლებით. ისიც გასაგებია თუ ომის თემის ჰუმანიტური ასპექტისადმი გაღრმავებულმა ინტერესმა რატომ იჩინა თავი სწორედ უკანასკნელი წლების მანძილზე—იგი გამოწვეული და სტიმულირებული იყო თვით ჩვენს ცხოვრებაში სოციალისტური ჰუმანიზმის ქვაკუთხედურ პრინციპთა და სოციალური ზნეობის ლენინურ ნორმათა აღორძინებისა და განმტკიცების რთული, მტკივნეული, მაგრამ ისტორიულად გარდუვალი პროცესით. აი რამ განაპირობა დღევანდელი პოეზიის „შინაგანი განწყობისა“ და ცოცხალი სულისკვეთების ბუნება და ხასიათი, აი სად მოიძიეს „დროთა კავშირნი“ ლირიკის მასაზრობებელმა მოგონებებმა. ეს აზრი პოეტური სიზუსტით აქვს გამოთქმული რევანზ მარგინის თანამესანგრეს, მეგობარსა და მთარგნენლს ალექსანდრე მეიროვს:

მოგონებანი ცხადნი და შორნი
 ღამის უკუნში კრთოდნენ ვარსკვლავად —
 ვანცდილ ოსმა და მშვიდობას შორის
 სულიერ ძაფის გასანასკვავად.
 (თარგმანი ჩემია)

როგორ ინასკვებოდა ეს ძაფი რევანზ მარგინის ლექსებში? მათში აღდგებულნი რომელი მოტივები — სავნები, მოვლენები, გრძნობები, ფიქრები — გამოდგნენ ამ კავშირის დასამყარებლად? არის ცნებები, რომლებიც ადა-

მიანისათვის ყველაზე დაძაბულ და გამაღმყვეტ ეამს, სამკვდრო-სასიცოცხლო გამოცდის ვითარებაში ეგლონებიან მას განსაკუთრებული, ერთადერთი, თითქოსდა პირველთქმული, ზედმიწევნით მკაფიო და ნათელი მნიშვნელობით. ასეთია სამშობლოს, ოჯახის, მეგობრობის ცნებები. ადამიანის განცდათა, ფიქრთა და გრძნობათა მთელი ურთულესი კომპლექსი, რომელიც ამ ცნებებთანაა დაკავშირებული, ასეთ ეამსა და ვითარებაში გასაოცრად კონდენსირებულია, თავმოყრილია, ყოველგვარ პირობითობასა და ბუნდოვანებასა მოკლებული. და გამოხატულია იგი, როგორც წესი, ძუნწად და სიტყვაძვირად, მკაცრად და კდემამოსილად. ამ ცნებათა წრე არც თუ ისე ფართოა და მათი ელერადობა არც თუ ისე ხმა-მაღალი, მაგრამ იგი უნახავად ღრმა და დაძაბულია. მიზანდასახული და მყარია. ასეთ ღროს ადამიანისათვის სამშობლო კუთხესთან — ქალაქთან, სოფელთან, სახლთან — ან ახლობლებთან — დედ-მამასთან, ცოლთან, მეგობართან — ყოველი შეხვედრა თუ განშორება — სეზებდნიერი შეხვედრისა და საბედისწერო განშორების აზრსა და მნიშვნელობას ტვირთულობს. ფრონტულ მეგობრებთან თუ ამხანაგთან, მშობლიურ თუ საყვარელ ადამიანთან საზიარო პურის ნატეხი, ერთი პეშვი წყალი და წება მარბილი რაღაც სიმბოლური ან უფრო ზუსტად („სიმბოლო“ აქ მეტად ზეაწეულად ედგეს) — პირველქმნილ-ეპიკური უშუალობით გვევლინება. განშორება ჰბადებს სამშობლოს. მეგობრის, ოჯახის მიმართ დაუძინებელ ზრუნვასა და დაუოკებელ მღელვარებას. აი ამ სისხლხორცეულ, განცდილ და ნაცად, გულში და სულში სამუდამოდ დაბუდებულ სამყაროს უბრუნდება რევანზ მარგინი თავის ახალ ლექსებში და თითქოს თვით თავისი მოგონებებით ანდობს ზელახლა სიყვარულს და ერთგულებას ეფიცება მამულს, თვისტომთ, ოჯახს, საკუთარ მრწამსსა და საფიცარ იდეალებს. ზოლო ის გარე-

მოება, რომ სიყვარულის განდობა ხდება აქ მოგონებათა მეშვეობით — იმთავითვე, ლექსისათვის სიცოცხლის მიმნიჭებელ პირველ „სულიერ ექსტანსიანე“ — გამორიცხავს დეკლამაციასა და რიტორიკას, ლირიკული ლაღადისის მთელს ნაქადს მიმართავს და უბიძგებს მიწიერ, ცხად, თუ გნებავთ ნივთიერ კალაპოტისაკენ, სამგზის დალოცვილ პოეტურ კონკრეტულობისაკენ. ასეთია ვაქაცურად-დარდიანი, მეტად ადამიანური ლექსების რკალი საერთო სათაურით „გადავიწყება არ შემიძლია“ და ამ რკალთან მიახლოებული მთელი რიგი ლექსებისა. ფრონტი, ოჯახი, მამული აქ სწორედ ისეთ შენადნობშია მოცემული, როგორც მათ ადამიანის გულში უხდებთ შერწყმამეძერწვა. ასეთია ცოლისადმი მიძღვნილი ლექსი, რომლითაც იხსენება რკალი და რომელიც თავისებურ კამერტიანად უძღვის მას — საყვარელ ადამიანთან ბედის დაკავშირება ორმოცდაერთის ცხელ იენისის ორომტრიალში, ჭარისკაცის ზვედრთან შეუღლებას დაემთხვა საბედისწეროდ. ასეთივეა ფრონტელი მეგობრებისადმი მიძღვნილი ლექსები — „მირზა გელოვანს“, „ქერჩი, 1942“ (ირაკლი აბაშიძეს), „ძმარ, ძვირფასო, დაუვიწყარო“, ასეთივეა სხვა ლექსებიც, სადაც გაცოცხლებულია იმ მრისხანე დღეებისა და წლების წარუშლელი სურათები და უპკნობი სახეები — „ყამიშ-ბურუნის“, „რაც გამეფანტა ომში სიზმრები“, „მე ელვა-მეხის შიში არა მაქვს“, „თოვლი მოდის, თოვდება“, „ფუტკარი როცა დაეძებს ფუტკარს“... აქ უკვე ორმოცდაერთის ცხელი იენისის ორომტრიალს — „ორმოცდაორის მკაცრი ზამთარი“ მოყვა, ყამიშ-ბურუნში განცდილია „მწიარე მისიამ“ დასტოვა კვალი. ზაფხულ-გაზაფხულს კვლავ ზამთარი ცვლიდა და მოგონებაშიც დაღუპულ ძმაკაცთან დათქმული და თურმე განწირული შეხვედრაც აღდგა თვალნათლივ. ასე დაიბადა ამ რკალის ერთ-ერთი უძლიერესი — განცდის სიმძაფ-

რით და ხატვის სიმკვეთრიდაც — ლექსი:

ომში, როდესაც გაეცდი შენგან
მკერდმელური და მხედა საღვრი.
ძმარ, ძვირფასო, დაუვიწყარო,
ჩვენ აქ შეხვედრა გვქონდა დათქმული.
ჩვენ უნდა გვეყო ზამთრის წუმბეში
შეცაბულებს ზველებ-ხველებით.
და გაგვეწვინა, როგორც ნუგეში,
ერთმანეთისთვის მკაცრი ხელები.
...და ამა, ვდგავარ ზელებგაწვდრი,
დადი ხნის შემდეგ მოვხვდი შეიღწეაროს.
დავტირი ბებერ ჭარისკაცით,
ძმარ, ძვირფასო, დაუვიწყარო.

თითქოს ყველა ამ ლექსს თავისი ლირიკული მისამართი კაჩნია და ყველა მათგანში გამოკრთის იმედი ადრესატის სულიერი თანაზიარობისა:

და შენ თუ არა, სხვა ვინ გამოიგებს,
როცა გადაშლი მტერთან რვეულებს,
თუ რისთვის ვეძებ გამჭრალ თარიღებს,
ომის ბურუნში გამოხვეულებს...

მინდა შედარებით დაწვრილებით შევებო ლექსს „ფუტკარი როცა დაეძებს ფუტკარს“. იგი ჰგავს და არცა ჰგავს რვეუზ მარგიანის დანარჩენ ლექსებს — მოგონებებს. მასში უფრო ძლიერია პოეტური განზოგადობის ელემენტი, რომელიც არსად არ სცდება ცოცხალი განცდის კონკრეტული უტყუარობის საზღვრებს. ყველაზე საინტერესოა ამ ლექსში თავისებური პარალელიზმის გაბედული და, შეიძლება ითქვას, საბიფათო ხერხი, რომელიც წარმოშობით ხალხური პოეზიის ფსიქოლოგურ პარალელიზმს უკავშირდება, ამჯერად კი აძლევს პოეტს შესაძლებლობას გადაგვიშალოს ორი, თითქმის დამოუკიდებელი, თუმცა შინაგანად დაკავშირებული პოეტური სურათი. ამ ხერხის საბიფათო მხარე — მის ალგორითლობაშია, რომლის დაძლევა ან, უფრო სწორად, ლექსის სიღრმეში ჩამოღვა თვით ლექსის საერთო პოეტური ჩანაფიქრის მხატვრული განხორციელების ხარისხზე და ძალაზე იყო დამოკიდებული. აი, ნაწყვეტი ამ პოეტური პარალელის პირველი ნაწილიდან:

ფუტკარი როცა დაეძვება ფუტკარს,
გაგანგლულია ყვავილის მტვერით,
აღბოთ ყურს უვადებს ფოთლების სუნთქვას,
რალე მწუხარე პანგებზე მღერის.
...ფუტკარი როცა დაეძვება ფუტკარს,
უხმოდ ატარებს მშობილზე სევდას,
— რა უნდა უთხრას, რა უნდა უთხრას
ნუგეშად ობლად დაჩხინილ დედას.
...შინ დაბრუნდება ლანდი და ჩრდილი,
თვალს მოარიდებს ჩამომდინარე დედას,
დაღლილი ფრთებით. შორებულულ დილით
ოქაბში უხმოდ შეიტანს სევდას...

ნაწევრებიც „პარალელის“ მეორე ნაწი-
ლიდან:

...მეც ავღარს შევხვდი დიდი ხნის წინათ
გოგანგლული ზარბაზნის მტვერში,
პროვანსა მკლავზე გადამაწვინა
და ცეცხლის აღზე იწვოდა ქერჩი...
მშობილი ქარში ვეძებდი მშობილს,
შეხილ შერქულულ მუხის მკერდს ვგავდი...
დაღლილი მხრებით, გამურულ თოფით
ოქაბში შეველ—ჩრდილი და ლანდი.
გატოთ ეი ომის ვრიგალი ქროდა,
მე სახლში მძიმედ შემქონდა სევდა
და უქმელადაც ვგვლავდარს ვგრძობდა
კართან შემხმარი მგვამობის დედა.

თუ ამ ლექსის შეგნებულ „ხალხუ-
რობას“ არ გავითვალისწინებთ, ის
შეიძლება მიაძრუდეს გვეჩვენოს, მაგ-
რამ მისი კეთილშობილური სისადავეც
განცდა-განწყობილების იმ „უტყუარი
კონკრეტულობის“ შედეგია, რაც რე-
ვაზ მარგვიანის საუკეთესო ნაწარმოე-
ბთა თვისებას შეადგენს. კარგია, რომ
ლექსს არა აქვს თავს მოხვეული ყოვე-
ლი სახის აკვიატებული პარალელიზმი,
კარგია, რომ მის ორივე ნაწილს შეუძ-
ლია იარსებოს თითქმის დამოუკიდებ-
ლად, კარგია თვით ეს „თითქმის“. პოე-
ტმა იმასაც შეაღწია, რომ, მიუხედავად
ლექსის ორივე ნაწილში პოეტურ საბე-
თა მოძრაობა-განვითარების ბუნებრივი
ერთიანობისა — „ფუტკარები“ ლირი-
კულ ტონალობით არიან აღნიშნული,
ხოლო „მძინარეებიც“ აშკარა ეპიკუ-
რი ელფერი დაჰკრავთ. საგულისხმოა
ამ ლექსის ვარიაციული ურთიერთო-
ბაც ჩვენს მიერ უკვე ციტირებულ
მკაცრად რეალისტურ ლექსთან „მშაო,
ძვირფასო, დაუვიწყარო“.

თვით პოეტური სახე „ფუტკარები-

სა“ არ არის შემთხვევითი რევაზ მარ-
გვიანის ლირიკაში. ამ ლექსშიც მან ჩვე-
ულებრივი ლიტერატურულ-ასრულები-
ური გზებით როდი შეაღწია. გადაფურ-
ცლეთ პოეტის ძველი თუ ახალი წიგ-
ნები და დარწმუნდებით, რომ ეს სა-
ხე ერთ-ერთი მუდმივი და საყრდენი
სახეა მის მიერ აღმართულ პოეტურ
შენობაში. გავიხსენოთ თუნდაც ისეთი
ლექსები, როგორცაა: „საფუტკარეს-
თან“, „წელს უსათუოდ“ (სადაც ასეთ
სტრიქონსაც შევხვდებით: „მოგვიანე-
ბით მუშა ფუტკარი ჩემს მიტოვებულ
სკას ეუბრუნდება“), „სიმღერა“ (—„მე
მძლივადვე ფუტკარის ზუზუნში, ზუზუნმა
გამომადვიდა“...), „ჩვენი სკაც უყრის“...
(„სვანეთში, მთებში დამეძვება ვილაც ჭუ-
ნირით, ჩანავით, ჩვენებურ პანავით, უკ-
ან დაცლილი მათარა მიმაქვს და სულს
სწყურია თათლი და რანავი“...), და თუ კი
ამ ტროპის საკუთრივ-ლიტერატურუ-
ლი ფესვები აკაცის „ფუტკართანაა“ და-
კავშირებული (პოეტის შედარება
მშრომელ ფუტკართან), არა ნაკლებ
მნიშვნელოვანია მისი უშუალო ცხოვ-
რებისეული, თუნდაც ყოფითი და ეთ-
ნოგრაფიული პირველწყარო, რომელიც
სვანეთში უნდა ვეძიოთ — არა მარტო
გორიზ კომპებით, არამედ მშვიდობი-
ან სკებიტაც განთქმულ სვანეთში:

მეგონა გული დავისაყუთრე,
თერმე საფუტკარის კიშვართან დამრჩა.
რისთვის გუგუნებს ძველი საფუტკარე,
რისთვის აღვიძებს მშინარე ლაღას!
...იმ საფუტკარიდან მეც ვარ ნაყარი,
მთების სურნელი ნამოწყვა აღბათ,
ტბილი სიცოცხლის ერთი მყვარი
რძინა ბალახებს ჩაეცქერი ხარბად.
...იქნებ მიტოვაც აკვანი წყნარად
მინანვებდა საფუტკარის გვერდით.
ფუტკარებს დაქონდათ კართან კარად
ტბილი პანავი და აღმასის წვეთი...

როგორც ვხედავთ, ჩვეული და რჩე-
ული ხილვანი თან სდევნენ პოეტს რო-
გორც ომის დღეთა მოგონებებში, ისე
მშვიდობიანი პანორამის გააზრები-
სას. ეს პოეტური სახეც აკავშირებს
თავისებურად ომსა და მშვიდობას,
ფრონტსა და სახლს, ბრძოლასა და ყო-

ფას. და ვინაიდან ეს სახლთან შემაერთი „ხიდიც“ აგებულია, აღვნიშნოთ რევავ მარგიანის პოეზიის კიდევ ერთი დამახასიათებელი თავისებურება. სვანეთი, რომელიც არა მარტო რუსულ და უცხოურ, არამედ ხშირად თვით ქართულ პოეზიაშიც კი დანახული იყო აღტაცებულ-გაკვირვებული თვალით, გარეშე მნახველის თვალით, რომელიც განცვიფრებულა და სახტად დარჩენილა სვანეთის განუყოფელი მშვენიერების ბუმბერაზული ძალის წინაშე, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ისეთი ადამიანისა და პოეტის თვალით, რომელიც ასულა სვანეთში, — ეს სვანეთი რევავ მარგიანის ლექსებში დანახულია „შიგნიდან“, ისეთი ადამიანისა და პოეტის მიერ, რომელიც ჩამოსულათუ გამოსულა ცადაწვდენილ და ვარსკვლავებთან მოთამაშე მხარიდან, რომლისათვისაც იგი საკუთარი კერაა, სამკვიდროა, მშობლიური ოჯახია — არა საკვირველებისა და გაცოცხლების მომგვრელი, არამედ სანუკვარი, თვისტომი და საყვარელი, ყოველდღიურობის ნათელი და მშვიდი შუქით განათებული. უნდა გამოგიტყდეთ, რომ „ფუტკრები“ ამ პოეტური სახის ნებისმიერ ვარიაციაში, ჩვენ თავდაპირველად სვანეთის სურათებისათვის უცხოდ და შეუფერებლად შეიძლება მოგვჩვენებოდეს. ასეთი „პლანის“ აღსაქმელად ჩვენი თვალი არ იყო შემზადებული, იგი ელოდა უფრო ფართო და გაშლილ, უფრო მასშტაბურ პანორამას, ხოლო „მსხვილ პლანად“ წინასწარ გულისხმობდა პოეტური ობიექტივით იმავე ფართო ხედიდან გამორჩეულ, უფრო „ფაქტურულად“ გამოხატულ ეპიკურ ფიგურებსა და სილუეტებს, რომლებსაც ჩვენ შევეჩვიეთ სახვითი ხელოვნებისა და კინემატოგრაფიის პოპულარულ გამოხატულებებში. რევავ მარგიანის ქაუკეთესო ლექსების თავისებურება და მომხიბლველობა კი მისი ხილვის სწორედ ასეთ მოვლადნელ ჩვეულებრივობაშია, ორიგინალურ კონკრეტულობაშია და მთლიანად არ-

ის განპირობებული პოეტურად აღდგენილ სამყაროს მიმართ მჭიდროს მჭიდრო მართალ და გულწრფელ დამრკიდებულებით. რევავ მარგიანსაც დაიმსახურა მის მიერვე ნანატრი და გამიზნული გემის განხორციელება:

უქმად დაჯარველ დღეს ნუ მისტირი,
მას, რაც დაფანტე, ვეღარ იპოვი.
სჯობს, რომ ამგვრო, როგორც ქვეთიერი,
გულს შერჩენილი ძენწი სტრიქონი.
იარე მხნელ და აუჩქარებლად,
მწვერვალს სძლიე და ვადაიარე,
არ შეგაშინოს ავმა ქარებმა,
ვეშმარიტების მზეს ეზიარე.

5

უკვე ათ წელზე მეტია, რაც თბილისს, რომელსაც, ბარათაშვილით დაწყებული, არა ერთი მომღერალი ჰყავდა საუკუნე-მეოთხედის მანძილზე, კიდევ ერთი პოეტური მკვიდრი შემოემატა. მომღერალში მე აქ უშუალოდ მეხოტბეს ან მემატთანეს როდი ვგულისხმობ. სწორედ მკვიდრობას მინდა გავუხვავა ხაზი, რადგან არა მარტო შორეულ და მარად ახლობელ ბარათაშვილისათვის, არამედ ჩვენს უფროს თანამედროვეთათვისაც, თბილისი იყო არა იმდენად თემა და აღწერის საგანი, რამდენად საკუთარი სულის სათავე, მასაზრდოვებელი წყარო და ნიადაგი, გარემო, რომელიც განსაზღვრავდა მათს ადამიანურ ფსიქოლოგიასა და ყოველდღიურ ყოფას, და ამდენად, მათი პოეზიის შინაგან წყობასა და ნივთიერ სამყაროსაც. აქ პოეტის წმინდა ბიოგრაფიული სტარტიკი არ იგულისხმება და არც მისი გუშინდელი თუ დღევანდელი მისამართი წყვეტს საკითხს.

ახალ ქართულ პოეზიაში თბილისის ორგანული პოეტური მკვიდრობა გახდნენ სხვადასხვა კუთხიდან მოსული, სხვადასხვა მასშტაბის, ხასიათისა და ყალიდის მგოსნები. რომლებმაც მეტად თავისებური და განუყოფელი გამოხატულება მისცეს თავის სულიერი სამყაროს იმ ნაწილს, რომელიც თბილისთან იყო შესისხლხორცებული, თბილისით სულდგმულობდა, სუნთქავდა.

და იყვებოდნენ, მას უსწორებდა გულისძგერასა და მაჯისცემას.

რა თქმა უნდა, ყველა მათგანი თავის წილ და საკუთარი გემოვნების თუ მიღრეკილების შესაფერ საკვებს პოულობდა ამ სულგრძელ და გულუბნე, ფერუთვალავ და ჰანგმარავალ ქალაქში.

და აი, უკვე ათ წელზე მეტია, რაც თბილისს კიდევ ერთი პოეტური მკვიდრი — ოთარ ჭილაძე შემოემატა. თბილისის გახდა ის აკვანი, სადაც დღემდე პოეტის შთაგონება, თბილისის გახდა ის ბუდე, სადაც იზარდა და მოლონირდა მისი სიტყვა, ის ასპარეზი, სადაც მან ლექსით ცხოვრება დაიწყო.

რა შეაგება პოეტს ქალაქმა, რომელი თავისი საიდუმლო გაანდო, ან რა სურათები გადაუშალა? რომელ ქუჩებზე გაატარა, რომელ უბნებში შეიპატიჟა, წელიწადის რომელი დროით მოაწონა თავი, როგორი ამინდით მონუსხა, თავისი კრელი და რთული, დაძაბული და მრავალსახოვანი ცხოვრების რომელ კუთხეში შეახედა? მას ხომ შეეძლო ბესიკისა და საიათნოვას დროიდან შემონახული, არა ერთი ახალი პოეტის ტილოებზე ბრწყინვალედ აღბეჭდილი კოლორიტის ანარეკლი შეეთავაზებინა მისთვის? ან ხომ შეეძლო ორმოცდაათიანი წლების დამდეგისა და შუაგულის ახალშენთა ჯერ არქიტექტურული ფუფუნება და მერე უღიმღამო, გაძარცული უტილიტარიზმი მოეხეია თავზე? მაგრამ ასე არ მოხდა. ოთარ ჭილაძის მესაიდუმლო იმთავითვე მისი ბავშვობისა და ყრმობის თბილისი გახდა და დარჩა დღემდე: ოცდაათიანი წლების თბილისი, შემდეგ ომისდროინდელი მკაცრი მომჭირნეობის დაღდასმული, საქართველოს ყველაზე ევროპული ქალაქი, რომელმაც თავისი ყოფილი სულიერი სიმდიდრის არც ერთი მისხალი არ დასთმო დროთა ბრუნვაში და არც განახლების სიოს უქცია ოდესმე გვერდი, დარჩა ძველი და გახდა ახალი.

თავისი მეტეხითა და სიონით და თავისივე სოლოლაკითა და ვერით, ეს ის თბილისი გახლდათ, რომელმაც ეგზოპანაცვიფრა და მოხიბლა ოცდაათიანი წლების დამდეგს აქ სტუმრად ჩამოსული და სამუდამოდ მეგობრად გასტუმრებული ბორის ასატერნაი, რომელმაც შემდეგ შემუარებდა და პირად წერილებშიც გააშუქა თავის მოგონებათა ეს სანუკვარი კუთხე საოცარი წვდომითა და შთაგონებით: „გხედავ თვალნათლივ ზამთრის დამით სოლოლაკისკენ მიმავალ აღმართს, დამშვენებულს ხეებითა და ხაზგასმულად ევროპული არქიტექტურის შენობებითა, რის გამოც გულში იღვიძებს რაღაც პეტერბურგული მღელვარება, რომელსაც აღგიძრავს არა მარტო აღტაცება, არამედ დაინტერესება იღუმალებით, მღელვარება და შემფოთება, რომელსაც ბადებს ნახევრადამოუცნობი რაღაც საბედისწერო ამბავი“... ასე შეეხმინა ერთმანეთს დიდი რუსი პოეტის და ჩვენი გულითადი მეგობრის აღქმაში ბლოკის პეტერბურგი და გალაკტიონის თბილისი. აი ასეთმა თბილისმა ჩაიყარა მყარი საძირკველი მომავალი ქართველი პოეტის გულში, რომ ამგვარივე აღმართულიყო ოცი წლის შემდეგ მის პოეზიაში.

...წარმოდგინეთ თბილისის ქუჩებში შემოდგომისა და ზამთრის დამით წვიმის, ქარის ან თოვლის შმაგობა... ცას ეტმასნება მოწყენილი და სველი ცვამლი... ნარბენი კაცის გულივით ფეთქავს საათი, ქუჩა, ფოთოლი, წვეთი... დამე შუბლით აწევა კარებს, ქარი კი ჰადრებს ამტვრევს პროსპექტზე, გადარბის სახურავებზე და თან გადააქვს ქარხნების ბოლი... კვიან სადგურებო და ბნელში აქა-იქ ნათლდებიან ფანჯარები... გაჩაღებული სახაზაზოდან პურის სურნელი ამოდის და ავსებს ქუჩას, რომ იქვე შეეზავოს სველი რკინისა და ქვების სუნს... ერთ-ერთ განათებულ ფანჯარაში ლანდალ მოსჩანს წიგნში ჩაძირული კაცის სილუეტი. მაგრამ გრძელ თმებში ტრტებ-

გაჩხვრილი ქარი ოთახშიც აღწევს და თითქოს კედლებზე აჭედებს ლურსმნებს. სმენა უკვე ქარისა და წვიმის რიტმებს გაუტაცნია... კაცი ქუჩაში გამოდის, გამორბის, გრძნობს, თუ როგორ ეძახის გარეთ ყველა ფოთოლი და ყველა წვეთი, ყველა უბრალო ნაბიჯი მთვარის, ყველა გამელელის სახე და ბედი... იგი უკვე თვით დამგვანებია ფოთლებს, თავის ნებაზე რომ დააქროლებს ქარი და მას გზას უღობავენ და წივილით აცილებენ სველი ტოტები და მეთულები, ქარის, წვიმის, თუ თოვლის ძახილს ხშირად მატარებლის მომაჯადოვებელი სტენაც ემატება და აი გზაში, კუბეში, ბორბლებზე, ღამით, როდესაც ტაკუუნობს კარტი და ჭრიალებს ქარი, მაგრამ უცნობები მაშინვე კაცად გთვლიან. და უსანუკვარეს აღსარებასაც განდობენ, რომ იქვე გაქრნენ შემხვედრ ორთქლმავლის ელდასავით, გზაში, კუბეში, ბორბლებზე, ღამით კაცი ყოველთვის იძენს, არ კარგავს რაიმეს, თუნდაც იმიტომ, რომ:

ეს თოვლი მარტო თოვლი არ არის,
ეს ქარი მარტო ქარი არ არის,
ისინი საღვაც, შიგნით მალავენ
მას, რაც არ იყო დასამალავ...

ასე ერთხელ, როდესაც თბილისის ქუჩებს თოვლი ესტუმრა, ის მარტო თოვლი არ აღმოჩნდა, ფიფქების კორიანტელიდან გულითადი მეგობრის ნაკვთები გამოკრთა:

და თოვლის ირგვლივ შეგროვდა ხალხი
და ყველას თოვლი ეკერა პირზე
და თოვლს, სიმღერით ისედაც დალილს,
თხოვდნენ ვმღერა ისევ და ისევ.

მაგრამ კაცი ერთდროულად კარგავს და იძენს. ქარი მიწყდება, თოვლი გადნება, მაგრამ გალაკტიონივით სული თუ ვეცხება თოვლით, ან შენ თვითონ ხარ აფთარივით დაჭრილი, ქარი, თუ შენ თვითონ იქცევი ქარად, ქარით დაღლილი ან თუ წვიმის წილი ხარ, წვიმით ივსები, წვიმად იქცევი, თუ წვიმა და შენი ფიქრი გვანან ერთმანეთს.

მართლაც რომ ეს ქარი, წვიმა და

თოვლი, მარტო ქარი, წვიმა და თოვლი არ ყოფილა ოთარ ჭილაძის ნაშრომის პეიზაჟებში მისი ზღაპრის ნაწილი, მისი სიტყვის და საქმის კონა, მისი ცხოვრება და ღირსება აირეკლა, იმპრესიონისტული ხილვით დაჭერილ სურათთა თითქოს წუთიერ გაელვებაში დიდი სულიერი სიღრმე ამომხვეურდა. ოთარ ჭილაძის პოეტური ხილვისა და წვდომის ეს თვისება განსაკუთრებული ძალით გამომჟღავნდა მის ლირიკულ პოემებში — „შესაველი“, „ცირიკი“, „დევეებით სავეს ქული“, „თიხის სამი ფირფიტა“, „იტალიური რვეული“, „რკინის საწოლი“, „ადამიანი გაზეთის სვეტში“, „კაცის ხელები“. ამ პოემებში ავტორის სულიერი ბიოგრაფიაცაა განფენილი და ამავე დროს მალალი და პირობითი ბიოგრაფია ყველა ნამდვილი შემოქმედისა, თანამედროვეობის საჭირობოროტო და მტკივნეული განცდებითა და ფიქრით გამსჭვალული. ყველა ეს ნაწარმოები დაკავშირებულია ერთმანეთთან ერთი დიდი იდეისა და აზრის სახესხვაობათა შეხამებით, სხვანაირად არც შეიძლება მოხდეს თუ ნამდვილი პოეტის შინაგან სამყაროსთან გვაქვს საქმე, არ შეიძლება, რომ მისი სიტყვის და საქმის, ცხოვრებისა და ღირსების მთავარი აზრი ასე თუ ისე არ გამოვლინდეს თუნდაც მეტად განსხვავებულ, სხვადასხვა თემაზე დაწერილ ნაწარმოებებშიც. რაზედაც არ უნდა წერდეს ოთარ ჭილაძე — გაზეთის სვეტებში ამოკითხულ პანამელი ხალხის ტრაგედიაზე თუ ძველი შუმერულ-ბაბილონური ეპოსის „გილგამეშის“ გადაკითხვით აღძრულ ფიქრებზე, გალაკტიონ ტაბიძის შუქმოსილ ცხოვრებაზე და უშუალოდ თავის პოეტურ ეთიკურ და ესთეტიკურ მრწამსზე, თავის სულიერ განწყობაზე იტალიაში მოგზაურობის დროს თუ საკუთარი ბავშვობის და ყრმობის წლების მოგონებაზე, მაიაკოვსკიზე თუ გარსია ლორკაზე, სენტ ეგზიუპერზე თუ ბელა ახმადულინაზე, არამქვეყნიურ სიწმინდეს ნაზიარებლამანჩელ რაინდ ღონ-კიხოტზე თუ

ადამიანის სულში სატანის დამორ-
გუნავ და ღმერთის შიშებელ ჰამ-
ლენტზე, ვაჟაზე თუ მის გულთმისან
მინდიაზე, — ჩვენ ყველგან ვხედავთ
ერთ გამკოლ, მაგისტრალურ იდეურ
კონცეფციას, პოეტის ზეამოცანას.
ეს არის დაძაბული ფიქრი ადამიანის
შემოქმედებითი დანიშნულების შესა-
ხებ, განცდა კულტურისა, როგორც სა-
უკუნეთა მანძილზე ადამიანის უძინებე-
ლი გონებრივი და ფიზიკური შრო-
მის შედეგისა და გვირგვინისა, ფიქრი
ხელოვნების, სამშობლოსა და სიყვა-
რულის, ე. ი. ესთეტიკურის, მოქალაქე-
ობრივობის და პირადულ-ზნეობრივის
ურთიერთკავშირისა და ურთიერთ-
შერწყმის შესახებ. პოეტს სურს ამ
პრობლემათა როგორც საკუთრივ თა-
ნამედროვე ასპექტში გააზრება, ისე ის-
ტორიულ პლანში გადაწყვეტაც, რად-
გან თანამედროვეობა მისთვის კანონ-
ზომიერი შედეგია ისტორიისა. ხოლო
ყოველი დიდი ისტორიულ-კულტუ-
რი მოვლენა თავისებური უკუფენა და
პრეისტორიაა დღევანდელი ადამიანის
სულიერი განცდისა. შემოქმედებისა და
კულტურის უწყვეტობა, მათი მოძრა-
ობა დროსა და სივრცეში — აი რა აინ-
ტერესებს პოეტს, რომლისთვისაც
ჩვენი დღევანდელი სოციალური, პუ-
მანისტური, კულტურული, ეთიკური და
ესთეტიკური, ან მოკლედ და უფრო ზუს-
ტად რომ ვთქვათ, ჩვენი სოციალისტური
სამყარო შედეგი და გვირგვინია ისტო-
რიის მთელ პროგრესული და შემოქმე-
დებითი განვითარებისა. პოეტი კითხუ-
ლობს ძველ წარწერას წარსულის ფირ-
ფიტაზე ახლებურად მხოლოდ იმიტომ,
რომ დაინახოს ისტორიის და კულტუ-

რული პროცესის შემოქმედი ადამი-
ანური ძალა, თავისებური ტანსტური
სული ისტორიისა.

მაგრამ მან ისიც იცის დაბეჯითე-
ბით, რომ კაცობრიობის ერთიანობა და
სულიერი მთლიანობა სრულიადაც არ
ნიშნავს ადამიანისა და მხეცის ერთი-
ანობას, ადამიანურისა და არაადამი-
ანურის პარამონიულ შერიგებას. მან კარ-
გად იცის, თუ როგორ იცემა კაცობ-
რიობის დამე „დარდით და შიშით—სი-
ცოცხლის მომტან ალერსის ნაცვლად
და იარაღის ხმარებას სწავლობს ხე-
ლი, რომელიც ხატავდა გუშინ და
მკვდარ მეგობარს სამარეს უთხრის ხე-
ლი, რომელიც პურს მკიდა გუშინ,
სისხლის გუბეში ფართხალებს და ქვებს
ეკიდება ხელი, რომელმაც სიყვარული
გაიგო გუშინ“. მძაფრი და ისარივით ზუ-
სტად გამიზნული პოემების — „საშრეკ-
ლოების მდუმარე ჩრდილში“ და „ად-
მიანი გაზეთის სვეტში“ — ავტორმა კა-
რგად იცის, რომ გრძელდება დედამიწა-
ზე ჯალათისა და პოეტის შეურიგებელი
ორთაბრძოლა, თავისუფლებისა და ტი-
რანის უკომპრომისო და საბედისწერო
შეტაკება. და იგი ალუდა ქეთელაუ-
რის შემართებით წყევლის ჯალა-
თის მოდგმასა და ჯილაგს, რათა ქებათა-
ქება შეასხას კაცობას, ადამიანურობას,
თავისუფლებას, მშობას, ერთობას,
მშვიდობას, შრომას, ბედნიერებას:

პატივისცემის ღირსია ყველა,
ვისაც სამშობლო შერჩა და უყვარს,
ვისაც სამშობლო უყვარს და ცდილობს
ალარ დაადგას ქედზე უღელი.
არ დაამციროს ადამიანთა
ყველაზე დიდი მონაპოვარა,
ყველა ნაყოფზე ტყბილი ნაყოფი:
თავისუფლება



დ. უზნაძის დაბადებიდან 80 წლის უმსრულეობის გამო

დ. უზნაძე სიციხე-სივნიძე დიდ მეცნიერად იყო ცნობილი. მისი შრომები ფსიქოლოგიის ცალკეულ საკითხებზე და განსაკუთრებით მისი ორიგინალური კონცეფცია პიროვნების ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორის — განწყობის შესახებ (განწყობის თეორია) მაშინაც შეეცნო, როდესაც ციკლისტების ურთიდადების ცენტრში დადგა. მაგრამ დ. უზნაძის დიდი მეცნიერული მემკვიდრეობა მეტადვე განწყობის თეორია, მისი გარდაცვალების შემდეგ უფრო ცხოველყოფილი აღმოჩნდა; საგრძნობლად გაიზარდა მისდამი მეცნიერთა ინტერესი და დღეს, მისი გარდაცვალებიდან თითქმის 20 წლის მიწურულს, დ. უზნაძის სახელმა და მისმა თეორიამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა. ფსიქოლოგთა საკავშირო ყრილობებზე განწყობის თეორიას ცალკე სექციის სახელით ამაყობდნენ, ფსიქოლოგთა XVIII მსოფლიო კონგრესზე (1966) მას ცალკე სიმპოზიუმში მიუძღვნეს, მისი წიგნი ითარგმნება ნიუ-იორკში, ლონდონში, პარიზში. დ. უზნაძე და მისი განწყობის თეორია დღეს აქტუალური მეცნიერული ძიების საგანია.

ფსიქოლოგიის საკავშირო ჟურნალმა „Вопросы Психологии“ (1967, № 2, მარტი-აპრილი) დ. უზნაძის დაბადებიდან 80 წლისთავს საჩუქრულად წერილი უძღვნა. ქვემოთ ვაბრუნებთ ამ წერილს.

80 წელი შესრულდა საქართველოში ფსიქოლოგიური მეცნიერების დამფუძნებლის, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, საბჭოთა კავშირის უდიდესი ფსიქოლოგის, მსოფლიოში სახელმწიფო მეცნიერის, საყოველთაოდ ცნობილი ორიგინალური მეცნიერული თეორიის — განწყობის თეორიის შემქმნელის — დიმიტრი ნიკოლოზის ძე უზნაძის დაბადებიდან.

დ. ნ. უზნაძე დაიბადა დასავლეთ საქართველოში, სოფელ საქარაში. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის გიმნაზიაში, რომლის უკანასკნელი კლასიდან გარიცხეს 1905 წლის რევოლუციური მოძრაობაში მონაწილეობისათვის. უმაღლესი განათლება მიიღო ლაიფციგის უნივერსიტეტში, რომლის ფილოსოფიური ფაკულტეტი დაამთავრა 1909 წელს. იმავე წელს პალეს უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიის დოქტორის ხარისხზე. ლაიფციგის უნივერსიტეტის არქივში დღესაც ინახება ერთ-ერთი სემინარის მსმენელთა სია დ. უზნაძის გვარის აღნიშვნით.

ლაიფციგის უნივერსიტეტში დ. ნ. უზნაძე ფსიქოლოგიის სწავლობდა ექს-

პერიმენტული ფსიქოლოგიის ფუძემდებლის ვ. ვუნდტის უშუალო ხელმძღვანელობით, მსოფლიოში ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის პირველ ლაბორატორიაში.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დ. ნ. უზნაძე დაბრუნდა ქუთაისში, სადაც დაიწყო მუშაობა გიმნაზიის მასწავლებლად; ამავე დროს ის აბარებს გამოცდას ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ექსტერნის წესით.

უკვე თავისი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე დ. ნ. უზნაძე აქვეყნებს რიგ შრომებს ფილოსოფიაში, პედაგოგიაში და ფსიქოლოგიაში.

დ. ნ. უზნაძის მოღვაწეობის ძირითადი პერიოდი 1917 წლიდან იწყება, როცა ის, რევოლუციის შემდეგ, თბილისში გადმოდის. აქ ის აქტიურ მონაწილეობას იღებს თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში. უნივერსიტეტის პუმანიტარულ (ფილოსოფიურ) ფაკულტეტთან აყალიბებს ფსიქოლოგიურ განყოფილებას. 4 წლის შემდეგ, ფსიქოლოგიის კათედრასთან აარსებს საქართველოში ფსიქოლოგიის პირველ ლა-

ბორატორიას, რომელიც, ამდენიმე წლის შემდეგ, მისივე შრომების მეოხებით, ცნობილი ხდება ფსიქოლოგთა შორის მთელს მსოფლიოში.

ამ ლაბორატორიაში უზნაძის ხელმძღვანელობით ექსპერიმენტულად მოპოვებულ იქნა ახალი ფაქტები, რომლებიც შევიდნენ ფსიქოლოგიურა პეცნიერების ისტორიაში და სამუდამოდ დარჩებიან მის „ოქროს ფონდში“ (საგანწყობო ილუზიის ინტერმოდალური ტრანსპოზიციის ფაქტი, ერთი და იმავე ობიექტების ნომინაციის შალალი ინტერინდივიდუალური კორელაციის ფაქტი და სხვ.). პიაკემ ერთ-ერთ ასეთ ფაქტს უზნაძის სახელი მიაკუთვნა — „უზნაძის ეფექტი“ უწოდა და მას თავისი ცნობილი გამოკვლევა მიუძღვნა. დ. უზნაძის მიერ მოპოვებული ფაქტები დამოწმებულია თანამედროვე ფსიქოლოგიის ისეთ „კლასიკურ“ გამოკვლევებში, რომლებიც ამ მეცნიერების ისტორიას ქმნიან. არაჩვეულებრივად ფართოა დ. უზნაძის მეცნიერული საკვლევები ინტერესების დიაპაზონითავეისი შემოქმედებითი წვლილი მას შეაქვს ზოგადი ფსიქოლოგიის ძირითადი პრობლემების დამუშავებაში, ასეთია — აღქმის, წარმოდგენების, ყურადღების, აზროვნების, ნებისყოფის, მეტყველების პრობლემები, ასევე ბავშვის ფსიქოლოგიის და, საზოგადოდ, განვითარების ფსიქოლოგიის პრობლემები, პედაგოგიური ფსიქოლოგიისა და, განსაკუთრებით, პიროვნების ფსიქოლოგიის პრობლემები.

დ. უზნაძემ საფუძველი ჩაუყარა არა მარტო გამოკვლევათა მთელ რიგს ფსიქოლოგიური მეცნიერების ყველა ამ დარგში, რომელთაც დღეს მისი მოწაფეები და ამ მოწაფეების მოწაფეები ამუშავებენ, არამედ მსოფლიო მეცნიერებაში ამჟამად მიმდინარე ფართო მეცნიერული ძიების ზოგიერთი პრობლემის ექსპერიმენტულ დამუშავებასაც, როგორცაა, მაგალითად, ნომინაციის აქტის ფსიქოლოგიური სა-

ფუძვლების ექსპერიმენტული ძიება რაც ამჟამად ფსიქოლოგიის უდიდეს საზღვარგარეთელ წარმომადგენელთა კვლევის საგანს შეადგენს.

მაგრამ დ. ნ. უზნაძის მრავალწინანაგოვანი შემოქმედებითი ცხოვრების ძირითადი საქმე იყო მის მიერ განწყობის თეორიის აგება, რამაც მოიპოვა ფართო მსოფლიო რეზონანსი, განსაკუთრებით, მისი ავტორის სიკვდილის შემდეგ.

თუმცა განწყობის ცნებას სამოცდაათი წლის ისტორია აქვს, მაგრამ დიმიტრი ნიკოლოზის ძის მიერ შემუშავებული თეორიის უდიდეს უპირატესობას ყველაზე მეტად შეადგენს ის, რომ მისმა ავტორმა, სხვა დანარჩენი პრავალრიცხოვანი ავტორების საპირისპიროდ, რომლებიც განწყობის ცნებას იყენებდნენ და იყენებენ, შეიმუშავა თვით განწყობის კვლევის ექსპერიმენტული მეთოდი, რის შედეგად, მისი ხელმძღვანელობით, გამოვლინდა განწყობის მთელი რიგი როგორც ზოგადფსიქოლოგიური, ისე დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური თვისებებისა და მისი მოქმედების კანონზომიერებანი. დ. ნ. უზნაძე არ შემოიფარგლა, როგორც სხვა ავტორები, საკვლევ პროცესებში (აღქმაში, მეტყველებაში, ქცევის „რიგდობაში“ და ა. შ.) განწყობის ფაქტორის მხოლოდ გამოვლენით.

1941 წელს საქართველოში არსდება მეცნიერებათა აკადემია. დ. უზნაძეს ირჩევენ მისი პირველი შემადგენლობის ნამდვილ წევრად; ამასთან დაკავშირებით აკადემიის სისტემაში არსდება ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც ისე, როგორც თბილისის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრას, ხელმძღვანელობს დ. ნ. უზნაძე სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

დ. უზნაძის სიცოცხლე შეწყდა 64 წლის ასაკში — 1950 წლის 12 ოქტომბერს. ეს მოხდა მისი ხელმძღვანელობით მოქმედი ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მორიგ (ყოველკვირეულ) საპეცნიერო კონფერენციის სხდომაზე, იმ მო-

ნენტში, როცა თვითონ იგი გადმოსცემდა თავის ორიგინალურ კონცეფციას განსახილველ საკითხზე.

თავისი შედარებით ხანმოკლე, მაგრამ არაჩვეულებრივად დატვირთული და ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობის მანძილზე დ. უზნაძემ მოაშადა მეცნიერ ფსიქოლოგთა მაღალკვალიფიციური კადრები და თავის გარშემო შემოიკრიბა მეცნიერ მუშაკთა კოლექტივი, რომელიც ამჟამად განაგრძობს მის მიერ დაწყებულ საქმეს — ამუშავებს უმთავრესად განწყობის ფსიქოლოგიის პრობლემებს, აგრეთვე, თანამედროვე ფსიქოლოგიის მთელ რიგ სხვა აქტუალურ პრობლემებსაც განწყობის თეორიის შექმნა.

უდიდესი როლი ამ მეცნიერული კოლექტივის ჩამოყალიბებაში, რომელიც ასე ფართოდ არის ცნობილი როგორც სსრკ-ში, ისე მის ფარგლებს გარეთ, დიმიტრი ნიკოლოზის ძის განსაკუთრებული ნიჭის გარდა (ის იყო ბრწყინვალე ლექტორი და სემინარული მუშაობის უბადლო ხელმძღვანელი), შეასრულა მისმა პიროვნულმა ქარაქტეროლოგიურმა თვისებებმა. მას შეეძლო არა მარტო გაეტაცა ახალგაზრდობა მეცნიერული პრობლემების საინტერესო დასმით და საინტერესო იდეებით, არამედ მორალურად შეემჭიდროებინა იგი თავის გარშემო, აღეძრა მისი ღრმა მეცნიერული ინტერესები. უნივერსიტეტთან ფსიქოლოგიის განყოფილების არსებობის პირველ წლებში, როდესაც რესპუბლიკაში არ იყო სამეცნიერო ფსიქოლოგიური დაწესებულებანი და ფსიქოლოგებს მუშაობა უხდებოდათ არა თავის სპეციალობაში, ისინი არ სწყვეტდნენ კავშირს დიმიტრი ნიკოლოზის ძესთან და არა მარტო აწარმოებდნენ სამსახურიდან თავისუფალ დროს უსასყიდლოდ მეცნიერულ მუშაობას, არა მარტო ამუშავებდნენ მეცნიერულ თემებს, არამედ წლების მანძილზე ყოველ კვირაობით იკრიბებოდნენ ლაბორატორიაში, სადაც დიმიტრი ნიკოლოზის ძის ხელმძღვანელობით ტარდებოდა სემინარი

ფსიქოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე, — იკითხებოდა მოხსენებები და სხვ. ამ სემინარს ეწოდებოდა „ფსიქოლოგიის სემინარი“. ჩვეულებრივ მასში მონაწილეობას იღებდნენ უკანასკნელი კურსის სტუდენტებიც. ამ სემინარის საფუძველზე შემდეგში დ. უზნაძემ ჩამოაყალიბა საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოება, რომელმაც ფსიქოლოგებთან გააერთიანა მოსაზღვრე მეცნიერების წარმომადგენლები — ფიზიოლოგიის, ფსიქიატრიის, პედაგოგიის დარგში მომუშავენი. ეს იყო ფსიქოლოგთა პირველი მეცნიერული საზოგადოება სსრკ-ში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ არაჩვეულებრივად გაიზარდა ინტერესი დ. უზნაძის თეორიის მიმართ საზღვარგარეთ მისი გარდაცვალების შემდეგ. განსაკუთრებით კი, ამ ბოლო წლებში. უკანასკნელ (XVIII) საერთაშორისო ფსიქოლოგიურ კონგრესზე (1966 წ., მოსკოვი), პირველად ფსიქოლოგთა კონგრესების ისტორიაში, სამეცნიერო სიმპოზიუმში მიეძღვნა განწყობის თეორიას. გარდა საბჭოთა ფსიქოლოგებისა, სიმპოზიუმში მონაწილეობა მიიღეს მრავალი სხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა (საფრანგეთი, გერმანია, აშშ, უნგრეთი და სხვ.). ყურადსაღებია, რომ პ. ფრესმა თავის გამოსვლაში ამ კონგრესზე განაცხადა, განწყობის პრობლემას ვთვლი თანამედროვე ფსიქოლოგიის ძირითად პრობლემად და აღნიშნა ის დიდი წვლილი, რომელიც შეიტანეს ამ პრობლემის დამუშავებაში ქართველმა ფსიქოლოგებმა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს განცხადება გაკეთდა დიმიტრი ნიკოლოზის ძის გარდაცვალებიდან მეორე ათეულის მიწურულს, მაშინ ნათელი გახდება მის მიერ შექმნილი და შემუშავებული თეორიის ნაყოფიერება, თეორიისა, რომელმაც ბევრად გაუსწრო მისი ავტორის სიცოცხლეს.

1 ფრანგ ფსიქოლოგი, ფსიქოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის თავმჯდომარე (რედაქციის შენიშვნა).

მოგონებანი ნიკო ფიროსმანიძე

მცირე შენიშხვა

ვ. ჩაჩანიძის მოგონებები ძვირფას მასალას შეიცავს, როგორც ძველი თბილისის ერთ-ერთი უბნის, რიყის ისტორიისათვის, აგრეთვე დიდი მხატვრის ნიკო ფიროსმანიძის ბიოგრაფიისათვის. ჩვენი მხატვრის ბიოგრაფიული მასალიდან აქ წარმოდგენილია მხოლოდ ერთი პერიოდი, სახელდობრ, პერიოდი, როდესაც ის რიყეში ცხოვრობდა. შემდეგ ფიროსმანიძე ილია ვაგზლისა და დიდუბის მიდამოებში გადასულა საცხოვრებლად. ამიტომაც ბუნებრივია, თუ ის ვ. ჩაჩანიძის თვალთახედვიდან დაიკარგა და ამ მასალებში მისი ცხოვრების შემდეგმა პერიოდმა ადგილიც ვეღარ კმოვა.

საყურადღებოა, აგრეთვე, თვითონ ჩაჩანიძეების ოჯახის ისტორია, რაც ქართველი გლეხის ცხოვრებას ასე კონკრეტულად ასახავს. ვ. ჩაჩანიძე სწავლობდა თბილისის ქართულ გიმნაზიაში და სწავლასთან ერთად თავის მეტეუდე მამასა და ძმას ესმარებოდა მუშაობაში.

რალაც ბედნიერი თუ უბედური შემთხვევის გამო, ვ. ჩაჩანიძე უნებლიე მოწმე გამხდარა ჩვენი უპატრონოდ გარდაცვლილი ნიკო ფიროსმანიძის დაკრძალვისა. ვ. ჩაჩანიძე ერთადერთი მოწმეა, რომელსაც კარგად ახსოვს, სად არის დაკრძალული „საწყალი ნიკალა“. მართალია, ახლა იმ ადგილას პატარა სახლები დგას, მაგრამ ეს დიდ დამბრკოლებას არ უნდა წარმოადგენდეს. ოღონდ მისი საფლავი აღმოჩნდებოდა და...

პირველ რიგში, თბილისის აღმასკომმა, მხატვართა და მწერართა კავშირებმა უნდა ითავონ ეს კეთილშობილური საქმე და მიუჩინონ მხატვრის ძელებს თავისი ადგილი.

დემნა შენგელიანი

მამაჩემი მეტეუდე იყო და ზედმეტ სახელად „შაშოს“ ეძახდნენ. ათიოდე წლის იქნებოდა, როდესაც ახლად დაქვრივებული დედამაჩემი თავისა ორი ობოლი ბავშვით ქალაქში ჩამოსტულა.

ჩვენი წინაპარნი რაჭის სოფელ სხვაეიდან ზემო იმერეთის სოფელ შეტრეთში დასახლებულან ერთ დროს, ხოლო შემდეგ, როდესაც იმერეთის მეფეს — სოლომონ მეორეს თავისი და მ. ორბელიანისათვის მიუღობებია — პატარაქალს თან მაცურები და ყმებიც გამოჰყოლია. ამ ამალაში ჩვენი წინაპარი (მამის პაპა) თედორე ჩაჩანიძეც ყოფილა. ორბელიანი სოფელ კენისში ცხოვრობდა. მას თედორესათვის უჩუქებია მიწის ნაკვეთი და დაუსახლებია სოფელ წალასყურში. აქ თედორე დაოჯახებულა და აქემად 25 კომლამდე ჩაჩანიძეები არიან ამ სოფელში. აღსანიშნავია, რომ ესლაც ჩვენი გვიანის ხალხს სოფელში „თედორეანთა“-ს ეძახიან.

პატონყმობის ვაჭრების შემდეგ ჩემს მამაპიძეს ისე პატარა მიწის ნაკვეთი რგებიათ, რომ მით თავის ოჩენა შეუძლებელი ყოფილა, ამიტომ დადებამეშ 1865 წელს თავისი ორი შვილი — იოსები და ზაქარია — წამოუყვანია

თბილისში. ციხისუბანში, წმინდა ეკატერინეს ეკლესიის გვერდით ერთი პატარა ოთახი უჭირავებია და მცერაობით იწახავდა ოჯახს. მამაჩემი მეფისნაცვლის სტამბაში მიუყვანია „ვერტელშიჩადა“, რადგან მამინ ელექტრონი არ იყო, მანქანას ზელით ატრიალებდა ორი კაცი. შემდეგ ამისა, იგი მეტეუდე ახელაქესთან მიუბარებია და 1887 წელს ამქარს ოსტატადაც დაულოცავს. იოსები ტრადიციის კაცი იყო და წინე საკმაოდ შესწევდა. ჭირიანხევეში გამართულ მეშტისა და ზალდასტის კრივებს არასოდეს არ დააკლდებოდა და ჩვენი პოეტის გრიგოლ ორბელიანის ფალენადაც ითვლებოდა. მამაჩემს რვა შვილი ჰყავდა და თავისი მარჯვენით 11 სულასავან შემდგარი ოჯახს (მშობლები, დიდებუ და მ. ბავშვი) გვიჩახავდა.

მამაჩემს უყვარდა ძმაცემები, ქეიფი, და მას ყველა მიკიტანი ენდობოდა ანუ, როგორც მამინ იძახდნენ, „დავერია“ ჰქონდა.

მე დაევიადე 1902 წელს, 7 წლისა ვიყავი. როდესაც დედამ მიმბარა ერთელასიან სამოქალაქო სასწავლებელში, როგორც წირჩანებულმა მოსწავლემ მივაპყარი სასწავლებლის ფეროსის — მარიამ ეახებინშვილ-წერეთლის

ყურადღება, წერეთელს (1874-1963 წ. წ.) მამინდელ მოწინავე საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა დამსახურებული და, წინააღმდეგ მამანეთის სურვილისა, მოამარჯო თბილისის ქართულ გიმნაზიაში (ახლანდელ უნივერსიტეტის შენობაში) უფასო სწავლით და კვებით. მე ვსწავლობდი და თან ემუშავებდი სახელოსნოში მეკრავთ ხელობაზე, რაც მაშინ იშვიათი შემთხვევა იყო. ასე გაგრძელდა 1923 წლამდე, როდესაც შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დამინიშნეს რა სტაჰენდია, ჩამოემორღი სახელოსნოს.

1910 წელს მიმიყვანეს ქუდების სამკერვალო სახელოსნოში მოწოდებ. სახელოსნო მდებარეობდა ძმების ხოსროველების ქარავასლის შენობაში. მზის მოედანთან ახლოს. სახელოსნოს გვერდით ორთაჟალაში მიმავალი ტრამვაის ვაგონებმა იყო. ამ ქუჩაზე როგორც მგზავრების, ისე ეტლებების და საზიდრების დიდი მობრბომა იყო. ხოსროვეები ორი ძმანი იყვნენ. მათ დიდი ქონება ღარჩათ ვაჭარ მამისაგან. მათ გადაეცათ შენობა და გახსნეს ქარავასა, რომელშიაც 100-ზე მეტი საეაჭრო და დიდი საწყობები იყო. ამ საწყობებში ინახებოდა უამრავი სასურსათო საქონელი, რომელიც ბითუმად მოვაჭრეებს ეყუთებოდა. აქ მოქმედებდა იბარის, ინდოეთის და სხვა ქვეყნების ზილი (ქიმიში, ფსტა, ქალბანდამი, ნუყლი, ინდის ხერმა და სხვა). ერთ ძმას (ხოსროვეს) ლიოვა ერქვა და ეკიმი იყო, ხოლო მეორე ძმას არშვა ერქვა, რომელიც შედის ჯარში პოლკოვნიკის წინით მასხურობდა. ძმებს დიდი შემოსავალი ჰქონოდათ ყოველთვიურად. მარტო საიჭარო ქირა 2.000 მანეთზე მეტი ვროდებოდა. ექიმი ლიოვა სულთ და ხორციელ ვაჭარი იყო და ხშირად ატყუებდა ძმას შემოსავლის რაოდენობის გაყოფისას. იგი მარტებლობდა იმით, რომ პოლკოვნიკი არშვა ხშირად თბილისში არ იყო.

ამის საფუძველზე ძმებს ჩხუბი მოევიდათ და კინდამ ერთმანეთი დახოცეს. ძმებმა მამულს გაყვეს ორად და რამდენიმე წლის შემდეგ მთელი მამული (ქარავალით) იყიდა ვაჭარმა ხითაროვმა (მხითარიაქმა) და ქარავასლას მხითაროვის ქარავასა ეწოდა.

სახელოსნოში მე ხშირად თავისუფალი დრო მქონდა; ასეთ დროს ზან ვმეცადინებოდი, ხან კი სახელოსნოს შემადანდ ვატო, ტორტუარის პირად ჩამოვყვებოდი და ვათავლიებოდი ხალხის მოძრაობას და სავაჭროების შემოხობას.

სახელოსნოს მოპირდაპირე მხარეს, მირზოვის ქარავასლაში (რომელიც შემდეგ იყიდა ვაჭარმა ბახჩიევმა და მის სახელს ატარებდა) მოთავსებული იყო სამიკიტრო „ანაგა“ — რომელიც ორ ძმას — მიხოს და იასე ვარსიმოვიებს (ვარსიმაშვილი) ეკუთვნოდათ. მიხოს თბილისის მიკიტრების უსტაბაში იყო. მის დუქნის წინ ჩერდებოდა ორთაჟალის ტრამვაი. ყოველთვიურ ბალხმარავალი იყო. სამიკიტროში დიდიდან შეა-

ღამედვე უკრავდა არდანი, ზურმა და სხვა-სხვა, იყო გამაყრუებელი ხმაური და მთავრობა ხალხის დროსიევილი. ამ სამიკიტრშიც უფასო დენენ ბაღალ-ხანის ხილის ვაჭრებზე და ყველაზე მოვარე კონტოები, ხელოსნები, ყარაჩიხელები, მეტეხის ციხის ქვეშ განლაგებული მეხაშვები და სხვა მრავალი მოქევი. მამანეთი, ამხანაგებთან ერთად, ხშირი სტუმარი იყო ამ სამიკიტროს.

და არც ნათესავეები თბილისში. მამაჩემის თაოსნობით და აგრეთვე მეზობლების დახმარებით უნდა მომხდარიყო მისი დასაფლავება. ზალს ეწინააღმდეგებოდა „ისპანეთი“ გარდაცვალებულისა და ამიტომ არავინ არ ეკარებოდა ახლოს. იგი ჩასვენეს კუბოში, დაუდგეს ორთავლიან საზიდარზე და ორი მუშის დახმარებით მიასვენეს პეტრე-პავლეს სასაფლაოს გვერდით არსებულ უპატრონოთა სასაფლაოზე. მე მომცეს ფული და დამავალეს მიმეცა იგი იმ ორა მუშისათვის, რომელმაც გათხარეს საფლავი, აგრეთვე საზიდარის პატრონისათვის. აუცილებელიც უნდა მიმეწვია მღვდელი, რათა ქრისტიანული წესით ეკურთხებინა საფლავი. თან მოთხარეს, ორი ცალი ოცმანეთიანი (კერენსკის ფული), დასაფლავების შემდეგ წამოყვანი მუშები და შესაწირობრივ დამუღვივებინა. მე გავყვეი მუშებთან ერთად საზიდარს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. როდესაც ჩამოვასვენეთ მიცვალებული, მუშებს ვთხოვე არ ჩაესვენებინათ სამარტში, რადგან მღვდელი უნდა მოვიყვანო-მეთქი. აღმოსავლეთის კარებიდან შევიღე სასაფლაოზე და გავსწიე ეკლესიისაკენ. პეტრე-პავლეს ეკლესიის მღვდელი ილქსი სამადლაშიელს წირვა დაეძაფრებინა და კარების წინ სკამზე იყო ჩამოჭდარი. მე ვემთხვეე მღვდელს და ვთხოვე წამობრძანებულყო მიცვალებულის საწირავად. შევიღე ეკლესიაში და ვიყიდე სანთლები. დაიკანშა მოაზნადა საციცხლური, დაიკა მღვდლის ოლარი და გამომყენენ ორივენი. გავედით რა სასაფლაოს კარებიდან გარეთ, მღვდელი მივიყვანე მიცვალებულთან. მათ დაიწყეს ლოცვა. ამ დროს შევამჩნიე, რომ კარების მოპირდაპირ მხარეს იდგა ოთხთავი საზიდარი, რომელითაც საავადმყოფოდან მიცვალებულებს ასვენებდნენ. მე ავანთე სანთლები და მივეცი მუშებს, რომელთაც უნდა დაესაფლავებინათ. როდესაც ვალობას ვუხმენდი, ჩემთან მოვიდა საზიდარის მვეტლე, რომელიც მიცნობდა, მას დაუნახებარ მღვდელთან და დიკაინთან ერთად გამოსული სასაფლაოს კარებიდან. ეს იყო ჩემი ძველი ნაცნობი მიშა ანუ „პაქუა მიშა“, რომელიც ჩვენი სახელოსნოს პირდაპირ საღებავებით მოვაჭრე პაპოვთან იყო ნოჭრად 10 წლის განმავლობაში. მე ვიცოდა, რომ იგი მუშობდა საავადმყოფოებში გარდაცვალებულების დაკრძალვის სამუშაოებში. მიშამ მოთხარა: „ეასო, იცო, საწყალი ნიკალა მომკედარა და უპატრონოდ ვასაფლავებო“. მე დავეჩერებოდით, თან შევეცოდა საწყალი აღმშინი და ვუთხარა: — „თუ არ დავიმარხია, მაჩვენე-მეთქი“. მისი ხარვად იცნობდა ფიროსმანს, რადგან მისი პატრონის მუშტარი იყო და მუდმივად მათგან ყიდულობდა საღებავებს და სხვა საქირო მასალას.

მღვდელი განაგრძობდა წირვას, მე და მიშა მივედით მის საზიდართან. მან ერთერთ შეუ-

ღებავ კუბოს ახდა თავი და მაჩვენა ფიროსმანი. იგი ძალზე გამხდარიყო და ყუთივით ფერი ელო. მე ძალზე შეშეშული და შეშინებული ნიკალა, რომ ასე უპატრონოდ დამაფლავებდა იმარხებოდა. გადაწყვიტე ნიკალა შეწირვებიანი მღვდლისათვის. მიშა გაუფრთხილეს. შეგნებინა დასაფლავება. ედრე მე მღვდელს არ მოვიყვანდი. მანამდე ის და მისი დამხმარე სხვა მიცვალებულებს საფლავებდნენ. მღვდელმა კედე ხუთიოდ წუთი განაგრძო ლოცვა და, როდესაც დაამთავრა წირვა, დაიწყო ოლარის გაჭადა. მე ვთხოვე — „მამაო, გთხოვთ, აი აქ, ახლოს სხვა მიცვალებულია“. მღვდელი შეჩერდა. გაუცირდა... და მკითხა: „ეინ არის ეგ გარდაცვალებული“. „საწყალი მხატვარია. მამაო, ნიკალა ჰქვიან, ქართველი კაცია, ქრისტიანია“. იგი და მისი დიკაინიც გამყენენ. მივიყვანე ფიროსმანის კუბოსთან, დავანთე ნაშევი სანთლები და დაიწყო წირვა და საფლავის ეკურთხევა. მღვდელი ხელმეორედ შემეკითხა ფიროსმანის სახელს, რათა ლოცვაში მოესხენებინა. „ნიკოლოზი, მამაო“, ვუბახუნე მე. მღვდელმა დაასრულა წირვა, სამჯერ მიაყარა მუჭით მიწა და გაემზადა წასასვლელად. მე მივეცი ფული მღვდელს და დიკაინს და ორივენი გაემართნენ გალავნის კარებიდან ეკლესიისაკენ.

ამ ხნის განმავლობაში „პაქუა მიშას“ და მის დამხმარეს სხვა მიცვალებულები უკვე ჩაესვენებინათ საფლავებში და მიწას აყრიდნენ. როდესაც დამთავრეს მუშაობა, გადმოვიდნენ ფიროსმანის ჩასასვენებლად. მათ დაახტურეს კუბოს თავი და თვით ჩაუშვეს საფლავში. ორივენი გაეკრეფებულნი იყვნენ, რომ მე მღვდელი მოვიყვანე და ვაჭირავნი, რადგანაც მათ პრაქტიკაში ასეთი რამ არ ხდებოდა, ორივენი მიწას აყრიდნენ და თან გააძახოდნენ: „ღმერთმა აცხონოსო“. დაამთავრეს მუშაობა. „პაქუა მიშამ“ სასაფლაოს მონივნი მოთხარა რიყის ქვა და ფიროსმანის საფლავს ჩაურტო მიწაში, ჩემად.

როდესაც სახელოსნოში დაებრუნდი, ყველაფერი ვემაზე მამაჩემს და ივანე აბაევს. მალე მოელში რიყის ხელოსნებმა და მიკეტნებმა ვაიგეს ნიკალას შწარე ბედი. სადამოს სახლში დავხტუნდი, ყველაფერი ვემაზე მღებავ მიხაკას, რომელთანაც ხშირად მუშაობდა ფიროსმანი.

მისო ვარსამიშვილი სადღაც იყო წასული თბილისიდან. მისმა ძმამ იასემ რომ ვაიგო, ძალიან დაენანა და გადაწყვიტეს, როგორც ძველი წესი მოითხოვდა, აღდგომის მეორე დღეს პურ-მარლით წასულაყენენ ფიროსმანის საფლავის საკურთხეველად. ორიოდ კვირის შემდეგ, აღდგომის მეორე დღეს, მამაჩემმა და აისემ პურ-მარლითა და ღვინით სავე ტკიოთ კალათა გაავსეს და დაუძახეს „პაქუა მიშას“. მამაჩემი, მღვდელი მიხაკა ღრუბელამე, იასე ვარ-

სიმაშვილი, ჩემი ძმა დავითი და მე გავემართეთ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. იქ დიდძალ ხალხს მოუყარა თავი. მე და „პაკუა შიშაშ“ მივიყვანეთ სუველა ფიროსმანის საფლავზე, ამოვრავათ კალთიდან სასმელ-საჭმელი და როგორც წესი, სუფრა ვაგშალეთ ზედ საფლავზე. ფიროსმანის შესანდობარი დაილია, ყველა ასხამდა ღვინოს ნაკალს საფლავს, რის გამოც ახლად დაყრილი მიწა წითლდებოდა. დავუძახეთ მღვდელს და ვაწირივით, მღვდელმა წაიკითხა აღდგომის ტროპარი გალობით, დიაკონს კალთით ჩავეწვეთ წითელი კვარცხები, ღვინო, ზურგიელის ნაჭერი, შესანდობარი დავიდევინეთ ორივეს და გავისტუმრეთ.

ასე დასრულდა ფიროსმანის ცხოვრება და მოკონების ამბავი. მას შემდეგ თითქმის 45 წელი გავიდა. 1961 წლის ივლისში მთელმა მსოფლიომ იღვწისაწვლა ვიქ ფშველას დაბადების 100 წლისთავი. გარეუბნელი ამხანაგების და სამგორის რაიონული გაზეთის შემუშავთა თხოვნით 1961 წლის ივლისის ნომერში მოვითავსე ჩემი მცირე მოგონება სათაურით — „ვაჯი-ფშველა და ნიკო ფიროსმანი“. შემდეგ ეს წერილი, ივანე აბაევის შევალბისა და შთომეხველების თხოვნით, ვადათარგმნეს ოსურ ენაზე და დაბეჭდეს ცხინვალში ქურნალ „ფილიფუმი“ (1961 წლის აგვისტოში, № 8). იმავე წლის ოქტომბერში ცოტა შემცირებული სახით დაბეჭდა „ლიტერატურულმა გაზეთმა“. ამ წერილში (1961 წლის 22 ოქტომბერს), როგორც თვით სათაურიც ვეჩიქვენებს, აწვევრე მხოლოდ ერთი მომენტი ფიროსმანის და ვაჯი ფშველას შეხვედრისა და ურთიერთ ვაცნობისა, ივანე აბაევის ოჯახში გამართულ ნადიმზე 1914 წლის ივნისის თვეში. რაც შეეხება ფიროსმანის დასაფლავების ამბავს, მე იქ არაფერი მოვიხსენიე, რადგანაც იგი მოკონების თემას არ ეხებოდა.

ამბავს ფიროსმანის დასაფლავების შესახებ მხოლოდ ნაცნობ-მეგობრებში ვლაპარაკობდი, როცა ამას სიტყვა მოიტანდა. ეს ამბავი გახმოვრდა და მიღწეა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის საქართველოს სახალხო პოეტის აწ გარდაცვლილი გიორგი ლეონიძის უფრამდე, მან მოიხილმა ჩემთან შეხვედრა, ჩემს ძმა დავითთან ერთად. მაგრამ ჩემმა ხანგრძლივმა ავადმყოფობამ და საავადმყოფოში წოლამ არ მიშეძო ამის საშუალება.

მხოლოდ 1966 წლის 24 ივნისს შეეძლო სიარული და ჩემი ძმის დავითის თანხლებით (რომელიც ზემოაღწერილი ამბების დამსწრეა) მივედი ინსტიტუტში გ. ლეონიძესთან. მისი თხოვნით მოვეყვით მთელი ამბავი ფიროსმანზე, რაც კი ვიცოდით და ვავიხსენებ მე და

ჩემმა ძმამ დავითმა. ლეონიძეს ძალიან გავიხარდა, კმაყოფილი დარჩა გავებულებით და გვითხრა, რომ მზადდება სცენარი ფიროსმანის შესახებ, რომელიც მას წაიკითხული აქვს. იქ სრულდებით არ არის ის ამბები, რაც ჩვენ მას ვუამბობთ, და საჭიროა სცენარის ხელახლა გადაკეთება. მე მოხოვა დამეწერა მოთხრობილი ამბავი და მიმეტანა ინსტიტუტში. რამდენიმე დღის შემდეგ მივედი ინსტიტუტში და ჩავაბარე მოგონებანი ფიროსმანზე (ვგონებ რვა ფურცელი). ლეონიძემ გადაიკითხა, ძალიან მოეწონა და მითხრა, რომ მოელაპარაკებოდა კინოსტუდიამო ფიროსმანის ფილმის დამდგმელებს, რათა შეეცა კონსულტანტობა. ბოლოს დამავალა, მოვლედ, რვეულის ერთ ფურცელზე ჩამომეწერა ძირითადი ეტაპები ფიროსმანის ცხოვრებიდან და გადამეცა ინსტიტუტში. როდესაც შევასრულე ეს დავლება და მივედი ინსტიტუტში, ლეონიძემ ავად გამხდარიყო და სამუშაოზე თურმე აღარ დადიოდა. ლეონიძე ვარდაცვალა, როგორც ვადმოცა ინსტიტუტის მედიცინა-მუშაკმა ამხ. კობიძემ, ლეონიძის მთელი ანტივი და ნაწერებო პოეტის ვარდაცვალების შემდეგ მისმა ოჯახმა წაიღო და, როგორც გამოირკვა, იგი ინახება მისი ოჯახის წევრებთან.

აღსანიშნავია, რომ ლეონიძემ ჩვენი ნაამბობის მოსმენის შემდეგ მოინდომა ამხ. ირაკლი აბაშიძისათვის ეცნობებინა ეს ამბავი, მაგრამ ირაკლი აბაშიძე თბილისში არ აღმოჩნდა იმ-ჯამად, არც თბილისის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. შ. ზუხრაშვილი აღმოჩნდა თავის კაბინეტში. მაშინ იგი მოელაპარაკა თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. გ. ნ. გომიძეს, რომელმაც ჩვენ დაგვიბარა კაბინეტი, მოვეცნობინა და საჭიროდ სცნო ფიროსმანის საფლავის მოძებნა და მთაწმინდის პანთეონში გადასვენება, რაც ჯერ ჯერჯერობით არ არის განხორციელებული.

ამბავი ნ. ფიროსმანიშვილის შესახებ მალე ვახიარდა და მივიღე ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის დემნა შენგელაიას უფრამდე. მან მოვჭებნა და დაგვიბარა სახლში. მივედით მე და ჩემი უფროსი ძმა დავითი და ვუამბეთ ნ. ფიროსმანიშვილის ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდი, რომლებიც ვგახსოვდა. მან დიდი გულსუფრით მოგვისმინა და გვითხრა, ყველაფერა ეს დაეწერა და მოვემზადებინა დასაბეჭდად. როდესაც დაეწერე ეს მოგონება, ხელნაწერი პატრიევიულ დემნას გადაეცემა წასაკითხავად.

დიდ მადლობას მოვახსენებ პატრიევიულ — მწერალს დემნა შენგელაიას იმ დიდი გულუბნობისა და გულისხმიერებისათვის. რომელიც მან გამოიჩინა ამ მოგონების მიმართ და დაგვიბარა მის გამოქვეყნებაში.

ახალი წიგნი ძველ კოლხეთზე

უკანასკნელ ათწლეულთა მანძილზე საქართველოს ძველი და უძველესი ისტორიის შესწავლა სწრაფი ტემპითა და ღრმა მეცნიერული კვლევა-ძიებით მიმდინარეობს. ჩვენი აკადემიის ისტორია-არქეოლოგიის ინსტიტუტმა ბევრი დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევით გაამდიდრა ქართულ სიმედიანო: შემსწავლელი მეცნიერება. ერთ-ერთი ასეთი წიგნი ქართულ არქეოლოგიაში არის ოთარ ლორთქიფანიძის „ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი“.

ასეთი წიგნები ერთბაშად იპყრობენ მკითხველი საზოგადოების ყურადღებას. მით უფრო, როცა შრომა ეძღვნება ერთგნელი ისტორიის ფესვებს. ო. ლორთქიფანიძის წიგნი მისი ტიტულატურის გაცნობისთანავე იწვევს ინტერესს: ავტორი გვიჩვენებს საგვიტო-კონომიური და კულტურული ურთიერთობის ისტორიის გარკვევას ანტიკურ სამყაროსა და კოლხურ საქართველოს შორის ძველი წელთაღრიცხვის VI-II საუკუნეებში. მამაადაც, წიგნი თავფურცლიდანვე საინტერესო ხდება, როგორც ქრონოლოგიური ზღვრებით, ასევე საკვლევადიებო საკითხთა პერსპექტივებით. რასაკერაველია, ო. ლორთქიფანიძის წიგნი დასმული პრობლემატიკა საავტორო თვალსაზრისით უპირველდნობდ არ ჩაითვლება, რადგან მანამდე ბევრი შრომა მიეძღვნა ძველ ბერძნულ-კოლხურ ურთიერთობათა ცალკეულ საკითხს, მაგრამ ყველა ეს მეცნიერული წიადსვლა, მცირე გამოხალისის ხარდა, სწორედ ცალკეულ და ფრაგმენტულერ ხასიათს ატარებდა.

ხოლო, ო. ლორთქიფანიძის უპირველესი დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან თავის წიგნი პირველმა მოგვცა თანმიმდევრულად სისტემატიური, სრულყოფილი, კომპლექტური ისტორია კოლხურ-ქართული და ანტიკურ-ბერძნული კონომიური და კულტურული ურთიერთობისა მთელი ხუთასი წლის მანძილზე.

ამ წიგნის მეცნიერული აპარატის უბრალო ვასინჯეაც კი გვაგონობინებს ავტორის ღრმა მეცნიერულ ჩახედულობას ყველა საჭირო წყაროსა და ლიტერატურულ მასალაში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია წყაროების გამოყუ-

ნება. აქამდე ბერძნულ-ქართულ ურთიერთობათა უძველესი სათავეების შემსწავლელი მეცნიერება ბერძნულ მითოლოგიასა და ერთეულ წერილობით ნაფლეთებს ვერ შორდებოდა; აპოლონიოს როდოსელის „არკონავტიკა“ ითვლებოდა ძველი კოლხეთის ერთადერთ, რაღაც უცნაურ „დაბადების მოწმობად“. ხოლო ოთარ ლორთქიფანიძემ წყაროთმცოდნეობით აპარატში, ბერძნულ-ლათინური წერილობითი მეცნიერების გვერდით, მთელი სისრულითა და სისასებით წარმოადგინა მატერიალური კულტურის დიდძალი მასალი, მოპოებული ქართული არქეოლოგიური სკოლის თავდადებული შრომის შედეგად. სწორედ წერილობით და ნივთიერ ძეგლთა გულმოდგინე ურთიერთ შეჭერება აძლევს საფუძველს ავტორის დაარწმუნის მკითხველი თავის ახალ, გაბედულ დებულებათა სისწორესა და სიმტკიცეში.

წიგნის შესავალში, პირველსავე გვერდზე, ყურადღებას იქცევს ასეთი დებულება: „ანტიკური სამყაროსა და კოლხეთს შორის ურთიერთობათა შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ საქართველოს ძველი ისტორიის საკითხების კვლევისათვის, არამედ თვით ანტიკური სამყაროს... ისტორიისათვის“ (გვ. 5). ეს დებულება თავიდანვე განსაზღვრავს ავტორის სწორ სამეცნიერო პოზიციას. ანტიკური საბერძნეთისა და რომის შემსწავლელი მრავალსაუკუნოვანი ისტორიოგრაფია თითქმის ყოველთვის, უცვლელად ემყარებოდა (და მნიშვნელოვან ნაწილად დღესაც ემყარება) ერთ მთავარ საკვლევა-ძიებო კრიტერიუმს: მსოფლიო ისტორიის წარმართველნი იყვენ მხოლოდ და მხოლოდ ძველი ბერძნები და შემდეგ რომაელები. ასეთი „პელინოცენტრული“ და „რომანოცენტრული“ ტენდენციებით იკვებება დღემდე დასავლეთ ევროპული ისტორიოგრაფია. დასავლური კულტურტრევერობა ითვლებოდა (და ბურჟუაზიულ სამყაროში დღესაც ითვლება) აღმოსავლურ (ჩვენთვის საინტერესო წინააზიურ) საზოგადოებათა სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ფიზიონომიის განმსაზღვრელად. უკანასკნელ წლებში საბჭოურ მეცნიერებაში (და ნაწილობრივ „დასავლურ“ ისტორიოგრაფიაშიც) ფეხი მოიკიდა სასუსებით სამართლიანმა ტენდენცი-

ოთარ ლორთქიფანიძე, „ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი“, თბუ, 1966.

ამ, რომელიც უპირისპირდება დრომოჭმულ საისტორიო-მეთოდოლოგიას. წყაროთა იმიტირირი განხილვა გვიარწმუნებს, რომ არასოდეს არ მდგარა სოფელი ისტორიის დიდიერის პულტან მხოლოდ ერთი რომელიმე „რჩეული“ ხალხი, არც სამერქნეთი და რომი ყოფილან „ღუთსივან რჩეული სოლისტები“ კაცობრიობის ისტორიისა, ძველ ბერძენთა გენიალობა პირველ რიგში იმ კულტურულ მემკვიდრეობაშია ათვისებანსა და შემდგომ გადამუშავებანამდღეამი მდგომარეობდა, რაც ადრე ან მათ პარალელურად შექმნეს სხვა მრავალმა ცივილიზებულმა ხალხებმა. მარტო „დასავლურ-ევროპული“ როდი განსაზღვრავდა „აღმოსავლურ-აზიურს“. თავის მხრივ „აღმოსავლურმა საკითხებმა“ გადაწყვეტი რომი ითამაშეს ანტიკური საბერძნეთისა და განსაკუთრებით რომის შინაგან ცხოვრებაში. საუკუნეების მანძილზე სწორედ „აღმოსავლურ ნაყადთა“ ძლიერი ზეგავლენით ხდებოდა რადიკალური ცვლილებები ანტიკური რომის სოციალ-ეკონომიურ, პოლიტიკურ, კულტურულ და შორალურ ცხოვრებაში.

ამიტომაც ჩვენთვის საყვებით ვასაგები და ახლობელია ო. ლორთქიფანიძის საყვლევამებო მიზნისწინადაც: ანტიკური პელადისა და კოლხეთის ურთიერთობათა შესწავლა ორივე მხარეს ერთნაირ სამსახერს უწევს, — როგორც ძველქართულს, ასევე ძველბერძენულ საზოგადოებას ვაცნობას.

წიგნის პირველი თავი ეძღვნება ყველაზე ძველ ცნობებს ბერძენულ-კოლხურ ურთიერთობათა გარშემო. ეს არის ძველი წელსათ-ვალავის მეორე ათასწელის მეორე ნახევარი, ე. წ. მიკენურ-აქეური ან გმირულ-ომერული ეპოქა საბერძნეთის ისტორიისათვის, ხოლო ჩვენთვის, კოლხეთის ისტორიისათვის, მიკენურ-აქეურ-ბერძნელის პარალელურად, შეიძლება ფიქტურული ყოფილიყო „არგონაველ ეპოქად“. სწორედ ამ ხანში, 3,200 წლის წინანდელ ბალკანურ-გეგრეს სინამდვილეში უნდა ვეძიოთ „არგონაველ“ ბერძენთა რაღაც „კოლხური ლაშქრობის“ ფაქტები. ძველი კოლხეთის დღევანდელი მემკვიდრეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შემდეგ გარემოებას:

ბერძენულ თქმულებათა რკალი „არგონაველთა“ კოლხეთს ლაშქრობის შესახებ ვაცილებით ძველია, ვიდრე „ტროას ომის“ თქმულებათა ცილი. პირველი მეორეზე უფროსია ერთი თაობით მაინც. ამაზე პირდაპირ მიუთითებს ის, რომ კოლხეთში ბერძენთა „უფროსმა თაობამ“, „მამებმა“ ილაშქრეს, ხოლო ტროაში — მათმა „შვილებმა“. რასაკვირვებელია, ყველაფერი ეს, უპირველეს ყოვლისა, მითოლოგიაა, მაგრამ „ტროას ომი“ არქეოლოგიის წყალობით უკვე საყვებით გამოეცქა

ზღაპრულ საბერძენულ და ნამდვილ ისტორიულ რეალობად წარსდგა კაცობრიობის წინაშე. მით უფრო არ შეიძლება „არგონაველთა“ კოლხური ლაშქრობის“ ანაზღურად იმიტირების ულტრაირიტუელ-სემპტიკური თვალთახედვით განქიქება, ისე როგორც არ შეიძლება მისი როგორც ყოველმხრივ საიმედო წყაროდ გადაფასება. აქვე ვადაწყვეტი სიტყვა არქეოლოგიაში უნდა სთქვას, მანამდე კი ო. ლორთქიფანიძემ თავის წიგნში კოლხეთის „არგონაველ ხანაზე“ ბევრი რამ ახალი და სინტეტური სთქვა. აქვე განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი საფუძვლიანი კრიტიკა ისტორიკოს ლ. ა. ელნიციისა, რომელიც არგონაველთა „ახალი, ორიგინალური“ ინტერპრეტაციით ყოველნაირად ცდილობს გეში „არგონაველთა“ ნაცულად როგორმე სამხრეთ რუსეთის სანაპიროებს მიავყოს...

წიგნის მეორე თავი წარმოგვიდგენს საბერძნეთ-კოლხეთის ურთიერთობას ე. წ. არქელ ხანაში. ეს პერიოდი, ძველი წელთაღრიცხვის მე-8, მე-7 საუკუნეები, საბერძნეთის ისტორიაში აღნიშნება უაღრესად რთული და მრავალმხრივი ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური ძვრებით. ზოგად ფორმალში ეს არის გვიანდელი წყობილების საბოლოო ნგრევანადადგურებისა და კლასობრივ საზოგადოებათა ზორცმქმნელად ნაყოყალიბების პრიტეკა, რომელიც კონკრეტულ განსახებას მოუხლბს შემდეგ მოვლენებში: სოციალური ბრძოლები შვიდობათა და ღარბობა შორის, ხელისნობის, ვაჭრობისა და ზღვაოსნობის განვითარება, ფულადი მეურნეობისა და კოლონიზაციის აყვავება.

ყველა ეს მომენტი და განსაკუთრებით საყვეყნად ცნობილი „ღიდი ბერძენული კოლონიზაცია“ სისხლბორცველად უკავშირდება კოლხურ სინამდვილეს.

მათი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, კოლხეთში დაარსებულ ბერძენულ კოლონიათა შესახებ მეცნიერებაში რამდენიმე სხვადასხვა მოსაზრება განჩნდა, ა. ვებელიოვი, ვ. ვაიდურევი, ა. ბოლტენოვა და სხვები ფასისა და დიოსკურისა წმინდა ჰელინოს პოლისებად სთვლიან. ასეთი განსაზღვრება ყოველგვარი კრიტიკისა და ანალიზის გარეშე ემყარება ანტიკურ ავტორთა მითითებებს აღნიშნულ ქალაქთა ლოკალიზების შესახებ, ხოლო უკანასკნელ წლებში, არქეოლოგიურ მასალათა საფუძვლიანი შესწავლის ნიადაგზე, ქართულ-სა მეცნიერებმა საყვებით ახალი და უაღრესად საყვარადიური დებულებები წამოაყენეს. მაგალითად, მ. ინაძისა და ნ. ლომოურის გამოკვლევებით ვიცვბთ, რომ კოლხეთის ზღვისპირა ხაზზე არსებული „ბერძენული ქალაქები“ არ ყოფილან „წმინდა ბერძენული ხასიათის პოლი-

სები"; ისინი თურმე უფრო „კოლხურ-ქართულ“ შინაარსს ატარებდნენ, რამდენადაც მათ დაარსებაში და შემდგომ „საქალაქო ცხოვრებაში“ წამყვან როლს ადგილობრივი ქართველი ტომები თამაშობდნენ; ამ უკანასკნელთა დომინანტობა, როგორც იმავე შრომებიდან ჩანს, „ბერძნულ კოლონიებად“ ლოკალიზებულ ადგილებში აღინიშნებოდა ჯერ კიდევ ბერძენთა მოსვლამდე და ასევე ბერძენთა კოლონიაციური იმპერიაზე დასახლების შემდგომაც. მართლაც და წარმოდგენილია უბრალო ვარაუდიც, რომ საქართველოს ზღვისპირზე ქალაქები უცხოელებმა (გენებთან, ბერძენებმა) მოიტანეს! რასაკვირველია, ექვს არ უნდა იფიქრდეს ის გარემოება, რომ კოლხეთის ზღვის სანაპირო ზოლზე ბერძენ მოახალშენეთა მოსვლამდე არსებობდა ყოველგვარი პირობები საქალაქო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ხელოსნობის, ვაჭრობის, ალებ-მიცემობისა და გაცვლავამოცვლის ფართო მასშტაბით წარმოებისათვის.

ოთარ ლორთქიფანიძე კიდევ უფრო შორს წაივლია. იგი არქეოლოგიური მასალების დრმა-ანალიზით საესეებით საბუთიანად გვიარწმუნებს, რომ კოლხეთის ზღვის სანაპიროზე ახავეთარი ბერძნული კოლონიები (და მით უფრო ტიბიუქრი პოლისები) არ არსებობდნენ. ესენი იყვნენ წმინდა კოლხურ-ქართული ხასიათის ქალაქები. ასეთი მტკიცების უმთავრესი საბუთია „ზღვისპირტლარქეოლოგიურ მონაპოვართა“ წმინდა კოლხური (ისეთივე როგორც საერთოდ „შინა დასავლურ-ქართული“) ფორმა და შინაარსი. ამ ახალ დებულებათა ავტორის სამართლიან მტკიცებით, შივი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ბერძნულ კოლონიზაციას (თავისი „ელასიური ფორმით“) წინ ეღობებოდა მთელი რიგი ადგილობრივი (კოლხური) ფაქტორები: ზღვის სანაპირო ზოლის მიდრო დასახლება; ადგილობრივი მეტალურგია, ფეიქრობა, კერამიკული წარმოება, მხატვრული ხელსაქმეობა, მეთევზეობა, მარილის რეწვა, ზოგადად ფულადი მეურნეობა და განსაკუთრებით, ყველა ამ საქმეთა „პროტექტორი“ და „მომწესრიგებელი“ — ამ დროინდელი კოლხეთის ძლიერი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. მაგრამ აქვე დაუპირისპირებოდა უნდა დავიძინოთ, რომ ავტორი ზღვის სანაპირო ქალაქთა კოლხურად გამოცხადებით, საესებით როდი გამოიცხადებს ბერძენთა თავისებურ „ფეხის ჩამოდგმას“. პირიქით, იგი ასაბუთებს, რომ კოლხეთის ზღვის-სანაპირო (ადგილობრივი ხასიათის) ქალაქებში ბერძენებს დაარსებული ჰქონდათ არა თავისი ქალაქები (ქალაქი ქალაქში!), არამედ ე. წ. ემპორიონები — სავაჭრო ფაქტორები, რომელთა მუშევრობითაც ცხოველი ეკონომიური ურთი-

ერთობა მიმდინარეობდა კოლხურ და ბერძნულ სამყაროთა შორის.

შემდეგ, სწორედ ამ სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობათა ხასიათსა და შინაარსს ეძლევაბა სარეცენზიო წიგნის შესამე თავი. აქ, ჯერ დაწერილებითაა წარმოდგენილი ომპიური (მცირებაზე-ბერძნული) და ათურ-ატიურ-რი (პირველი — ძვ. წ. მე-6 საუკუნეში, მეორე — ძვ. წ. მე-5 საუკუნეში) იმპორტი კოლხეთში, ხოლო ამას მოსდევს საძახეხო, საბერძნეთისკენ მიმავალი კოლხური საექსპორტო ნაწარმის დახასიათება. აქვე ცალკე ნაწილად ნაჩვენებია კოლხეთის ურთიერთობა ჩრდილოეთ შივიზღვისპირეთთან.

წიგნის მეოთხე თავი მთლიანად განეკუთვნება ე. წ. სოხუმის სტელის დეტალურ განხილვას, ამ ძეგლის, როგორც ძეგლის, საერთო შეფასების თვალსაზრისით ო. ლორთქიფანიძის დეაწილ უპეკველად დიდმნიშვნელოვანია, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წიგნის საერთო ქსოვილში ეს თავისთავად საინტერესო ნარკვევი რაღაც არარგანულ ჩანაბლად მოსჩანს. ეს ალბათ იმის გამო, რომ ავტორის მიზანი, — დამატაციოს სოხუმის სტელის განსაკუთრებული მნიშვნელობა კოლხურ და ბერძნულ სამყაროთა ურთიერთობაში — ნაძლადე, მწირ მტკიცებად დარჩა. ეს უცნაური „უკავშირო კავშირი“ აშკარად ჩანს თუნდაც ავტორისეულ დასკვნაში:

„ამრიგად, სოხუმის სტელა ანტიკური ხელოვნების მეტად საინტერესო და ძალზე რთული ძეგლია, რომლის შემდგომი შესწავლა იცილებლია. იგი საინტერესოა აგრეთვე იმით, რომ დღემდე ცნობილ ბერძნულ სტელათა შორის ჯერჯერობით ყველაზე უფრო აღრინდელია და მრავალფეროვანი კომპოზიციითაა შემკული“.

ეს ყველაფერი სარწმუნოდაა დასაბუთებელი. მაგრამ რა კავშირი აქვს ამ დებულებასთან მასზედვე“ ვაღბმულ წინადადებას: „სოხუმში (ძველი დიოსკურია) აღმოჩენილი ანტიკური რელიეფი კოლხეთის ანტიკურ სამყაროსთან ცხოველი ურთიერთობის მუკერმეტყველი მოწმობაა“ (!)

სოხუმის სტელის დახასიათების შემდეგ ავტორი წარმოკვიდვებს ანტიკურ წარალობით წყაროებს კოლხეთის შესახებ. აქვე ო. ლორთქიფანიძე ჩიუელი გულმოდგინებით განიხილავს ჯერ საკითხის შესწავლის ისტორიას, აფასებს და შესაბამის ადგილს უჩენს ამ საკითხით დაინტერესებულ ყოველ „დიდსა“ და „მცირე“ მკვლევარს და პარალელურად, იგივე წყაროთა ანალიზის საფუძველზე, გვაძლევს სკუთარ, ნამდვილად მახვილგონიერულ და დამაჯერებელ დასკვნებს. მაგრამ, მგონია, ეს თავიე წიგნში რაღაც უადგილო ადგილზე უნდა იყოს.

ვანა უმჯობესი არ იქნებოდა, ავტორს წერილობითი წყაროებიც იქ ვაერჩია, სადაც მატერიალური კულტურის ძეგლებს არკვევდა? შკონი, აჯობებდა, ავტორს მისთვის სინტერესო. ამა თუ იმ საკვლევ საკითხთან დაკავშირებული მასალა, ერთად, კომპლექსურად განვიხილა და მოეშველებინა როგორც არქეოლოგიური, ასევე წერილობითი წყაროები.

კლასიკური პელინური სამყაროსა და კოლხეთის ურთიერთობის შემდგომ წიგნის უკანასკნელ თავში, ავტორი კვლავ დაწვრილებითა და ჩვეული საბუნებისობით მსჯელობს პელინისტურის ეპოქის (ძვ. წ. IV-II ს-ები) ბერძნულ-ქართულ ურთიერთობათა შესახებ.

დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს ავტორის შეფასებას მაშინდელი „მსოფლიო“ (აღმოსავლეთ აზიიდან ხმელთაშუაზღვრისაკენ მიმავალი) მნიშვნელობის სავაჭრო-სატრანზიტო გზის ისეთი დიდმნიშვნელოვანი რგოლის შეფასებას, როგორც იყო კასპიიდან შავ ზღვამდე, მტკვარსა და რაონზე გაშვებული მაგისტრალი. შრომის ამ ძირითად ნაკვეთშიც ო. ლორთქიფანიძე უოველი დებულების დასამტკიცებლად ტრადიციულ წერილობით ძეგლებთან ერთად კვლევებზედ იყენებს არქეოლოგიურ მონაპოვართ. პელინისტისა და კოლხისტის ცხოველი სავაჭრო-ეკონომიური კავშირის დასამტკიცებლად საკმარისი ხდება აქ წარმოდგენილი (თუნდაც მარტო) უამრავი ნეშიზმატიკური მასალა. როგორც ადრე, წიგნის მესამე თავში, კლასიკური პელადისა და კოლხეთის კულტურულ-ეკონომიურ ურთიერთობათა დადგენისას, აქაც, წიგნის ბოლო ნაწილში, ავტორი ისევ და ისევ დღევანდელ მეცნიერების ზღვლ არსებულ არქეოლოგიურ მასალათა მკვსამაღური გამოყენებით აღწევს სრულყოფილი სურათის დადგენას პელინისტურ და კოლხურ კულტურულ-ეკონომიურ ცენტრთა ინტენსიურ ურთიერთობათა ისტორიაში. სხვანიარად რომ ვთქვათ, ის რაც დღემდე ცნობილი იყო კანტი-კენტად, წინამდებარე სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილია როგორც სრულყოფილი, სისტემატურად უწყვეტი ისტორია, სწორედ უწყვეტი, გონომიური და კულტურული ურთიერთკავშირისა ორ დიდ ცივილიზებულ სამყაროს შორის.

რეცენზენტის აზრით, ასეთი ხასიათისა და მეცნიერული ღირებულების მქონე წიგნში უყურადღებოდ არ უნდა დარჩენილიყო არცაქვე ყოველგვარი ყურადღების გარეშე დაგდებული სამი მასაელი პლინისტის „Naturalis Historia“-დან:

1. ისტრის ქალაქები... კოლონია პოლა (კოლა?) (ლ. ს.) ახლა Pietas Julia—ოდესლაც დაარსებული კოლხების მიერ; ის ტევესტიდან დაშორებულია ასხეთი ათასი ნაბიჯით“ (N. H. III, 144);

2. (დამაოცარია) ეზიდარადან დაწყებული მდებარეობენ ქალაქები... ოდენინოში, რომელსაც ჰველად ერქვა კოლხინოში, დაარსებული კოლხების მიერ“ (N. H. III, 144);

3. ილირიის ნაპირზე არის ქალაქი ორიკუმი კოლხებისაგან დაარსებული“ (N. H. III, 145);

ვინ იცის, რა მნიშვნელობა აქვს ამ ცნობებს იმ „საოცარი მსგავსების“ შესწავლაში, რაც კავკასიურ და დუნაისპირა კულტურის ძეგლთა შორის აღმოუჩენია ცნობილ მეცნიერ ვილკეს ჭერ კიდე 1904 წელს (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, წ. I, 1951, გვ. 33-36). ვინ იცის, იქნებ მართლა, რეალურად მომხდარ რაღაც შორეულ „კოლხურ კოლონიზაციაზე“ აქ ლაპარაკია?

ბოლოს, ჩვენი აზრით, დასაზუსტებელია სარეცენციო წიგნის სახელწოდება. როგორც დავინახეთ, ავტორი ეხება მხოლოდ ანტიკურ საბერძნეთის და არა მთლიანად ანტიკური სამყაროს ურთიერთობას კოლხეთთან, ანტიკურ სამყაროში პელინურ-პელინისტურის ვარდა ზომ შედის რომელი საზოგადოებაც. რომელსაც ავტორი არ ეხება? ამიტომ წიგნის სახელი ასე უნდა დაზუსტდეს: „ანტიკური საბერძნეთი და ძველი კოლხეთი“...

დასასრულ, ერთხელ კიდევ უნდა აღინიშნოს ამ წიგნის მაღალი ღირსებანი, მისი ავტორის ღრმა მეცნიერული ერთდღეობა და სწორი მეთოდოლოგიით წარმოებულ კვლევა-ძიებათა მართებული დასკვნები. სწორედ ამიტომ ო. ლორთქიფანიძის ეს ახალი ფუნდამენტალური გამოკვლევა მთრფას იმნიშვლად დარჩება ქართულ ანტიკოლოგიაში.

ლევან სანიკიძე

8. მიაიშვილის პუბლიცისტიკა

სრულდება 50 წელი გ. მიაიშვილის ვარდაცვალებიდან. და სწორედ ახლახან ჩვენმა სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ვერნალისტიკის კათედრის ინციატივით, გამოსცა ამ გამოჩენილი

ქართველი პოლიტიკური მოღვაწის რჩეული ნაწერები. ქართული უნივერსიტეტის ვერნალისტიკის კათედრის ამ ინიციატივას არ შეიძლება არ მივესალმეთ. საქართველოს გონებრივი მოძრაობის შესწავლისათვის უდავოდ სერიოზულა მნიშვნელობა აქვს ჩვენი საზოგადოებრივი მოღ-

გორგი მიაიშვილი, „რჩეული ნაწერები“ ტ. 1. თბილ., 1967.

ვაწიების ლიტერატურულ-მეცნიერული და პოლიტიკური პუბლიცისტიკის შეკრებასა და გამოცემას. დასაქმებული როდია ის გარემოება, რომ მიუხედავად კოლონალური ჩაგვრისა, ჩვენი ხალხის XIX საუკუნის გონებრივ მოძრაობას ახასიათებს აღმავალი განვითარება, რადი ინტენსივობით ვრძელდებოდა XX საუკუნის დასაწყისი. აღნიშნული ეპოქების ფილოსოფიურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ პუბლიცისტიკას არა მარტო ეროვნული, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. XIX-XX საუკუნეების ბევრმა ქართველმა გამოჩენილმა მოღვაწემ თავისი რევოლუციურ-დემოკრატიული პუბლიცისტიკით დიდი როლი ითამაშა განათავისუფლებული მოძრაობის ძირითადი საკითხების გადაწყვეტაში, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის თეორიული და პრაქტიკულ-ორგანიზაციული საკითხების დამუშავებაში, გააძლიერა და განამტკიცა რუსეთის დიდი დემოკრატიულ-რევოლუციური და სოციალისტური მოძრაობა ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. ჩვენ ხალხს შეუძლია იამაყის იმით, რომ მისი წიაღიდან გამოდიოდნენ რევოლუციური დემოკრატები და მეცნიერული სოციალიზმის წარმომადგენლები, რომლებმაც თავიანთი სპეტაკი და ვპირდული რევოლუციური მოღვაწეობით, შეტად მიიღეს პირობებში, ხელი შეუწყვეს დიდი განმათავისუფლებელი მოძრაობის ვაძლიერებას და მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს თავისი თეორიული შრომებითა და პრაქტიკული მოღვაწეობით რუსეთის სამთავრო-სოციალისტურ მსოფლიოში. ერთ-ერთი ასეთი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე იყო ვიოჩი მთაწილი. მართალია, მთაწილი ვერ ამაღლდა მეცნიერული კომუნიზმის სიპაღლეში, მაგრამ მთელი სოციალისტების მანძილზე იგი რუსეთის ყოფილი იმპერიის ხალხების ისტორიული რევოლუციურ-პროგრესულ პოზიციას იღვა და მის ლიტერატურულ-მეცნიერულ შემკვიდრებას დღესაც არ დაუკარგავს თავისი შემეცნებითი და აღმზრდელი მნიშვნელობა. დღევანდელი ქართველი ახალგაზრდობისათვის არ არის პოპულარული სახელი გ. მთაწილისა, მაგრამ იყო დრო, როდესაც თავისი ვპირდული რევოლუციური მოღვაწეობით, იდელების სისპეტაკით, თავისი ადამიანური ამაღლებლობით, გ. მთაწილი მავალით აძლევდა ახალგაზრდობას, და ზრდიდა მათში მეფის რეაქციის და ექსპლუატაციის ყოველგვარი ფორმებისადმი ზიზღისა და შერთხეულობის ვგრძობას. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მთაწილი იყო ისეთი მოღვაწე, რომლის ვული და უაღრესად ფართოდ განათლებული ვონება ხალხის სიყვარულით იყო ვამთბარი და რომელიც მედამ ვებრძოლთა რიგებში იღვა მეფის მონარქიისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. გ. მთაწილი ვასული საუკუნის 70-იან წლებში ჩაება რუსეთის დიდი

დემოკრატიულ მოძრაობაში და წლების მანძილზე იგი იყო რუსული რევოლუციური მოძრაობის მოძრაობის არა მარტო თეორიული და ერთერთი ბელადთაგანი, მასწავლებელთაგანი. იგი რევოლუციური ბრძოლაში ერთად იღვა ალექსეევთან, სოფია ბარდინასთან და სხვა გამოჩენილი რუს რევოლუციონერებთან და წარმოადგენდა მათ დირსეულ თანამებრძოლსა და მეგობარს. იგი ერთ-ერთი გამოჩენილი დიკტრათაგანი იყო 1877 წლის ცნობილი 50-ის პროცესისა და მისი ცნობილი სიტყვა პროცესზე, რომელიც ვერ ხელთნაწიერის სახით ვაკეცდებოდა რუსეთში, ხოლო შემდეგ ლატვიის „Вперед“-ში, 1877 წლის 5 ნოემბერს გამოვეყენებით, იქცა საერთაშორისო დიკტრატად და დიდი ხნის მანძილზე თამაშობდა რუსეთისა და ჩვენი ახალგაზრდობისათვის გამარეოლუციონერებელ როლს. გ. მთაწილის რჩეული ნაწერების I ტომში შესულია 1877-დან 1892 წლამდე დიწერილი სტატოები და გამოკვლევები. აღსანიშნავია, რომ ტომის რედაქტორს მ. კანდელაკს ვაუწევია შრომა გ. მთაწილის ნაწერების არა მარტო შერჩევის მინებით, არამედ მათი აღმოჩენისა და ავტორობის დადგენის თვალსაზრისითაც. ეს არც ისე ადვილი საქმე იყო. მაგრამ ჩვენ ვეჩქრობთ, რომ ჩიეული ნაწერების პირველ ტომში აუცილებლად უნდა შესულყო გ. მთაწილის ამ პერიოდის პირადი მიმოწერაც. ამ მიმოწერის უგულვებლყოფა ჩვენ არ მოგვცემს საშუალებას დავაგინოთ თუ როგორ იყო გ. მთაწილის პოლიტიკური მსოფლმხედველობა 70-იან წლებში, როგორ პასუხს იძლეოდა ის მათინ რევოლუციური მოძრაობის ზოგერთ ძირითად ორგანიზაციულ და თეორიულ საკითხებზე. მანძილელი რეოლუციური დემოკრატების რომელ ფრთასა და მიმდინარეობას წარმოადგენდა.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ვაკეთებელი არის დიდი საქმე და ჩვენს მეკლევარებს შესაძლებლობა აქვთ შეიგნეონ მეცნიერული წარმოდგენა-ამ წარსულის დიდ და გამოჩენილ მოღვაწეზე, როგორც გ. მთაწილის რჩეული ნაწერებიდან ჩანს. 1877 წლამდე 1892 წლამდე რევოლუციურ-დემოკრატ გ. მთაწილის პოლიტიკურმა მსოფლმხედველობამ ვანიცადა ცვლილებანი. მაგრამ ამ პერიოდის მისი პუბლიცისტიკა თამაშობდა პროგრესულ როლს. ის აღვიმებდა რუსეთის რევოლუციურ ძალებს და აფართოებდა რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობას. ამ პერიოდში გ. მთაწილი რევოლუციონერი ხალხისანი და სოციალისტ-უტოპისტი იყო. უნდა შევნიშნოთ, რომ მისი სოციალისტური შეხედულებები განსხვავდებოდა ვეროპის რეფორმისტულ-უტოპიურ სოციალიზმისაგან და ამ სოციალიზმთან შედარებით იგი წინ ვადიდებელი ნაბიჯია. გ. მთაწილის უტოპიურ სო-

ცილიზმს არ გააჩნდა მაშინ ის რეაქციული მხარეები, რომლებიც ახასიათებდა ევროპის რევოლუციურ უტოპიურ სოციალიზმს. გ. შთაშვილი აყენებდა იმ მოსაზრებას, რომ სოციალიზმი არ შეიძლება განხორციელებულ იქნეს არც რუსეთსა და არც დასავლეთ ევროპაში ხალხთა რევოლუციის გარეშე. გ. შთაშვილი მიუთითებდა, რომ ევროპისა და რუსეთის საზოგადოების პოლიტიკური ფორმები წარმოადგენენ ძალას, რომელიც მტრულადაა განწყობილი სოციალიზმის წინააღმდეგ.

თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში გ. შთაშვილი ფიქრობდა, რომ შესაძლებელი იყო ევროპისა და რუსეთში სახალხო რევოლუციის საშუალებით სოციალიზმზე ერთდროული გადასვლა, რადგან როგორც რუსეთში ისე კაპიტალისტურ ევროპაში საქმე გვაქვს მასების უმძიმეს ექსპლოატაციასა და ჩაგვრასთან. იგი ფიქრობდა, რომ ამდენად იქნება მის თანამედროვე მსოფლიოში ადგილი აქვს შრომობელთა ეკონომიურ და პოლიტიკურ ჩაგვრას, ექსპლოატატორულ ურთიერთობათა არსებობას, ადენად საჭიროა მხოლოდ მათი დარაწმევა რუსეთის დემოკრატიული წყობილებისა და ევროპული კაპიტალისტების წინააღმდეგ. ცნობილი 50-ის პროცესის პერიოდში გ. შთაშვილი ფიქრობდა, რომ რუსეთში, ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმის გავლელად, შესაძლებელია გლეხური რევოლუციის გზით სოციალიზმის განხორციელება. მაშინ იგი იდგა რუსეთი თემური სოციალიზმის თეორიის პოპულატორზე, მაგრამ 90-იან წლებსათვის მან შეიცვალა შეხედულება და იგი ფიქრობდა, რომ რუსეთში სოციალიზმის განხორციელებამდე საჭიროა პირველ რიგში შეიქმნას დემოკრატიული რესპუბლიკა ცარიზმის ნაშტორეებზე. 1882 წელს გ. შთაშვილმა მოახერხა გამოცემა ვადასახლებიდან „ევროპის“ რედაქციისათვის, რომელსაც მაშინ ქართული გამათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი, ი. ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა, წერილი ჩვენს საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ, სადაც დაყენებული იყო მაშინდელი რევოლუციური მოძრაობის ძირითადი საკითხები. მთავარი პრობლემა იმ წერილში იყო ეკონომიკისა და პოლიტიკური ურთიერთობის საკითხები. გ. შთაშვილის აღნიშნულმა წერილმა გამოიწვია დიდი პოლიტიკური დისკუსია ქართულ განმათავისუფლებელი მოძრაობის გამორჩეულ მოღვაწეთა შორის. შარტალია, აღნიშნულ წერილში, რომელიც მარქსის დიდ გავლენას განიცდის, პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთობის საკითხები ვერ იქნა შეცნობილად გადაწყვეტილი, მაგრამ გ. შთაშვილის დამსახურება იმ შემთხვევაში ისაა, რომ მან მხელი ჩასვა ანარქისტების პოლიტიკური ინდიფერენტობის თეორიას, და მიჰყი მისცა ქართულ

რევოლუციურ აზრს გაემხვილებოდა შემადგენელი მაშინდელი გამათავისუფლებელი მოძრაობის აქტუალურ საკითხებზე. 1900 წელს ამ დისკუსიის შედეგი იმ რწმენით გამოიხატა იყო, რომ პოლიტიკა და პოლიტიკური ბრძოლა უნდა წარმოადგენდეს მთავარ იარაღს შრომობელთა და მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. 90-იან წლებში ქართულმა დისკუსიამ, რაც გ. შთაშვილის აღნიშნულმა წერილმა გამოიწვია, გააცნობიერა ანარქისტების მიერ თეორია პოლიტიკური ბრძოლების უგულვებელყოფისა და უნაყოფობის შესახებ. დასაძუთდა, რომ თუკი განმათავისუფლებელი მოძრაობა თავს შეიკავებს პოლიტიკური ბრძოლისაგან რუსეთისა და ევროპის პირიბებში, თუ მუშათა კლასი და გლეხობა წინ არ აღუდგება მემამულურ-ბურჟუაზიული პოლიტიკის გატარებას, თუ შრომობელი რუსეთისა და ევროპაში არ იბრძოლებენ პოლიტიკურ უფლებათა გაფართოებისათვის, თუ ისინი განურჩეველი იქნებიან პოლიტიკისაში და ვერ გაიგებენ, რომ ყოველგვარი პოლიტიკური შეზღუდვა, პოლიტიკური უფლებობა ვხას უხსნის ექსპლოატაციის მიმე ფორმებს. შრომობელი განიარაღებული აღმოჩნდებიან მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინაშე. შთაშვილის წერილით გამოწვეულმა დისკუსიამ ცხადყო, რომ შრომობელი პირველ რიგში აქტიური პოლიტიკური მებრძოლები უნდა იყვნენ და მათ უნდა მქონდეთ უნარი ვაბატონებული კლასების საწინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართულებასა და ცალკე პოლიტიკურ აქტებში გარკვევისა და დაუყოვნებლივ რეაგირებისა. თავის პუბლიცისტურ წერილებში შთაშვილმა დასევა კაპიტალიზმის განვითარების საკითხები საქართველოსა და კავკასიაში. უნდა შევნიშნოთ, რომ მისი მოსაზრებები კაპიტალიზმის როლისა და არის შესახებ ისტორიულ განვითარებაში ძირითადად განსხვავდება ბალოსნური და ბურჟუაზიული კონცეფციებისაგან, შთაშვილისათვის ცხადი იყო, რომ რევოლუციის შემდგომმა ეკონომიურმა განვითარებამ ჩვენში კაპიტალისტური ფორმა მიიღო, და ანეთიარებს იმ მოსაზრებებს, რომ კაპიტალიზმში პროგრესული საზოგადოებრივი წყობა არის ფეოდალიზმთან შედარებით. იგი პირველ რიგში სოციალიზმის განხორციელების მატერიალურ-ტექნიკურ საფუძველს ქმნის. ჩვენ ბურჟუაზიულ უბელიცისტთაგან განსხვავებით და საზოგადოდ ბურჟუაზიულ იდეოლოგიასგან განსხვავებით იგი არავითარ ამოლოგებს არ ეყენოდა კაპიტალიზმისა. ახასიათებდა რა ვასელო საუენის 90 წლების კაპიტალიზმს გ. შთაშვილმა აღნიშნა, რომ კაპიტალიზმი უკვე პროგრესულიდან რეაქციულ საზოგადოებრივ წყაროდ იქცა. მას კაპიტალიზმი მიამნია ისეთ ეკონომიურ წყობად, რომელშიაც შრომობელი ექსპლოატაცია ახალ ფორმებს ღებულობს და სადაც ევროპის საუთრებამე დაურდნობილი საზოგადოებრივი

წარმოება გამოიყენება კაბიტალისტური კლასის გასაძლიერებლად.

საკუთარი გამოკვლევა მიუძღვნა შაიაშვილმა მილიტარიზმისა და კაბიტალიზმის პრობლემას. ამ საკითხზე მისი წერილები დაიბეჭდა „НОВОЕ УБОЯНИЕ“-ის ფურცლებზე 1889 წელს. ის იყო გამოხმობები ინტერნაციონალის ანტიმილიტარისტულ პოლიტიკაზე. მართალია, ამ პრობლემას მან ბოლომდე თავი ვერ გაართვა, მაგრამ სწორად შენიშნა, რომ მილიტარიზმი ბურჟუაზიული სახელმწიფოს რეაქციული პოლიტიკა, მიმართული სამხედრო ძლიერების შექმნისაკენ, რათა უზრუნველყოფილი იქნას ომის მომზადება ბაზრების და ახალი ტერიტორიების დაპყრობის მიზნით. მილიტარიზმის გაძლიერება იმის მანკეუბელია, რომ კაბიტალიზმი იქცა პარაზიტულ და ლობობად კაბიტალიზმად, ეკონომიკის, ტექნიკისა და მეცნიერების განვითარებას აძლევს ანტიხალხურ, სამხედრო მიმართულებას.

შნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩვენი და კაცკასიელი ხალხების გათვითცნობიერებისა და პოლიტიკური აღზრდის საქმეში გ. შაიაშვილის ლიტერატურულ-კრიტიკულმა წერალებმა. უნდა შევნიშნათ, რომ გ. შაიაშვილის ქვეყნა დიდი ლიტერატურული ერთდოცა და გემოვნება. ის შესანიშნავი მკოდნე იყო როგორც შსოფლიო კლასიკური, ისე მისი თანამედროვე მხატვრული ლიტერატურისა. გ. შაიაშვილის დამსახურება ამ სფეროში ისაა, რომ მისმა ლიტერატურულ-კრიტიკულმა წერალებმა დიდად შეუწყო ზელი პროგრესულ, დემოკრატიულ-რევოლუციურ, რეალისტურ ნაწარმოებთა ავტორიტეტის აწევას, მათდამი დიდი ინტერესის გაღვივებას მკითხველთა ფართო მასებში, მისმა ლიტერატურულ-

კრიტიკულმა წერილებმა აშხილა ის მხატვრული ლიტერატურა, რომელიც სოციალიზმის წინააღმდეგ აუი მიმართული, გ. შაიაშვილმა გამოამხიარავა რეაქციული ლიტერატურის მსრქელმხედველობრივი სიყალბე და მხატვრული უსუსურობა.

რასაკვირველია, როდესაც ვახასიათებთ გ. შაიაშვილის მოღვაწეობას, არ შეიძლება არ მივთითოთ მისი მსოფლმხედველობის სუსტ მხარეებზეც, იმაზეც, რომ რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში მან სწორად ვერ განსაზღვრა კლასების როლი რევოლუციაში, ვერ გააყო პროლეტარიატის განსაუფლებელი მისა და მსოფლიო ისტორიულ პროცესში, მიუხედავად ამისა, ამ პერიოდშიც იგი რჩებოდა რევოლუციურ-დემოკრატიულ, რომლის პოლიტიკური პროგრამა იყო მეფის ხელისუფლების და მხხვერვა და დემოკრატიული რესპუბლიკის მკვიდრება, ზოლო ეკონომიურ სფეროში დემოკრატიული ავტორული გარდაქმნება.

ჩვენი რეცენზიაში შემუშავებელია ყოველმხრივ განვიხილოთ გ. შაიაშვილის ლიტერატურულ-მეცნიერული შემკვიდრებობა, რომელიც მოთავსებულია მისი რჩეული ნაწერების I ტომში. ვიმეორებთ, უნივერსიტეტი და მისი ავრნიანი-სტრუქტის კათედრა აეთებენ დიდ საქმეს მე-XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა ლიტერატურულ-მეცნიერული შემკვიდრების გამოცემით, და უადრესად სასურველია ამ მიმართულებით ვაკოხოველონ შემოაბა ჩვენი რესპუბლიკის საგამომცემლო ორგანოებმა, რითაც წინ წაწევენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის და კულტურის მეცნიერული ისტორიის შექმნის დიდ და საპატიო საქმეს.

გ. მებელიძე

ცხოვრება და კლამინები

მწერალი ღირსეულს ვერაფერს შექმნის, თუ არ საზრდოობს თანადროულობით, იმ სიმდიდრითა და სიღამაზით, რაც ხალხს და მის შრომას შეუქმნია. მაგრამ ცხოვრების სიმართლე ყოველთვის როდი იქცევა მხატვრულ სიმართლედ, ამაღლებულ და ესთეტიკურად გარდაქმნილ რეალობად!

როცა ცხოვრებისეული მასალა უშუალოდ აღქმულია და ნაწარმოებს მწერლის სულიერი განცდის ბეჭედ ატის, მაშინა იგი მართალი და დამაჯრებელი, ესაა მხატვრული ქმნილების უპირველესი ღირსება.

არჩილ ჩაჩიბაიას ყველა მოთხრობა ცხოვრებისეულია, გამსჭვალულია სიმართლით, რაც ცხოვრების მოვლენებზე მწერლის დინჯ და გულმოდინე დაკვირვებას მოწმობს.

არ. ჩაჩიბაიას ამ მოთხრობებში, უმთავრესად, ასახულია თანამედროვე ადამიანთა იდეურ-მორალური სახე (სიყვთე, მეგობრობა, სიყვარული, თავდადება სამშობლოს საყვთილდღოდ). მართალია, ყველა მოთხრობა ერთნაირი ღირსების არ არის, მაგრამ დაწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ბევრი მთავანი, უმყარება რა მხატვრული სიმართლის პრინციპს, გამოიჩინება თხრობის სისადავითა და სინამდვილის სწორი ასახვით. მკითხველი მათში შეამჩნევს უტყუარ ცხოვრებისეულ დეტალებს, დაინახავს გამორეული ხასიათებს, მათ თავისთავადობას.

ინტერესით ეკითხება კრებულის პირველი მოთხრობა „ციხე დედოფალი“, ამ მოთხრობაში არეულია ცხოვრებისეული ამბავი, ის, რაც ოდესღაც მოხდა, ან შეიძლება მოხდეს. მთავარი მოქმედი პირი მაცაცო მეგობრულად არის განწყობილი მის ბინაში მცხოვრებ ახალგაზრდა ეკისადმი. მათ ქალაქი ერთად დაათვალიერებს,

არჩილ ჩაჩიბაია, „მე, დიმილი და სიყვარული“, ლიტერატურა და ხელოვნება, 1964.

ბოლოს... მაკაცოვ ვაყს შესთავაზა, ერთად ვიბანათო ზღვაშიო. ვაყს შეუყვარდა ანცი ვოგონა, მაგრამ, როცა ქალიშვილმა იგრძნო ვაყის სიმპათია, განერიდა მას და მალე სხვა ახალგაზრდაზე დაქორწინდა.

ახალგაზრდობის სისხლსავსე, მჩქეფარე ცხოვრება არ ჩაიბნაძის მოთხრობების მთავარი თემაა. იდენტურია მათი სიუჟეტური განვითარების ქარგა („ტრფიალი“, „ყველა ქალი აანთეთ!“ და სხვ.). მკაფიოდ მოხაზული, დასამახსოვრებელია თამარ და ლელია თვაურების, ზურამ რთველიაშვილისა და სხვათა პორტრეტები. ისინი სხვადასხვა პროფესიის, მაგრამ ერთი იდენტური მრწამსისა და სულისკეთების ადამიანები არიან. მათი მისწრაფება უანგაროდ ემსახურონ ხალხს, მშობლიურ სოფელს. ღრმად დარწმუნებულნი თავისი საქმის გამარჯვებაში, ისინი სტაიურად სძლევენ ყოველგვარ სიმუნღლესა და წინააღმდეგობას, ხალხისა და ენერგიით განაგრძობენ ბრძოლას უკეთეს მომავლასათვის.

„გზები და სიყვარული“ თითქოს ერთი ამოღობილია დაწერილი. ამბავი დინამიკურად ეითარდება. შორეულ გზებზე ქართველი ქალის სიღამაზე ბადებს სიყვარულს, და ეს იქვეა მის ქებათაქებად. მწერლის მოხდენილი თქმა—როდესაც ორი ახალგაზრდის სიყვარული ერთ სიკოცხლად იქცევა, ბედნიერებად იქ იწყება— უნდა მივიჩნიოთ ამ ციკლის მოთხრობების მთავარ პათოსად, ლიტერატურად.

წიგნში მრავალი შთამბეჭდავი ეპიზოდი და ხასიათია აღწერილი. ამათგან არ შეიძლება მკითხველს დაავიწყდეს ხანდახმული ადამიანები—ლეთისკარი და გიორგი პაპა („ბებები არწივი“), ბუნებრივი და ძალდაუტანებელი ეპიზოდი თუ როგორ შეუვრდდა გიორგი პაპა დიდ ეროვნულ ზეიშს, გულთან ახლო მიიტანა, უშუალოდ განიცადა თბილისის ისტორიული დიდების საყოველთაო ზეიში. გიორგი პაპა, მართლაც, ბებერი არწივივით გაერთა მოზვიემ ახალგაზრდებში.

როგორც ზემოთ ითქვა, არჩილ ჩაიბნაძის ისწრაფვის მხატვრულ ფაქტად აქციოს ყოველივე ის, რაც ლაშაზია ადამიანურ ცხოვრებაში. ამავე დროს, არ მალავს მანიკერებას და ჩრდილოვან მხარეებს. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი მოთხრობების პერსონაჟთა უმრავლესობას ამოქმედებს არა პირადული, არამედ ხალხის საკეთილდღეოდ გაწეული შრომა და სამშობლოს სიყვარულის უანგარო გრძნობა. იგივე გრძნობა უღვეს საფუძვლად მათ მოქმედებას, როცა ისინი ჩრდილოვან მხარეებში მიიღებნა და უკეთესის— დამკვიდრებისათვის იბრძვიან. ორსავე შემთხვევაში დადებითი პერსონაჟები, ერთგული არიან ცხოვრებისა და გულწრფელი პირდაპირობით ხასიათდებიან. მოთხრობათა ციკლი „შინაინი ჩრდილები“ ამ ქვეშეპირტიების მხატვრული მოტივირებაა.

მოთხრობაში „მის ძე“ ნარკვევებია ბირეულთა ყოფის თავისებურება. გუგუა, ოჯახის მამა სათნო და კეთილშობილი ადამიანია, მისი ანტიპოდია შვილი მამუკა, რომელიც ქალაქშიცულ წრეში მოხვედრილა და ვადგავარბელა. მამუკას მორალური დაცემა მამისათვის უტუბო და ამოუხსნებელია. იგი გმობს „სატრფიანდურო სიყვარულს, რომლითაც ოჯახი არ შეიქმნების“. გუგუამ შინ მოიყვანა ჩაბლი და ძისძე— „ოჯახის ჩირაღდი“, რომლებიც მისმა შვილმა ბედის ანაბარი დატოვა.

ასეთი პათოსითაა დაწერილი მოთხრობები: „ზღვისპირა ქალაქში“, „ყველა ქალი აანთეთ!“, „ჩინიკალი“, „ოქროს საათი“. რამდენადაც ძლიერია მწერლის სიმპათია დადებითი პერსონაჟებისადმი, იმდენადვე მკაცრი და დაუნდობელია უარყოფით პირებისადმი. მწერალი დასცინის გულშეიღვს, ე. წ. „ასფალტის ინგინერს“, ყუყუნას, რომელიც ჯიუტიად დვას თავისსზე, არ ტრეებს ქალაქს, თუნდაც ეს საქმრომ მოითხოვოს; დედის შთავგონებით ყუყუნა ეძებს ისეთ საქმროს, რომელსაც თბილისში ექნება ბინა, აღმოაჩნდება სიმდიდრე, ფულის შოვნის უნარი და აუცილებლად დედისსერთა იქნება. ასე ენითი ბედუნასა და მის მშობლებს ბედნიერება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზელოვნურია და გაუბრალოების შთაბეჭდილებას ტრეებს („ზღვისპირა ქალაქში“) თინასა და გელას დაშორება, თინას დაბრუნება ნატასთან და სხვ.

ცხოვრების უკუღმართ მოვლენებისადმი მწერლის დაუნდობელი დამოკიდებულება, ნათელსაყოფად სიკმარისისა დავასახლოთ კიდევ ორი მოთხრობა „ჩინიკალი“ და „ოქროს საათი“. პირველში დახატულია ბიუროკრატისა და მექრთამის ტიპი. ლეონტი ოდილაეაძე პროტექციით და მოქმედებით მოექცა ტრესტის სათავეში. მეტსახლად შერქმეული „ჩინიკალი“ კარგად მოკრავს მის პიროვნებას. მის თანამშრომელს ხარიტონს ეგონა, რომ უყოყმანოდ შესრულდებოდა ტრესტის მმართველის განკარგულება. ტკბილად მიღება, გაცილება ამის თაღდებად მიანდა. მაგრამ ამოდ... ტრესტის მმართველი მუდამ ამის ცდაში იყო, როგორ დაემსახურებია ვახუთში ქება-დიდება, როგორ დაემკიცრებია სხვისი ნაშრომი, შეებლავა სხვისი სახლი. იგი სხვებისსავან ოდესმე ჩაღვნი შეცდომებს ჩხრედა და სხვების საქმიანობაში კარგს ვერ ნახულობდა, საყუთარ თაუზეც კი წერდა ანონიმურ წერილებს. ამიტომ შეარქვეს ჩინიკალი, რომელიც სწრაფად გაერეცლა ტრესტში და შიელს ქალაქში. ასეთი ვაი-ხელ-მძღვანელება, ე. წ. ჩინიკალები, სამწუხაროდ, კიდევ არიან, და სწორედ მათ წინააღმდეგ უიმართავს მწერალს სატირის მახვილიც.

კარგ ემოციურ ეფექტს აღწევს მოთხრობა „მომღერლის ბედი“; ვინც ხალხის ბედნიერ ცხოვრებას უმღერის, მისი სიკოცხლე არასოდეს შეწყდება, გრძელდება კეთილ ადამიანთა

მოღვაძე, ტრადიცია, კარგი საქმე და სახელი. შამყვას სიმღერა სიცოცხლეზე, ხალხის ბედნიერებაზე არ შეწყვეტილა, ვლადე აღდგარა და მოუფინა მშობლიურ გარემოს. ოპტიმისტურ აქორდად გაისმის მოთხრობის უკანასკნელი ფრაზა: „ოჯახში არც მამის ხმა შეწყდება, არც მისი გამონათქვამი“.

არჩილ ჩაჩიბაიას ამ მცირე ფორმის მოთხრობის ღირსება, პირველ ყოვლისა, ის არის რომ, მასში თხრობა ლაღად მიმდინარეობს, მიგნებული დეტალებით გახსნილია ხასიათის არსებითი ნიშნები: ავტორის დეტალი თვითმთხვერი არ არის, მკაფიოდ მიგვიანიშნებს რიგ თავისებურებაზე. ამჯერადაც ასეა, ტიპის თანაში თანატოლებთან, მოულოდნელად მამის გარდაცვალების გამედავენება — ძირეულად ცულის პატარა მეგვიდრის ხასიათს; მამის მომადლობელი სიმღერა შთაგონებს პატარა შემკვიდრეს უკუდაუყოფილად ცნოს ადრე დაკარგული მამა — სიცოცხლეზე, ადამიანთა ბედნიერ მომავალზე სახელოვანი და უბადლო მომღერალი.

ასეთი სიცოცხლისათვის, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის არა ერთმა გასწირა თავი მრისხანე იმის წლებში. მოთხრობათა ციკლს „სიცოცხლისათვის“ მსკვალავს ერთი იდეა, ერთი მისწრაფება. სახელდობრ, ის, რაც ასე ლაკონურად გამოთქვა მეურნალი ექიმის პირით ავტორმა: „სიკვილიამდე ყველა ცოცხლობს, მშინაარაც კი დაფოფავს მიწაზე. საქმე ის არის, რომ სიკვილის შემდეგ ცოცხლობდე“.

ფსიქოლოგიური სიღრმე და დრამატული

სიმპაფრე არ აყლია მოთხრობებს. „ოსტერი კიჭა“ და „პაშიმბაის სიმღერა“. პირველში დახატულია საბჭოთა ქირურგის კარგის კიჭა. ხოლო „პაშიმბაის სიმღერაში“ — დამკვიდრებული ნაწილები ბრძოლებში ნაწითობი მეგობრობა თათარი და ქართველი მეომრებისა. მარშან მარშიმე და დევეტგერ ჩართოლანი ურიცხვ მტერთან ბრძოლის დროს საარაყო გმირობა იჩენენ. მათთანა თათარი პაშიმბაი და მისი სატრფო ვოლარი, რომლის შთაგონებული სიყვარული პირველის გმირული მოქმედების წყარო ხდება.

არჩილ ჩაჩიბაიას მოთხრობებში წარმოსახულია ცხოვრებისეული სიმართლე. მაგრამ ნაწარმოების ღირსების შეფასება მარტოოდენ ამ თვალსაზრისით, არ არის საკმარისი. „სიმართლე არის აუცილებელი პირობა და არა მხოლოდ ღირსება ნაწარმოებისა“ — უთქვამს დობროლიუბოვს. მაგრამ სიმართლის „მიგნება“ და მისი მხატვრული ასახვის დონე უთუოდ გამოდგება მწერლის შემოქმედების ღირსებათა შეფასების კრიტერიუმად.

არჩილ ჩაჩიბაიას მოთხრობების კრებული „შე“, ღიმილი და სიყვარული“ ვვარწმუნება იმაში, რომ მისი ავტორი ცხოვრებას უცქერის გამჭრიახი, გამჭვრეტი თვალით. კრიტიკულად, რომ მას ბუერი უნახავს და განუცლია, შეუმჩნევია, ამასთანავე ეს კრებული იმასაც ამტკიცებს, რომ მათი შინაარსი ბელუბლუბლად კი არაა გადმოღებული სინამდვილიდან, არამედ შემოქმედებითად. მწერლის ფანტაზიით არის გადამუშავებული.

სიმონ პარულაძე

6 20/189
ՅՅԵՈ 80 ՅՅՅ.

И Н Д Е К С
7 6 1 2 8

ՀԱՄԱՅՆՈՒԹՅԱՆ
ՆՈՒՆԱԳՐԱԴԱՐԱՆ

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО «ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»